

Կարգի

10

1985

ტყეა

339

გამოცემის ოცდამეცხრე წელი

10

ოქტომბერი

1985

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და კოეფიკა

- 3. მორის ფოცნიშვილი — ლექსები
- 7. რაჭო შაიშვილი — მიომთხე სიმფონია. მოთხრობა. დასასრული
- 57. გენია ხარანაული — ლექსები
- 64. პაბატ მრისწრაფიშვილი — ლექსები
- 65. თეიმურაზ ლანჩავა — ჯამთრის თეთრი მარცხლები. მოთხრობა
- 87. რუსუდან კაიშაური — ლექსები
- 89. შერმაღინ ქალღანი — ლექსები
- 90. ჯანერი გოგაშვილი — თეთრი კაღელი. რომანი. დასასრული
- 115. ავთანდილ გურგენიძე — ლექსები
- 117. ჯამალ კვარმეჩხილაძე — ლექსები
- 118. ხარბო თურმანაული — ლექსები

ახალი თარგმანები

- 120. ილია კავკაზაზი — სიმარტლი. ლექსი. თარგმნა შოთა ნიშნანიძემ
- 121. ანდრეი დამენივი — ლექსები. თარგმნა ჯანსულ ჩარკვიანმა

კუბლიცისტიკა

- 124. გივი ალხაიშვილი — „საშოშოლო ხეხუტრისა“

ილია შავჭავჭავაძე — 150

- 131. გივი ლოგანიძე — არჩილ ჯორჯაძე — ილია შავჭავჭავაძის სოციალ-კოლიტიკური შეხედულებების მკვლევარი

წერილები

- 140. ალექსანდრე ბარაშიძე — შტრიხები ბრიგოლ აბაშიძის შემოქმედებით კორტაბისათვის
- 145. პაბა კაციტაძე — სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობის საკითხისათვის
- 151. ნინო მსუქენიშვილი — იგედის მოცემი დასაწყისი
- 155. ნიკო ჯაღუბიშვილი — ალექსანდრე არჩილის ძის ბიოგრაფიისათვის

შთავარი რედაქტორი ჯანსულ ღვინჯილია

ხარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაიშვილი
თაღო გაიშვილი
(შთავარი რედაქტორის
შოადგილე)
გურამ გეგაშიძე
გივი გეგაშვილი
გიორგი გუგულია
თეიმურაზ დონაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
ვიღაა კახიკა
ჯამალ გარგველიძე
შოთა ნიშნანიძე
გურამ ფანჯიკია
მორის ფოცნიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ
ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წარათელი
ტარიელ ჟანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე



მორის ფოცნიშვილი

სიყვარული ხარ შენ

ხარ წყლულთა ჩვენთა კენესა პირველი,
უტყვენი მეტყველნი გვექმენ, —
მშვიდობის მაცნე შენ ხარ ფრინველი,
სიხარული ხარ შენ!

ხარ გულთა ჩვენთა ყრუთა გოდება,
ხარ თვალთა ჩვენთა ბრმათა ახელა,
ხარ სინანული და შეცოდება
და ხარ მოწყალე შენ
და სათნოება გვექია სახელად!

ცოდვა რამ იგი შენმა შვილებმა
არ ჩაიდინონ, არ შეიძლება, —
ცოდვათა ჩვენთა შენ ხარ მხილება
და მართალი ხარ შენ!

სანთლად დამწვარი და დალეული,
შუქს სინათლემიც გვფენ, —
სულის მშვიერის ხარ მზარეული,
პურსაც შენ გვიცხობ, შენ!

გწყუროდა,
ჩვენთვის ღვინო მოგქონდა, —
გშიოდა,
ჩვენთვის ხორცი მოგქონდა. —
შენ ხარ ჯვარი და შენ ხარ გოლგოთა,
ცა შენს ფილტვებად სტვენს...
მოთმინება ხარ შენ!

შენ ხარ ერთი და შენ ხარ სამება,
ბრბო ძვლებს გიმსხვრევს და გაბენს, —
შენ ხარ სიკვდილი და უკვდავება
და უკვდავი ხარ შენ!

ვითარც წარღვნის უამს
ნოეს კიდობანს, —
მიწა, ცარგვალი, მზე, —
შენს გულს ვენდობი...
შენ ხარ მშვიდობა,
სიყვარული ხარ შენ!

დაშლილი და დაყოფილი

ბულბული თუ
გალიაში ჩავსვით,
მის გალობას
სულ არა აქვს ფასი.

სრულ სიმართლეს
თუ ჩავახშობთ ბრაზით,
სრულ სიმართლეს
ეკარგება აზრი.

სიყვარულში
თუ საზღაურს ვითხოვთ,
სიყვარული
არც ყოფილა თითქოს.

საქართველოს
თუ დავეყოფთ და დავშლით,
საქართველო
არ ყოფილა მაშინ.

ცაცხლში შუქად რაც შობილა

ვერც ვინ შესძლო

დღენიანდაგ კმაყოფილმა
გაზაფხულად ფრენა, —
ცეცხლში შუქად რაც შობილა,
სამშობლოა და ქართული ენა!

შენს ფესვებთან

შენივ სული ატოტვილა,

სინათლის სხივს

შუქად გიქცევს რწმენა, —
უკვდავებას რაც მოგიტანს,
სიმართლეა და ქართული ენა!

არც რა მიტებს, არც რა ზღაპრებს,
ვთვლი შენს სურვილს უზუნაეს

ლხენად, —

სისხლს დროშებად რაც ალაველენს,
სინდისია და ქართული ენა!

ფრთხის ტკივილი

მეკიდება თვალზე რული,
მაინც ვფხიზლობ,
ვედავები ექიმს. —
ერთი ბლუჯა გაზაფხული
ცხრა ფუთ წამალს
მირჩევნია-მეთქი.

დროს უდროოდ ჩემს ნეკნებზე
გადუვლია დეზებიან ჩექმით, —
ფრთები მტკივა.

თოვლში ვგდივარ.

სულს ვლაფავ და
ველარაფერს ვერ ვქმნი.

ყინულივით ცრემლი ტყდება,
თვალის ფსკერზე

მწიფს ცისფერი ლექი, —

„ველარ ვხედავ ცხრათვალა მჯეს...“
ვუტყდები და

ვემასხრები ექიმს.

ალარ ვიცი, რა მბრალდება,
რაც მინდოდა

ალბათ კარგად ვერ ვთქვი, —

ჩემს თბილისზე თვალის ერთი

გადავლება

უკვდავებას მირჩევნია-მეთქი.

იფრინოს

დრო მთოკავს, დრო მცდის და დრო
მიტევს,
სხვა იყო ის ტანჯვა, ის ურვა, —
მოვიდეს, ვინც მოდის, მოვიდეს,
მოვიდეს, მოსვლა თუ ისურვა.

სნეულ სულს სულეთში ვინ უვლის,
ვინ მასმევს, ამ მწუხრში იმ ღვინოს, —
ნუ გამოვალვიძებთ სიძულვილს, —
იძინოს, იძინოს, იძინოს!

ვინ ტოვებს ამ მთებს და ამ მინდვრებს,
თუნდ ზეკაცთ ეახლოს ზეარსად,
წავიდეს, წავიდეს, წავიდეს,
თუ რამეს უშველის ეს წასვლა!

ო, ჩემი კაცობის გვირგვინო,
არასდროს არ დაგთმობ, ცხადია,
სიყვარულს თუ ფრენა სწადია,
იფრინოს, იფრინოს, იფრინოს!

დღემდე და... დღეიდან

ლექსი ვიყავ, ტვინში სისხლად
ვიქცეოდი,
დროს ვმტრობდი და ვერ მიტანდა
ელიტა,
დღემდე ცუდად ვიქცეოდი,
რა ვქნა, კარგად მოვიქცევი დღეიდან.

შენს უღელში ვიღლებოდი,
ქედზე მადეკ ბედშავს გულარხეინად,
დღემდე სახრით მიძღვებოდი,
ხატის სანთლად გამიძღვები დღეიდან

გულს მიკლავდა შენი დარდი,
მგონი ვილაც ხელუკუღმა გვწყვევიდა,

დღემდე რალაც წამლებს ვსვამდი,
არცერთ წამალს აღარ დავლევე
დღეიდან.

სულ სხვის მოვლას ვუნდებოდი,
როცა ცეცხლი გულზე თვითონ
მეკიდა, —
შინ მე, როგორც ნავსადგურში,
ვბრუნდებოდი,
რა ვქნა, ველარ დავბრუნდები დღეიდან.

ზევას დავიხურავ ქუდად,
წლებს თოვლივით დავიბერტყავ
მხრებიდან,

დღემდე ყველაფერი მსურდა,
არაფერი აღარ მინდა დღეიდან.

ჯანმრთელობის ცნობა

„არაფერი რომ არ მტკივა“,
ისეთ ცნობას ვინ მომცემს, —
ექიმებო, ცოცხალი ვარ,
გაუმარჯოს სიცოცხლეს!

ცოცხალი ვარ, ისევ ვიხდი
ჩემს სამწერლო საწევროს, —
კოლეგებო, აღბათ მიხვდით,
დროა ლექსიც დავწერო.

მინდა გადღეგრძელოთ თბილად,
გაგიმართოთ „კონცერტი“, —
არ შემომწყრეთ, ჯანმრთელი ვარ,
სრული ასი პროცენტით!

პირზე ნიღაბს ავიფარებ,
რას შემატყობს დრო ცეტი, —
ჯალათებო, ჯანმრთელი ვარ
სრული ასი პროცენტით!

ნუ წუხდებით...

დრო თქვენს ცოდვებს
ისევ ფარავს ფარდებით, —
მშვიდად უნდა ბრძანდებოდეთ,
ხელში არ ჩაგაკვდებით.

ნეტა, რას მთხოვს დარდი ჩემი,
ჩემი გულის „ხორცმეტი“, —
ჯანმრთელი ვარ, ბატონებო.
სრული ასი პროცენტით!

თბილ მიწაში ოდნავ ცივა,
მზე კვლავ მხიბლავს სიშორით, —
„არაფერი რომ არ მტკივა“,
ამ ცნობასაც გიშოვით!

ბევრი და ცოტა

მამლად მიყვილია,
დილა რამ დალია, —
ბევრი ტკივილია,
ცოტა წამალია.

ვინ რას იპოვიდა
ისევ რომ უძია? —
ბევრი პოეტია,
ცოტა პოეზია.

ვის რა უხარია,
ისევ მზე რომ არი, —

ბევრი სტუმარია,
ცოტა მეგობარია.

არც რა იდილია,
არ რა ანათემა, —
ბევრი სიკვდილია,
ცოტა დაბადება.

იჭვი აწრიალდა,
ხიდზე ხიფათია, —
გულში აწრია და
სისხლში სიმართლეა.

„იკვანა“

ჩემი ლოტოსი
კოჭებამდეც ვერ შემოგწვდება
თვითონ შენ თუ არ მიიტანე

ბ
უ
ლ
ა
მ
დ
ე
ი
გ
ი

რეზომეტი

მეოთხე სიმფონია

მოთხრობა

ისევ გამოვიდა იფენშიშველი გოგო ჰოლოში, სააბაზანოში შეიხედა კვლავ, რაღაც გასინჯა (წყალს თუ აზავებდა), გამობრუნდა და ღია კარში დადგა.

— ვინ არის, ბიჭო, ეს? — ისევ იკითხა კარტში თავჩარგულმა ბესომ.

— რა ვიცი, ვინ არი, ტანიამ მოიყვანა ვენდისპანსერიდან. ტანია ხომ იქ დადის შემოწმებაზე. უნახია, უცვნია და მოიყვანა, არი აქ და ხომ ვერ გავაგდებ, იქნება ცოტა ხანი და წავა ალბათ.

— გადააშენე აქედან!

ამ სიტყვებზე გოგო ოთახში შემოვიდა და და ბესოს ზურგს უკან გაჩერდა.

— იცის ქართული?

გოგო წაიკუზა, ხელები სკამის საზურგეს ჩაქიდა, ცალი ფეხი ასწია და ბესოს ტუჩებში ეძგერა.

— ვახ, შენი! — კარტი გადაყარა ბესომ.

— არ ამოუღო კუჭის წვენი! — აღტაცება ვერ დაფარა ალექსანდრემ.

— ითამაშეთ, თუ შეიძლებოდეს! — გული მოუვიდა გამომძიებელს. გოგომ კი შიშველი ფეხების ბრაგუნით შეუხვია პატარა ოთახში და ამჯერაზე ღია დატოვა კარი, საიდანაც ისევ გამოვიდა ზამბარების ჰრაპუნის და ტელევიზორის ხმა.

— რა ქენი შენ?! — ჰკითხა ლერი ჭინჯვლიძემ ბესოს.

— ხომ შეხედე, რაც ვქენი, პასი ვთქვი.

— რაზედ ჩხუბობენ, თუ იცით, ვენდისპანსერში ქალები? — იკითხა ბუხუმ.

— რაზე? — დაინტერესდა ლექტორი, შავი ქვები მიაწყო კუთხეში და კამათლები გააჩერა მუჭში.

ტელევიზორის გამო ჩხუბობენო, თქვა ბუხუმ, ხმა რომ არავენ ამოიღო.

— ...ერთი ფერადი ტელევიზორი უდგათ დერფანში. აქაურები აქაურ პროგრამას რთავენ, იქაურები იქაურს... ადგება ერთი, ჩართავს თავისას, მივა ჩვენი და თბილისზე გადმორთავს, მერე ის იქით გადართავს, ეს ისევ აქეთ გადმორთავს და ატყდება ჩხუბი, თმების წეწვა-გლეჯა...

— და ჯობნიან ისინი, რასაკვირველია... — პირი ჰქონდა დაღებული ლექტორს.

— შენ წარმოიდგინე, — არა, ვაკვირდებათ და ჩვენები ჩაგრავენ.

— მართლა, კაცო?! — ყურებს არ დაუჯერა გოგენ წიქარაშვილმა. ლექტორმა, სუფთა და წმინდა ზღვისფერი თვალები რომ ჰქონდა, კამათლები გაყარა კოტიტა თითებით.

— გამოცდებზე არ ხართ თქვენ? — ჰკითხა გოგენმა.

— ვენდისპანსერზე გაგახსენდათ?

— არა, კაცო!

— მოვრი გამოცდებს, უნივერსიტეტში წელს აღარა ვარ, კონსერვატორიაში დამტოვეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ. იქ მაინც სპეციფიკური გამოცდებია და ისტორია, ჩვენი საგანი, ესე იგი, მაინცდამაინც არავის ეპიტნავენ და ბავშვები ფაქტიურად მოუშაზდებელნი მოდიან, თანაც პირდაპირ გვაფრთხილებენ: ამას დაუკელი, იმას მოუმატეო; მართლებიც არიან, თუ სმენა არა გაქვს, ისტორიის ხუთ-

ით ჩარიცხული რა მუსიკოსი გამოხვალ... თანაც საქმე იმაშია, რომ სმენიანსაც და უსმენოსაც, ნიჭიერსაც და უნიჭოსაც, როგორ და რა მანქანებით, არ ვიცი, სპეციალობებშიც ხუთები უწერიან, ყველას არა, ცხადია. მოგადგებიან მერე შენ, არიქა, ვიღუპებით, უნიჭო რჩება, ნიჭიერი ვარდება და ამას დაუყელი, იმას მოუმატე როგორმეო...

— აკლებთ მერე?! — კამათლები ჩაუქვავდა მუქში გოვენს.

— არა. მხოლოდ ვუმატებთ. დაკლება რალად უნდათ... — თითები დააკაკუნა ნარდზე. — ა, გესმით ეს ხმა, ინჩინინჩი არ იციან ისედაც, ვაგორეთ თქვენ... ამიტომ ერთს, რაც ეკუთვნის, იმას დავუწერთ და გავარდება, მეორეს მოვუმატებთ და დარჩება და ვართ მერე ვაი-უშველებელში. არის ჩივილი, რატომ დაგვაკელიო; რატომ მოგვიმატეო, კაცი არ გეკითხება. ერთი ბიჭი დამიჭდა და, რაც ძალზე იშვიათია ჩემს პრაქტიკაში, სამივე შეკითხვაზე მიპასუხა. ჩაეხედე ჩასარიცხ სიას, არაა შიგ, არადა გაფრთხილებული ვარ ამის, იმის და იმის ვარდა მაღალი ნიშანი არ დაუწერო არავისო. რას შერები?! სმენა არა აქვს თურმე, შეიძლება აქვს კიდეც, რას გაიგებ!.. ხუთი უწერია სპეციალობაში და წადი და სდიე. როგორი ამბავია... მივეცი დამატებითი შეკითხვები, მიპასუხა, კიდეც მივეცი, მიპასუხა. მე ვიფიქრე, შენ გიტირებ ყოფას ახლავეთქვა, ჩავიხედე კონსპექტში, ჩვენ ხომ გვაქვს ჩვენთვის ჩამოწერილი ჩასატრელი შეკითხვები, უნივერსიტეტში ვიყენებდით ხოლმე, ჩავიხედე და იმ კითხვარით ვკითხე. ველარ მიპასუხა; ჩავიხედე კიდეც, ამოვიკითხე და შევეკითხე, გაჩერდა, მიკობ-მოკიბა მერე... ა, გენაცვალე, არ იცი საგანი, მოუშვადებელი ხარ-მეთქი მოსული. სერიოზია რა, ჩარი-სე, კამათელო! სე არი. ჩარი-სე კი არ მინდოდა, მე მინდოდა ფაქტიურად ბეშ-ოთხი, არ გინდათ თქვენ თამაში?! — წაევაგე! — უთხრა გოვენმა. ქვე-

ბი არია ნერვიულად, წამოდგა და აივანზე გავიდა.

ბესო იაძემ გულისრევა იგრძნო, ერთხელ უჩემოდ ჩამოარიგეთო, დაიბარა და სამზარეულოში შეიხედა; არეულდარეული, დაურეცხავი თევზებით, ცარიელი კონსერვის ქილებით, გამხმარი პურის ნატეხებით სავსე თაროები მოათვალეირა, შევიდა, ბოთლში ჩარჩინილი არაყი აღმოჩნდა, ცხვირსახოცი დაასველა და დიდხანს ისვა ნაკოც ტუჩზე და ლოყაზე.

ფრანსუა მოვიდა. მწვანე შლაპითა და ქუჭყიანი შარვლით დაჯდა ტახტზე, ფეხი ფეხზე გადაიღო. ბეჭედი დაეკარგეო, უთხრა ლერი ჭინჭველიძემ, ოცდაოთხგრამიანი ბეჭედი გადამივარდა აივნიდანო.

— Ну и чтож?
— ფეხებზე კილია ამას...

Перстень, понимаешь, не кольцо, перстень, такой большой, давай, спускайся вниз, если найдешь, пятьдесят рублей получишь!

— Вы что, до сих пор не спукались, не хотели найти, что ли?

— ჩვენ ვეძიეთ, შე ვირიშვილო!

— Тогда другое дело, дай сперва пятьдесят рублей!

— ნახე რა ჭკვიანია!
— Если не найду, не надо, да-გიბრუნებ რა...

ამ უცნაურ ქართულზე მოიხედა გაკვირვებულმა გოვენმა. აივანზე წრიალებდა და გარეთ გამოსულ, შეწუხებულ მასპინძელს უმტკიცებდა, მშვენივრად ვგრძნობ თავს, არაფრის თამაში არ მინდაო. ფრანსუას რომ მიაჩერდა, ქართველიაო, ბუხუმ უთხრა.

— მართლა?
— ძველი გიმელი ფრანსუა იანტბელიძე.

— Хорошо, сто рублей даю! — გასამრჩელო გაზარდა ჭინჭველიძე.

— Он что, выигрывает? — ხმა წაიწვრილა და ალექსანდრეს მიაჩერდა ფრანსუა იანტბელიძე.

— Выигрываю, да... წადი დროზე, ნახე ის ბეჭედი, სანამ უკან არ ჩაუშვია ყველაფერი.

— ჩავალ რა, сперва я отдохну немножко...

— მერე დალამდება, ვინაა ეს ოხერი! — კარტის ჩითვისას ჩაილაპარაკა ლერიმ. — პალასაში ვარ, ბიჭო, ჩადი დროზე.

— ა, ძმაო, — აივნიდან შემობრუნდა ბუხუ. — მერე რომ არ იყოს ლაპარაკი, ახლავე სასმელ-საჭმელზე იზრუნეთ, ბექედზე თუ ჩავა, დასაღევსა და ჩასაყოლებელსაც ამოიძღვანიებს. სანამ კარტი არ გიყიდიათ, ფულს ამ გაპაროლებული კუშიდან ავიღებ, გინდათ, პოდს მოვაკლებ, ჩემთანაა ესეც... მანამდე, Франсуа, выбирай чистые бутылки!

— Все чисто там! — ბოთლები სხენებაზე წამომდგარიყო უკვე.

— გაავლე წყალი, არ მიიღებენ ისე, ჩისტოს მოგცემ მე შენ!

ბოთლებით, პურ-მარჩილის ფულითა და მწვანე შლაპით გამოვიდა ფრანსუა ინტბელიძე ლიფტიდან, ბეტონის ბარჯებთან გაჩერდა, ჩამავალი მზის სხივებით აფერმკრთალებულ ასფალტს დახედა, გზის გაღმა-გამოღმაც მიმოატარა მზერა და, რადგანაც ას მანეთს ასი გრამი ერჩივნა იმწუთას, ბექედი, უფრო სწორად, перстень აღარ უძებნია, სასურსათო მალაზია არ დაიკეტოსო, შეეშინდა და სწრაფად გაეცალა იქაურობას: მწვანე შლაპა გაისწორა და ბოთლების რაწკარუწყით წავიდა. მარტოდმარტო ცხვრობდა სანზონის დასახლებაში ფირალ დოლიძის ქუჩაზე. პედაგოგიურ ინსტიტუტდამთავრებულნი კაცი მუდმივ სამუშაოზე ვერ დგებოდა და პატარ-პატარა თარგმანებით, მიკრორეცენზიებით და სკუადრაკო ეტიუდებით გაჰქონდა თავი. შარშანწინ მეგობარი ფიზიკოსი ესტუმრა ლენინაკანიდან და მამისეულ სახლში ჩაუბარგდა. ორი თვის შემდეგ ჩამოიხრჩო თავი მაინცდამაინც ფრანსუას საწოლთან. ცხვირაპრეხილი ფეხსაცმელები დაინახა სასთუმალთან გაღვიძებისას. შავი, სქელძირიანი ფეხსაცმელები ირხეოდნენ ჰაერში მშვიდად და მიი-

მედ. და! — თქვა ფრანსუამ, მანამ თავს წამოწევდა. შემობრუნდა და ნათესაებმა ჩამოაკითხეს ფიზიკოსს ლენინაკანიდან და ვი-ვიშით წაასვენეს ლენინაკანში; პირადი ნივთები, წიგნები და ჩანაწერები თან წაიღეს, დარჩათ პალტო და მწვანე შლაპა, პალტოში ზამთარი, შლაპაში ზამთარ-ზაფხული გაატარა ფრანსუამ; ვაზაფხულზე გაყიდა პალტო და მეგობრის სამახსოვროდ შეინარჩუნა შლაპა, რომელიც არც ერთ სალუდში არ დაიგირავეს.

— ბესო ბატონო, — კარტის ჩითვის დროს გაახსენდა ლერის, — დააწერი-ნე იმ შენ ცოლისძმას ერთი ნიშანი, ვიცი, რასაც მიპასუხებ და მაინც გეუბნები, დააწერინე. ქალიშვილს შევბაბთ ეყვანი როგორმე, ქალიშვილს უჯვრებს, იციან, ჩაუდენარს ჩაადენინებს ქალი საკუთარ მშობელსაც, სამაგიეროდ პატარა საჩუქარს მიიღებს, მსახიობი ქალია, გავხარდება; ბრილიანტის საყურეს მიართმევენ...

გამომცდელად გადმოხედა გამომძიებელმა ამ სიტყვების გაგონებაზე, დაიჭირაო, გაიფიქრეს, ორნიღა დარჩენილიყვნენ დიდ ფოსტასთან და სინამდვილესთან ახლო იყო ეს ვარაუდი; სოლდი უთხრა მართლაც ჭინჭველიძეს.

— ქალიშვილსაც არ გაუყეთებს. — თქვა ლექტორმა ამ დაძაბულ სიტუაციაში.

— რატომ? — იკითხა ვილაცამ.

— არ გაუყეთებს, ხომ ვიცი...

— გადახდილია. — თქვა ჭინჭველიძემ.

— Фულ! — თამამად გაშალა კარტი გამომძიებელმა.

ოთხი ათიანი მიყარა სახეში პარტნიორმა. რატომ არ უპლიუსეო, გადაირია ალექსანდრე. ოთხი ვალეტის შემეშინდაო, თვალი ჩაუკრა ჭინჭველიძემ მასპინძელს, მსხვილი ჭიპები და ნაშალი ფული რომ მიიხვეტა. რაღა უნდა ეპლიუსა, სოლდს იყო გამოსული ვაბრუებული გამომძიებელი.

— წააგე? — ჰკითხა გზაში გოვენ წიქარაშვილმა ბესოს.

— ისე რა...

— რა გინდა, აქ რომ დადინარ, ბუხუიას აყოლა გარგია, ჩვენში დარჩეს!

— თავს ვიქცევ, ბუხუია კი საინტერესო მოვლენაა და მე ძალიან მიყვარს ბუხუია. თავს ვიქცევთ ყველანი. ვინც თამაშობს, ისიც თავს იქცევს და ვინც შრომობს — ისიც თავს იქცევს დიდი და პატარა, საჩინო და უჩინარი, ფიზიკოსი და მემწვანილე, ატომის დამშლელი და აფერისტი, პოლიტიკოსი, მწერალი, ავანტურისტი... ყველას დრო გაყავს... თუ ამას იქით აღარაფერია, გონიერ არსებას რა დარჩენია თავის შეყოლიების მეტი. ეგ არი... თავს ვიქცევთ და ჩვენდა უნებურად, შეუცნობლად ვმონაწილეობთ განვითარების ექსპერიმენტში. არსებობს დრო, სივრცე, გზა სამყაროსი, გზა კაცობრიობის და ადამიანის, არა ადამიანების, არა პიროვნებების, ინდივიდების, არამედ — ადამიანის; ერთია სამყარო, ერთია სივრცე, ერთია გზა კაცობრიობისა და ადამიანის. ღმერთი კი სულის უკვდავებაა. სულის უკვდავების გარეშე ღმერთი არ არის. ჩვენს გარეშე არსებული ღმერთი მატერიაა, რომელიც ჩვენთან ერთად მოკვდება. თუკი ჩვენთან ერთად ჩაქრება მზე, ჩაიშრიტება ვარსკვლავები, გალღვება გალაქტიკები და სამარადეამოდ შეჩერდება დრო, მოძრაობა, ღმერთიც ჩვენთან ერთად გარდაიცვლება და ეს იქნება სულის კატასტროფა, თავშექცევის ლოგიკური დასასრული. თუკი სული უკვდავია, უკვდავია ღმერთიც, სხვანაირად იგი არ არსებობს, არ არსებობენ გალაქტიკები, ვარსკვლავები, პლანეტები და ასე შემდეგ. მოკვდავია თუ უკვდავი ღმერთი, სამყარო და, შესაბამისად, ადამიანი? ან ერთია, ან მეორე. სიცოცხლეშივე ამის გაგება კი მეორედ მოსვლის ტოლფარდია.

მეორე ხუთიც მიიღო ნარგიზამ. ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში ახლად დამკვიდრებული კანონის შესაბამისად, განთავისუფლდა შემდგომი გამოცდებისაგან, გაანთავისუფლა მშობლები მღელვარებისაგან და ახლო-

ბლები დავიდარაბისაგან. რა მონაწილეობა მიიღო იმ ბოლო ხუთიანში, მერამ, გაურკვეველი დარჩა, თუმცა, მისი თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე ეს ნიშანი რომ არ ფორმდებოდა, ყველამ იცოდა. კომისიის თავმჯდომარემაც მომცა რამდენიმე შეკითხვაო. ამბობდა ნარგიზა, მაგრამ შურას ვერ იხსენებდა. თვალთ სინათლე არ მქონდა და, ის კაცი იყო თუ სხვა ვინმე, ვერ ვიტყვიო. იცოდა საგანო, მოგვიანებით აღნიშნა თავად შურამ. დავებმარეო, არ უთქვამს. ობიექტური გამოცდელის რეპუტაციის გაფუჭებას ცუდდევს არჩია, როგორც ჩანდა.

უორია კი იმ დღესაც გახდა ცუდად; გონება დაკარგა ცოტა ხნით, სიხარულს მიაწერეს, არც მთლად უსაფუძვლოდ. მეორე დღეს უკეთესობა იგრძნო, მაგრამ მოიწყინა, მოეშვა; ნანატრი ოცნება აუხდა და ნაადრევად მოგებული ბრძოლით გამოწვეული სიხარული გაუხელდა. შეიღზე ზრუნვაგანელებულმა ორგანიზმს, საკუთარ ხორცს, სხეულს დაუწყო ექვიანი თვალთვალი. არ სჯეროდა, მაგრამ ხედავდა. როგორ აშკარად, თვალდათვალ მიდიოდა უკან და უკან; მჩატდებოდა, საკუთარი სხეულის სიმძიმის შეგრძნებას კარგავდა. იმ დღეს კი ნამეტანი იოლად, მარტივად, მცირე ხნით, მაგრამ სამულდამოდ გაეცალა სინამდვილეს. ბურთს თამაშობდნენ გადაღმა ეზოში და მობურთაული ბიჭების ენერგიული ყაყანი ესმოდა. ვილაცამ ძლიერად დაარტყა და გამხმარ მიწაზე გაფხოკიანებული ბურთის ხმაზე შეწყდა სუნთქვა სინამდვილისა; ბურთს ისევ თამაშობდნენ, სანეტარო სიჩუმიდან ხმაურში რომ გადმოვიდა და თავისიანების მაგივრად პალატაში თეთრხალათიანები დაინახა. მამისთვისლოცო ამდგარიყო და ზურგზე ხელეხდაწყობილი გადი-გამოდითოდა ღია კარის წინ. სწორედ ბურთის დარტყმამდე ამოუშვა ხვრინი აუშლელ ლოგინზე გაუხდელად წამოწოლილმა. როდის გამოფხიზლდა, როდის წამოდგა, როდის გაცვივდნენ თავმდგამურები



და შემოვიდნენ თეთრხალათიანები, არ გაუგია.

— ...და საერთოდ, არ არის საჭირო, ბატონო, პალატაში ამდენი ხალხი!... აბა ჩვენ აქ რას ვაკეთებთ, ისედაც ცხელა, ისედაც ჰაერი აღარ ყოფნით ავადმყოფებს... არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! — განყოფილების გამგის ხმა ისმოდა დერეფნიდან. ქორიას ძმებს და რძალს ტუქსავდა აშკარად.

— ახლა როგორა ხარ?! — ეკითხებოდა პროფესორი, ჩაკვერციხილი, ჟღალთმიანი თავი რომ ჰქონდა. — ხომ ხარ უკეთესად?

სხვა პასუხს ეს შეკითხვა არ ითხოვდა, და ვარო, უნდა გეპასუხა, გინდოდა თუ არ გინდოდა. თავად კი მშვენივრად, პროფესორის ბარობაზე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა უკვე შუახანს გადაცილებული, მუდამ პიჭკად ჩამული ექიმი.

— ახლა კარგად ვარ. — ჭერ საკუთარი ხმა ეუცხოვა, როგორ დავილაპარაკეო, გაუკვირდა და, ახლა კარგად ვარო, გაიმეორა. იყო კი ცუდად? იქნებ ის იყო კარგად ყოფნა და არა ეს. ქვემოთ, ეზოში, შუადღისას, თაქარა მზეში ისევ თამაშობდნენ ბურთს. იდგა ხოლმე სხვა დროს ფანჯარასთან და ძირს იხედებოდა, ფეხბურთს უყურებდა. საავადმყოფოს ეზოს გალავანს იქით, ერთმანეთზე მიჭეჭყილი დაბალდაბალი სახლების გვერდით სკოლის ან ტექნიკუმის მოედანი უნდა ყოფილიყო. ცარიელ შენობაში, მისი მიხვედრით, ახალბედა სპორტსმენები (მხოლოდ არა ფეხბურთელები) ათევენდნენ ღამეს ზაფხულის არდადეგებთან დაკავშირებით; დილა-საღამოს იკარგებოდნენ და მანცდამანც შუადღეს გამოჯლიგინდებოდნენ კალათბურთის მოედნის მოშავო მიწაზე. დაკუნთულებსა და მზემოკიდებულებს ხვითქი გადასდიოდათ აბრინჯაოსფერებულ ტანზე. ზემოდან ჩანდა თუ ეჩვენებოდა, დიდი და ბლაგვი ფეხებით დასდევდნენ გამხმარ ბურთს. ბურთი კი ფხოკიალით,

მტკრის კორიანტელთან ერთად, მოგონებას რავდა ხოლმე ცარიელი კარისაკენ, ხშირად ცდებოდა უზარმაზარ გოლს და მთელი ძალით ეხეთქებოდა აგურის გალავანს. თავგადადებული ფეხბურთელი არ ყოფილა, მაგრამ იმათხნობაზე თავდაც ხშირად შეუქცევია ბურთით თავი. ცოლშვილიან კაცს უთამაშია გარაყის ეზოში ჰურ-მარილზე. სტადიონზე კი ხშირად დადიოდა. ყოველთვის თან დაჰქონდა პორტმონეში ფულთან, საგზურებთან და მართვის მოწმობასთან ერთად შენახული, არცთუ მთლად საკუთარი სურვილით შეძენილი, სტადიონის აბონემენტი. ნაცნობებთან და ახლობლებთან ჭაპარაკით, გადაძახილ-გადმოძახილით, მაყურებელთა ყაყაყით უფრო ერთობოდა, ვიდრე თამაშით; ათვლიერებდა ხალხით გადაფერადებულ ტრიბუნებს მზეში, ნეილონკაპრონის საწვიმრებით ჩამყურდობულ დასაჯდომებს — წვიმაში. გადაწმენდილ ჰაერში დაბალ გორებს, შორს ნაჭერალას და უფრო შორს კავკასიონს ხედავდა. ყველაფერი იქნება: სტადიონი, სველი მიწოდორიც, ხალხით გადაჭრელებული ტრიბუნებიც, მზით განათებული მთებიც გამოჩნდება და აღარ ვიქნები მე; ბურთის გორილიც არ შეწყდება, როცა სინათლე ჩაჭრება და სამუდამოდ გაჭერდება ჩემი დრო. ეს დრო კი უხმოდ, უხმაუროდ, შეუჩერებლად მოდიოდა და უახლოვდებოდა, მანძილი მცირდებოდა და დროის მნიშვნელობა იზრდებოდა შესაბამისად. დრო კი მკვირვდებოდა, სქელდებოდა, უფორმო, კვამლისფერ სიბლანტეში ეხვეოდა და მოდიოდა, კვამლისფერი მასა მოცურავდა ზანტად, იკუმშებოდა და იშლებოდა, კუმშვის ფეთქვას გრძნობდა და თავს იყრუებდა, გრძნობდა და არ იჯერებდა; აღარ ჭეროდა ახლობლების, ექიმების, წამლების და საკუთარი სხეულის. თვლემდა, ხედავდა ხის საბლს ტყის პირას; უყურებდა კვლებში ამოსულ დიდროვან, გახასხასებულ, არაბუნებრივად მწვანე პრასს. დამინება სურდა და რული არ

ერეოდა, უნდოდა ეფხიზლა და ეძინებოდა, ძილს თავს ვერ ართმევდა, ფიჭრის ქსელ-აბლაბუდაში ეხვეოდა, პრასის კვლებში დააბიჯებდა თვალდაპყვეტილი, საღ ვთავდები და საღ ვიწყებო, ეკითხებოდა დედაბერს, ცნაც ღვიძლის წამალი ასწავლა; დედაბერს ელაპარაკებოდა და ექთანს უყურებდა, რომელიც ნემსს უყრიდა გამხმარ ღუნღულში მამისთვალვს, ძალისძალით და ცოტა ხნით ფხიზლდებოდა, სინამდვილეში გარკვევას აპირებდა. ეგ არაფერიო, უხსნიდა პროფესორი, წამლის ამბავია, ახალ პრეპარატს აძლევეს ორგანიზმი რეაქციას და რამდენადმე უკეთესიცაა, გაცილებით უკეთესიაო.

— მეც ხომ გითხარი, წამლის ბრალია-შეთქი! — გული მოიყვანა პალატის ექიმმა, სასწრაფო დახმარების მანქანაში ღამენათევმა კაცმა.

„წამლის ბრალია ნამდვილად, ეგრე იყოს, როგორც არი. ეს დრო იყო, სოსოია რომ მოკვდა!“ გაიფიქრა და ვთქვიო, ეგონა; რამდენჯერმე ჩაახველა, საწოლში შეინძრა, ჩახველება ჯანად მიუთვალეს და ერთდროულად გავიდნენ პალატიდან.

— ხომ ხარ უკეთესად, უკეთესად ხარ ნამდვილად!.. — უმტკიცებდა მართლად დარჩენილი, მოშვებული, ბარდაყებმომიშვლებული მეუღლე და სკამიდან ადგომა უჭირდა. გადაღლილი, ნაწერჭიულები, სიხარულით, სიამაყის გრძნობით აცერცტებული, თვალაღლებული და თავატკიებული ხანდახან არეულ-დარეულადაც კი ლაპარაკობდა: უპატრონოდ მივდებულნი სახლ-კარიც აღარდებდა და ქმრის ნებართვით, სხვების დაიმედებით, წადი, ჩვენ აქა ვართო, გაიყოლა ქალიშვილი და მეორე დღესვე ქუთაისში გაემგზავრა რამდენიმე დღით. ნარგიზა დაბადების დღეზე იყო ბიძაშვილის ამხანაგთან და საავადმყოფოში შევლა ვეღარ მოახერხა წასვლის წინ. დრო რომ გაეპარა, შეწუხდა, თუმცა არ უღარდია, ხვალ თუ არა ზეგ ისევ აქ ვიქნები და, საერთოდ, დღეის ამას იქით ქუთაისში რაღა გამა-

ჩერებსო; გრძნობდა და უხაროდელი სიამით უძგერდა, სამუდამოდ რომ მკვიდრდებოდა სიცხით გამომშრალ ქალაქში. დედამისი უკვე ბინის გადმოცვლაზე, უკიდურეს შემთხვევაში, დაგირავებაზე ლაპარაკობდა. ბავშვი აქ ისწავლის და ჩვენც აქ უნდა ვიყოთ აუცილებლადო. ესეც ავადაა, მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებს, მანქანაზე მუშაობასაც ვეღარ შეძლებს, იოლი სამუშაო (ქმრის შოფრობა ეთაკილებოდა უკვე) უნდა გამოვუძებნოთ როგორმე, მე კი მაქვს ჩემი სამსახური შეგულებულიო. მართალი ხარ სავესებითო, უგულოდ ეთანხმებოდნენ მახლები ანაწერად ატრუებულ მოლარეს.

ცოლ-შვილის გასტუმრების პირველსავე დღეს ხნიერი ეკონომისტი კაცი მოიყვანეს სასწრაფო დახმარებით და გაურკვეველი დიაგნოზით დააწვიანეს შირმით გადატიხრული დერეფნის უჯრედში, ყორიას პალატის გვერდით. შესალამოვდა. აგრილდასავით და ავადმყოფიც მოცოცხლდა, გადაგრჩიო, აღნიშნა ხავერდოვანი ხმით. საღად აზროვნებდა, თავი აღარ უბრუოდა ადრინდელივით, მაგრამ აღარ იყო ამქვეყნად. მისუსტებული და მიოსებული იწვა მორჩილად; უხმოდ, უდრტვინველად ელოდა შედეგს, არც არაფერზე აცხადებდა პროტესტს, არც არაფერს ითხოვდა; არ წუწუნებდა. მორჩილად იკეთებდა ოყნებს, ყლაპავდა აბებს და მოკლესწარბიანი, მრგვალი, გაოცებული თვლებით ათვალეირებდა იქაურობას. გაბუნჩულებული, მელიტ თავზე ბუსუსებდაჩენილი, თავის დროზე თავნებატივები კაცი სიცხისაგან შეწუხებული, წელზე თეთრ წეწარგადაფარებული ძუძუს ბავშვივით იყო გვერდულად გაგორებული. დაბალი, დახშული, მაგრამ შორსგამტანი ხმა ჰქონდა და მისი ხმადაბალი ლაპარაკიც შედიოდა მეზობელ პალატებში, ყორიასთან კი ჩურჩულიც ისმოდა. ცოლი ადგა თავზე. ათი წლით უმცროსიათ, თქვეს, თუმცა გვარიანად იყო ისიც მოტეხილი, ჩივილით კი არაფერს უჩიოდა. მალალი, გამ-



ხდარი რბილი ბაზუჩებით დადიოდა დერეფანში, პალატებში იხედებოდა არაფრის მთქმელი ღიმილით, ქალთა განყოფილებაში იკარგებოდა დროდარყო. ლაპარაკი უყვარდა და ქმარი ავიწყებოდა. იდგა ხოლმე: ღია კართან და ცარიელ საწოლს მიჩერებოდა ეორიას გვერდით. ქმარი დერეფანში მიწევს და თქვენ აქ თავისუფლად ხართო, გვსაყვედურობს ალბათ გუნებაშიო, ფიქრობდა შეწუხებული ეორია, მაგრამ ქალს თურმე (შემდეგ გამოირკვა), დერეფანი ერჩია, აქ გრილა, იქ ცხელა, ვერ გავჩერდებით და მამისთვალისაღ დღეში ორჯერ ესალმებოდა: ერთი მამისთვალისი იქით იწევა, ეგონა, მეორე — აქეთ. წამლის აბით და ჭიქა წყლით შეჩერდებოდა მორიგე ექთანთან და შეყვებოდა ხოლმე ლაპარაკს.

— მოდი, ქალო, დამაყენე საშველი!
— დაუძახებდა ხმადაბლა ბოლო-ბოლო მეუღლე.

— დამაცადე, მოვალ!
— როდის, ქალო, რო ამომძვრება სული?! — დაგუდული, რბილი ხმა ბილიარდის ბურთივით მიგორავდა დერეფანში და პირდაპირ აღრესატის ფეხებთან ჩერდებოდა ყრუ ჯახანით.

ქალი იმ დღეს სულ გადაიკარგა და ეკონომისტს წავკისვლმა სანიტრებმა მოაკითხეს. შავი, ელამი კაცი წამოაღდა თავს და შენ თვითონ გადმოგორდები საკაცეზე თუ ჩვენ გადმოგიყვანოთო, შეეკითხა. მე თვითონ ავდგები და გადმოვწევი, მაგრამ სად მიგყავართო, დაინტერესდა ეკონომისტი მაინც.

— რენტგენზე!
— რენტგენზე? — დაფიქრდა ავადმყოფი, უნდოდ შეათვლიერა ელამი და სახელოებდაკარწახებულ, ელამზე ბევრად შავ მეორე სანიტარს მიაჩერდა, გორგლებიანი საკაცე, რითიც მომიყვანეთ, სად წავიდაო, იკითხა.

— ზანიატია! — მოკლედ მოუჭრა მკლავებდაკარწახებულმა.

ეკონომისტი შეყოყმანდა, ზოლებიანი პიჯამოს, საიდანაც ჭიპი მოუჩანდა, სწორება დაიწყო, დროს გაყვანა დააპი-

რა. ნულა გაგვაჯანჯლებ, ათასო...
გვაქვსო, უთხრა ელამმა.

— მეუღლე არ გახლავთ, ბატონო, ჩემი, ბაზარში წავიდა.

— შენი მეუღლე რად გვინდა, ბიძაჯან, შენთანა გვაქს საქმე, გაგაშუქებენ, ამოგიყვანთ, ფეხით არ წამოვიდესო, გაგვაფრთხილეს...

— საქმე იმაშია, რომ ფული არა მაქვს... — გატყდა ბოლოს.

— ფული არც ჩვენა გვაქს, მაგრამ ვართ რა!.. — გაიღრიჯა ელამი.

— ერთ საათში მოვა და მოიტანს...
— ან მოიტანს, ან არა...

არ დამაჩქაროთ, არ დამამტვრიოთ და აუცილებლად მოგცემთ მანეთ-მანეთსო, იძახდა გზადაგზა. ნუ გეშინია, ბიძაჯანო, ამშვიდებდნენ: არ ჯეროდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: იმდენი იხვეწა, არ დამამტვრიოთო, რომ მართლა გაუფარდათ ხელიდან, ლიფტში რომ შეყავდათ, მაშინ. ცხაურს რომ მიაღგნენ, მკლავებდაკარწახებულმა კაცმა საკაცის ცალ-სახელურს მუხლი შეუყენა რალცნაირად და გამოთავისუფლებული ხელით გამოიძახა ლიფტი: ახლა დავიღუპეო, გაიფიქრა თვალცრემლიანმა ეკონომისტმა, მაგრამ მოსახდენი შემდეგ მოხდა. წინა კაცი კაბინაში შევიდა თუ არა, კარი მოიხურა თავისთავად და უკანამ ფეხი დაუხვედრა მოხერხებულად, კარი გააჩერა, მაგრამ პრიალა სახელური გაუსხლტა და საკაცე გვერდულად დაუფარდა. ელამი თვლებით, პირით კი არა, ელამი თვალეზით შეიგინა, წაფორხილდა, იმარჯვა, არ წაიქცა, დავარდნილ საკაცეს დაწვდა, აბა ჰეო, წინას შეუძახა, ჰოპო, იყვირეს შემდეგ ერთდროულად და აყრილ მეტლახში თავით ჩარტობილი ეკონომისტი საკაცეზე შეისროლეს.

— მომკლეს ამ ვირებმა!

უკან უხიფათოდ ამოიყვანეს. შეშინებულმა ეკონომისტმა დაპირებული თანხა გაზარდა ყოველ შემთხვევისათვის. მანეთ-მანეთი ჩაყვანისა გითხარით, აყვანის სხვა იქნება, ოთხი მანეთი ცალკე ჰქონდა ჩემს ცოლს ამ საქმისათ-

ვის გადადებულიო. საწოლში რომ გადაწვა და თავი სამშვიდობოს დაიგულა, დაწყნარდა და, ნამეტანი გავათამამე მგონია მაგენიო, გაიფიქრა.

— მოდი, ქალო! — გამოკოტრიალდა მეორე დილას ეკონომისტის მშვიდი ხმა.

— დამაცადე, მოვალ... — შეეხმიანა ლაპარაკით გართული ცოლი.

— როდის, ქალო, რო ამომძვრება სული?!

სული კი მართლა ამოუვიდა ნასამხრალს, აგერ სულ ახლა მაწონი შეჭამაო, იძახდა გაბრუებული ცოლი. დამლაგებელი მარო, თეთრი თავსაფრით რომ ჰქონდა თავი და ნიკაპი მულამდლე ახვეული, მაწვნის ქილაში იხედებოდა, ვერ მოუსწრია დამთავრება საწყალსო, ამბობდა.

— აბა, მოესწრო მანც!.. — ჩაილაპარაკა სახეზე წითლად დაფოთლილმა ცოლმა.

დერფეანში რომ ჩოჩქოლი ატყდა, ჟორიამ ბესოს დაუძახა, რა ხდება მანდ, გამაგებინეო. ცუდად გახდა, შველიანო. სიკვდილი დაუმალა და გაჩუმდა. ჟორიასაც აღარ შეუწუხებია სხვა შეკითხვით, რადგან ცოტა ხანში თეთრზეწარგადაფარებული ეკონომისტი გამოაგორეს იმ წავისელმა სანიტრებმა, საკაცით რომ ჩაიყვანეს წინადლით. ახლა აღარ ჩქარობდნენ, მღუმარედ მიდიოდნენ და დაკარგულ ფულს (ცოლს ის ოთხი მანეთი არ გადაუხდია) ნანობდნენ თუ არა, ძნელი დასადგენი იყო. ბრვე ტანის ექიმი და დამლაგებელი მიაცილებდნენ მიცვალბულს და წავისელ მეგალებს. მაროს ერთ ხელში „სუდნო“ ეჭირა, მეორეში — მაწვნისი ქილა. მაწვნი ჭამის დროს მამკედარაო, უხსნიდა ექიმს გზადაგზა. დაფიქრებული ექიმი ამორღვეულ ლინოლეუმს წამოედო, წაფორთხილდა, თფუიო, დაიძახა და, რა დროს მაწონიაო, მაროს უსაყვედურა.

— მოკვდა? — იკითხა ჟორიამ, როცა პროცესიამ ჩაიარა.

— ხომ გითხარი, ცუდად გახდა-მეთ-

ქი, ქვევით ჩაიყვანეს საოპერაციო

„კარგი, ეგრე იყოს!“

აქ ყველანი ტყუოდნენ იმ ნიკაპახვეული, დაბალი ქალის გარდა და სწორად იმ დაბალი ქალის დანახვა არ უნდოდა ჟორიას იმწუთას. პროფესორი მაინც პროფესორი იყო და ყველას ის ერჩია, რადგან სხვაზე კარგად, სხვაზე დამაჯერებლად და სხვაზე მართლად ტყუოდა. კარგადა ხარო, ეძახდნენ ეკონომისტსაც. თვალთ სინათლე მაკლდება, ვატყობ, დაიჩვილა იმ დღეს: ეგ არაფერი, ბუნებრივი მოვლენააო, განუმარტა პროფესორმა, სანამ ავადმყოფი მაწვნის ჭამის დაიწყებდა. რა დღეაო, იკითხა ჭამის დროს და მოსალოდნელი სინობტიკური მონაცემებითაც დაინტერესდა. გაწვიმდება, მე მგონიაო, ისევ ამინდს მიუბრუნდა რამდენიმე კოვზის მერე. ან გაწვიმდება, ან არაო, ჩაილაპარაკა წიგნის კითხვით გართულმა, აუშლელ საწოლზე წამოწოლილმა მამისთვალვამა. ეგ ეგრე იქნებაო, გამოეხმაურა ეკონომისტი.

— გაიგონა, ე?! — ჟორიას მიუხედავად გაოცებულმა მამისთვალვამა.

ეკონომისტმა კი არაბუნებრივი მთქნარება დაიწყო და მთავარი ექიმის მოსვლამდე მოკვდა. განყოფილების გამგემ უთხრა ექთანს: ეს საწოლი გავიტანოთ და ახალი არ დავედგათ, ადგილი სარეზერვოდ დავიტოვოთ, საგანგებო შემთხვევისათვის გამოვიყენოთო; ეს კიო, რკინის თავგისოსებს დაუწყო ნჯღრევა, ინვენტარიზაციისათვის მჭირდებაო. საინვენტარიზაციო საწოლიც წაიღეს მალე, იატაკი მოწმინდეს სარეცხი ფხვნილით, ჰველი ტილოთი და ყველაფერი მიწყნარდა. მამისთვალვამა სათვალე გაიკეთა და ისევ წამოწვა, სასთუმალს ქვემოდან დაჩონჩილი წიგნი გამოაძრო, კითხვა დაიწყო. ჟორია გვერდზე შებრუნდა, თვლემა მოერიდა აღრინდებულად. სიკვდილზე ფიქრობსო, მიხვდა ბესოს, ლაპარაკი დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა; მიგდებული, ნასამხრალი საავადმყოფოს მღუმარება აღარ დაარღვია, თავადაც ფიქრებს აყუა. დიდი ბედნიე-

რებააო, დაასკვნა, თუ სიკვდილზე სიკვდილამდე არ იფიქრებო.

...ბედნიერებაც ესაა და ერთადერთი გამოსავალიც, მაგრამ იმ კროსვორდის ამოხსნის არ იყოს, შეძლებ ლოდინს? წინასწარ არ ეწამები აუხსნელის ამოსახსნელად? რა გეაჩქარებს, სული რატომ გვისწრებს წინ?! ჩვენ ბოლოს და ბოლოს რამდენიმე წლის, დღის, წუთის, წამის შემდეგ ვეზიარებით საიდუმლოს, მაგრამ როდის, რომელი უსაზღვრობის უკან უნდა გაარკვიოს ქეშმარიტება კაცობრიობამ, რომელიც იცდის, ელის, დასასრულისა და აღორძინების საიდუმლოს გაცხადების იმედი აქვს. ჩვენ კი, ჩვენ რა გვიჭირს, დღეს თუ ხვალ დღესავით ნათელში გვაძყოფებ. ვიცდით და ველით ჩვენც: არაფერი არ ვიცით და ამიტომ ველით; მოუთმენელია ჩვენი და უსაზღვროა ჩვენი მოღვმის მოლოდინი. რა იქნება მერე, ჩემს მერე, ჩემს დანატოვარზე, ჩემს გამოთავისუფლებულ მიწაზე?.. ყველაფერი იქნება ჩემს გარდა. იქნება სტადიონი, სადგური, გაიზრდება მაგნოლიის ხე, შეიმოსება ისევ ჩიტებით, მტრედებივით დაისხამს ყვავილებს, შორს კი გადაცისფერებული მთები გამოჩნდება. ბონდოია იქნება სასადილოსთან და ჩვენ აღარ ვიქნებით. დატრიალდება უთვალავჯერ ბურთი უამრავი ფერითა: სითბოთი, სიცივით, სიყვითლით, სიმწვანით, სიბნელით, სინათლით, გაარაფერდება ბოლო დღე და მკილი დარჩება ხმელ ფიცარში საკუთარი მსოფლმხედველობით, კლასობრივი იდეებით, გენებით, შთამომავლობის არგადაშენების გაურკვეველი, გაუგებარი შიშით. რაც იყო ჩემამდე, ის იქნება ჩემს შემდეგაც. სადაც ვიყავ ჩემს არყოფნამდე, იქ აღმოვჩნდები ჩემი არყოფნის შემდეგ. თუ კი ვარსებობდი არყოფნაში, არ შეიძლება არ ვიარსებო ხელახლა არყოფნაში; თუკი გავჩნდი, აუცილებელი იყო ჩემი გაჩენა, რადგან წინ მიძლოდა მილიარდი, უთვალავი კანონიერი შემთხვევითობა. არ ვიქნებოდი მე და არ იქნებოდნენ მილიარდ

შემთხვევითობასთან დაკავშირებული მატერიალური საგნები: მეტაგაფიქრები, კები, გალაქტიკები, ვარსკვლავები, პლანეტები და სხვა: არ იქნებოდა დრო, სივრცე, სამყაროში არსებული უმარტივესი, უხილავი, შეუცნობადი ნაწილაკები, არ იქნებოდა ბოგდანოვი ბოლოს და ბოლოს მაგნოლიის ხესთან.

— სად წადი, ბონდოია, შე ოჯახდან-გრეულო?

მეორე დღეს თავი ველარ წამოწია ყორიამ, წაიძინა შუადღით და აქოშინებულმა გამოიღვიძა. ბრგე ექიმმა ჟანგბადის ბალიში მოატანინა. არ მინდაო, იუარა. მაგრამ არ მოეშენენ. ახლა ისე ცხელა, ჩვენც გვჭირდება ამნაირი პაერიო, მეც სიამოვნებით ვისუნთქავდი მაგით ამ პაპანაქებაშიო, თქვა ბრგე ექიმმა ლიმილით, მამისთვალავს მიაჩერდა, ქოთავს თამბაქოს სუნითო, გაიფიქრა.

— მოკვდები, შე კაი კაცო, თავი არ გეცოდება?!

— მოკვდები თუ არა, დედაენა დაეკარგება საქართველოს!..

ექიმმა გაიცინა, წავიდა და ძალაუნებურად სიმშვიდე დატოვა. ყორიას სუნთქვა გამოუსწორდა, ჟანგბადის უზარმაზარი ბალიში, დასანახავად რომ ვერ იტანდა, განახევრდა და მომაშორეთო, მოითხოვა. პირში სიმშრალე იგრძნო: წყალი მოსვა, მამისთვალავს გაეხუმრა დედაენასთან დაკავშირებით და უტბად მოიღუშა, გული მერევე მგონიაო, თქვა.

— დავუძახო ექიმს? — შეშინდა ბესო, დილიდან უცნაური წინათგრძნობა აწუხებდა ისედაც, ყორიას ძმებს ელოდა და თვალი კარისაკენ ეჭირა. არ მინდა ექიმით, თქვა ავადმყოფმა და ჩათვლიმა. ისევ გამოავორეს თეთრზეწარგადაფარებული ურიკა დერეფანში. ვილაც მომკვლარიყო კიდევ. ურიკას ურიკა მოჰყვა...

რბილად, უხმაუროდ მოგორავდნენ გორგლებიანი, თეთრზეწარგადაფარებული მიცვალებულები სიჩუმეში, ფანჯრის მინასთან მოხუზუნე ბუზის ბუზ-

ილში. თვალი გაახილა და, სოსო, წამოაყვირა. ვის ეძახდიო, შეშინდა ბესო.

— სოსო იყო? — იკითხა და ზურგით მდგარი ექთანის, ორთქლადენილი, ნემსებისა და სამედიცინო ბელსაწყობების გამოსახარში ქვაბი დაინახა. მიცვალბულუბი წასულიყვნენ, აღარ ჩანდნენ ყოველ შემთხვევაში, მაგრამ თუ ძილს ვერ წაართმევდა თავს, ისევ ამხედრდებოდნენ გორგოლაქებიან ურიკებზე და დაიძვებოდნენ ერთი მიმართულებით. შეებრძოლა მსახვრალ რულა, წიგნის მკითხველ მამისთვის და შეშფოთებულ ბესოს მიაჩერდა. შავი ბუზის ბზუილს დაუგლო ყური.

— ვის კითხულობდი?

— არავის... — ჩათვლიმა, ზეწარგადაფარებულ მიცვალბულს შეხედა, შეფხიზლდა, გაუშტერდა თვალები, გამკვრივდა, გაბლანტდა ჰაერი და ზეწარწამოხურული ფეხოსანი ავადმყოფი დაინახა; ცხელოდა, მაგრამ ზეწარმოხურული რამ გამოიყვანა პალატიდან? ვინ იყო ნეტავ? ერთმა ჩაიარა და მეორე გამოჩნდა. ვინაა, რომელია? მეორეს მესამე მიჰყვა, მესამეს — მეოთხე; მიდიოდნენ თეთრ ზეწრებში თავფეხიანად შეგორგლილი ადამიანები მოთუხთუხე წყლისა და ბუზის ბზუილის ხმაზე, მიდიოდნენ ერთ მხარეს, ორთქლადენილი ქვაბის გვერდით მიიძურწებოდნენ.

იმა ხომ ვერ იტყვი, დაბადებიდან გარდაცვალებამდე ვიცხოვრე მხოლოდო. დაბადებამდე რომ არ ყოფილიყავი, ხომ ვერ დაიბადებოდი?.. შენს დაბადებამდე დაბადებულებს ხომ იცნობდი და ხომ იცნობ ახლაც? ხომ უსმენ, ელაპარაკები, ეკითხები, ედავები... იცნობ თუ არა ფარაონებს, მეფეებს, კეისრებს, მთავარსარდლებს, მწერლებს, აფერისტებს, მხატვრებს, მეცნიერებს, მანიაკებს, ასინიზატორებს? იცნობ! მათი შექმნილით ვიცხოვრო, მათი დახატულით დამტკბარხარ, მათი აშენებულისათვის ხელი შეგივლია,

მათ დარგულ ხის ჩრდილში მდგარხარ... ზოგის პორტრეტი გაქვს, ზოგის ხმა ისმენ, ზოგის გამოსახულებას ხედავ ცხადლივ, ძილში, ეკრანზე... დრო უწყვეტელია და შენი არყოფნით ვერც სხვის გზას დაამთავრებ, ვერც შენსას; თუკი იცოდი, გეცოდინება კიდევ, თუკი გებულობდი, — გაიგებ, თუკი ხედავდი, — შეხედავ... რატომ ძრწის ადამიანი შორეულ მოსახდენზე; წარდევნაზე, თერმობირთვულ კატასტროფაზე; რატომ ეძნელება წარმოდგენა, რატომ ეშინია გაფიქრება, რომ ძალიან დიდი ხნის შემდეგ, მისი, მისთა შთამოავალთა შთამომავლის მიძინების შემდეგ გადაიწყება ტყეები, დაიშრიტება მდინარეები, დაინგრევა პირამიდები, დაიქცევა დიდი და დიდებული ტაძრები, გაქრება მისი დედაენა და კაცობრიობის მახსოვრობას გადაეფარება დავიწყების გაციებული ლავა... რატომ არ ასვენებს ადამის მოდგმას დაძინებისა და გაღვიძების მარადიული შიში?.. რას ელის? ელის... ელის და უსაზღვროა ეს მოლოდინი, საიდუმლოს გამჟღავნების შიშისა და სიხარულის აუწერელი მოლოდინი.

— სისულელეა!.. — წამოიყვირა და თავი გააქანა ძაგძაგით.

— გინდა რამე?! — გამოერკვა ბესო.

— ლუდი მომიტანე!

სიტყვა ბანზე აუგლო და თხოვნა გაამეორებინა. ცივი ლუდი მინდა მხოლოდ, სხვა არაფერი, მეტი არაფერი, თუ ჩემი სიკეთე გსურს, მომიტანეო. ბესო შეწრაღდა, რა ვქნა, როგორ მოვიქცეო და ბედად ძმებიც დაინახა. ერთს საზამთრო მოჰქონდა, მეორეს (უმცროსს) ქალიშვილიც მოყვებოდა. ლურჯთვალებიან, ეშხიან გოგოს სარაფანი ეცვა და ზღვაზე დამწვარი და გარუჯული მკლავ-ბეჭები უელავდა ყავისფრად. შორიდანვე იცნო ბესო, შორიდანვე გაუღიმა, ფეხს აუჩქარა, გამოიქცა კიდევ; ამოგლვჯილ ლიხთლუუმს მაინცდამაინც საზამთროიანი კაცი წამოედო, წაბორძიკდა, შეიკავა თავი ძლივძლიობით და აფურფუტე-

ბული საზამთროც გადაარჩინა.

— როგორა ხარ, ბიძია! — ჯერ ბესოს აკოცა, შემდეგ პალატაში შევიდა, ჩაიძუხლა და ავადმყოფს მიეფერა. ეორიას ხასიათი გამოუკეთდა, თუმცა ლუდი არ დავიწყებია. პირისკე გასველება მინდა მხოლოდ და მხოლოდო, ამოილაპარაკა ქოშინით და სვენებ-სვენებით. ყურძნის წვენი დალიე, კომპოტია ცივიო, უთხრეს. ტკბილი არ ინდომა, ლუდი აღარ უხსენებია, მაგრამ ვალიზიანდა და გაჩუმდა: როგორი ამინდებია ზღვაზეო, ხმადაბლა იკითხა ცოტახნის შემდეგ და ძმისწულს მიაჩერდა. გოგომ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა უმწეოდ.

— ზღვაზე როგორი ამინდებიაო? — წაეხმარა ბესო.

— ცხელა იქაც, — უცბად წამოიძახა, — მხოლოდ ასე არა.

— ცხელა... — თავისთვის თქვა ავადმყოფმა.

— მომილოცავს, მართლა, ეორია ბიძია, ნარჯიხას მოწყობა, რა გახარებული იქნება ნათელა ბიცოლა!

გამოცდებზე ალაპარაკდნენ და ისტორია ახსენეს.

— რა ყოფილა ეს ისტორია მიხეც... — ძალიან ხმადაბლა წამოიწყა. — ადრე სულ არ მაინტერესებდა, არ ვსწავლობდი, არც ვკითხულობდი, თურმე ყველაფერი საინტერესოა, მონათმფლობელობა ავიღოთ, თუ გინდა... — სიტყვა გაუწყდა, შეისვენა, მაგრამ აღარ გაუგრძელებია.

— რა დროს მონათმფლობელობაა, შეეკაი კაცო! — ნაძალადევად გაიცინა უმცროსმა ძმამ, დაძაბული რომ უსმენდა.

— მართალია, — კარგა ხნის შემდეგ შეეპასუხა ეორია. — რა დროისაა, ისტორია ისტორიაა და ის კიდეც სხვაა, ვერ დავიჯერებ, ვინმეს არ ცოდნოდა ადრე, მერმეთ ხომ ეცოდინებათ და ეცოდინებათ, მაგრამ არა მგონია, ახლა არ იცოდნენ, ან არ იცოდეს ვინმემ...

— რა, რა არ უნდა იცოდეს?

— არ უნდა იცოდეს კი არა, არ შე-

იძლება არ იცოდეს, ეცოდინება ვიღაცა... — შეისვენა, ამებმა ერთმანეთს გადახედეს. ქალიშვილმა კი მოულოდნელად გაიცინა და ბესოს გული შეუქანდა, რატომ გაიცინაო, გაოცდა; დაინახა, საწოლიდან თავგადმოგდებული, პირმოკუმული ეორია იატაკზე აფათურებდა ხელს, რალაცას ეძებდა.

— გული ერევა. — მიხვდა მამისთვალოვი: წამოდგა, ფოსტლებში გაუყარა ფეხები და გარეთ გავიდა. ბესო ექიმის დასაძახებლად, სინამდვილეში (ექიმი კარში შეეჩენა) თავის საშველად გავარდა, დერეფანში შევბა იგრძნო და ღია ბაქნამდე აღარ გაჩერებულა. მზით გაალუმინისფერებულ ბეტონზე განყოფილების გამგე იდგა და რკინის საწოლებს ათვალაიერებდა, ერთის მორყეულ ფეხებს სინჯავდა, ძვრება თუ რჩება ფეხი ზედო, ამოწმებდა.

„ხელს არ წვავს?“ მიტოვებული პალატისაკენ შებრუნდა. გარბოდნენ და გამობრბოდნენ იმ ალაგას თეთრხალათიანები. მოითენთა. გარდაუვალის მოლოდინმა მოაღუნა, წინააღმდეგობის უახრობაში დაარწმუნა. საშველი არ ჩანდა და უცბად საკუთარი თავის, სხეულის სიმრთელე იგრძნო. „მე კარგად ვარ!“ კარგად იყო მართლაც, რალაც ხდებოდა, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად, ვილაც მიყავდათ და მას არ ეხებოდნენ, მასთან საქმე არ ჰქონდათ... უფრო მეტიც, ამ რიარიაში მისთვის არ ეცალათ და, რამდენადაც მეტს გაუსწორებდნენ ანგარიშს, უფრო ვერ მოიცილდნენ. ამ აღმოჩენით გახარებული და გულმოცემული დაბრუნდა უკანვე, პალატაშიც კი შეიხედა.

ილიებში ჩაფრენილ ძმებს ეჭირათ საწოლიდან გადმოწვენილი ეორია. დისწული უსწორებდა თავს და სახე თავად გვერდზე ჰქონდა ზიზლით შებრუნებული. სისხლს ანთხევდა და იხრჩობოდა ავადმყოფი. მაროს მომცრო ტაშტი ეჭირა ხელში და ჩამოსაჯდომს

რეზო აივანილი
მითხა სიფოონი



ექებდა. არაფერი. ამბობდა მოშორებით გაჩერებული. ფერდაკარგული პროფესორი და ტაშტისავე იხედებოდა შეფიქრიახებული.

ოფლი შეუმშრალეს, ტუჩები მოწმინდეს ცოტა ხანში. ხელი გამოიშვით, დაწვებიო. თქვა ჩურჩულთ, სული ჩაიბრუნა. დახედა ქვევით და და სისხლის დანახვაზე გაუფართოვდა ყვირთელი გუბები: გადარეულმა ამოხედა მაინცდამაინც ბესოს, ახლა რაღას მეტყვიო, ახლა როგორღა მიშველითო. ამნაირი შეშინებული თვალები არ ენახა არასოდეს ბესოს. შიში, ვედრება, კითხვა-გაოცება ეწერა თვალებში ერთდროულად და მაინც შიში, აუწერელი შიში ბატონობდა იქ, იმ სიყვირთლში.

— არაფერია, არაფერი... ყოველგვარ ზომებს მივიღებთ... — ავადმყოფს კი არა, ქირისუფლებს უთხრა პროფესორმა, გავიდა, უფროსი ექთანს და ექიმი გაიყოლა. ზღვაზე გარუჯულმა დისწულმა ბრეტელები გაისწორა და სისხლით დაწინწკლული საწოლის ფეხი გაწმინდა ჩვრით თავისდაუნებურად. იყოს. შვილო, იყოს, უთხრა მარომ, ტაშტს გახეთი გადაფარა და გვერდები მაწვინის ქალის თავზეფივით ამოუკეცა. კარგა ხნის წინ დაჰკარგვოდა ზიზღის გრძობა და ეს იყო თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი ღარსება მისი.

იქნებ მომეტანა ეგ ლუდი, ფიქრობდა ბესო იაძე, სარგადაყლაპულივით იღგა კართან, ვერც გადიოდა, ვერც შემოდიოდა. თითქოს ამის საპასუხოდ, უფროსმა მამამ, დაბნეულობისაგან რომ არ იცოდა რას აკეთებდა, მაცივრიდან ყურძნის წვენი გამოიღო და ხუფის ასახსნელს დაუწყო ძებნა. აქ გედო ყოველთვის და ახლა სად გადაქაჯე, რა კაცი ხარო, — სახეზე შეციებული ღიმილით უსაყვედურა თითქოს ქორიას.

— არ მინდა... — უთხრა ავადმყოფმა.
— არ მინდა, ნარგიზას წაუღეთ!

ბოთლი გაუშეშდა უფროსს ხელში. რა თქვაო, იკითხა უმცროსმა, თუმცა თავდაც კარგად გაიგონა ქორიას ნათქვამი.

— ერთ ვაგონს მიუეტანო ნარგიზას! — თქვა გულმოკლულმა უფროსმა და ბოთლის გასახსნელი აღარ უძებნია. აღარც იყო ამის დრო და საჭიროება. წვეთოვანს უდგამდნენ უკვე ვენაში, ჟანგბადის ბალიშება მოათრევდნენ კვლავ, ზონდებს მართავდნენ და სისხლის გადასხმისათვის ემზადებოდნენ. განყოფილების გამგე, რომელსაც დაშლილი, ასაწყობი რკინის საწოლების სია ედო ხალათის ჯიბეში, კატეგორიულად მოითხოვდა ზედმეტი ხალხისაგან პალატის გათავისუფლებას. შეშინებული გოგო სარაფნის ბრეტელებს ისწორებდა ისევ გაზანჯულ მხრებზე, თვალებს აცეცებდა, ოთახში ეშინოდა და გარეთ გასვლა არ უნდოდა.

რატომ თქვა, ერთი ბოთლი ყურძნის წვენი ნარგიზას წაუღეთო, ფიქრობდა დერეფანში გულზეხელებამწყვედული ბესო იაძე. ნუთუ მართალი კაცი სიყალბეში დაიჭირა. თავი შეაცოდა თუ შეილი შეავედრა თავისიანებს. იქნებ დასცინა ბესოს, რომელმაც ცოვი ლუდი არ მიუტანა რამდენიმე ხნის წინ. ეს ვერსია სჯობდა, მაგრამ ქორიას ლუდი არც კი უნდა ხსომებოდა იმ დროს.

— ხელები ჩამოიღეთ! — უთხრა უფროსმა ექთანმა, წამალი ამოჰკონდა ამპულიდან ნემსით და ბესოსაც უყურებდა თურმე. შეცბუნებულმა ჩამოუშვა ხელები და ქორიას არაგულწრფელობა (ისევ ამაზე ფიქრობდა) მიაწერა ეამს აღსასრულისას, აღრე თუ მალე ყველას კარზე რომ დაიხოქებდა აქლემივით. განაჩენი კი, ყოველ შემთხვევაში, საავადმყოფოს მხრიდან, როგორც ჩანდა, გამოტანილი იყო, რადგან ბრვე ექიმი დერეფანში გამოსულ, დაბნეულ ძმებს არწმუნებდა, სახლში წაიყვანეთ, ჯობიაო და იშველებდა მიზეზს, რომელიც ბაკალეია-გასტრონომიის წარმომადგენლებზე ეფექტურად მოქმედებდა. აქ თუ მოკვდა, გაჭირან, წესია ამნაირიო. თანაც, როგორც ბესომაც გაარკვია (პალატაში უკვე ვეღარ შე-

დიოდა), თავად ყორიას ეთქვა წამიყვანეთო. საავადმყოფო იშორებდა, მაგრამ ავადმყოფსაც აღარ უნდოდა დარჩენა. სად უნდა წაეყვანათ, ქუთაისში? რასაკვირველია, ერთ-ერთი ძმის კერძო ბინაში, სადაც ისინი უფროსობდნენ, მაგრამ ვერ მბრძანებლობდნენ, კი არ ეშინოდათ, ერიდებოდათ ცოლებსა და ბოლო-ბოლო, ეშინოდათ (ასე დავარქვათ) ოჯახური უსიამოვნებისა.

— გზაში რომ მოგვიკვდეს, ხომ მოგვეჭრა თავი! — თქვა ერთმა. ეს არ-ჭუმენტი დამაჯერებელი ჩანდა და მეორემაც იგივე გაიმეორა. როგორც გინდათო, უთხრა ექიმმა, მხოლოდ გაჭრიან იცოდეთო. გზაში რომ არ მოკვდება, მაგის გარანტიას მოგცემთო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ, რაც მისგან მოულოდნელი იყო, თავი შეიკავა. რისთვის აწამებდა კეთილი ვეტეკიმი ამ პატიოსან ადამიანებს? უნდოდა, ცხადია, აქტივში არ ჩათვლოდა სიკვდილი, გარდაცვლილს გაწერილი ერჩია, მაგრამ ამ შემთხვევას, თუნდაც ამ მარცხს(?), ხომ ვერ გადააყოლებდნენ თან. სიკვდილს შეჩვეული იყო, მაგრამ შეგუებული — არა და სულთმობრძავის გარიდება შეღავათი იყო მისთვისაც.

კათედრის დოცენტი მოსულიყო. ყავისფერთვალებიან ქალს, კეფაზე სიბრტყლივ დახვეული ნაწნავები რომ ჰქონდა, პირდაპირ შიშველ ტანზე ჩაეცვა გატკიცებული ხალათი. მორიგე იყო და ღამის სათევად გამზადებული, გამოძინებული და დასვენებული ჩანდა. შეიდი გამზდარაო, საათს დახედა და გაოცდა დილით მოსული ბესო. როგორ სწრაფად და შეუძინევლად გაფრენილიყო ეს ერთი ჩვეულებრივი დღეც. მზეს ამ გაწამაწიაში შემოველო ახურებული შენობისაფვის და უკნიდან მოდგომოდა პალატებს, ყორიას ოთახის ფანჯარაში შემოეხედა და დერეფანში გამოსულიყო საწინააღმდეგო მხრიდან.

საქმიანად, ენერგიულად, რაც მთავა-

რია, აუღელვებლად და ოპტიმისტულად მუშაობდა სისხლძარღვებთან და ვენებთან ლამაზი ექიმი, რომელსაც პირდაპირ შიშველ ტანზე ეცვა ჩამავალ სხივებზე გამზეურებული ხალათი. აშკარად არ იცოდა, გალანდული ქვედა საცვლისა და ლიფის ამარა თუ იყო დარჩენილი, რადგან მისი მკაცრი სახე და მზერა ამ გამოწვევას, დამსწრე საზოგადოების ტრადიციებისა და შეხედულებების უგულვებელყოფას ნამდვილად არ ითვალისწინებდა. მკვრივ ტანზე შემოჭერილი, გვერდებში ჩაქარგული, ცისფერი ქვედა საცვლის მართკონტურები და ფერი კი არა, ფირმის დამლა და იარაღი იცოდა ჩანდა.

გინდა რაზე, გინდა რაზე, ჩასძახოდნენ ძმები ყორიას; საწოლთან იდგნენ, ექიმებს არ ერიდებოდნენ, განყოფილების გამგეს, დაშლილი საწოლების სია რომ ელო ჯიბეში, არ უფრთხოდნენ და შიშველ დოცენტს ვერ ხედავდნენ, პროფესორსაც აღარ აკარებდნენ სარეცელს. არ არის, არ არისო, ჩურჩულებდა ავადმყოფი.

— რა არ არის, რა არ არის?!

რა არ არისო, აინტერესებდათ. რა არ იყო? არაფერი არ იყო, მაგრამ ამათ რა უნდოდათ, რისი გავება სურდათ? ხან ცხადად, ხან ბუნდოვნად, ხან გაუჭუმდართებულად ხედავდა თავდახრილ, შეშინებულ ჭირისუფლებს, რომელთაც ყორიას სიკვდილის კი არა, სიკვდილის ეშინოდათ. რა არ არისო, კითხულობდნენ ამიტომ და დახშული სივრცის ნაჭრიდან მოდიოდა ეს ხმა. აღრინდელზე უფრო ბლანტად, მკვრივად და ფეთქვად მოდიოდა სიჩუმე; სქელ კვამლისფერ ღრუბლად მოიწვართებოდა, ხუთავდა ყოველივეს და ფეთქვის ხმაც ნელდებოდა, ქვევით და ქვევით ჩამოდიოდა. რა არ არისო?

„საშიში არ არის!“ ამის თქმა უნდოდა. შეეძლო და არ თქვა. იმდენად დიდი იყო, რაც არ იცოდა, იმდენად უმნიშვნელო იყო, რაც იცოდა, რომ რაიმეს თქმა უაზრობას, ფანტასტიკურ უაზრობას უდრიდა უკვე.

ძმები შინ წავიდნენ. ატირებული, ზღვაზე გაშავებული ქალიშვილი ჩაისვეს მანქანაში. არ მეგონა, ყორია ბიძია თუ ასე დამენანებოდაო, სლუჟუნებდა და წამწამებიდან ჩამოწურულ საღებავს იშორებდა სველი ცხვირსახოცით: მართლა მოკვდა თუ არაო, ფიქრობდა უაზროდ: არაფრით არ ეგონა, თუ ეს დღე ასე უცნაურად, უჩვეულოდ ჩამთავრდებოდა. ეზიარა საიდუმლოს, რომლის გამქდავენება მისი თანდასწრებით არც კი იყო მაინცდამაინც აუცილებელი. უფრო ძმისშვილის ცრემლებით, ვიდრე ძმის სიკვდილით გულაჩუყებულ კაცს ტირილის შეეშინდა, უმცროსს მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა, მეტი ლაპარაკი აღარ იყოს, ჩემთან მივასვენებთ, შეტირილსაც ჩემთან გადავიხდით. ასე იყოსო, უთხრა უმცროსმა, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, თორემ თავდაც ამის ვაკეთებას აპირებდა. საღ წაასვენებდნენ შუალა ძმას, მათი პირადი საქმე და გადასაწყვეტი ამოცანა იყო უკვე და სხვის (თუნდაც ცოლის) აზრს აღარ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. თავად ბესომ გასვენების დღეს, ზღვიდან ქუთაისში დაკრძალვაზე ჩამოსულ მეუღლეს ნიშნისმოგებით გადახედა, ტყუილუბრალოდ არ დავრჩენილვარ თბილისში, ზომ ხედავ, მართლა მოკვდაო, ახარა თითქოს და შეცბა. სულმოკლეობამ, საკუთარი თავიდან რომ ამოუხტება ხოლმე ყოველ ადამიანს, შეაძრწუნა.

მიცვალებულს კი გაპატიოსნება ჭირდებოდა და ძმების დანაბარებისათვის, აბა შენ იცი, არ გააჭრევიწოო, ბესოს ყური არ უთხოვებია; თითქოს მათ ჭინაზე პათემანატომეს ჯიბეში ხუთი თუმანი ჩაუდო, რაც საჭიროა, არ დააკლოთო, თხოვა და გაახსენდა ბატონი ვანო სახნისის ქუჩიდან, ლექტორმა ქარჩავამ რომ ვააცნო. როგორ გეკადრებათ, ბატონო, არ არის საჭიროო, უთხრა პათემანატომემ, ხალათის ჯიბეში ჩადებული ფული ხელით ფარულად მოსინჯა, დათვა-

ლა და გაშეშებული ფეხის ფხვნილით შევიდა საპროზექტუროში. ეზოში დარჩენილი ბესო ცოტა ხნის შემდეგ შიდა კიბით, მედპერსონალი რომ სარგებლობდა მხოლოდ, ყორიას ტანსაცმლისა და დარჩენილი ნივთების (დატოვება არ ვარგაო) ჩამოსატანად ისევ თერაპიულ განყოფილებაში აბრუნდა. პალატა ვერ დაიმზრო, გაიხედა მარჯვნივ და ნათელა დაინახა. დასიცხული, თალხკაბიანი, ზორბა ქალი დაფიქრებული მოდიოდა და ტომსიკით, ბესოს ვარაუდით, ბლის კომპოტი და ვაშლი მოჰქონდა. ბესო უკანვე შებრუნდა და კიბის მხარეს მოლიავებულ, უზარმაზარ კარს მოეფარა, ღრიჭოდან ყორიას პალატის მისადგომი, ექთნების მაგიდა და აორთქილი ნიკელის ქვაბი დაინახა. ზურგით მდგარი უფროსი ექთანი ამპულას ამტვრევდა თავს, ახლად გამოხარშულ შპრიცს წამლის შესასრუტად ამზადებდა ისე, თითქოს იმ რამდენიმე წუთის წინ არაფერი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები არ მომხდარიყო იქ, იმ ალაგას. მამისთვალოვი მოფლატუნებდა მუჭში დამალული სიგარეტით და ბესოს სამალავთან უეჭველად გადააწყდებოდა ნათელას, რომელსაც ბლის კომპოტი და ვაშლი მოჰქონდა ქმრისათვის. ზედ განის კართან დაინახა მართლაც ნათელა, შეტრიალდა და უკანვე წავიდა, თავი სამშვიდობოს რომ ეგონა, ქალის ხმა გაიგონა ვარკვევით:

— ბატონო რობინ, როგორ ბრძანდებით?!

— კარგად, მადლობთ, თქვენ ხართ, დიახ...

— როგორ არის?

— დიახ, კარგად, ვინ?.. ახ, ჰო, დიახ..

ნათელამ გაიღიმა, ოდნავ გადახარა თავი გვერდზე და გზა განაგრძო. ატყდება ახლა წივილ-კივილიო, გაიფიქრა ამ უცნაური კითხვა-პასუხით გაბრალებულმა ბესომ და მამისთვალოვის თავგანწირული ხმაც გაიგონა:

— ქალბატონო ნათელა, ნუ მიდიხართ!



„კაცური კაცი!“

— რატომ? — შეჩერდა ქალი.

— წავიდა ყორია...

— სად წავიდა?

— წავიდა...

ფერდაკარგულმა ქალმა უკან-უკან იწყო სვლა. მამისთვალვებს ისევ წაუხდა საქციელი, სიმტკიცემ უღალატა და ძველებურად იწყო გრეხა.

— ისა, დიახ, წავიდა...

ხელიდან გაუვარდა ტომსიკა, რომელიც დამლაგებელმა მარომ აიღო ცოტა ხნის შემდეგ; სად მიხვალო, უთხრა ნათელას და თავზე და ნიკაპზე დოღბანდი გაისწორა.

— ...მოდი, ქალო, ნათელა არ გქვია შენ?! ლეიბი წაიღე, ბალიშები წაიღე, ზეწარი და ჭურჭელია წასაღები... წამლები დარჩა... მე დავეუბნე თვალები, ტუჩები მოვწმინდე, რაღაი მოხველ, წაიღე, რაც წასაღებია... მაწონია ცოტა!

ნათელას მაროს ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ ასე უკუსვლით სანამ აპირებდა სიარულს. სასწორს წამოედო და ქალთა განყოფილების უფროსი ექთნის სავარძელში ჩაესვენა. მორიგე ექიმმა ქალმა, სამსახურში მოსვლის შემდეგ რომ თავის აუღებლად წერდა, სათვალე მოიხსნა, ხელი შეასვენა და ნათელას მიაჩერდა, მარო რომ გამოჩნდა, ვითარებაში გაერკვა, სათვალე გაიკეთა და წერა განაგრძო.

ბესო ეზოში ჩაბრუნდა და ბუნუ დაინახა. მე და გოვენი ვართო, უთხრა ბუნუმ, ზევით ვიყავით და აქ ჩამოგვაგზავნესო, ყორიას სიკვდილი გაეგოთ და ნათელას გზაში აცდენოდნენ, როგორც ჩანდა. თუ ძმა ხარო, თხოვა ბესომ, ნათელა წაიყვანეთ როგორმეო და მანქანის გასაღები მისცა. თავაც გეტყვით, სად უნდა მიიყვანოთ, დანარჩენი იმათ (ძმები ივულისხმა) იციანო, სასწრაფო დახმარების მძღოლს უნდა მოურიგდნენ ჩუმად და ზეწარიც უნდა წამოიღონ, მე მგონიო.

პატარა ბალი და ეზო, სადაც ბესო დარჩა, დაბალ შენობებს შორის იყო ჩაქედლილი. ერთი ვერხვი სიმაღლეში

წასულიყო ნადრევად და უჩვეულოდ; აცდენოდა კიდეც სამსართულიან აგურის შენობას, აფსიორებულ კვიპაროსები და დაგვალული ბუჩქები დაეჩრდილა. საკმაოდ ღრმა და მრგვალი, ყლარტამოდებულ აუზის წყალში სამი წითელი თევზი დაინახა. ზანტად, დონდლოდ დაუკურავდნენ, მაგრამ ჭიშინი (ფერის მიხედვით) თევზებს გავდნენ. ვერაფრით აქამდე (ზემოდან დაპყურებდა ხოლმე ამ აუზს) ვერ წარმოიდგენდა, თუ წუშპეში ამგვარი თევზებიც ბინადრობდნენ. აუზის წინ, ორ კვიპაროსს შუა ჩანდა საპროზექტუროს სარკმელი, რომლის მიღმა ყორიას კრიდა ფეხგაშეშებული კაცი. პროზექტურა ეკვდერივით იყო საავადმყოფოს მიშენებული და ჰქონდა თითქმის ბრტყელი სახურავი. რომლის თუნუქს აბრწყვიალებდა ჩამავალი მზე, კრიკინებდნენ კუტკალიები, ქუჩებში მტკერში და ბულში დადიოდნენ. ავტომანქანებში ხმაურითა და აირის ფრქვევით; დამწვარი ბოლი მოყვებოდა მანქანების ხმას, გადმოდიოდა ყორე-გალავნებზე, ახურებულ სახურავებზე გროვდებოდა, იშლებოდა, იფანტებოდა და ეფინებოდა ყოველივეს. საპროზექტუროში გრილოდა. სიწყნარეში, სიმშვიდეში ფატრავდა ყორიას ფეხგაშეშებული კაცი: გულმოდგინედ მუშაობდა გარსში, რაშიც ბესოს ბიძაშვილი ცხოვრობდა, იბრძოდა, რათა იქით და იქით გადაეწია ეს დღე; უხაროდა, უნდოდა, ტკიოდა და იტანჯებოდა პატარა სურვილებით, ხანმოკლე სიყვარულითა და მცირე ვნებებით. ახლა იგი სადღაც ახლომახლო ნაჭუჭიდან ახლად გამოძმერალი წიწილივით დაწიოდა ცოდვილ მიწას და სხეულს გარს დატრიალებდა. ნაგვის მანქანა შემოვიდა თაღეღში, ბეტონის სვეტებში შეჰყო ცხვირი, დაიხია, შლაღვა შათქაშჩამონგრეულ კედელს და იქვე აიშვირა კული. დომკრატების ხრიალზე გაიხედა და ტანსრუ-

ლი. მკერდმაღალი ქალი დაინახა. თეთრი კოფთა, შავი, გრძელი, ქობა-შემოყოლებული ქვედაწელი და მალაქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. ეცნაურა და ვერ იცნო. თვალი მოარიდა, დაფიქრდა, ქუსლების კაქუნზე გამოფიქრდა. მკერდსავე და თეძოსრული ქალი, გამზადარი, სათვალისანი გოგონა რომ მოაცილებდა, მისკენ მოდიოდა აშკარად. ვიცნობ, არ ვიცნობ, აეჭრა მახსოვრობა და ქალმაც სწორედ იქიდან ქაიწყო: თქვენ მე არ მიცნობთ, სამაგიეროდ ჩვენ გიცნობთ და ჩემი გოგო (გოგონამ უკან დაიხია) გაღმერთებთ კიდევცო. ამას აღარ ელოდა და, ნამდვილად ვილაცხაში ავერიო, გაიფიქრა, მაგრამ ქალმა შურა ახსენა და ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდა იმწამსვე. მე, ბატონო ბესო, შურას ოჯახში ვარ გაზრდილი ფაქტიურად, მელიტა დეიდამ ჩემს ხელში დალია სულიო.

— მე თავად ვეძებ, ქალბატონო, შურას! — მოუჭრა ქალიზიანებულმა. შურა არ მინდა, ბუხაიძესთან მაქვს საქმეო, უთხრა ქალმა და საბოლოოდ გამოაშტერა.

— ...ივანე ბუხაიძესთან...

— ვინააქ ქალბატონო, ივანე ბუხაიძე?

— იცნობთ თქვენ, თქვენი მეგობრის — ქარჩავას მეზობელია, ქარჩავას მეტი ვერ უკავშირდება თურმე ვერავენ და თვითონ ქარჩავა დაკარგულია...

„ქარჩავა, ივანე, ვანო, ვანიჩქა... მკვდრებს რომ ბანს!...“

— ვერაფრით ვერ მივაგენით... — ტირილის დაწყებას აპირებდა.

— ივანეს, ქალბატონო?

— ქარჩავას, ბიძა ამისი ფაქტიურად... — თავზე ხელი დაადო გოგონას.

— ქარჩავა?

— არა, ივანე, ვანიჩქა... ქარჩავას გარეშე ვერ მოვძებნით და ქარჩავას აურემ თქვენ უკავშირდებით მხოლოდ.

— ვინ ვითხრათ, ქალბატონო? — ამბობენ, ბატონო, მე ხომ არ დამესიზმრებოდა...

— მართალი ბრძანდებით, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ მეტად არ მინახავს, ახლა როგორ მოვიქცეთ?

— უნდა ვააგებინოთ როგორში, რომ ვეძებ...

— ქარჩავას?

— ივანეს ქარჩავას საშუალებით...

— აჰა...

— რომ გაიგებს, თავად შეწუხდება; ნამდვილად ვილუპებით, ბატონო ბესო, ნამდვილად ვილუპებით; უნდა დამავლოთ, უნდა მიშველოთ... დალილა გეძებთთქვა, დანარჩენი თავად იციან... ამის მაშას, ჩემ ყოფილ ქმარს, არც მინდა იმის სახელი ვახსენო, იცნობთ თქვენ, ბატონო ბესო! — ქალი მართლაც სასოწარკვეთილი ჩანდა. აღრინდელი თავიანი, რამდენადმე მლიქვნელური ღიმილიც ჩამოშორდა სახიდან.

— ვილუპები, ბატონო ბესო, ვილუპები, ხვალ უნდა ჩააბაროს ზეპირი...

— ამან, ქალბატონო?

— არა, ბატონო, — ნერვიულად გაიცინა. — ამან არა, იმან, უფროსმა, ეს მეცხრეშია, ამისი არც მეშინია, ბევრს კითხულობს, თქვენი ბოლო წიგნი ზეპირად ისწავლა...

არადა, ეს მეცხრეკლასელი, მაკარონისფეხება თეთრი გოგო, სრულებით რომ არ ჰგავდა დედას, ისეთი დაუფარავი ცნობისწადილით, ისეთი აღტაცებით მიჩერებოდა ბესოს, რომ თუ ნასწავლი არა, წაკითხული უეჭველად ექნებოდა ბოლო წიგნი, დედამისმა რომ ახსენა. ფეხგამშვებული პათმენატომ გამოვიდა ეკვდერიდან, თავის ადგილსამყოფელს დააპირდაპირა და პირველი სართულის მიწამდე დასულ კარს მიადგა; ბესომ რომ იფიქრა, დავა ვიწყდიო, მოტრაალდა, მოვრჩიო, თქვა.



— გასუფთავებულია და გამზადებული, მოიტანეთ თეთრი ზეწარი, მოიყვანეთ მანქანა და წაიღეთ.

— გადასცემთ, ბატონო ბესო?

— გადავცემ, ქალბატონო, ვეცდები, ყოველ შემთხვევაში... ერთი წუთით, თუ შეიძლება!

— დაგელოდოთ?

— თქვენ არა. გადავცემ ქარჩავას თქვენს დანაბარებს, გავაგებინებ რალაცნაირად, შევასხენებ თავს, თუ გამიხსენა, ქალბატონი დალილა გეძებთ-მეთქი... დიაგნოზი თუ დადასტურდა, მაინტერესებდა...

— რომელი დიაგნოზი?

— თქვენ არ იკუთვნებთ, ქალბატონო, დამირეკეთ, ტელეფონის ნომერი ხომ ჩავაწერინეთ?..

— კი, როგორ არა, დიდი მადლობა.

— კარგად იყავით.

— დადასტურდა, რასაკვირველია, დადასტურდა. ნათელი იყო სურათი ისედაც... აღარ იყო ღვიძლი ფაქტიურად, დაბორკილი, შექმუხნილი...

— მუჭი აჩვენა, პროფესორზე პატარა ხელი ჰქონდა ბევრად. — გამზადებულია, მოკლედ... — ხელები გაშალა, რაც საჭირო იყო გავაკეთეო, ანიშნა და კაბონეტში შევიდა. ბესომ მადლობა გადაუხადა და წამოვიდა. თაქედქვე დაწინაურებული დალილა დაინახა. ამჯერზე არ ჩქარობდა, კმაყოფილი და, როგორც ბესოს ეჩვენებოდა, ქარჩავას ნახვის შესაძლებლობაში დაიმედებული მიდიოდა. ძალაუხნებურად შეანელა თავადაც ნაბიჯი, წამოეწეოდა, იცოცხა და ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა. თაღედიდან მეორე ეზოში გაუხვია და იქვე შეიცადა. მეორე ეზო პირველზე პატარა იყო და ხეც არ ხარობდა. დაშლილ-დაკეცილი საწოლები ჩამოჰქონდათ და კუთხეში აწყობდნენ გულაღმა. თერაპიული განყოფილების გამგე, ყბებშენგრეული, მელიოტი კაცი ფეხებაშვერილ საწოლების გორას მისჩერებოდა და სერიოზული სახის ექთანს, რვეული და ფანქარი რომ

ეპირა ხელში, რალაცს ანიშნებდა როგორ ითვლიდა ერთმანეთში დაბლართულ, ერთმანეთში ჩაკვანტილებულ, ჩაშუაკაურებულ საწოლებს, გაუგებარი იყო. მეცხვარესი არ იყოს, ფეხებს ითვლის და ოთხზე ყოფს ალბათო, გაიფიქრა ბესომ, გაიხედა და ალაყაფის კიშკართან დაინახა ტანსრული ქალი და გამხდარი გოგონა, მის წიგნებს რომ სწავლობდა ზეპირად. ტაქსს ელოდებოდნენ, ეტყობოდათ.

წყალიც შეწყდა, მე ამის დედაცო, შეიგინა მუშამ სასაფლაოზე, ცარიელი ბიღონი საბარგო მოტოროლერის ძარაზე შეაგდო და საქესთან დაჭდა, წაველიო, უთხრა ამხანაგს და მოტოროლერი დაქოქა. ამხანაგმა, ოციანი წლების კინომსახიობს რომ ჰგავდა, ძველი, ოთხგან ჩაკეცილი შლაბა მოიხადა, ფარდულის კედელთან ჩრდილში მოირთხა, შლაბა მიწაზე დადო. სიგარეტი ამოიღო და არახრახებულ მოტოროლერს გააყოლა თვალი. ერთიანად იბუგებოდა უზარმაზარი, ნაკერ-ნაკერ აწყობილი სასაფლაო. ტუტკალიები, კრიკინები, ბოცომკალები და ათასი ვაი-უბედური ზუოდა და კრიკინებდა სიყრუეში. პირგამომშრალი ონკანის ტუჩი შიშინებდა მშრალად ფარდულის კუთხეში.

— კარლო არ დაგინახია? — დაიძახა მანქანის სარკმილიდან მკლავგადმოყოფილმა ბუხუმ.

— რომელი? — იკითხა კინომსახიობმა.

— ამილახვარი.

— იყო აქ სადღაც...

— აბა ცოტა წინ წვიდეთ, ეგერ გააჩერე, ტირიფთან... — უთხრა ბუხუმ ბესო იაძეს.

ბესომ მანქანა დაძრა, საფლავებსა და საფლავებსშუა გაჭიმულ შარას გაჰყვა და რკინის მესერთან, დაბალი ტირიფის გვერდით გაჩერდა. დაგვილული ხის ჩრდილი ძლივს გადაწვდა და გახურებულ კაპოტს. გადმოვიდ-



ნენ. ბუხუმ შუბლი მოიჩრდილა და საფლავების ტყეს გადახედა. წელზე-
ვით შიშველი მამაკაცი და ქოლგიანი
ქალი დაინახა. საფლავის შემოგარენს
თოხნიდა პატარა თოხით კაცი იქვე
ახლო, სარეველა ბალახს თხრიდა ხე-
ლით დროდადრო, მიწიან ბალახს
გალავანზე ფერთახვდა და შიშველ
ფესვებს ყრიდა ბილიკზე. ქალი, უქ-
ველად მიუღწე, გაშლილი ქოლგით
უჩრდილავდა შიშველ ტანს და თავს.
თავად თეთრი ხალათი ეცვა და თავ-
ზე გაზეთის ქუდი ეხურა.

— აი აქ მეგულება ცარიელი ადგი-
ლი. — თქვა ბუხუ მიქაშვიძემ, საფ-
ლავებში გადავიდა და დაბალგალავ-
ანშემოყოლებულ, ყვითლად აყვავე-
ბული აბზინდითა და კატაბალახით და-
ფარულ მიწას დააჩერდა.

— აქ არავინ არ მარხია... აგერ მუშა
მოდის და არაფერი უთხრა... ხუხუნა
დავსაფლავეთ აქ და ხუთი თითვიით
ვიცი აქაურობა, დღეისსწორს ორმოცს
გადავუხდით საწყალს...

— აბა ხუხუნა?

— ხუხუნა, ხუხუნეიშვილი...

— რას მეუბნები... — მიიხედა და შავი
გაპრიალბულ სტელაზე ამოკენილი
ნაცნობი პორტრეტი დაინახა. გაღიმე-
ბული, ხალისიან მამაკაცს პირთან მი-
ტანილი, აბოლებული სიგარეტი ეჭირა.
ბიჭიკო ხუხუნეიშვილი, იგივე ხუხუნა
ესვენა ამ სიგარეტიანი სურათის ქვეშ.
ამნაირი ახსოვდა ბესოს იგი. ფეხბურ-
თის თავგამოდებული ქომაგი და ცნო-
ბილი მოკამათე თამაშს არ აცდენდა
სტადიონზე. სპორტის სხვა სახეობებსაც
წყალობდა, მაგრამ ფეხბურთზე ირეო-
და; პროგნოზებს და თეორიულ მოსაზ-
რებებს გამოთქვამდა ხმამაღლა, ყვე-
ლას ვასავონდა; ყვიროდა, კი არ ლაპა-
რაკობდა და, როგორც წესი, ცდებოდა
ან აქსიომებს ამტკიცებდა თავდაჯერე-
ბით. რა აჩერებდა ამ გაქანებული ფეხ-
ბურთის სეზონის დროს მიწაში!

— გამარჯობათ თქვენ! — დაიძახა
მუშამ და ხუხუნას სტელას გადმოაწყო
ვევბერთელა ხელები. ბუხუმ თვალი

უყო ბესოს, არაფერი უთხრა, მხოლოდ
მეორედ გააფრთხილა. არაფრის თქმას
არ აპირებდა ისედაც, მაგრამ ბუხუ
აღბათ საქმიან მოლაპარაკებას გულისხ-
მობდა.

— ხომ არაფერი გინდათ?

— არაფერი... — აყვავებული აბზინ-
დის ოაზისს თვალი მოაცილა ბუხუმ,
აქ არაფერი შესაქმებოა ვითომ.

— ეძებთ რამეს? — ოაზისს შეხედა
მუშამ.

— არა. აგერ მოვედით, ძმაკაცის
საფლავთან.

— ამასთან? აქ ამოდინ ხოლმე ბი-
ჭები, გუშინაც იყვნენ, თუ რამე გინ-
დათ, მითხარით.

— შენ ოსი ხარ? — მიუბრუნდა ბესო.

— ოსი ვარ, საიდან მიხვდი? — სტე-
ლას ჩამოშორდა, ტალახიანი რეზინის
ჩექმებით გადმოაბოტა გალავან-მოაჩი-
რებს; სად იშოვა ტალახი ამ გადაბუ-
გულ მიწაზე, გაუკვირდათ.

— კარლო არ გინახავს? — ჰკითხა ბუ-
ხუმი.

— რომელი?

— ამილახვარი.

— ამილახვარი ზევით წავიდა.

კარლო ორი იყო, ეტყობოდა, ან სამი
და ამილახვარი (რაც სავსებით ბუნებ-
რივია) ერთი, მაგრამ ბუხუ მიქაშვიძე
მინც კარლოს კითხულობდა და არა
ამილახვარს. კითხვა-კითხვით მოძებნეს
როგორც იქნა სასაფლაოს ადმინისტრა-
ტორი და, როგორც ბუხუმ აღნიშნა,
აქაურობის ფაქტიური გამგებელი. კარ-
ლო ამილახვარი ბუხუს თანაკურსელი
იყო, ინსტიტუტიც ერთად ჰქონდათ
დამთავრებული, იცოდა ბესომ, მაგრამ
ვერაფრით ვერ წარმოედგინა, თუ სა-
საფლაოს ადმინისტრატორი ჰყავდა და
ისიც ფრანგულის სპეციალისტი. მისი
შეტყობით, ფრანგული ბუხუზე ბევრად
უკეთესად არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ
ქართულთანაც ვერ უნდა ყოფილიყო
დედაშვილურ დამოკიდებულებაში მსუ-
ქანი, მკვირი, მოძრავი, სხარტი კაცი.
გადაკონეს, მიიკითხ-მოიკითხეს ერთ-
მანეთი თანაკურსელებმა.

— ...ახლა მითხარი, რაშია საქმე?! — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ამილახვარი, რადგან იცოდა, ბუხუ მიქაშავიძე მარტო მისი ჯანმრთელობის და ოჯახური მდგომარეობის გასარკვევად არ იქნებოდა ამოსული.

— ძმაკაცი დაველუპა, ბესო იაძეს იცნობ, რასაკვირველია...

— როგორ არა... — შეფიქრიანდა ამილახვარი.

— ბესოს ბიძაშვილი, ქუთაისელი კაცი, კარგი ბიჭი, შენ რომ ვაგებარდებოდა, იმნაირი, ორმოცდაშვიდი წლის იყო და არც იყო... ქალიშვილი მოაწყო აგერ ახლა უნივერსიტეტში. მოკლედ ადგილი გვინდა. აქ არაა ჩაწერილი, მაგრამ ცნობას ვაგებერებთ...

— ეგ არაფერი.

— ცოლმა დაიქინა, აქ უნდა დავსაფლაოო, შვილს მარტო ვერ დავტოვებ და ქმრის საფლავიც აქ უნდა მქონდესო.

— აღარ გინდა, ვასაგებია... იმ ქვევით, საიდანაც თქვენ ამოხველით, ადგილი არა მაქვს, გახედეთ აქედან, ნემსი არ ჩავარდება...

— მე მაქვს ერთი ადგილი შეგულე-ბული...

— სად?

— ქვევით.

— შეუძლებელია...

— ხუხუნეიშვილი რომ დავმარბეთ, ფარდულიდან ხელმარჯვნივ.

— არა, ბუხუიაჯან, შენ არ მომიკედე!

— შენ რა გინდა, არი.

— რას ლაპარაკობ, შე კაი კაცო, მე აღარ ვიცი, რა არი და რა არა?.. წამოდი, მაჩვენე, ვნახოთ, მერე რომ სალაპარაკო არ გახდეს. — ჯიბიდან მაჯის საათი ამოიღო, დახედა, ლითონის სამაჯური წამოიცივა თითებზე, საათი მუქში დამალა, ჩქარა წავიდა, წაყენენ, ჩავიდნენ, ხუხუნას საფლავთან შეჩერდნენ.

— აბა სად?

— აქ, — აბზინდით დაფარული მიწა აჩვენა.

— აუ, რას ამბობს, მანდა მარხია, ბუხუიაჯან...

— შეუძლებელია... — ჩაილაპარაკა გვარიანად შეფიქრიანებულმა ბუხუიაჯანმა, აღრინდელი თვითდაჯერებულმა გაუხელდა.

— ბატონო კარლო, მობრძანდით აქეთაც, თუ შეიძლება! — დაიძახა ვილაყამ სიფრიფანა ქალი იდგა ჩრდილივით ხუხუნას საფლავის გადაღმა.

— რაშია, ქალბატონო, საქმე? — იკითხა ამილახვარმა, ჩრდილ-ქალი ცოტა ავღებულად შეათვალიერა. — ეს არ დამენახს და არ მინდოდა მეტი არაფერი, — ჩაილაპარაკა და ვილაყას ხელი დაუქნია. ისევ ის ოსი გამოლაყუნდა ტალახიანი ჩექმებით. რა უნდა მაგას, თუ იციო, ხმადაბლა ჰკითხა, ქალისკენ აღარ გაუხედავს.

— რა ვიცი, უფროსო, რაც უნდოდა, იგი უნდოდეს იქნება!..

— მობრძანდით, თუ შეიძლება!

კარლომ სტუმრებს მოუხედა, საათი შეამოწმა და ვიწრო ბილიკი გაიარა გვერდულად. ქალმა მისვლაც არ აცა-ლა, შორიდანვე დააყარა საყვედურები.

— პატივცემულო კარლო, ფული რომ არა მაქვს, პატრონი რომ არა მყავს, ბეტონი რომ ვერ ჩავასხი, ქვევები რომ ვერ მოვიტანე, ამიტომ უნდა შემავაწროთ, ამიტომ უნდა დამჩაგროთ?

— ვინ გჩაგრავთ, ქალბატონო?

— როგორ ვინ მჩაგრავს, არ იცით თქვენ, ვინც მჩაგრავს... რასა ჰგავს ჩემი მეზობლის საქციელი, სად მოდის, საით მოიწევს?!

— ქალბატონო, თქვენ თქვენი ადგილი გაქვთ და იმას თავისი, ეს გზაა, ამ გზაზე ვერც ის გადმოვა და ვერც თქვენ გადახვალთ, ძალიანაც რომ მონინდომოთ, თქვენ ფართობში ის არ შემოსულა ჯერ...

— როგორ არ შემოსულა, პატივცემულო კარლო, როგორ არ შემოსულა... — შვის მცხუნვარე სხივებით აქლივილებულ ბალახთან მიწას ჩააწნა მოშრიალე, გაწელილი ხმა.

— ...აქედან გადაზომეთ, თუ გინდათ, პატივცემულო კარლო, ნახეთ, მე აქ უნდა დავიმარხო ჩემი მამამთილის გვერდით...



— რა გვირთ ჯერ დასამარხავი, მაგრამ ესეც გათვალისწინებულია, სად წავიღებ მეტრიანი...

— რად მინდა მეტრიანი, ვერ ვხედავ, ვერ ვხვდები, აქ არა ვარ... — ქალმა ჩიმიუხლა და მოულოდნელად გაწევა გულადმა, სადაა აქ ჩემი ადგილიო, დაიძახა, მზემ მოჭრა თვალბერი, დაჭუტა, გაახილა და მიწაზე კეფადადებულმა ამილახვარი ველარ დაინახა; თავი წამოწია, ქუთუთოები გადმოქაჩა წინ ამოდ.

— მშვენივრად დაეტიეთ, სხვათა შორის! — საათს დახედა ამილახვარმა, ქალი გულადმა გაწოლილი დატოვა, გადააბზინდებულ ალაგამდე მივიდა და ოსსა ჰკითხა, თავისუფალია ეგ ადგილი თუ არაო.

— არა, უფროსო, ეთქვათ და ვეცყოდი, მარხია მანდ!

— გითხარი, ძმაო, ეგრეა, იტოგში! ქალი წამოდგა, მუხლისთავები გაიწმინდა და კაბა ხელუკულმა ჩამოიფერთხა საჯდომზე, ვიკითხავ მე მაგასაც, თუ დავეტიეო, ჩაილაპარაკა და საკუთარ ლანდს დაუწყო ზომვა თვალდათვალ. არავინ მარხიაო, ისევე გაიმეორა ბუხუმ, რალაი თქვა, თავისაზე დადგა ბოლომდე.

— წადი, თუ ძმა ხარ, მოიტანე შურფი! ოსი ზღაზენით გადავიდა ფარდულში და გრძელი, თავმოგრეხილი შამფური მოიტანა. გასინჯე, რალაი ასეაო, უთხრა ამილახვარმა და მუჭში მომწყვედულ სამაჭურიან საათს დახედა. ოსი აბზინდით დაფარულ მიწაზე გადავიდა, შამფურის წვერი ჩასო ბალახებში, მოგრეხილ ტარს დააწევა და წვერი მიწაში ჩაუშვა.

— გითხარით, კაცო, — წამოიძახა ამილახვარმა. — აბა აქეთაც ნახე.

ოსმა ხელმარცხნივ გადაინაცვლა და ბესო იაძე ახალა მიხვდა, ნაყარ მიწას რომ ამოწმებდნენ. ყამირში შამფური ვერ გაატანს და თუ ჩავიდა, ესე იგი, მარხიაო, დაასკვნა და, როცა ოსმა მეორე მხარეშიც ჩათხარა, გაუყარა მუცელში ვილაცასო, გაიფიქრა და უსიამოდ გააქროლა.

— აქაც მარხია, უფროსო! — მარხია ხა უკვე გაკომბალეული შამფურის მოგრეხილ ტარზე დაეყვამოდებულმა, ფეხი ფეხზე გადაიჯვარდინა და მიმავალ ქირისუფალთ გააყოლო თვალთ.

— გეკითხათ იმ კაცისათვის, ყველაფერი იცის მაგან, იტოგში, ერთი წუთით! — მაჯის საათი ჯიბეში შეინახა და ხელმარჯვნივ გადაუხვია, გზის პირს შეგროვალ, მოყაყანე მუშებს მიუხელოვდა. ოთხგან ჩატეხილშლაიანი მუშა, ოციანი წლების კინომსახიობს რომ ჩამოგავდა, ვილაც თმათეთრ კაცს (როგორც გამოირკვა, ბრიგადირს) ელავებოდა. ჩვენი რიგი იყო წესით და მამულაას ბრიგადამ გადაგვიღუნა ზეგინდელი საქმეო, უთხრა მოახლოებულ ამილახვარს. თქვე კარგო ხალხო, ერთი უბანი ველარ გაიყავით, ერთმანეთში ვერ მორიდდით, ვერ შეთანხმდითო? უსაყვედურა ამილახვარმა. მსახიობმა ხელი აიქნია, ვილაცამ რალაც წამოიძახა, ვილაცამ გაიკონა და კრებაც გამხიარულდა. გაურკვეველად, დანაწევრებულად წამოვიდა შორიდან მათი ხმა, მაგრამ უფროსს რომ გაუშინაურდნენ, გასაგები იყო. ამნაირი დამოკიდებულება უფროსის (სასაფლაოს ადმინისტრატორი იყოს თუნდაც) სისუსტეზე ან სიხარბეზე მიუთითებს ხშირად. ამილახვარი იოლად დასაჩაგრ კაცს არა, მაგრამ მოძალადე მეწილეს ჰგავდა და პირშიმთქმელს თუ ვერ აიტანდა, მოქილიკეს (სხვა რამე არ წამომძახოსო) უეჭველად წაუყრებოდა.

— ეს კაცი შენთან სწავლობდა, დავიჯერო, ტოლები ხართ თქვენ? — ჰკითხა ბესომ ამასობაში ბუხუს.

— უფროსია ჩემზე, მაგრამ ერთად დავამთავრეთ, მანამდე ქორეოგრაფიული ტექნიკაში მოილია და ინსტიტუტშიც ამიტომ მიიღეს, ფაქტიურად; მაგრად ცეკვავდა, სხვათა შორის... შეიძლება სასაფლაოს ადმინისტრატორად მოცეკვავის დანიშვნა?.. რალაც ხომ უნდა გაითვალისწინო, რალაცას ხომ უნდა გაუწიო ანგარიში!

— მოიცა, მოდის.

— ცუდს კი არაფერს ვამბობ...
— არ არი მუშაობა, არა... — შორი-
დანვე წამოიწყო ამილახვარმა. — დაი-
ცალა ქალაქი და ესენი შვეებულებაში
ვერ გავყარე. არადა, გეგმას ვერ ვასრ-
ულებთ... დროა ისეთი, ნაკლებია იტ-
ოგში ნედლეული, ასე რომ ვთქვათ...
— ჭიბიდან საათი ამოიღო და დახე-
და ისევ.
— გეჩქარება შენ? — ჰკითხა ბუხუმ.
— არა, კაცო, თქვენთვის ვჩქარობ,
გამოდით აქეთ, ერთი ადგილიც მინდა
გაჩვენოთ, აი ასე, ცოტა წინ: არ მი-
დის არავინ შვეებულებაში, არადა, ძალა-
ზე არიან... არაა ეს სამუშაო და რა ვუ-
ყო, ცოცხლებს ხომ ვერ დავმარხავ...
აი აქ, სამადგილიანია, წინ ბაქანი რჩე-
ბა, მარჯვნივ მაგიდაც ჩაიდგმება, ხე ჩა-
ირგვება, ცოკოლი აქვს უკვე. ხედავთ...
კიბეა დასამთავრებელი, ცოტა ჩავარდ-
ნილი ადგილია, მაგრამ მიწა დაიყრება,
ადგილს ვერ დაიწუნებთ... ცოლი და-
ასაფლავა აქ სამხედრომ, მაიორმა, სხვა
ქალაქში გადაიყვანეს და გადაასვენოს
უნდა ამ დღეებში; რაც დამიჯდა, ის
მომეცითო, შეიძლება ცოტა მეტი მო-
ითხოვოს, მაგრამ ღირს. დღეს და ხვალ
შეიძლება ვერ წაასვენოს, თუმცა
თქვენ ხელი არ შეგეშლებათ, სხვის
ცოლთან დამარხვა ცოტა უხერხული
აა, მაგრამ ვინ რას გაიგებს, გულზე
არაფერი ადევს ჯერ; წაიყვანს მერე ის
სამხედრო, ხვალვე გავატან, თუ გინ-
დათ, ჯერ თქვენი ძმაკაცის ცოლი ამო-
იყვანეთ, ნახოს, იტოგში...
— სამხედრო?
— სამხედრო კი არა, ადგილი; სამ-
ხედროსთან თქვენ საქმე არ გეჩნებათ,
ნუ ეტყვი, აქ რომ სხვისი ცოლია,
შეიძლება იუკადრისოს, ნახოს ადგილი
და თუ ჭკუაში დაუჯდება, მოილაპარა-
კებთ, ეს დაიმახსოვრეთ და კიდევ
გაჩვენებთ რამდენიმეს... — კვლავ დაწი-
ნაურდა კარლო ამილახვარი, მოკლე და
სწრაფი ნაბიჯებით გავარდა, სქელ მუ-
ცელზე კოხტად შემოჭერილი ქამარი
გაისწორა, საათს დახედა და ჭიბეში შე-
ინახა კვლავ.

— იქ არავინ არ მარხია, — სამხედ-
როს ცოლის საფლავისაკენ გაიხედა
ბუხუმ.
— ცხადია. — თავი დაუქნია ბესომ.
— ადგილი არ არი ცუდი, ვაჩვენებ ნა-
თელას...
ამილახვარი ბრეკზე იდგა, ჩამორჩე-
ნილთ ელოდა, სიცხისაგან აღმოდებულ
სამფლობელს ათვალეობდა.
— იტოგში, ეგრეა... რაც თავისუფა-
ლია და რაც რიგისა და წესის მიხედ-
ვით ნაწილდება, ხედავთ, რაც არი და
სადაცაა, თუმცა პერსპექტივაში არც
ის ადგილები დაიწუნება, ბევრს ვერ
წამოკრავ ხელს... ისე, თუ კიდევ რაი-
მე უკეთესი გამოჩნდა შემთხვევით...
— ახლა ჩვენ ტყულა კი არ გვინდა...
— შეაწყვეტინა ბუხუმ.
— მაგაზე ლაპარაკი არ იყოს ჯერ,
ამოიყვანეთ მეუღლე...
— სამხედროსი?
— არა, კაცო, თქვენი ძმაკაცის, სამ-
ხედროსი იყოს ჯერ, რას გიშლით,
თქვენი ძმაკაცის მეუღლე ამოიყვანეთ,
ნახოს, იმან უნდა გადაწყვიტოს მინც,
შეიძლება ჩვენ სულ ტყულიად დავდი-
ვართ და ვლაპარაკობთ, თუ მოეწონე-
ბით, მივუშარხავთ სხვის ცოლს, დროე-
ბით, რასაკვირველია... — საათს დახე-
და და ამჯერად მაჯაზე გაიკეთა. ჰაერი
შეიყნოსა, სასადილოს კვამლის სუნი
შეამოწმა, დასტვინა და ვიღაც გამოე-
ხმაურა ბუჩქებიდან.
— ჩემ ადგილზე ხომ არავინ ზის?
— არა, ალბერტიჩ. — ჯაგრცხი-
ლებში ტაშტით წყალი ვადაღვარა თე-
თრხალათიანმა ბიჭმა.
— გაშალე აბა, სამნი ვიქნებით ჯერ-
ჯერობით...
— კარგი. — უპასუხა თეთრხალათი-
ანმა, ტაშტი გააფხოკილა და სასადი-
ლოს საჩხეში შეიმალა.
— სხვა?.. ბუხუთაჯან, საქმეები, ცო-
ლი, მოლი, შვილი, ვილი, არაფერი,
ხომ?
— არაფერი.
— ე, ეე!.. — ბესოს მიუხედა ამი-
ლახვარმა.



— თქვენთან ერთი ქალი მუშაობდა, კანის ავადმყოფობას არჩენდა... — საუბრის თემა გამოაცვლევინა ბუხუმ.

— ანუ? მუშაობდა კი, მებაღედ გვყავდა გაფორმებული, ეგზემას არჩენდა... შენ რა გჭირს?

— მე რომ მჭირს, იმნაირი უნდა, მაგრამ ეგზემა არ არის, ერთი სული მაქვს ახლა... ისე მექავება...

— ფეხები?

— არა...

— ბარძაყები?

— ზევით უფრო...

— გასაგებია... ანუ, ანუ, მისამართიც მიწერია საღდაც, გაგიგებ, იტოგში...

— შაქარზეც ეჭვობდნენ, შაქარი არ აღმოჩნდა; ვიწამლე, არ მეშველა, ერთი ქალი მიმასწავლეს ბოლოს, ბიოლოგია, შინაური წამლებით მკურნალობს, უეჭველად მოგარჩენო, მითხრა, მხოლოდ არ მოიფხანო. თუ არ მოვიფხანე, მე ვუთხარი, ქალბატონო, მოვრჩენილვარ და ეგ არი-მეთქი...

ისადილეს ჩეროში. მზე რომ გადაიხრებოდა, ქვევითაც აგრილდებოდა, ეგონათ და შეცდნენ; ზევით კი აგრილდა, მაგრამ ქვევით ცხელი და შეგუბებული ჰაერი შეეგებათ. ხურდა და იწვოდა ისევ ქალაქი. ლისის ტბის ქვედა დასახლების ერთ-ერთ ასახვევთან, კარფანჯრებდალებულ, პატარაეზოიან, კერძო სახლში, სადაც ჟორიას უფროსი ძმა, მეცხრე გასტრონომის დირექტორი ცხოვრობდა, სხვა გუნებაზე დამდგარიყვენ უკვე. ბესო საქმეს გაკეთებულად თვლიდა, დაგვიანებისათვის ბოდვების მოხდას აპირებდა მაინც, მაგრამ ქუთაისში გადაწვევით წასვენებაო, განუცხადა მოულოდნელად ნათელამ; ტვინი ვინ გადაუბრუნა, არ უთქვამს, თქვენობითაც (გადაწვევით) არ ულაპარაკია აქამდე.

ასეც ვიცოდით, თქვა ბუხუმ მოგვიანებით.

მეორე დღეს ძმები სასწრაფო დახმარების პირტიტველა, თუმცა არც მთლად ყმაწვილ მძღოლს მოურიგდ-

ნენ. მძღოლმა თავდაპირველად იმპერატორის მოითხოვა, ვიდრე ძმები ვარაუდობდნენ. ბევრი ივაჭრა გასტრონომის დირექტორმა და დააკლებინა. სამაგიეროდ, პირტიტველა მძღოლმა უთხრა, თუ გამაჩერეს, ერთი ადგილის მეშინია განსაკუთრებით, პასუხს თქვენ აგებთ და რასაც წამართმევენ, დამიმატებთო. შუაზე გაიყოთ წანართმევით, გასტრონომის დირექტორმა უთხრა, ასეა წესიო. მე კი არ მრჩება, ბიძა, ეს ფული მთლიანად, ჩემზე კარგად იცით ყველაფერი და რაზე მალაპარაკებო, გაციონა ნადრეგად დაჭკვიანებულ ბიჭს. მოურიგდნენ, როგორც იქნა და მიცვალებულიან მანქანას გაყენენ თავადვე, ქალებისათვის კი თვითმფრინავის ბილეთები შეუკვეთეს აღრევე. ნათელა, ნათელას და რძლები მანქანაში ჩასხა ბესომ და მოიღრუბლა კიდეც ქალაქგარეთ წვიმდა. აეროდრომზე კი კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა, ისეთი ნისლი იყო ჩამოწოლილი. ყვეთელი სინათლეები აენთათ მინდორზე და საფრენ ბილიკებზე. მისვლა-მოსვლის განრიგი დარღვეულიყო და ყველა თვითმფრინავი აგვიანებდა აფრენას და დაფრენას. გამცილებლები და დამხვდურები გროვდებოდნენ მგზავრებთან ერთად, ერთმანეთის მიყოლებით მოდიოდნენ კიდეც და ხალხით იჭედებოდა უზარმაზარი, მაგრამ ჩახუთული დარბაზი. მსუბუქი მანქანები აღარ ეტეოდნენ მათთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე. ავტონსპექტორები სტვენდნენ, ერთმანეთში შებურღულ მანქანებს ვეღარ აშორიშორებდნენ. ვაითუ ვერ გავფრინდეთ, რა გვეშველებაო, წუხდნენ ქალები. საათ, საათნახევარში, საათსა და ორმოც წუთში გავფრინდებითო — სხვადასხვანაირად აცხადებდა ადგილობრივი რადიო. ამ ლოდინში ჩამოლამდა კიდეც, უფრო ჩამოცხა და ჩამოიხუთა. მოგიკვდეს დედაო, ამოიხორა სახეზე უეცრად წამოხურებულმა ნათელამ, ქუთაისში დატოვებული ქალიშვილი გაახსენდა, შავი გამჭვირვალე ქსოვილის მისაცემელი ვაიძრო, სქელი, თეთრი, ჭო-



რელიანი მკლავები გამოუჩნდა. რაღა ეშველება აწი ამას, გაიფიქრა ბესო იაძემ, ქმარი აღარა ჰყავს, მეორედ აღარ გათხოვდება, სხვას არ მიიკარებს და რას უზამს ამოდენა ხორცს და ჰორმონებს?..

სახნისი აბრუნებდა ტყის პირას ყავისფერ, ნეშომპალაგარეულ მიწას. ძველთაძველი ოდა ჩანდა ფერდობზე. ბოსტანში მაჯის სიმხსო პრასი, ზაფრანა, შაშველავი, ჰილპილი, ქონდარი და კაკალი ქიჩი ხარობდა: გრივალჩამოცმულ სარებშუა ჩალაგებულ ხიმეს ღობიდან თვალი იმ ბოსტანზე უკეთეს ვერას ნახავდა. ახლად გაღვიძებული ფუტკარი დაბზუთოდა ღვიძლისწამალა ყვავილებში, სტრელი გაჭქონდათ კავით წიქარა ხარებს ტყის პირას.

სასწრაფო დახმარების მანქანა რბილად მიჰქროდა დაკეცილ შარაზე, შვეულმფრენის ჩრდილი მიყვებოდა და საგულშაგოსთან. სადაც ასე ეშინოდა გავლა პირტიტველა მძღოლს. ახალგაზრდა ავტონისპექტორი იდგა, დაბლა მფრინავ შვეულმფრენს მიჩერებოდა პირდაღებული, ერთი ეს გამაჩერებინა და არ მინდა არაფერიო, ნატრობდა და ნომერს იმასსოვრებდა. მოკრიალებულ, მოლაყვარდისფრებულ ცის ფერში ითქვიფებოდა ცისფერი ციფრები, ბრუნავდა ცა, წითელმიწა ფერდობები, სარზე მიგრებილი ვაზის ლერწები. სადაც წვიმდა, ხევში წყალი დიდდებოდა, რცხილის ქერქისფრად იმღვრებოდა, გადმოდიოდა კალაპოტიდან და ვალავანს ადგებოდა. ვალავანში შეგროვილი ხალხი წრიალებდა, ჩინჩხვარი მოაქვს წყალსო, იძახოდნენ. აი, ამიტომ ეძახდნენ ალბათ მონასტრის შემოვარენს საჩინჩხვარეს, ხევში ჩაკარგულ ღელეს — ჩინჩხვარწყალს. წყალი დიდდებოდა, იმღვრებოდა, ფიჩხი და ნეშო მიჰქონდა ყორისაკენ. გადმოვა ან არ გადმოვა ვალავანზეო, მარჩიელობდნენ საყდრის ეზოში. ღრუბელი კი ჩამოდიოდა, იჭინებოდა ჰაერი და ნეშომპალას სუნი დგებოდა. ქალღღებები ეჭირა იონას და მეპრასიძის ლექსებს უკი-

თხავდა წყლით გაჯირჯკულ ფსევდომეპრასიძის გვარიც პირველად არ ესმოდა თითქო; სტუდენტები, დააპორწიალებდნენ ხელნაწერად მის ლექსებს, თუ არ ცდებოდა. თაბახის შეყვითლებულ გვერდებს ჰორფლავდა ახლა წვიმა და რცხილის ხისფერი წყალი შხუოდა ვალავანგადაღმა გრანიტისფერ, უმზეო სინათლეში ორწიფობა ღამისა და დღის გასაყართან. თეთრი საყდრის სარკმლიდან შიშველი ფეხები იყო გამოშვერილი. რა აძინებსო ამ მოსავალ დელგამში, გაიფიქრა და მიცვალებული აღმოჩნდა. წვიმით დაწინწკლული ლექსები დაიფარა იონამ თავზე და რიყის, ხავსმოდებული ყორის გასწვრივ წავიდა; დაწინწკლებული მიდიოდნენ იმ მხარეზე უცნობები. მიცვალებულის ფეხებს ქვემოთ ზარბაზნის ლულა ჩანდა. ორი კაცი იყო ჩაცუცქული ზარბაზნთან. არ მესროლონ შეცდომითო; ფიქრობდა და თავდახრილი გადიოდა ცივი ლულის ქვეშ. არ ეშინოდა დენტის და ლალუმის, რადგან არ იყო ხმა. იყო გრანიტისებური სიჩუმე და უხმო ლაპარაკი. გამხდარი დედაბერი სველი, ჩამომწლელი კაბით იდგა მინდორზე. კომინტერნის ქუჩაზე ცხოვრობდა და მატყლს პენტავდა ზაფხულობით. „მოკვდა შენი ავზნიანი ქმარი?“ ფიქრი მოხვდა და ხმა არ ამოიღო სველმა მატყლიპენტამ. საყდარს უკან აივანი ჰქონდა ხის. აივანზე სუფრა იყო თურმე გაშლილი და ერთ ფაფანაკიან ბიჭს, რომელსაც ქალის ჭგუფურად გაუპატიურებაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, დიდი დოლი ედო მუხლებზე. სქელ კაცს რკინის ძაბრი ეხურა, არც აწვიმდა, არც ნახვრეტში ჩაუდიოდა წყალი. ისინდნენ ჩუმად უმზეო სინათლეში ეკლესიის ბოკონებზე შეყვენებულ დაბალ აივანზე, არ უკრავდნენ, უხმოდ, უპიროდ ლაპარაკობდნენ. ორწიფობის ხალხი აღარ ჩანდა, მექელენენი დარჩენილიყვენ. ჩინჩხვარისწყალი კი მატყულობდა, უფრო და უფრო რცხილისფერი ხდებოდა, ნეშო და ფიჩხი ემატებოდა. თავდაბრიანი სურთაყოლებულ



გალავნთან იდგა. უნაგისფერ ყორეს უსვამდა ხელს, უონავს თუ არაო, არკვევდა. ან გადმოვა, ან არაო, ამბობდნენ ფიქრით. მიჩერებოდნენ გალავანს, არც შიში ეტყობოდათ, არც სიხარული. გაეცილი ჯვალოს ტომრით თავდაბურული კაცი იქნევა ხელს. ანთებული ჭრაქი გამოიტანა ვილაკამ და აპარპალებულ სველ ალს ააფარა კოჭრიანი ხელისგული. თვალბდაკუსულ მდლოეს ჭრაქის შეეშინდა, შაოსან ქალებს გაერიდა, ჯვალოსტომრიანს, გაყვა, ზარბაზნის ცივი ლულის ქვეშ გაიარა. რა საჭირო იყო დამკვრელებიო, ხმაძალა იკითხა საჭესთან მჯდარმა ბუხუმ. შენ გაიგებ ამთსას, თვალეები მოისრისა ბესომ და მანქანიდან გახედა კონიდრიან იეზოს, აივანზე დამსხდარ მდლუდეუეებს შეავლო თვალი. სადილობდნენ, დოლი და სხვა ინსტრუმენტები ეწყოთ ცარიელ სკამებზე.

— შეძინა? — დამთქნარა ბესომ.

— კი, ჩემზე კარგად, — უთხრა ალიო ღვაბერიძემ.

— ჩავიდეთ, რალას ვუყურებთ.

— მე აქ გადავალ, აქვე, მოყვარესთან, ამგენსაც გადავიყვან. დავისვენებთ, გავიპარსებით და გადმოვალთ გასვენებისას... — უთხრა ჯონდიმ ბესოს.

დილით გამოემგზავრნენ თბილისიდან, არ აჩქარებულან და შინც ადრე ჩამოვიდნენ, თუმცა ბესო თევზის საყიდლად ხაშურში შეყოვნდა ბრაკონიერებთან. ბიჭები ჯონდის მოყვარესთან წავიდნენ, თავად საჭესთან გადაჯდა, მანქანა შეაყენა მეზობლისას, საბარგული გააღო და გადალურჯებული ციმორი გამოაჩინა. წვეგრგაუპარსავმა, ხანშიშესულმა ცქვიტმა კაცმა, ცალი თვალის უბე რომ ჰქონდა რატომღაც ჩაშაგებული, ბესო გადააკონა, თევზს დახედა, დაყნოსა, ძვირფასიაო, თქვა და, ბიჭივით, დაუძახა ვილაკას.

ჟორია იაძეს გარეუბანში, თითქმის ქალაქგარეთ, მწვანეყვავილაზე ჰქონდა მამის დანატოვარი და მისი მიშენებული-გაფართოებული კერძო, ეზოიანი სახლი. თქეში წვიმა წამოსულიყო ღამით

და მხოლოდ იმ დილით გადმოსულიყვნენ ცას. ნაჭერ-ნაჭერ, ნაფლეთ-ნაფლეთ მიკურავდნენ ღრუბლები რიონის ხეობისაკენ და მოკრიალებულ თავანს ტოვებდნენ. დიდი კაკლის ჯერ კიდევ სველ ფოთლებში ჩამოდიოდა მზე და ცვრიან კონიდარს აბრწყინებდა. წინადლით გაჭიმულ სეფასთან კეტიანი კაცი იდგა, თავისუფალი ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩადებული და თავბრუზენტს აწვევბოდა ქვემოდან კეტით, წინა ღამით დაგროვილ წყალს აძლევედა გზას. მეზობლისას მეორე სეფა იშლებოდა. უხმაუროდ, საქმიანად, თუმც საკმაოდ ხალისიანად მუშაობდნენ მეზობლები. სახლის უკან ცეცხლები ენთო და თორმეტი (დიდი და პატარა) ქვაბი იყო შემოდგმული სამფეხებზე.

გადაშუადლევედა და მოსამძიმრე ხალხიც გამოჩნდა. ნასადილევა დამკვრელებმა ღვინის დოჭები და ნახევრად სავსე ჭიქები მისწი-მოსწიეს. პირველი ჯგუფის გამოჩენაზე პირველი ჰანგი დაუჯრეს, ბურუსადენილ მწვანეყვავილას შემოგარენს დააფინეს ღლდეუეების ხმა. შთაგონებით, უფრო ნერვიულობით უკრავდა დოლს პირტიტველა ბიჭი. სად მინახავს, სად მინახავსო, ფიქრობდა ბესო იაძე. ავჭალის ბავშვთა კოლონიაში შევხვედრივარ, მაგრამ როდის, ვისთან ერთად? პირველ ჯგუფს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ხალხმა ინტენსიურად იწყო დენა. პირტიტველა მდლოლე დამშვიდდა, თუმცა დამაბულობისაგან ვერ განთავისუფლდა. შემოდიოდნენ და შემოდიოდნენ ეზოში. ხნიერი მამაკაცები ქულებს ღებდნენ კაკლის ქვეშ სუფრაგადაფარებულ ქვის მაგიდაზე, მოყვებოდნენ შავოსან დედაკაცებს და ღლდეუეების ხმაზე, დაბალ მოთქმაზე მიიკვლევედნენ გზას დარბაზისაკენ, სადაც ოთხივე კედლის გასწვრივ ჩამწყრივებულ სკამებზე გულზე ხლებდამწყვდეული დედაკაცები ისხდნენ, მიმსვლელ-მიმსვლელთ ათვალეირებდნენ, მოტირალთა ოსტატობას აფასებდნენ, თავიანთ მკედრებს იხსენებდნენ, წუხდნენ ღროდადრო. აივანზე დარჩე-

წილი ოჯახის ახლობელი ქალები (ვისაც თავი ამად მიაჩნდა) მოუტირებლად იხედებოდნენ დარბაზში, მეთაუბარის ხოვან ქირისუფალოთ აჩერდებოდნენ, იქნებ მოვახერხოთ რომელიმეს წამოყვანებაო. ნათელა სკამის საზურგეზე იყო მისვენებული, თავი, სალაროს სარკმელში რომ ენახა მხოლოდ ზოგიერთებს, გვერდზე ჰქონდა გადაგდებული, ტირილის თავიც არა მაქვსო, თითქოს. ნათესავი გოგონები უთვალთვალდებდნენ და გულის შეღონების (არ უღონდებოდა) უფლებას არ აძლევდნენ; ნიშადურის სპირტს აყნოსებდნენ შიგადაშიგ, ლოყაზე უტყაპუნებდნენ ხელს, ახლა უნდა იყო მარჯვედ და ყოჩაღადო, საყვედურობდნენ. არავის იმეამად ამ ქალზე მეტად არ ტკიოდა გული, მაგრამ არც ტირილი შეეძლო, არც სხვაწიერი თამაში ამდენი მაკტერალ-მაყურებლის თვალწინ. ნარგონაც არ ტიროდა და ვერც ტიროდა. მოწყენოდა რიარია და მოშვებული, ოდნავ გამოლენჩებული იჯდა. აღარ აინტერესებდა, ვინ მოდიოდა, როგორ მოდიოდა, ვინ კოცნიდა და ვინ მოტიროდა. დედამის მისი გასტუდენტება ახსენდებოდა, გულს სიამე ეფინებოდა ხანდახან, გლოვას ეთიშებოდა და, საღ იყო, აღარ ახსოვდა. ერთმა დედაკაცმა, შორებელმა ნათესავმა, კარებთან რომ გაიშალა თმა, მიატირა კიდევ, მოგილოცო თუ მოგი სამძიმრო, აღარ ვიცო, უბედური მამამისი მოსწრებოდა ამის სტუდბილეთს, რა მოხდებოდაო. ამის გაგონებაზე ნათელას მართლა წამოცვივდა ცრემლები და შეკრთა, ამდენხანს არ ტიროდა, ახლა რამ გადარიაო, იფიქრებნო და გადაადგო თავი იმწამსვე გვერდზე, თვალები დახუჭა და ნიშადურის მძაფრი და საძაგელი სუნი იგრძნო იმწამსვე, რა გეჩქარება, რატომ იკლავ თავს წინასწარ, ჯერ კაცი მიწისათვის არ მიგვიბარებიაო, გაუჯავრდა ნიშადურის სპირტიანი. სამძიმარმოლოეულ, გარეთ გამოსულ ხალხს სუფრებისაკენ ეპატივებოდნენ უკლებლივ, უპურმარილოდ არ ტოვებდნენ კაცს, ქალს, ბავშვებსაც

კი. ერთი სეფის ცალი კალთა აეწიათ და გარეთაც გამოეტანათ რამდენიმე მაგიდა. სეფაში მაინც ცხელოდა. დამბალ მიწას მსუბუქი ორთქლი ასდიოდა და გათელილ კოინდარში ჩადიოდა სკამისა და მაგიდის ფეხები. შედიოდნენ სეფებში, სვამდნენ, ჰვამდნენ; სიცხეში დიდხანს ვერ დგებოდნენ და აუცილებელი სადღეგრძელოების შემდეგ ვალმოხდილნი ტოვებდნენ იქაურობას, ლობესთან იდგნენ შემდეგ, ნაცნობ-მეგობრებთან ლაპარაკობდნენ და გამოსვენებამდე მიდიოდნენ ზოგიერთები შინ. შოფრები განაკვებდნენ იქ ყველაფერს და შოფრული წესრიგიც სუფევდა ყოველგან. საწყალ ქორიას რაღას გაუუკეთებთ მეტსო, აცხადებდა ერთი შეზარბოშებული მძლოლი. სახლის ყურეში, ხალხის თვალთაგან მოფარებულ ალაგას საგადასახურავო, ჰურ-ღვინით, სიის რვეულებით და ფულის ჩასალაგებელი ჩემოდნით გაწყობილი მაგიდა იდგა. დიდი გავალება ჰქონდა ქორიასო, ასეთი ხმა იყო დაარბეული და მართლაც ბევრს მოჰქონდა შემოსაწირავი. პატარა რიგიც დგებოდა დროდადრო მოფარებულში. მამაკაცები სიამში იხედებოდნენ, ვინ რამდენი მოიტანაო, აინტერესებდათ, საკუთარ შესაძლებლობას ცოლის შეხედულებას უფარებდნენ და ისე დებდნენ გადასახურავს. სუფრასთან კი სამი კაცი მორიგეობდა. ერთი ფულს ითვლიდა, მეორე გადამხდელის გვარს, სახელს და მამის სახელს წერდა მსხვილად და გარკვევით ცალხაზიან რვეულში. მესამე ამ პროცესს ადევნებდა თვალს, ღვინოს ასხამდა, დაილოცეთ, შესვით, მიირთვითო, იხვეწებოდა. გამოსვენების დრომ რომ მოაწია, სუფრები თითქმის დაცარიელდა, მისვლა-მოსვლა მიწყდა და ხალხი კიბესთან შეჯგროვდა. ქირისუფლების გამოყვანისას აირია იქაურობა, წივილ-კივილმა, ფეხების ბრაგაბრუგმა და სკამების ხრიკინმა გადაფარა მუსიკა. რამდენიმე ანერვიულებული კაცი მბრძანებლობდა ერთდროულად, არეულ-დარეულად; საქმე მაინც ჩვეულ-

ბისამებრ, წესისა და რიგის მიხედვით კეთდებოდა. გამოჰქონდათ ყვავილები, სურათები, ტელეგრაფები; კარ-ფანჯრებს გმანავდნენ, კუბო სამჯერ უნდა დაებრუნებინათ და, წალმა-უკულმა რომელიაო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ. შექეფიფიანებული მძლოლი, ეზოში რომ აქტიურობდა და ოთახში რომ ძალით შემოვიდა გამოსვენების დროს, პრავა (მართვის უფლება) თუ უღევს კოსტუმის ჯიბეში, უნახეთო, იძახდა ჩახლეჩილი ხმით; პრავა უნდა ჩავაყოლოთ აუცილებლად, ვინ იცის, რაში დაჰქირდებოა.

ფანჯრის მსხვერფეზე გაიღო ორთავ კარი ერთდროულად და ტირილსა და მუსიკაზე შავი შტიბლეტები წამოვიდა წინ. კიბეზე კუბო დააფერდეს და ბესომ შეხედა მიცვალებულს, რომელსაც აქამდე არიდებდა თვალს. ის იყო, ვინც გარდაიცვალა და ის აღარ იყო სწორედ. ლურჯი კვამლისფერი გადაჰკრავდა ნატანჯ სახეზე და შიშის ნიშანწყალი აღარ აჩნდა სამაგიეროდ. ჭიშკარზე რომ გადაიყვანეს, პროცესია გაჩერდა. აქ უნდა დავასვენოთ და გამოვეთხოვოთ, დაიძახა ვილკამ. არ არი ჩვენთან ამნაირი წესიო, იუარა ერთ-ერთმა თავკაცმა. ერთმა მძლოლმა, რომელსაც სტალინის სურათი ჰქონდა მუდამ ვაკრული მანქანაში, უნდა ვათამაშოთო, განაცხადა და მთავარი თავკაცისაგან ნებართვა მოითხოვა. ვერაფრით ვერ მიხვდა ბესო იაქე, ვინ უნდა ეთამაშებიანთ და რატომ. მოულოდნელად საცეკვაო დასცხო დასტამ. ახალგაზრდა მძლოლები შედგომოდნენ სასახლეს და თამაშს ვინდა დაეძებდა, ცეკვას უშირებდნენ მკვდარს აშკარად. შეძრწუნებული მოტრიალდა ბესო და ყბებდაბერილი მედუღუკეების წინ აღმოჩნდა. ქართული საცეკვაო ჰყიოდა მოწმენდილი ცის ქვეშ. თვალეზადმოკუსული ბიჭი, რომელიც ავჭალის ბავშვთა კოლონიაში ყავდა გაცნობილი, არაბუნებრივად გრძელ, გამხმარ თითებს უბრაგუნებდა დოლს; ჯგუფური გაუპატიურების მონაწილე შეშლილივით მიკე-

დომოდა ინსტრუმენტს და სხვებს ველარაფერს ამჩნევდა.

„ეს არის, ეს ვნახე მოზრდილთა შრომა-გასწორების კოლონიაში!“ ფიქრობდა ბესო და აცეკვებულ კუბოსკენ გახედვა არ უნდოდა. წელამდე ყვავილებით დაფარული, გალურჯებული სხეული გაუნძრევლად, გაუტოკებლად ტრიალებდა ხალხს ზემოთ და უხმარი შტიბლეტის ორი წვერი კრთოდა განდაგან. სიცოცხლეში არც ყვავილები უყვარდა, არც ცეკვა, მაგრამ იმჟამად ამას აღარ ჰქონდა ალბათ აღარავითარი მნიშვნელობა. ტრიალებდა ხალხის თავზე ყავისფერი ჭურჭელი, ბრუნავდა გალურჯებული სხეული, რომლის სახეს არც ცეკვის რიტმის კვალი აჩნდა, არც გიჟური მუსიკის სიხარული.

მუსიკა მოულოდნელად შეწყდა და კუბოც გაჩერდა. ბესო იაქემ თავისიანებს დაუწყო ძებნა თვალდათვალ. ჯერ დაინახა ძმაკაცები, რომლებიც შორიახლო მოყვებოდნენ თურმე, მერე შავოსან დედაკაცებში გარეულ ცოლს მოპკრა თვალი, ზღვაზე მხარამკლავებგაშავებული ქალოშვილი გოგონებთან შეამჩნია, ბეჭებში მოხრილი ვაჟი ბიჭებთან გალანდა. ჯიბეში ცალხელჩაყოფილი მოდიოდა და ჩუმად იცინოდა. „რა მობლუნკული სიარული იცის ამ ვირიშვილმა!“ გაიფიქრა და საკუთარ ასაბიას დაელოდა. როგორი პატივანცემი ვარჟორიასაგან, რომ იცოდეთ, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ წამოიწყო ჯონდომ. სამი თვე შემინახა, ჯარს რომ ვემალებოდი, მაშინო.

— რას ლაპარაკობ, ჟორია კაცი იყო კაცური! — წამოიძახა დეაბერიძემ ყველას გასავგონად.

— არ იცნობდა... — უჩურჩულა ბუხუმ გოვენს და დეაბერიძეს მიაჩერდა უღარესად სერიოზულად.

— რაო, რა გითხრა? — გოვენს გადახედა ალიომ.

— არაფერი.

— ვითომ?! —

— იჯექით სუფრაზე? — იკითხა ბესომ. პირი ჰქონდა გამშრალი და ხმის

ამოღება გაუჭირდა, რამდენჯერმე ჩაიხინინა, ნერწყვი მოიყვანა ძალით.

— კი, როგორ არა, ვისხედით, როგორ არ ვისხედით! — ყველას მაგივრად უპასუხა ღვაბერიძემ.

— არაფერი გეტყობათ.

— აბა ახლა, შე კი კაცო...

სულ განაკიდეს, ფლატეს პირას, ზედ კბოდებზე ეშოვათ სამარის ადგილი. ქვევით დიდი ჭალა, წინ წყალწითელას ხეობა, ხუთი მთა-ყორღანი, ელიფსში ჩახატული ძველი ქვის ხიდი, კორქვიანი ფერდობი და ლიანდაგები ჩანდა. რამდენიმე საკირე ბოლავდა ერთდროულად და რძისფერ ბოლში ერთოდა გოდოგანი, წყალწითელა, ჭახათა, საფიჩხია, მოუშორებელი მოგონება და გაუნელებელი წუხილი. საფიჩხიის იქით იყო მწვანეყვავილა, რიონი, ებრაელთა ორი სალოცავი. ბართლომემ მითხრა, ერთი კარგი კოსტუმი მაყიდინე, შენ იცნობ აქაურობას და ხელზე შემამძინეო, კარგი იყოს და ფასს არ დავეძებო. კი, ბატონო, არ დაგზარდებით-მეთქი. მეორე დღეს ავტობუსით ავედი თეატრიდან მეორე სალოცავამდე. ხუთი ქალი, გადამღები გჯგუფის ხუთი წვერი გვახლდა და, როგორც გამოირკვა, კონა ქვარიაიცი იქ ყოფილა დაბარებული. დავინახე და მივხვდი, ზედმეტი ვიყავი. კონა თუ შეასახელეთ, ჩემი სამსახური რაღად გინდოდათ-მეთქი, დავაპირე თქმა და თავი შევიკავე, გაჩუმება ვამჯობინე. კონა კი რამდენჯერმე გაილანდა და გაჭრა იმ არემარეში. ცოტა ხანში კი პირმრგვალი, წითელთმიანი, სახეზე ფერისმკამელბმოდებული კაცი მოიყვანა. წითელთმიანმა ავტობუსში შემოაგდო გაზეთში შეხვეული კოსტიუმი და, გაიზომეო, უთხრა ბართლომეს.

— პატარაა ეს...

— ნახე ჯერ, შე კი კაცო!

— რომ არ მომეწონოს, ბატონო! — გაიცინა ბართლომემ.

— დარჩენილხარ მაშინ უკოსტუმოდ! — უთხრა წითელთმიანმა.

ბართლომემ ამაზეც გაიცინა და კოსტიუმს გაზეთი შემოაცალა.

— პატარაა, ბატონო, არ ჩამეტევა...

— შენ ტანზეა გამოჭრილი... — წითელთმიანმა კიბეზე შემოდგა ფეხი, სიგარეტი ამოიღო, მოუყიდა, გააბოლა, ქსიტინი და პურჭყება დაიწყო.

ძლივს გაიმართა წარმოსადგეი ბართლომე ავტობუსში, პიჯაკი გაშალა, ერთხელ კიდევ შეათვალეირა სინათლეში, პატარააო, ჩაილაპარაკა, ჟილეტთან ერთად ჩაიცვა და მოირგო საკუთარი ტყავივით. მაინც პატარა ეჩვენა.

— თქვენ ტანზეა, ბატონო ბართლომე, გამოჭრილი. — უთხრა ერთმა ქალმა.

— პატარაა ხომ?

— ცოტა დიდია, მაგრამ ახლა ასე უნდა, ძალიან კარგია... — მარჯვენა ჯიბის ქუდი გაუსწორა კოსტიუმების მხატვარმა რუსუდან ბექაიამ.

— პატარაა, მე მგონი.

— ა, ეს შარვალი, გაიხადე და ესეც გაიზომე! — ურჩია გამყიდველმა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო!

— სუფთა ინგლისური შალია, ბოლო ჩამოსხმა... — მოკლედ დაახასიათა საქონელი წითელთმიანმა და სამას ორმოცდაათი მანეთი მოითხოვა. ბართლომემ გაიცინა, პიჯაკი და ჟილეტი გაიხადა, დაკეცა და წინა სკამზე დატოვებულ შარვალს დაადო. ნამდვილი ფასი გვითხარო, შეუწყრა გამყიდველს კონა. იგი ტროტუარზე იდგა და ავტობუსის ღია კარიდან, ჩამოწეული ფანჯრიდან შესცქეროდა ამ სცენას. ნამდვილი ფასიაო, ყველაფერი ამოიწყვიტა წითელთმიანმა, მაგრამ შენი ხათრით (კონას უთხრა) ორმოცდაათ მანეთს დავაკლებო. თუ არ გეძვირებათ, ბატონო ბართლომე, უკეთეს კოსტიუმს ვერ იშოვნითო, უჩუბრულეს ქალებმა. კონამაც იგივე გაიმეორა. ძვირიაო, მაინც შეყოყმანდა ბართლომე.

— ძვირი არი, კი, ძვირი ნამდვილ-

რაზო ზეიზვილი
მიომხა სიფონია

ად არი... — ჩაილაპარაკა კოსტიუმების მხატვარმა.

— ბოლო ფასი უთხარი! — კატეგორიულად მოითხოვა კონამ.

— ბოლოა, კონას ვენაცვალე, მაგრამ მე ვიზარალე, ორას ორმოცდაათი მანეთი მომცეს და ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს.

— არა მაქვს მაგდენი...

— რამდენი გაქვს, იქნებ მოვრიგდეთ! — შენობით ელაპარაკებოდა, უხერხულობას არ ვაძნობდა, დანარჩენებს რომ ეს ცალფა ნაცვალსახელი ყურს ჭრიდა, იმასაც ვერ ხედებოდა.

— ძვირია.

— არ ღირს?

— ღირს, მაგრამ ჩემთვის ძვირია...

— ორას ორმოცი მანეთი მომეცი, გამიწყდეს ცოლ-შვილი, არ გამოთენდეს შაბათი, ყველა კბილი ამტკივდეს, თუ ოცი მანეთის მეტი მრჩებოდეს... სიფთაა და არ დავეძებ, უფროსი კაცი ხარ, თანაც ჩათქმული მაქვს გაყიდვა...

— ძვირია.

გაჩუმდნენ. გამყიდველმა ბევრი დათმო და უკვე კონასაც წაუხდა ნირი. წითელთმიანი ვაჭრობაზე არ ამბობდა უარს, მაგრამ დაკლებას აღარ აპირებდა და, აწი თუ რამეს წაართმევდი, თორემ თავისი ნებით აღარაფერს დათმობდა.

— არ მოგწონს?

— მომწონს, ბატონო, კი.

— აბა რას მამძლე, შენი სიტყვა მითხარი!

— მე, ბატონო, ფული არა მაქვს... „ღამხვრიტა!“

ამჯერზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ხმის ამოღების სურვილიც აღარ გასჩენია არავის.

წითური კაცი კვლავ ავტობუსის კიბეზე იდგა და თვალის დაუხამხამებლად მიჩერებოდა ბართლომეს: ბართლომე წინ იყურებოდა, საჭესთან გატრუნული მძღოლის თავზემით ქვის ყორეებს. ტერასებად შეფენილ ყავისფერსახურავებიან სახლებს და ლელვის ხეებს ხედავდა.

— რა ბრძანეთ თქვენ? — შეღმტყალთავაზიანი გახდა ამჯერზე.

— ფული არა მაქვს.

— ვინ წაგართვა!

კონა კრასნოდარის მხარეში წავიდა ამის შემდეგ და წვენების ქარხანაში ჩაყარა დანაზოვი და მამის დანატოვარი ფული; ბართლომე იმავე წელს გარდაიცვალა და ძველი კოსტიუმით დაკრძალეს. საიდან მიეპარა სიკვდილი ასეთ ფრთხილ და წინდახედულ კაცს, ვერ გავიგე; სიკვდილი როგორ გადაიტანა, შოშით მანამდე გული რატომ არ გაუსკდა, ღღემდე ვერ გამირკვევია. კონა ქვარიანი მეორე წელსვე ჩავარდა ხილკენკროვანი წვენების გახმაურებულ საქმეზე; დაიხსნა თავი, მაგრამ კინალამ გაკოტრდაო. მომჯობინდა და ისევ დასაჭერი შეიქნა, ამასობაში კი გული აიყარა ყველაფერზე. ცოდვების მონანიებას შეუდგაო. ქალაქში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი გაიხსნა იმ პერიოდში. საფიჩხიის სასაფლაოზე დაკრძალული ბართლომეს გადმოსვენებაც დააპირეს, დაადგინეს და საქმე ადგილიდან ვერ დაძრესო. ჩასვენენს ყორია შხის ჩასვლამდე გრილ სამარეში, გაიყვანეს გულშეღონებული ჭირისუფლები, ამოავსეს სამარე ნედლი მიწით, დააყარეს ბორცვს უზღვევი ყვავილები. დააყარეს და დაიშალნენ. არ უყვარდაო ყვავილები, შენიშნა ეილაკამ. ცეკვაც არ უყვარდა, მაგრამ რა გამოვიდა.

ღვაბერიძემ ბესოს გაუყარა მკლავში ხელი, ბაჯბაჯით გადაუხვია ბილიკზე, დაგეწვეითო, დაუძახა დანარჩენებს, კისერმოღრეცილნი რომ იხედებოდნენ.

— სად მივდივართ? — უყურადღებოდ იკითხა აფორიაქებულმა, თვალდასიებულმა ბესო იაძემ.

— დედაჩემის საფლავი უნდა გაჩვენო.

— დედა აქ მარხია?

— მე ხომ აქა ვარ დაბადებული...

— თქვა და თვალები აუბრჭყვიანდა,

მოწონებას და თანაგრძნობას დაელო-
და.

— რას ამბობ! — ჩაილაპარაკა ბე-
სომ.

გაუჭირდა, მაგრამ მიაგნო დედის მო-
უვლელ საფლავს. შავად შეღებულ რკი-
ნის მესერს უნაგი, შემოკავებულ ადგ-
ილს კი უალტამი, ბაბუაწვერა, ნარშა-
ვა მოდებოდა. საფლავის ლოდი ჩაზნე-
ქილი, თავლოდი, რომელშიაც ფოტო-
სურათი იყო ჩასმული, გვერდზე ვადა-
ხრილი იყო. ეს არის დედაჩემი, თქვა
რკინის მესერზე მკლავებჩამომხობილ-
მა ღვაბერიძემ და მოლიმარი ქალის
ფოტოსურათს დააჩერდა.

— ხომ ლამაზია? ლამაზი იყო დე-
დაჩემი. როგორც შენ არ გინახავს, ისე
არ მინახავს მეც, მაგრამ ვადმოცემით
და სურათების მიხედვით ვლაპარაკობ...
ჩემს მშობიარობას ვადაყვა. შეიდი თვის
ფეხმძიმედაა ჩემზე ამ სურათში. მეც
ემარხივარ ახლა დედაჩემთან ერთად?

— შენ აქა ხარ.

— აქაცა ვარ და იქაც. როგორც და-
ბადება არ მახსოვს, ისე დედა არ მახ-
სოვს... წამიყვანეს თბილისში და მას
შემდეგ, ესე იგი დაბადებიდან, წავიდა
ჩემი საქმე უკულმა... — ღვაბერიძე ტი-
როდა, დაუფარავად იმშრალებდა ცრე-
მლებს ცხვირსახოციტ; აქაცა ვარ და
იქაცა ვარო, იმეორებდა; აქ რომ ვარ,
რას ვაკეთებ, დედაჩემთან ერთად დავ-
მარხულიყავი, აჯობებდა, ვერც მოსე-
ლას გავიგებდი, ვერც წვალებას, ვერც
წასვლასო. რაც ვადავიტანე, კაცმა არ
იცის, ვადასატანი კიდევ წინა მაქვსო.
არაფერი არ გჭირს საამისოო, გზაში უმ-
ტკიცებდა ბესო იაძე, უნდა ვახდე, წო-
ნა უნდა დაიკლო, მოიკრიბე როგორმე
ნებისყოფა, ვახდი, ივარჯიშე, დაიწყე
მუშაობა და კარგად შეიქნებიო.

— მეტი არაა ჩემი მტერი, — ცხვი-
რსახოცი შეინახა ჯიბეში. — ვახსოვს,
პირველად, ფაქტიურად მეორედ რომ
ჩამოვედი აქ ჩემებით, კიტელით, გი-
ტარით, იმედებით... სამოცდაშვიდი კი-
ლო ვიყავი სულ, ჩემი მეგონა ქვეყანა,

ჯონდი მაშინ გავიცანი... რა ბიჭი იყო
ჯონდი, ვახსოვს?... ბუხუიამ და გოვენი-
იმ, ეგერ დგანან, რა იციან, ჩვენ აქ რა
დრო გვიტარებია!.. უთხარი იმათ, გა-
ფიცებ ყველაფერს, როგორი ბიჭი ვი-
ყავი!

ჯონდი, გოვენი და ბუხუ სასაფლაოს
ტიშკართან იცდიდნენ მართლაც. მზე
ვადასულიყო, მიწას ჩრდილი ეფინა და
მაინც ცხელოდა. ჯონდი თავწახრილი
იღვა ელექტრონის ბოძთან, თეთრი ტი-
ლოს ქუდი ეჭირა ხელში, ზოლებიანი
ცხვირსახოცი ჰქონდა თეთრი პერანგის
საყელოში ჩაკეცილი და ბესომ სარზე
აღვირჩამოგდებულ ჯიშთან ცხენს მია-
მგვანა შორიდან. უთხარი ამათ რაზე
გვქონდა ლაპარაკიო, დაიფინა ღვაბე-
რიძემ, თვალები უბრჭყვიალებდა, ნიშ-
ნის მოგებით ათვალეირებდა ამხანაგ-
ებს, ახლა ნახეთ, რა კარგ რამეს გაი-
გონებთო. არ მოეშვა და მოყვა: ვადაწ-
კეპილი ჩამოვიდა ოცდაათი წლის წინ
ამ ქალაქშიო, ქვევით უძიროები, ზე-
ვით ფრენჩი ეცვა...

— თანაც არ დაგავიწყდეთ, აქ ვარ
დაბადებულო!

— ...ცალ ჯიბეში გიტარის ვასალები
ელდო, ცალ ჯიბეში გიტარის სიმები; ფუ-
ლი არ უწყაოდა და ეგ იყო...

— რად მინდოდა ფული, ფიანდაზად
მეგებოდა მთელი ქუთაისი... სამოცდა-
შვიდი კილო ვიყავი, წარმოიდგენთ ახ-
ლა ამას!... მითხარით, წარმოიდგენთ?!
ქაში ნარახუნებ ვედროს გევხარო, ამ-
ან მითხრა...

— მე ვითხარი?!

— მითხარი, მაგრამ არ მეწყინია, მარ-
თალი მითხარი და იმიტომ. შენ-
გან არაფერი არ მეწყინება ისედა-
ც. ჯონდი ფადავამ რომ მითხრას, მე
ემოციური კაცი ვარ და არ გაგიკვირ-
დეთ, რომ მითხრას, ვადახტით, აქ არაა
ვადასახტომი, ვადახტები. ვადავარდიო
კლდიდანო, ვადავარდები. სახლში არ
მიხვიდეთ, არ მივალ, მაინც არ იციან,
სადა ვარ წამოსული. მე შენ გეტყვი,
ძებნას დამიწყებენ, ან რომ რამე დამე-
მართოს, ცოლი დამიტირებს...

— ისე აშენდი შენი!

— რას ლაპარაკობ, კაცო, გეუბნებ-
ით ასეა... ისე ავად კი დავტოვე ცოლი,
მართალი გითხრათ...

— როგორაა მერე?

— რა ვიცი. ის დამხვდებოდეს მკვლა-
რი და გასვენებული და არ მინდა მე-
ტი არაფერი, რა გაცინებთ, აბა სადა
მაქვს პანაშვიდებზე დგომის თავი, შე-
ხედეთ, რას მიგავს ფეხები, საკუთარ
თავს ველარ ვზიდულობ, სხვას კი არა.
რა არი, ბიჭო, ცოლი. ცოლი, ბიჭო...
მე პირადად ძმაკაცებით მიდგია სული,
ჯონდის შემოველოს ჩემი თავი, კაცი
მოკალიო, რომ მითხრას, ვეჭილი კა-
ცი ამას რავე გეტყვის, მაგრამ მაინც,
რომ მითხრას, მოკალიო, მოვკლავ, აბა,
მეტი რაში გამოვადგები ან მაგას, ან
თქვენ, ან სხვას. ხორცი არ იჭმება ჩემი
და ტყავი არ ვარგა!

დროს ნულარ ვკარგავთ, კონა გვე-
ლოდებ, უხერხულიაო, გააწყვეტინა
ჯონდომ.

— აბა კონა? — სულისმოუთქმელ-
ად მიაყოლა სიტყვას შეკითხვა.

— ქვარიანი.

— კონა ქვარიანი... — ჩაფიქრდა
მცირე ხნით. — კარგი ბიჭი, ძმა ჩვენი!
გოვენმა ბუხუს ვადახედა მალულად.
ბუხუმ სიცილი ვერ შეიკავა და ბოძს
მოეფარა.

— ვაი თქვენ!.. — ხელის მტევანი
ათამაშა ღვაბერიძემ.

— მივდივართ თუ არა?!

მე ოჯახში უნდა მივბრუნდე, ვალდე-
ბული ვარო, შეყოყმანდა ბესო. ერთი
საათი ვაგჩერდებით და ყველანი ერთ-
ად ჩამოვბრუნდებითო, შეაგულიანა ჯო-
ნდომ.

— ყორიას სულის სახსენებელი სუ-
ფრა აქვს თურმე გაშლილი ჩვენთვის,
თვითონ ხალხში ვერ ჩნდება, იმალება
და ვცეთ პატივი. მერე ჩვენ წამოგყვე-
ბით უკანვე. შენზე ვინ რა უნდა თქვას,
გადაყვივი იმ საწყალ ყორიას, მარტო
ორჯერ პანაშვიდზე ჩამოხვედი თბილი-
სიდან...

მართალს ამბობდა ჯონდი და ბესო

მაინც ფეხს ითრევდა: რალაც გასაკე-
თებელი რჩებოდა და თანაც არაფერი
აკავებდა თითქოს. ცოლი ნათესავებთ-
ან ერთად მიემგზავრებოდა თბილისში,
ბილეთი ჰქონდა, თანამგზავრი და გამ-
ცილებელი არ აკლდა. შვილებმა კი გა-
სვენებასაც აღარ დაუცადეს, გაგრისა-
კენ აიღეს გეზი კარგა ხნის წინ მანქა-
ნით. ერთ საათში უკან დამბრუნებლ-
ებს არ ვგავართ, მაგრამ დავრეკავ ან
რალაცას მოვიმიზეზებო, გაიფიქრა და
გაბაშვილების გორაზე წავიდა.

კონა ქვარიანს რესტორნის კუბეში
ჰქონდა სუფრა გაწყობილი და აივენ-
გო მიქაძესთან ერთად ელოდა მოწვე-
ულ სტუმრებს. სხვა მეტი მართლაც
არავინ ყოლია დაპატიყებული. წვერ-
მოშვებულ კაცს მოთეთრო კოსტიუმი
ეცვა და მსხვილი ჯოხი ეჭირა ხელში.
არ კოჭლობდა, მაგრამ ჯოხზე დაბჯე-
ნილი (დადიოდა უბებებშიშუპებელი,
თხელი ტანის, წვერულვაშიანი, თითქ-
მის პირწმინდად გამელოტებული კა-
ცი; სულ აღარ ჰგავდა იმ ძველ კონას,
კოსტიუმის საყიდლად სალოცავსა და
სალოცავსშუა რომ დაყვებოდა რეჟის-
ორ ბართლომე ბიბილეიშვილს. მართა-
ლია, პანტის დანაკლისის გამო იყო
გადმოვარდნილი, მაგრამ მისი ინკოგ-
ნიტობა, აღნაგობა, ჩაცმულობა და
ხმის დაბალი, გასაიდუმლოებული ტე-
მბრი ძალაუნებურად პატივისცემას და
რალაცნაირ მოკრძალებასაც იმსახურე-
ბდა. ნახევრად ბნელ კუბეში ფეხისცე-
რებზე შემოდის და მომტანი, რალაც-
რალაცებს ამატებდა საესე სუფრას და
კონა ქვარიანს კი ბატონოს ეძახდა ყვე-
ლაფერზე. ხალათი არ ეცვა და მუშტა-
რით გამოწყობილი ფინაგენტს უფრო
ჩამოგავდა, ვიდრე ოფიციატს.

ცალი ხელით ჯოხზე დაბჯენილი კო-
ნა უღალ წვერზე ისვამდა მეორე ხელს
და რალაცას აყურადებდა; დაჯდომას არ
აპირებდა, ფრთხილობდა, მოსალოდნე-
ლი თავდასხმის ეშინოდა თითქოს. პა-
ნტის დანაკლისზე გადმოხვეწილი სასუ-
ლიერო სემინარიის რექტორს თუ მესა-
მედასელთა რომელიღაც სრულუფლე-

ბიან წევრს ჰგავდა. ღვინო აივენგოს ამოვატანინე მარნიდანო, აღნიშნა ადრევე. პანტას შეწირული კაცი თუ ასე ფრთხილობდა, რაღას აგზავნიდა ღვინოზე აივენგოს, უნდოდ, უხმოდ რომ ათვალიერებდა სტუმრებს და უმიზეზოდ იქნევდა თავს ჩერჩერობით. გინდა აივენგოს ცოდნოდა, გინდა მთელ ქალაქს კონას აქ ყოფნა; ახლა არ იღებდა ხმას, თორემ ამ ახალგაზრდა კაცს ცოტა ენატანას და ყბედის სახელიც კი ჰქონდა გაგდებული. სხვაფრთი გულკეთილი და გამოსადეგი კაციაო, ამბობდნენ. სიკეთე ნაკლს აბათილებს ხანდახან, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ ქეშმარიტებას ვერ გამოიყენებდი, თუ ის ყველაფერი (რასაც მასზე ამბობდნენ) მართალი იყო.

კონამ თამადად ჯონდი დაასახელა, კი არ დაასახელა, დანიშნა და თავის უპირატესობას (ხარჯი მისი იყო) გაუსვა ხაზი, თორემ ჯონდი ფაღავას თანდასწრებით სუფრის ხელმძღვანელობას იგი მაინც ვერ გაბედავდა. პირველი, სათამადაო ჭიქა რომ დაცალა, მომტანს დაუძახა, ყორიას სურათი და სანთლები შემოატანინა. ბუჭერში, სახატეს რომ ჰგავდა, მიაყუდეს გადიდებული სურათი და სანთლები აუწითეს. ბზის დამქვენარი რტო და წკირები იქვე, ნამწვავ სანთლებთან ეყარა. ცხადად ჩანდა, მუშტრების სურვილისდა მიხედვით იცვლებოდა ხოლმე სახატეში ექსპოზიცია.

მოუთრიდებლად შემოვიდა გამხდარი, წელში ჰგადმყოფურად გამართული, სახენაყავილარი კაცი. მობრძანდი, ყუტუ, მობრძანდი, დაუძახეს კონამ და ჯონდიმ, ფეხზეც წამოუდგნენ. ჯონდიმ ადრევე, ეზოში გადაკოცნა ის კაცი და დანარჩენებს ყუტუ ჩანადირად გააცნო. ბესოს მოქეიფე ეგონა და რესტორნის დირექტორი აღმოჩნდა. ვერ დავჯდები, არ მკალიაო, თქვა ყუტუ ჩანადირმა, დალოცვით დაგლოცავთო, პატარა ჭიქა ასწია და საზაფხულო კოსტიუმის სახელოდან ტუშით დასვირინებული მაჯა გამოუჩნდა. დილოცა, შესვა, მომტანს, ფინაგენტს რომ გავდა,

დაუძახა, შენიშვნა მისცა, ვენტილატორის მოტანა უბრძანა და თბილისში კიდევ უფრო ცხელო, თქვა, დღეს ჩამოვედი სწორედ იქიდანო.

— გოგო აბარებდა ყუტუსი... — შენიშვნა კონამ.

— ვაბარებდით, კი, მართალი ბრძანა ბატონმა კონამ. — ბესოსკენ იხედებოდა რატომღაც. — ქართულ წერაშივე ჩაიჭრა... მეხმარებოდნენ, მაგრამ წერა ძნელია, მოგვხსენებთ. ვანიჩქა ბუხაიძე, გაგივიათ ალბათ, მიცნობს, პატივს მცემს შესაფერისად, მაგრამ ვერ მივალწე იქამდე, ვერ ვიყავი საამისოდ მომზადებული. ერთად დავამთავრეთ საშუალო სკოლა მე და ვანიჩქამ, ერთად ვაბარებდით უმაღლესში, ის მოეწყო, მე უვადო მივლინებით გამაგზავნეს ცივ მხარეში, თუმცა ჩვენს ურთიერთობაში, პატივისცემის თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილა ალბათ, ჩემი მიხვედრილობით. არ იღებს, ამბობენ, სწორიკაა: არ აიღებს, დარწმუნებული ვარ, მაგრამ არსებობს არაღების საწინააღმდეგო ზერხები, ბატონო ბესო, პატივისცემის სხვა ფორმებიც არსებობს. სხვათა შორის, მოუმზადებელი ბავშვი არ წამიყვანია, არც საკუთარი თავისათვის, არც სხვისათვის არ მიკადრებია ამნაირი რამ. შარშან ქულა დააკლდა, ჩემო ბატონო. არც იყო სათანადოდ მზად და გულიც არ დამწყვეტია. წელს არ ველოდი, მართალი ვითხრათ. ჩემი ბრალიცაა, ვერ შევეუწყე ბავშვს ხელი სათანადოდ. ბავშვია სულ, პატივცემულო ბესო. სკოლაშიც აღრე შევიყვანეთ, იყოს კიდევ, იმეცადინოს, ჯარში არავინ ეძახის მაინც, მუშაობას ჩვენ არ ვთხოვთ და იმეცადინოს, რა საქმე აქვს მეტი. ისე მაინც, ბატონო ბესო, თემა შეხვდა უცნაური, — შუშანიკის წამებაო, მე იმის დამწერის დედა... კონა, არ მოგერიდოთ, თუ რამე დაგვირდეთ, დამიძახეთ, მეც შემოგაკითხავთ, აბა, დროებით უკაცრავად, ბატონო ბესო!

ფაქტიურად შენი გულისათვის გაშალა კონამ სუფრათ, უთხრა ადრევე

ბესოს ჯონდომ, მაგრამ არ აღმოჩნდა მართალი. კონა ყურადღებას არ აკლებდა, მოწინებითაც ეპყრობოდა ზოგჯერ და ჯონდის უფრო მეტ პატივს სცემდა, ვიდრე ბესოს და დანარჩენებს ერთდროულად. ჯონდის ღვინო ადრე მოეკიდა, სამაგიეროდ ადრევე გამოიკვეთა მისი ძალაუფლება. სუფრა აიყვანა, სუფრის წევრები თავისი განწყობილების ქვეშ მოაქცია და აივენგო კინალამ გადარია, სიცილით კინალამ გაგულდა ყმაწვილი კაცი. ღვაბერიძემ პარტნიორი ვერ გამოძებნა, სიმღერა ვერ ააწყო და გიტარა მოითხოვა. გიტარა არ აღმოჩნდა და კონას გამოძახებული მედულუკეებიც არ მოვიდნენ. არცაა საჭიროო, თქვა ჯონდომ, უნერხულიცაა, მე თუ მკითხავთო, და ახალი სადღეგრძელო წამოიწყო, ვინც ჰირის ღღეზე სხვადასხვა მიზეზით ჩამოსვლა ვერ მოახერხა, უნდოდა და ვერ შეძლო, მაგრამ გულით დაიტირა უორია, ყველას გაუმარჯოს დაღუპული მეგობრების ჩათვლითო და ოთხკედელში გამომწყვდეული ხალხიც გაიხსენა. ალიო ღვაბერიძემ ცეზარ კვირტაძე ახსენა სრულიად უსაფუძვლოდ. წაუყრუეს და კიდევ გაიმეორა. ცნობილი ჭურდის ძმაკაცობა დაიჩემა რატომღაც. ცეზარ კვირტაძე, უთხრა კონამ ხმადაბლა, მაიმუნო იყო და მაიმუნად დარჩაო. ამის შემდეგ კვირტაძის ხსენება არ ყოფილა. სამაგიეროდ, ფრიად სერიოზული საუბარი აეწყო და ყველასათვის მოულოდნელად კონა ქვარიანმა ილია ჭავჭავაძეს გაქრა კბილი. ეგრეც არ არი, მჩაბელს სიცოცხლე გაუმწარა და გლეხებს სასმელი წყალი წაართვაო, ერთი თხისკენ უნდა თქვა, მეორე მგლისკენაცო. ამაზე შეკამათდნენ და სუფრა კინალამ აირია. აივენგოს (ამნაირი რამ პირველად ესმოდა) და ბესო იაძეს არ ამოუღიით მხოლოდ ხმა, თუმცა კონას, შეეტყო, სწორედ ბესო იაძის აზრი აინტერესებდა სხვაზე მეტად. ბესომ კი პასუხის ვაცემა, მით უმეტეს, დავა, საჭიროდ არ ჩათვალა და კონას გამოწვევაც უყურადღებოდ დატოვა, რამაც

თავისთავად დამსწრე საზოგადოებრივ ერთგვარი უქმყოფილება კი გამოიწვიო.

წმინდანის სახელი — ლუარსაბი გაათახსირა, სხვას რომ თავი დავანებოთ, დიდებულ მეფე ლუარსაბს ლაფი მოსცხო ამითო, ქართველები ბავშვებს ლუარსაბს აღარ არქმევენ. ამ სახელის ხსენება არ უნდათო, თქვა კონამ, უნერხული სიჩუმე რომ ჩამოვარდა, მას შემდეგ.

„ელაპარაკე ახლა ამას!“ — გაიფიქრა უკვე გვარიანად გოცებულმა და შეფიქრიანებულმა ბესომ.

ველარ გაიხსენა, როდის, საიდან მიადგნენ ხელახლა სასაფლაოს ჰიშკარს. გვიანი დამე უნდა ყოფილიყო. რადგან ქუჩებში ძეხორციელი არ ჭაჭანებდა და ორსართულიანი სახლების ფანჯრებიდანაც აღარ კრთოდა შუქი. ცხელოდა კვლავ. ჰრიკინობელები, კუტკალიები და ბოცომაკალები მოთქვამდნენ; საფიჩხიდან ცხელი ნიაგქარი მოშხუთდა და თან მოჰქონდა გახურებული ასფალტისა და დღისით დამწვარი ბენზინის სუნი. ჯონდი ფალავა სასაფლაოს ჰიშკარს ეჯაჯგურებოდა, ჯაჭვს და ბოქლომს აჩხარუნებდა. იქვე იდგნენ: მედულუკეები, ბუზუ მიქაშავიძე, გოვენ წიქარაშვილი, ალიო ღვაბერიძე და ერთი უცნობი. აივენგო მიქაძე და კონა ქვარიანი აღარ ჩანდნენ. მედულუკეები ვინ მოიყვანა ან ეს ხელჩანთიანი, დაბალი კაცი საიდან გამოტყვრა, ბესომ ვერ გაიგო. ფოსტლებში ფეხგარგული, ნამძინარევი, გაჯავრებული ყარაული მოდიოდა თვალების სრესით.

— სიმონ, გამარჯობა, ჯონდი ვარ, მაჩემის საფლავეზე გვინდა გავიდეთ, ძმაკაცები და დამკვრელები მოვიყვანე... თქვენ არ შეგეშინდეთ, — მიუბრუნდა დამკვრელებს. — კიდევ დავამაყუთებთ... ხომ მოგცათ ფული ბუქამ?

— კი, საკმარისად, — უპასუხა ფაშვამოტრიალებულმა, თვალბედაწითლებულმა მედლოემ.

სიმონმა ჭიშკარი გააღო და, მართალია, მთქნარებით, მაგრამ თავაზიანად ჩამოართვა ხელი ჯონდის, დამკვრელებს და მოხალისეებს. სასაფლაოზე შევიდნენ, დაწიწილადნენ და მთავარ შარას გაჰყენენ:

— ხომ არ წამოგყვე, ჯონდი?! — შორიდან დაუძახა ყარაულმა.

არ მინდა, მივაგნებო, წელში წახრილმა ჩაილაპარაკა და ინანა მოგვიანებით. მოიხედა, დამკვრელებს დააკვირდა აღმაცერად, ბესოს უთხრა, ბუჭამ დაამაყუთა მაგენი და მე კიდევ ჰივეცემ, რა უნდათ მეტიო. ვინ არიო, ხელჩანთიანზე ჰკითხა ბესომ. „ბაკავოი სუღია“ უნდა იყოსო, უპასუხა, შედგა, დონჩი გაიკეთა, ჯერ „სუღია“ შეათვალღერა, შემდეგ დახვერა მთავრის შუქით განათებული მიდამო, რომელიც სასტიკად არ ეცნაურა. ხელჩანთიანი ბესოს შემთხვევით ამგზავრებული კაცი ეგონა თავდაპირველად. გზას იმოკლებსო ამ შუალამისას სასაფლაოთი და ჭიშკრის გაღებას ელოდებო, იფიქრა, მაგრამ ყავისფერკოსტიუმისანი უცნობი, უზარმაზარ საკვოიას რომ მოაპორწიალებდა, ბიჭებს აღარ მოშორებია. დაბალი, ფართო მხარბუქიანი, თითქმის ოთხკუთხედი კაცი მძიმედ დგამდა მოკლე ნაბიჯებს და ხმის ამოუღებლად მიჰქონდა საკვოიაცი, რომელშიაც ღვინო და ბურ-მარლი აღმოჩნდა. ბესომ შეიცადა, როცა უცნობი წამოეწია, შედგა, მოგეხმარებითო, უთხრა: როგორ გეკადრებათო, ხელჩანთა არ დაანება. მუშა აღმოჩნდა. საგურზე ვმუშაობ მზგრეველად ორმოცი წელიწადიაო.

— კი მაგრამ, რამდენი წლისა ხარ?

— ორმოცდათორმეტის გავნდები გარდამაისად...

რა უბედურებაა ეს გარდამაისად, ფიქრობდა ბესო გზაში და ქარის წივილი ესმოდა. ხან წინ უსწრებდა, ხან ზურგს უკან ზუზუნებდა ცხელი ჰაერი. ტირიფები და კვიპაროსები ირწეოდნენ და ელექტრონის მკრთალი შუქით განათებულ ძეგლებს და ობელისკებს აფენდნენ და აშორებდნენ ჩრდილებს. შე-

ფიქრინებული წინამძღოლი თანდათან ანელებდა ნაბიჯს, გადასახვევს ვერ იხსენებდა, ჯავრობდა, რატომ არ გამოვიძლოლე სიმონიო, რომელიც კარგა ხნის წინ ჩაიკეტა ბუნაგში და ახლა ალბათ ხვრინავდა კიდევ. მარჩიელობას აზრი აღარ ჰქონდა და პირველსავე ბილიკზე გადავიდა, გზაწვრილს გაყვა და შლიგინ-შლიგინი შემოესმა. უზარმაზარი მედოლე მოარღვევდა ბუჩქებს, მეაგურე საკვოიას ურანუნებდა საფლაგების მესერ-გალავნებს. ასაბიას დააკვირდა ამღვრეული მხერით, რა უნდათ, რას მომყვებიანო, გაბრაზდა, ღვაბერიძე იცნო, შებრუნდა და ისევ წინ წავიდა. დავილალო, იძახდა ღვაბერიძე, ტაქსი გავაჩეროთ სადმეო.

— დაგიხატავ ტაქსს!.. — ჩაილაპარაკა წიქარაშვილმა, ნაბდის ქუდი წაღო მერამდენედ ტოტს. ძირს დავარდნილი ქუდი აიღო, არ გამასწრონო, შეეშინდა და ჯონდის გაშეშებულ კისერსაც მოჰკრა თვალი. მიდიოდა ჯონდი და კაცი არ ეკითხებოდა, სად მიდიხარო, მიდიოდა და მისდევდნენ. მამის სამარის მოძენის იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ უპატრონო საფლავის აღმოჩენა უნდოდა. სულ სხვა მხარეს წამოვედი, ვხვდები და ერთ ღარიბ საფლავს შევიგულეთი, იმას ვაცხონებო; ამათთვის სულერთია, გინდა მამაჩემი უტირიათ, გინდა კალისტრატე ჩიკვაძეო. იარა, იარა და ერთ სამარესთან შეჩერდა, იასამნის ტოტები მიწი-მოწია, მიწაყრილზე გადავიდა, თბილ ლოდს გადაუსვა ხელი და, ავტო ჩამოსხედითო, თქვა; დაბალ ხავს-მოდებულ გალავანზე ჩამოჯდა თავად გაჭირვებით. მეაგურემ გაზეთები გააფინა, სასმელ-საჭმელი ამოალაგა, ღვინის ბოთლები დახსნა, ჭიქები ჩამოარიგა, შეავსო, თავის სასმისს წაუქცია თავი, აცხონოსო, თქვა და ჭიქა ჯონდის გადაულოცა. რიგრიგობით მოასხურეს ღვინო მიწაზე დანარჩენებმაც, შეუთვალეს შენდობა მიცვალებულს და ჯონდის სეფსიტყვას დაელოდნენ. ღვაბერიძე დაბალ გალავანზე ვერ ჩამოჯდა ვერაფრით, მუცელმა არ გაუშვა,

იხვანგალა და, როცა არა გამოვიდა რა, ბალახებში გაწვა. დამკვრელები დარჩნენ ფეხზე მხოლოდ. ვაჭირვებით, მაგრამ რიგრიგობით იხრებოდნენ, გაზეთებზე დალაგებულ პურ-მარილში ურევდნენ ხელს, ქათმის ხორცსა და ხაჭაპურის ნაჭრებს აგნებდნენ შეუცნობლად და დამშულებივით ილუქმებოდნენ. ცხელი ნიაჭიარი კვიპაროსებს ღუნავდა, ტირიფის ჩამოშლილ ტოტებს წეწავდა; შლიგინ-ქშუილით გადმოდინდა ბიუსტების, ძეგლების, ობელისკების, რკინის მესრების ჯუნგლზე და წყალწითელას კანიონში ინთქმებოდა. თამადამ წინაპრები აღღევრძელა, სახელოვანი და დიდებული მამულიშვილები ჩამოთვალა დაღლილი და ჩახლენილი ხმით, დამკვრელები სადუღუკედ ააგულიანა, მეაგურე ცხარე ცრემლით ატირა. ღვაპერიძემ თქვა, დაჩოქილმა უნდა შეევსა ეგ სადღეგრძელო, ჩვენს წინაპრებს, მიწისქვეშა საქართველოს სხვანაირად ვერ ვაკადრებო; მუხლებზე დადგა ვაჭირვებით, წვივი წვეტიან ქვას დააჭირა, გამწარდა, ადგილი მოინაცვლა, ხმამაღლა დაიწყო და ყვირილ-ტირილზე გადავიდა. კონა ქვარიანმა ილიას ძვირი როგორ გაბედაო, ამაზე გადაირია; იმ ბუმბერაზ ადამიანს აუცი ვით აკადრაო, იყვირა.

— ...არ გადაირევი, როგორ უნდა თქვას ძვირი კონამ ილიაზე?

— ანდა ცეზარ კვირტაძეზე. — შეახსენა ბუხუმ.

— ცეზარ კვირტაძე იყოს, თუ გინდა, კონა ქვარიანის საგინებელი რა ჭირს ან იმას. მერე რა, ქურდი რომაა, კონა ქვარიანს ჯიბეში ჩაისვამს სინდის-ნამუსით და კაცობით... ვინ არის, ბიჭო, კონა ქვარიანი, მაგან პანტაში ფული იშოვნა, მე მაგის დედა და ცეზარ კვირტაძის დედის სული... ცეზარი, ბიჭო, კაცია, გუებზეებით მე თქვენ, კონა პანტიანი ვინაა, ორივეს გადაუშენდა პატრონ-მყვარებელი, მაგრამ მაინც მე ჩემს ჯონდის ვენაცვალე, ბესოს ვენაცვალე, იაძეს, უპირველეს კაცს, გამგებს, დამნახავს, ბუხუიას ვენაცვალე,

ფრანგული ენის სპეციალისტს, რამდენია აბა აქ, ამ ალაგას, გინდა ზევით, გინდა მიწის ქვევით ფრანგულის სპეციალისტი? გოვენის ვენაცვალე, წიქარაშვილს, უპატოსნეს ადამიანს, ხალხური შემოქმედების მესვეურს, ჩემს ძმას!.. ამ კაცს ვენაცვალე, რა გქვიათ თქვენ?

— ნიკანდრო.

— ნიკანდროს შემოვევლე, ნიკანდროს არც შევადრი კონა ქვარიანს; კონამ, ბიჭო, ორი შაური იშოვნა პანტაში და გადაირია, აბა ნიკანდროს შენ გადარევი აწი!.. ჩემი ბუმბერაზი წინაპრების ლანძღვას ვის ვაპატიებ, არავის, გუებზეებით მე თქვენ, კონა პანტიანი და ცეზარ კვირტაძე თუ მიიმუნიაო, ცეზარ კვირტაძე თუ მიიმუნია, კონა პანტიანი ვინაა, ამიხსენით, ერთის დედაც და მეორესიც, ნიკანდროს შემოვლარე, მე ემოციური კაცი ვარ, გამიგოთ უნდა, თქვენზე აღრე მოგვედები და უნდა ამიტანოთ ამიტომ. აქ ვმარბივარ მე, ამ სასაფლაოზე, დედაჩემის მუცელში, მერე რა, რომ ვტირი, ტირილი სირცხვილია? თქვას ჯონდომ, ვენაცვალე მაგას. რომ მითხრას, არ მეტყვის, მაგრამ მაინც, რომ მითხრას, გადახტო, გადავტეხი კლდიდან, საიდანაც გინდათ, თუ არ გადავტეხე, კონა ვიყო კვირტაძე!.. ნიკანდროს სახელი თუ მიყვარს, ასეა ეს!.. გამომიყენეთ, ბიჭო, რამეში, ხალხი არ ხართ? გამაგებინეთ, ვინ ხართ? შეიძლება ჩემი დაკარგვა? ამ მიწას უნდა ვეამბორო ახლა და ხელი არ შემეშალოთ, ნიკანდროსთან ვარ ალავერდი!

ილიას საარს უკრავდნენ მელდულუკენი, გათენება რომ წამოვიდა გოდოგნიდან. გაბაცდა, გაფერმკრთალდა ცის კიდე აღმოსავლეთით. ვაცრეცილ ბინდში გამოიკვეთა ხუთი მთა-ყორღანი. კირქვიანი ფერდობები აივერცხლა შორს. ელიფსში ჩაწერილი წყალწითელას ქვის ხიდის კონტურები გამოჩნდა და გაიხსნა მოწამეთას ხეობის კარედი. თუ დარჩები, იყავ ამ ნათელში, თბილ ქარში, გათენების დაუსრულებელ ბრუ-

ნვაში, ყორღანების მოფარფატე სულ-
ის სიმშვიდეში, უზუეო ნათელში...

გაბაცდა საფლავები, საპურმარილე
ალავი განათდა და თამადის ბრძანება-
ზე დაიძრნენ დაკვრით, ღიღინით და წა-
მოყვირებით. შეაგურე დარჩა რკინის
სარზე ხელჩაჭიდებული და გაშეშებუ-
ლი. ჯონდი სათვალეს ეძებდა, ვის საფ-
ლავზე ვიჭეიფუო, აინტერესებდა, გაშე-
შებულ შეაგურესაც ხედავდა, რა კაი
კაცია, მელიოდებაო. სათვალე ჯიბეში არ
აღმოაჩნდა, ლოდზე გაფერმკრთალებ-
ული წარწერა ვერ ამოიკითხა და შეა-
გურე, რომელსაც ღრმად ეძინა, გააღ-
ვიძა; გაიხედა გვერდზე და ხელმარჯვ-
ნივ სიმწვანეში შეცურებულ ლოდზე
ნაცნობი გვარი და სახელი ამოიკითხა.
„რევისორი ბართლომე ბიბილეიშვილი“

— კარგი კაცი იყო ეს!

მორჩენილი ღვინო მოძებნა, დაისხა,
შეაგურეს დაუსხა, ბართლომეს სული
ახსენა, შეაგურესაც ახსენებინა, ღვინო
მოწრუპა, მონარჩენი რევისორის სამა-
რზე დაღვარა, შემობრუნდა, მზის პი-
რველი სხივებით ალიმონისფრებულ
თბილ ლოდს, სამარის კიდეს, სადაც პუ-
რი ჭამა, გადაუსვა ხელი, წამოდგა, გა-
დაიწერა პირჯვარი და ცრემლების წმე-
ნდით გაჰყვა ცხელ ქარში დაფანტულ
მუსიკას.

მეორე დღეს ნასადილევს ჩავიდნენ
ზესტაფონში. შეჩერდნენ ხილთან, ჩაას-
ხეს ბენზინი და ღვაბერიძის ნაცნობე-
ბმა გადაკეტეს გზა. წასვლაზე ლაპარა-
კი აღარ იყოს, რა ხანია ეს კაცი არ
გვინახავსო. არ იქნება, კი იქნება, დაი-
წყო გაწევ-გამოწევა და დამხვდურები-
სამ აჯობა მაინც. ერთი საათით შეგა-
ჩერებთ სულს, დათმეს იმათაც, მე აუ-
ცილებლად ამ საღამოსვე უნდა ვიყო
თბილისში, თქვენ დარჩით, თუ ასეა,
მე წავალს, ამხანაგებს მიუბრუნდა ბე-
სო. იქნებით კიდევო, მანქანის გასაღ-
ები ჩამოართვა მაღალმა, სახედაწმენ-
დილმა ყმაწვილმა, რბილად, მიწაზე
ფეხდაუკარებლად რომ დადიოდა. შე-
ვაყენებთ აგერ მანქანას, ბატონო, გა-
გამგზავრებთ, ბატონო, თავის ღროზე,

არ შეგაყოვნებთ, როგორ გამაძლენო...
თო. ღრმად ამოისუნთქა ბესომ და უი-
მედოდ მიმოატარა 'შუზერა, ბაზრიდან
გამოსულ გოდრიან გლეხებს გააყოლა
თვალი. სხვანაირად არ გამოვო, აუხს-
ნა ღვაბერიძემ, ხელი მოკიდა და მტკრი-
ან ტროტუარზე გვალვისაგან ფოთლ-
ებმიდნობილ აკაციის ხეებქვეშ გაატა-
რა. ხომ ხედავო, ნიშნის მოგებით ამბ-
ობდა იგი და თვალეები უელავდა. კა-
რგის მეტი არ დამითესია არაფერი და
ამიტომო. ახლა ცენტრში რომ გავიდე,
გადაირევა მთელი ქალაქი, იმოდენა გა-
ვალემა მაქვს აქაურებზეო. ბუხუ ჯო-
ნდის ელაპარაკებოდა, გოვენ წიქარაშ-
ვილი — მასპინძლებს, — კარგად გა-
მომწვარი კეცები მინდა ვიყიდო აუ-
ცილებლადო. გაგატარებთ შროშაში მა-
გისტვისო, პირდებოდნენ. პატარა ერი
ვართ და ამიტომ ხდება ასეთი ამბავიო.
უხსნიდა ბუხუ ჯონდი ფლავას, ყველა
ერთმანეთს ვიცნობთ, ყველა ერთმანე-
თის ნათესავი გამოვდივართ ბოლობო-
ლოო. დალილ, დამენათევ, წელატკი-
ებულ, სასმელგამონელებულ და გამო-
ფიტულ ჯონდის ლაპარაკის თავი არ ჰქო-
ნდა. ბუხუს მიჩერებოდა, უსმენდა და
არ ეყურებოდა. მეცხრამეტე საუკუნეს
სხვა რიტმი და სხვა მაჯისცემა აქვსო,
იმეორებდა ბუხუ და მეცხრამეტე სა-
უკუნეს არ ეშვებოდა. რას აიჩემე ეს
მეცხრამეტე საუკუნე, ხომ არ შეიშა-
ლეო, ჰკითხა ჯონდიმ ბოლოს წყნარად.

— მეცხრამეტე საუკუნე არ არის ახ-
ლა?! — თვალეები გადმოქაჩა ბუხუმ.

— ნუ ყვირი, არავინ გაიგონოს, მე-
ოცეა...

— მეოცე როგორაა, რას ლაპარაკობ,
როგორაა მეოცე... ათას ცხრაასი მეო-
ცეა?.. ათას ცხრაას ოთხმოცი... მეთვ-
რამეტე გამოვიდა. მეოცეა, ცხადია. ვინ
თქვა მეცხრამეტეო?.. ნამეტანი დააჭი-
რა მზემ. დღეს მე აღარ უნდა დავლიო.

ბესო იაძის მუხლზე წელი უხსაია-
თოდ ჩავიდა თბილისში. ნაცნობებს და-
ცილდა და ტაქსის რიგში დადგა. ბე-
შეები ვერ წამოვიყვანე, ქმარი გზაში
ამებნა, მარტოს ან აქ რა გამაჩერებს,

ან უკან რაღა გამაბრუნებსო. ღირს კი გაბრუნება? ანგარიშობდა და თანდათან ეშხამებოდა გუნება.

თენდებოდა. ამოდიოდა ისევ მზე, კვლავ სიცხე დგებოდა გაუგრილებელ, ღამენათვე ქალაქში. სადგურის შემოგარენი — მოედანი და ქუჩები ხალხით და ტრანსპორტით იყო უკვე სავსე. უწესრიგო, უთავბოლო, არეულ-დარეულ რიგში იდგა და სადგურის მოედანზე, ბაზრის მისადგომებთან მობორიანე ხალხს უყურებდა შორიდან. დაულაგებელ ბინას ადარებდა აგვისტოს ქალაქს. ბინა კი მართლაც დაულაგებელი და არეულ-დარეული დაუხვდა. გაქვავებულ სამზარეულოში შმორის სუნი ეცა და კარგა ხანი აცმაცუნა ცხვირი, სანამ ჩანთას დადებდა. ქმრის კაბინეტში, კარ-ფანჯრების გაღებამდე და ჩახუთული ოთახის განიავებამდე ტახტი და ქვეშავები შეათვალიერა, თხელი საბანი გადაწია, ზეწარს დააკვირდა, უყნოსა, აიღო და ფანჯრის შუქზე გალანდა. უცხო ქალის სუნს და ბუწუწუს ეძებდა, ქვედა ტუჩი უთრთოდა ნერვიულად და ირონიულად. ტელეფონმა დარეკა და გაახსენდა ნათლული ნატო. ნეტავი რა ქნა, ჩააბარა თუ ისევ ჩაიჭრაო, გაიფიქრა და ზეწარამოღლიაგებულმა ყურმილი აიღო. მატარებელშიც ნათლულზე ფიქრობდა, ძილგატეხილს გამოცდები აგონდებოდა, გაჭირვებულ მოყვრებს რომ ვერ ეხმარებოდა, სინდისი ქენჯნიდა. თუ კიდევ ჩაიჭრა, რა გინდა, რომ ქნა, თავი ექნება მოსაკლავი დედასაც და შვილსაცო.

— ბატონო, გისმენთ...

არავინ უპასუხა. ვილაცამ ამოიქშინა და აპარატი ვათიშა. არ მელოდნენ ოხრებში, განერვიულდა და ზეწარი გალანდა კვლავ. „ხომ ვიცი, რომ ყავდა, ყავდა...“ ზარის წკარუნზე მოტრიალდა გაანჩხლებული, ყურმილი აიღო და ძმის ხმა იცნო. ჩამოდი უკვეო, კითხულობდა შურა.

— ჩამოვედი, კი, და ისევ უნდა წავიდე, ბავშვები იქ არიან, კი; ხო, ბესო დარჩა, კი, კი... შენ ხომ არ დაგირე-

კია ამის წინ? არა? ხო, კარგა, არაფერი... ჩამოდი დღეს სადილად აუცილებლად, საქმეცა მაქვს...

ისევ დარეკა ამის შემდეგ და ხმა არ ამოიღო ვილაცამ. მომდევნო ზარს ნაცნობი ხმა მოყვა. როგორა ხარ, ძვირფასო ნელიკოო, ლექციებზე დაყენებული, რბილი ხმით კითხულობდა საშა ინაკავაძე. შურას ნახვა გვინდა, საყვარელო ნელი, მე და ლერი ჭინჭელიძეს და ამიტომ გირეკავო. მოვა სადილად დღეს და გამოდით თქვენც ყოველ მიზეზგარეშეო. ამის შემდეგ მზე შემობრძანდა აივნიდან, აკაშქაშა ყველაფერი; საგნებს, ნივთებს, ოთახებს რეალური მოხაზულობა, ფერი დაუბრუნდა, დაძაბულობა გაქრა, თავის ბრუალი ჩამოეხსნა და ნათლიდელს დაუკავშირდა.

— პელო. მე ვარ, ნელი. პელო, როგორა ვართ, პელო, ცუდი არაფერი მითხრა!

— ვაბარებთ, შენ შემოგველე, ქართული წერა-ზეპირი დაგვრჩა და დავილუპებთ, შენ თუ არ გვისაშველე! — განწირული ხმით შემოსძახა ვილაცამ.

— დამივდე ყური, დღეს სადილად, ახლა ბაზარში მივდივარ, სასურველი სტუმრები მეყოლება, ბავშვი გადმოუშვი და შენც გადმოდი გვიან, დანარჩენს მერე გეტყვი, დამაცადე, ნატოს გადაეცი, ნორმალურად ჩაიცვას, გადაპრანჭვას და ტუჩის აბზუებებს თავი დაანებოს.

— რომელი კაბა ჩაიცვას, შენ დაგენაცვლე, ყველა შენი ნაჩუქარია და რომელი უფრო მოუხდება?..

— თვითონ ამოირჩევს, არ დაიგვიანოს...

სახლს რომ ალაგებდა, ორჯერ შემოგარეკა უტყვემა მოკეთემ, მაგრამ ამ გამოხდომებს ქალის ზეაწეულ გუნებაზე ზემოქმედება აღარ მოუხდენია. სწორედ ქართულის გამოძეღლეები დაეძებდნენ მის ძმას და ამ ხელსაყრელი შემთხვევის გაშვება არ უნდოდა. იქ იბარებდნენ, სადაც ნატო აბარებდა და, რაც მთავარია, „საქმის გამკეთ-



ებლების* სახელი ჰქონდათ დავარდნილი, რამდენადმე მოულოდნელად, უცნაურად, მაგრამ ყველაფერი ნატოს სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ ლაგდებოდა. ნაშუადღევს მოვიდა ნატო.

— როგორა ხარ, ნელი ნათლია, დედაჩემმა კინალამ მომკლა, არ გამოიზრანჭოო...

— მერე მაინცდამაინც შარვლით მოდი!.. თუმცა აქ საქმეა, მოხმარება მინდა...

— მოგეხმარები, ნელი ნათლია, წინაფარი მათხოვე მხოლოდ, ვინ უნდა მოვიდეს, ნელი ნათლია?

— საშა ინაკავაძე და ლერი ჯინჯველიძე, საშა ქართულის კომისიის თავმჯდომარეა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ლერი ჯინჯველიძე მოადგილეა თუ პირიქით... გვეშველა მგონია.

— აღარავინ აღარ მინდა, ნელი ნათლია, სამები მყოფნის უკვე და სამზე დავწერ, მე მგონია...

— დაწერ... რომ ჩაიჭრა, შე უბედურო!.. მეშვიდედ აბარებ წელს, გაუსკდება დედაშენს გული და მოკვდება...

— მოკვდება და მოკვდეს, რას შვრებიან ბიძინა და თეა!

— კარგად არიან, გაბრუნდნენ გავრაში.

— ბესო ბიძია სადაა?

— სიკვდილში.

— ნელი ნათლია, თქვენ ისევ უნდა წახვიდეთ გავრაში? — ბოლო სიტყვებს წელავდა, უკანასკნელ მარცვალს აორმაგებდა. გავრაში კი არ ამბობდა გავრა-ში-ი. მორკალულმხრებიან, ბიჭური აღნაგობის გამხდარ გოგოს წვრილ, გამომწლეულ წელზე მორგებული შარვალი ჩაძვრება სადაცაო, იფიქრებდით. რომ ლაპარაკობდა, ირხეოდა, სიარულის დროს წელში იმსხვრეოდა თითქოს. ცოტა ბეცი და მაინც სანდომიანი, გულკეთილი ნატო კარტოფილს ფეკვნიდა და დანა-კარტოფილი ცხვირთან ჰქონდა მიტანილი. კარზე რეკავდა ვილაც. ნელიმ ხელები ჩაიბანა, შეიმშრალა, გავიდა, გაიხედა საქვრიტი-

ნოში და გახედა. ისევ დარეკეს მოუხედა რიღებლად.

— ნელი ნათლია, არა ხართ მანდ? ნატომ დანა და კარტოფილი დალო, ჰოლში გაიხედა მოჭუტული თვალებით და შედგა. ფეხის ცერებზე მოდიოდა ნელი უკან და ნათლულს ანიშნებდა, ხმა არ ამოიღოო.

— დათიკოა თავისი ქალიშვილით, საიდან გაჩნდა, საიდან მოგვეგანო?..

დათიკო კი უფრო დაჟინებით რეკავდა. თითქმის აღარ აცილებდა ზარის ღილაკს თითს. ნელიმ გამომეტყველება შეიცვალა უცბად, თმაზე გადაისხვა ორივე ხელი და შემოსასვლელისაკენ წავიდა ღიმილით, რომელი ხარო, წაიგრძელა ხმა, თუმცა პასუხს აღარ დალოდებია, ეგრევე გააღო კარი.

— მობრძანდი, დათიკო, მობრძანდი, საიდან, როგორ მოგიცდა ფეხი, მოდი, შვილო, როგორა ხართ, ხალხნო!..

— აქა მშვიდობა! — ქუდი მოიხადა დასიცხულმა, თვალედაწითლებულმა ტანსრულმა კაცმა და ქალიშვილს გზა დაუთმო.

— ცისანა ხომ ეს?.. დედა, როგორ დამშვენებულა, ენაცვალოს მამიდა, ხომ მშვიდობაა, დათიკო?

— მშვიდობა, თქვენი კარგად ყოფნა, ბესო არ გახლავთ შინ?

— ბესო ქუთაისში დარჩა, აქეთ მობრძანდით.

დიდ ოთახში შეყვა დიასახლისის ფეხსაცმელების ჭრაჭარუჭით, გვერდებზე გახვრეტილი, თხელი, ლურჯი ნაჭრის ქუდი მოიხადა ხელმეორედ, ხმელი ნივრისფერი ხალათის ჯიბიდან სიგრძივ გაკეცილი ვაზეთები დააძრო, ზედა ჯიბეში მოისინჯა სათვალე, მძიმედ დაჯდა, ქუდი და ვაზეთები უურნალებით გაესებულ მაგიდას დაამატა.

— დაჯექი შენც, მამიდა, ფეხზე რატომ დგებარ, რას შვრები, მითხარი?! — ებარებ გეპეიში, არაორგანულ ქიმიანზე, ქართული წერა დამრჩა მხოლოდ...

— მომიკვდეს თავი, ნატოსთან აბარებ?..



— ცოლის შორებელი ნათესავი დავიჭირე, რავარც იქნა, მომიყვანე ბავშვი სლამოსო, ავერ ნაცხოვრება თქვენს მებობლად და აქედან უნდა ვუღარაჯო მზის გადასვლამდე... არ მაქვს იმ კაცის იმედი, ჩემო ნელი, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია...

— რა გვარია?

— ლექტორი? მი-მიქელაძე...

— მიქაბერიძე კოტა... — შეახსენა ცისანამ.

— მართალია, მიქაბერიძე.

ნელიმ ტუჩი აიბზუა მისდა უნებურად და დათიკომ ეს მზერა დაიჭირა იმწამსვე. — ცოტა ნაზრახი ლექტორის სახელი აქვს, მაგრამ რა ვქნა, მე ბესოს იმედი უფრო მქონდა, თუ მართალი გინდათ, ამიტომ უფრო შემოვუხვებე აქეთ. თორემ ევერ ქვევით მშვენიერი ჩრდილი დავინახე...

— ჩამოვა ბესო ხვალ, თუ კიდევ ხელს არ გადაყვა. მერამდენედ აბარებ, მამიდა?

— მესამედ.

— პირველს არ ვაგდებ სათვალავში, გამოცდილების მისაღებად დავაყენე... აბაროს, მე ვიფიქრე, რა საქმე აქვს მეტი თქვა და ქე შემოგვადნა ეს წლები, შარშან იყო და ნიშანი დაგვაკლეს...

— კარგი რა, დათიკო, არავის არ აკლებენ ნიშანს...

— მაგი საკითხავია, ჩემო დაო, მაგრამ იმას რომ მიუმატებ და მე რომ კუთვნილს მარგულებ, ჩემო კარგო, ჩემი დაკლება არ გამოდის!.. საექიმოსათვის იკლავდა თავს, მაგრამ ჩვენისთანა ხალხისათვის შორია სამედციინო... პოლიტექნიკურში გადავედით, რა გვექნა, აბა, მოვედით, რავარც იყო, აქამდე და ახლა რომ ხელი მოგვეცაროს, თავი მექნება მოსაკლავი... დავილუბებით, მირწმინდათ დავილუბებით. იცის საგანი, რომ არ იცოდეს, სხვა იქნება... იცის, მარა რად ვინდა, რომ ჩაუვარდება ხანდახან ენა, დაყრუვდება, დამუნჯდება...

— თამამად უნდა იყო, მამიდა, ყველაშთან თამამად უნდა იყო, ხმა უნდა

ამოიღო, რაც არ იცი, ისიც უნდა თქვა, უკაცრავად, ზარია, კარზეა ვილიც...

კარი ნატოს გაეღო ამასობაში და დედამისი შერჩენოდა. მოვიდნენ თუ არაო, კითხულობდა ჩურჩულით პელო. წითელ-ყვითელი გრძელი კაბა ეცვა, იმგვარივე ფერის თავსაფრით თავწყარული, შავგვრემანი, არცთუ ულაზათო შესახედავი შკითხავს ჰგავდა. მოვიდნენ, მხოლოდ ისინი ჯერ არა, ვინც ჩვენ გვეჭირდებაო, უპასუხა ნელიმ. ჩემი მამინაცვლის ძმისშვილი მობრძანდა (მობრძანდას მახვილი დაუსვა) და ქალიშვილი მოიყვანა, ისიც არაორგანულ ქიმიანზე აბარებს ამასთან, ნუ გადაირევი ახლა, მალე წავლენ, ნუ გეშინია.

— ვიცნობ მე მაგათ, ნელი ნათლია. ის კაცი სულ ინსტიტუტის ეზოში დგას, გამოცდიდან რომ გამოვდივარ, პირველად მაგ კაცს დავინახავ ხოლმე... ის კარგი გოგოა, სოფლელია, მაგრამ ლამაზია...

— დაგეფსო თვალები! — ნიკაპი გააყანყალა პელომ.

— რა უნდა ამას, დამამუნჯე ახლა, ხმა არ ამომალბინო!

— კარგია, ლამაზია, კარგად არის მომზადებული, შენ ადგილზე ეწყობა თურმე და იყავი, ჩურჩულტო!

— რა ვთქვი ასეთი, ნელი ნათლია, ლამაზია-მეთქი, არ არის ლამაზი?!

— ჩურჩულტო!

— პელო, ახლა აქეთ გამოდი, შენ ხელს შეგვიშლი, მეტს არაფერს არ გავგიკეთებ, სტუმრები გაიციანი, შეიყოლიებ მაინც ცოტა ხნით...

დილიდან ფეხზე ჩამომწყდარი დათიკო ფეხსაცმლის ვახდას აპირებდა ფოჩიანი სუფრის ქვეშ, როცა ნელიმ პელო შემოიყვანა. დათიკომ გასიებული ფეხები ფეხსაცმელში ვეღარ ჩააბრუნა, ფეხისწვერებზე შემდგარი წამოდგა და გაცილებით მაღალი გამოჩნდა, ვიდრე იყო და ვიდრე ვაოცებულ ნელის ასსოვდა.

— პელო, ჩემი ნათლიდეთა! დათიკომ თავი დახარა და ფეხსაცმელების ქუსლებზე შეპოლიკებული კი-

ნალამ წაიქცა; დიდად სასიამოვნოა, ჩემო ბატონოო, ჩაილაპარაკა და სწრაფად, თუმცა მოუხერხებლად დაჯდა.

— ეს ცისანაა, ნატოსთან აბარებს თურმე, ენაცვალოს მაიმიდა, აბა მე დაგტოვებთ ცოტა ხნით.

— გაყევი შენც, გოგო, წაუქარი ხელი...

— არა, გენაცვალე, არ მინდა, იყავი მანდ, მყავს მე იქ მომხმარე!

ნელი გავიდა და წასაყოლად გამზადებული ცისანა შუა ოთახში გახვედა. პელო დაჯდა, ხელი ლოყაზე შემოიღო და ცისანას მიაჩერდა. ცისანამ უხერხულობა ვერ დამალა და ცალი ხელი მამის სკამს მოკიდა. დაბალი, რბილი მკერდისა და მაღალი ფეხების ბატონოს მოთენთილობის კვალი აჩნდა სახეზე. შუბლზე ჩამოშლილ, ზედ წარბებთან შეჭრილ, შავად მბზინავ თმას ლურჯი, ლმობიერი თვალებისა და ცვილისფერი ლოყებისათვის გადაეგლო თავისი ფერი. თხელ ცხვირთან და თხელ ტუჩებთან აჩნდა მკრთალი ნაოჭები — უჭმელობისა და უძილობის უტყუარი ხაზები.

— მეზობელი ბრძანდებით, ალბათ, ჩემი ნელისი... — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა სუფრის ქვეშ ფეხსაცმელებიდან ფეხამოყრილმა დათიკომ პელოს.

— მეზობელი და მოყვარე, ჩემო ბატონო, ამავე სახლში ვცხოვრობ... — ამოიხორხა მისდა უნებურად.

— კაი დაგემართოთ, ერთობ გულისხმიერი ქალია ეს ჩვენი ნელი, ერთობ განათლებული...

— ნულა ბრძანებთ, მაგი არის ჩვენი რამდენავებელი, ჩვენი მასწავლებელი...

— გაუნათლებელს და უმაღლესდაუშთავრებელს ვერ ნახავ ჩვენი გვარის ქალებში, რამდენი კანდიდატია, ვინ დათვლის, დოქტორიც, ჩემო ბატონო... უკაცრავად, კარგად კი ვერ გავიგონე თქვენი სახელი!

— პელო, ჩემო ბატონო.

— თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ქალბატონო პელოგაია, რომ დიდი მეცა-

დინე და ნასწავლი ქალები გვყავს გვარში, კაცებზე აღარაფერს ვლაპარაკობ.

— დიდი ღვთის წყალობაა, ბატონო...

— რამდენი გყავთ შვილი, ქალბატონო?

— ერთი ბატონო.

— ჩვენ სამი, ქალები. სწავლობს, იმეღია, თქვენი...

— ქალიშვილი.

— ქალიშვილი...

— აბარებს, ჩემო ბატონო.

— კაი დაგემართოთ, ესეც აბარებს და მეც დედა ძალიან.

— ჭირს, ბატონო, ერთობ ჭირს მოწყობა...

— მაგეტომ არა, მენანება, ბატონო, კარგი მომზადებულია და თუ კარგ ინსტიტუტში არ ჩავარდა, ცოდვაა... მერეა და... მოეწყობა, მიაკლავს სწავლას თავს, გადაყვება ამ უმაღლესს და, რად გინდა, ბატონო, მაგნაირი განათლება! ამიტომ არ ვუჩქარი!.. შარშან, ჩემო ბატონო, მით უმეტეს შარშანწინ, სულ არ მივხედე, სულ არ მივაქციე ყურადღება, თვარა იცოცხლე, ქე მაქვს გამაჯლობა, დამხმარეც მყავს და ხელისწამკრავიც მყავს, მყავდა, მარა იყოსთქვა, ვიფიქრე, რაა საჩქარო, მომზადება ამას არ ჭირდება და რეპეტიტორი, თავად ემზადება და ჯარში არ ეძახიან... აღარ მოვიხდომე ამის გამო და სწორადაც მოვიქეცი, ახლა რომ ვაკვირდები, ჯანმრთელობა შევეუნარჩუნე ამით ბავშვს...

ნელი შემოვიდა, გაზქურასთან ახურებული, გაკეცილი გაზეთით ინიაცებდა სახეს.

— ხომ არ მოიწყინეთ, შემობრუნდი ერთი, მაიმიდა, კარგად დამენახე, გამხდარია, დათიკო, ეს ბავშვი!

— ნამეტანს შვება, ჩემო ნელი, და იმიტომ, მასწავლებელი და რეპეტიტორი მაგან არ ისურვა, მე თვითონ სხვებს ვამეცადინებ და სხვისი სწავლება რად მჭირდება, რაში გამომადგებაო...

— კარგი რა, მამა!..

— შენ გაჩერდი, აქ ჩემიანებია, დასამალი რა მაქვს... ცოტა გავილაზე, ჩე-



მო ნელი, დილიდან ფეხზე ვდგევარ ამ სიციხეში, სხვა ჩვეულების ნიშნებს აცხადებდნენ და ქულებს ვაჯამებდი. ერთი თავი თუ არ წავდევნი, მოგვკვდები კაცი, მერე ის ჩემი ცოდვით სავსეც მოვა აღბათ, ის თქვენი მეზობელი, რა გვარააო, რა მითხარი? არ მოგვეჭრას თავი!

— მიქაბერიძე ჭოტა...

— ჭოტა, რა სახელია... თავი თუ არ წავდევნი, გლახათაა საქმე...

— კი, კი, დათიკო, აქეთ გამოდი, გრილა უფრო, ხელ-პირიც ვადაიბანე, წყალი მოდის...

— წამოდი შენც, პირსახოცი მაინც დამიკავე... — ქალიშვილს მიუბრუნდა, ფეხსაცმელები ხელში დაიკავა და შავი წინდებით გავიდა.

მზე გადასული იყო და არც იყო, საშა ინაკავაძე და ლერი ჭინჯველიძე რომ მოვიდნენ. შურა არ დაუხვდათ, მაგრამ აღარ უდარდათ, მოვა აუცილებლადო, დააიძვრა ნელიმ, თუ დაავიანდა, უიმი-სოდაც დავსხდებით და შემოგვესწრებო. ჩვენ აქ საქმეზე ვართ მოსული, ძვირფასო ნელი, რის სადილი, რა შემოსწრება, არ შეწუხდე ჩვენი გული-სათვას, თუ გიყვარდევო, დაიმორცხვა ინაკავაძემ.

— რა უნდა შევწუხდე, რა მაქვს, რო... რაღაც ჩემმა ნათლულმა, გაავანობთ ახლოვე, და ჩემმა ნათლიდემამ გამოაწყვეს სახელდახელოდ, სტუმრებიც მეწვივნენ რაიონიდან და შურასაც სახლში სადილი არ უჭამია რამდენი ხანია ხეირიანად, ზის იქ უჭმელ-უსმელი პატიმარივით...

— ეს არის მერე საქმე! — გაიცინა ლერი ჭინჯველიძემ, ბეჭედი, ბეჭედი კი არა, перстень რომ დაკარგა ბუხუ მიქაშავიძის ეზოში, ბეწვა უღვაშზე და მაღალ სატუჩზე მოისვა ხელი და საშა ინაკავაძეს მიაჩერდა, შენ რას იტყვიო.

— ასეა... — უთხრა საშამ. — კაცი კაცს რომ აღარ ენდობა, საქმე წავა უკუღმა... გეტყვიან, რატომო, შენ რისთვისო, ასეა... — რა იყო ასე და ვინ

რას ეტყოდა და რისთვის, აღარ დასტუხსტებია. ამნაირი ლაპარაკი უყვარდა და უმაღლეს სასწავლებელში დავაქვაცებულს მისი კათედრის წევრებისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის განსაკუთრებული მანერა ჰქონდა, რაიც სიტყვების მკაფიოდ გამოთქმაში, შორისდებულების უადგილო ხმარებაში და არაბუნებრივი მახვილების დასმაში გამოიხატებოდა მხოლოდ და მხოლოდ. ნელიმ ამ ლაპარაკში ნათლული და ნათლიდედა წარუდგინა სტუმრებს. ქართული დარჩა ჩასაბარებელი, ამა და ამ ფაკულტეტზე ეწყობა და თქვენს იქით გზა არა აქვს, თქვენს ხელშია ამის ბედი და იღბალიო, თქვა პირდაპირ.

— ჩვენ რა შუაში ვართ! — გაიცინა ლერი და ნათლიდედა შეათვალა, მაღალმა, გრძელ ფეხებზე შემდგარმა ჩამოხედა მორიდებლად. პელომ ამ მზერას ვერ გაუძლო და ოცობოცოდ წაუვიდა თვალები, მამაკაცი კი არა, გამოცდელი, მსაჯული, მოსამართლე დაინახა და წახდა. ამ სცენას შეესწრო საძინებელი ოთახიდან შემთხვევით გამოსული ცისანა. იგი ვერავინ შეამჩნია თავდაპირველად და დაბნეულმა გოგამ ვერც წინ წასვლა, ვერც მამის ადგილსამყოფელისაკენ შებრუნება მოახერხა. იდგა, პირში თითჩადებული მიჩერებოდა სტუმრებს და აყურადებდა მამის ფშვინვას, რომელიც სულ ცოტა ხანში ვადაიქცეოდა თავზარდამცემ ხროტინად და ჰეჰა-ჰუხილად. სწორედ ამ ხვრინვაზე აღმოაჩინეს იგი სტუმრებმაც. მიაჩერდნენ და ხვრინვასაც მიუგდეს ყური. ხროტინებდა უკვე დათიკო და თავთან სკამზე დადებულ ჭიქას და თეფშს აწკარუნებდა. შეშინებული ცისანა უკან-უკან იხევდა და შებრუნებას ვერ ბედავდა.

— ეს ვინდა? — ღიმილით იკითხა ლერი ჭინჯველიძემ და აღარაფრით ქალს არ მოაშორა თვალი.

— გაიგებ შენ?! — ხმადაბლა და ძალიან სერიოზულად უპასუხა საშა ინაკავაძემ. — იქით ოთახში იხვევა ვიღაცა და, თუ დროზე არ გავსწარით აქ-



ედან, გლახათ წაგვივა საქმე, მოიცა, მოდის... — ჩაახველა და ახლად შემოსულ პელოს შეხედა, ხომ არ დაგეზმართოთ, ჰკითხა და ლერი ჭინჭველიძეს უყო თვალი.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, როგორ გეკადრებათ... — კინაღამ გადირია პელო; ახალგაზრდა პროფესორის ყურადღებით გაბრუნებულმა თეფშები, დანა-ჩანგალი დააწყო სუფრაზე სასწრაფოდ, სამზარეულოში გაბრუნდა უკანალის არაბუნებრივი რხევით, ნახევრად დამოუკიდებელი, ნაკლებად ცნობილი სახელმწიფოს დროშისფერი კაბის ფრიალით.

ოფლში გაღვრილი, შეშფოთებული, აკუნესებული, თითქმის ატირებული მამა ანჭლრია და ძლივს გააღვიძა ცისანამ საძინებელ ოთახში. მამა, მამა, რა დაგემართაო, ჩასძახა რამდენჯერმე. თვალეზღაპრული მიაჩერდა დათიკო ქალიშვილს და გვიან მოეგო გონს.

— ...ჩაიჭერი ვითომ ბოლო გამოცდაზე და საპროტესტო კომისიაში ვაქცევი ქვეყანას. ეს არის საქმე?! ამნაირ ცხოვრებას რა ვუთხარი!.. ამ ფეხსაცმელბშიც ფეხი აღარ ჩადის, რა ჩამაცვა ეს დედაშენმა!

— სკამზე არ დადო.

— აბა სად წავიღო, ხომ ხედავ, წელში ვერ ვიხრები...

— გაზეთი დაიფინე მაინც, მოიცა, მე შეგიკრავ და ცოტა ხმადაბლა ილაპარაკე, სტუმრებია...

— ვინ სტუმრებია?

კიდევ სიზმარზე ფიქრობდა დახამულივით, უემურაყოლილივით გაღვიძებული და სტუმრების ვინაობით თავდაპირველად არ დაინტერესებულა.

— ...ჩელი, დაზე უფრო საყვარელო დაო, უნდა მიშველო, უნდა მომეხმარო, შენ გენაცვალე, სიტყვა უნდა შემაწიო იმ ხალხთან, ჩემი ცისანას ბედი მაგათ ხელში ყოფილა, უნდა დამეხმარო, გავიგე მე ყველაფერი, უნდა უთხრა, კი, კი... — სამზარეულოში დაიმართხელა დათიკომ დიასახლისი.

— ასე უცბად როგორ დავეტაკო,

დათიკო, ჯერ ფეხი არ შემოუდგამთ ხლში!

— ზეგ აქვს ბავშვის გამოცდა, აქ არიან, ბედმა შემახვედრა და უნდა დამეხმარო!

— რანაირად, დათიკო, რომ დამკლა ახლა, მაგის თქმა არ შემიძლია, ვნახოთ, თუ მომეცა საშუალება...

— უკაცრავად შეწუხებისათვის!..

— რა გული მოგდის, შე კაი კაცო, მომათქმევიც სული...

— დაწყევლოს ღმერთმა, შენი სისხლხორციე ორგული გინდება დღეს!.. — ჩაილაპარაკა და დიდ ოთახში გავიდა გაცივებული, მოურიდებლად, ხმამაღლა მიესალმა სტუმრებს.

— დათიკო ვაშაძე, ბატონებო, ბიძაშვილი გახლავართ ნელისი!

დიდი აღფრთოვანებით, ვერ იტყოდით, მაგრამ თავაზიანად შეეგებნენ მაინც ჭიქურ მესტუმრეს; წამოდგნენ, სასიამოვნოა დიდად თქვენი გაცნობაო, და ხელიც ჩამოართვეს.

— ეს ქალიშვილი გახლავთ ჩემი, ბატონო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბარებს: არათორგანული ქიმია, ჯგუფი მეცხრამეტე, ზეგ წერა, მახეგ ზეპირი... გადი გოგო, რავე გაჩერებულხარ, საოჯახო საქმეები არ გემარჯვება, მაგრამ მიეხმარო იქნება მამიდაშენს... გადალლილა სწავლით, ნამეტანი არაფერი არ ვარგა, თქვენ ნუ მომიკვდებით, წიგნი ვერ გავაგდებინე ვერაფრით ხელიდან, ზეპირად იცის, ბატონო, უკვე ყველაფერი, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, დღევანდელი ახალგაზრდობის ამბავი, ცოტა თუ არ წაუკრა ვინმემ ხელი... ეს თანაც მფრთხალია იმნაირი... თქვენი სახელი, უკაცრავად!

— ალექსანდრე.

— თქვენი, ბატონო?

— ლერი.

— დიას, ბატონო ალექსანდრე, იმას მოგახსენებდით, მშიშარაა ნამეტანი, ხუთზე ნაკლები ნიშანი არ მიუღია ქართულ წერაში, თბილისში მოჰქონდათ ამის თემები საკონკურსოდ, მაგრამ... აქ ხარ შენ კიდევ?!



— არ მინდაო მოხმარება, მამიდა, და რა ვქნა!

— ჰო, კარგი, ამისაგან იწერდა მთელი თერჯოლის რაიონი, ავერ არის თვიონი და კი არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ასე იყო.

— ნუ ლაპარაკობთ! — გაიკვირვა საშა ინაკავაძემ და დათიკოს (რატომ, თავადაც ვერ გაიგო) ლაპარაკის ხასიათი გაუნელდა, თუმც არ გაჩერებულა.

— გადაყოლილია სწავლას, იმას მოგახსენებდით და საოჯახო საქმეები აღარც კი ეხერხება, არც ჩვენ ვანძრევივით ხელს...

კიდევ რაღაცას ავალებს შვილსო, ეგონა სუფრის გაწყობით გართულ დიასახლისს და, ნუ აწუხებ ამ ბავშვსო, შეუწყრა დათიკოს.

— ...მყავს მე იქ მომხმარე-მეთქი, გითხარი!.. ისე, თუ უნდა, მომხმაროს, კი არავინ უშლის... — დაუმატა შემდეგ და ცისანამ ეგრევე ვერ გაიგო, უნდა მოხმარებოდა თუ არ უნდა მოხმარებოდა მამიდას, რომელსაც პირველად ხედავდა; ლერის ღიმილს, საშას ჩაცმულ შვერასაც ვერ გაუძლო, ხან პელოს აედევნა, ხან ნელის, ბოლოს ღია კარში გაჩერდა, ხელისგულები მიატყუბა ერთმანეთს მუცელთან.

სოჯრა გაწყობილი იყო და გადაწყვიტეს, აღარ დაეცადათ შურასათვის, რომელიც, კაცმა არ იცოდა, როდის განთავისუფლდებოდა და როდის შემოაღებდა კარს. შეეუდგეთ ჩვენ. ბატონო, ჩვენ საქმეს და შემოგვესწრებაო, გაიშინაურა თავი დათიკომ, შამპანური ჩამოსახა ჭიქებში. საშამ, წინა დღის ნაბახუსევს რომ ჰგავდა, ჭიქა გამოწრუბა, ლერიმ მანქანით ვარო და დაღევაზე უარი განაცხადა.

— ვერც დაგაძალებთ, ბატონო, ასეთ შემთხვევაში, თუმცა ჭიქა შევსებული არ გქონდათ და... შეუვსე, ცისანა!..

— არ არის საჭირო, მაღლობთ, ისე თქვენს შევსებულს მართლა დავლევ...

— ბეწვა ულვაშზე, პატარა ტუჩებზე მოისვა უნებურად მჯა. ცისანამ შამპანურის ბოთლის ყელს მოკიდა ხელი,

ძლივს ასწია სუსტი თითებში, დასასხა და სქელი ბოთლის ტუჩი აუჯაკუნდა სიფრიფანა ბოკალზე; არ გინდა, მამიდა, ჩვენ დავასხამთო, შეუძახა ნელმ და წააქცია ცისანამ ბოკალი, შამპანური გადაასხა სუფრას და ლერი ჭინჭველიძის თეთრ შარვალს. არა უშავს, არა უშავს, დიძახა იმწამსვე გვარიანად შეწუხებულმა ნელმ. ჭიქა დაენანა თუ შარვალი, არ დატყობია. პელომ მაროლი დააყარა სუფრას და ლერის თეთრ შარვალს დააჩერდა კვრინჩხგამეშებული.

— შეგიტყვია შენ თავი! — ნაძალადევად გაიცინა წამოპარხლებულმა დათიკომ.

— ეგ არაფერი, ეგ არაფერი, ჩემი ბრალია, როდის იყო, ქალი რომ შამპანურს ასხამდა... — თქვა ლერიმ და ცოცხალმკვდარ, გამოლენჩებულ ცისანას ახედა ღიმილით. ნატომ გაბზარული ჭიქა და მოტეხილი ჭიქის ფეხი აიღო, ფეხი მიაზომა ძროს და ლერის თეთრ შარვალს დახედა კმაყოფილი იერით. არაფერია, არაფერიო, გაიმეორა ლერიმ და, ამას რა უხარიაო, გაიფიქრა ნატოზე.

— შეგიტყვია, მამა, თავი!

— რაზე კლავ ახლა, დათიკო, ამ ბავშვს ერთი ჭიქის გულისათვის...

— ჭიქაზე არაა საქმე, თავის ღღეში არაფერი გატეხია და რაღა ახლა მოუვიდა მარცხი!

— ხდება, ბატონო, მაგნიური ხდება... მე თუ მკითხავთ, ჭიქის ბრალია, რად უნდა ამსიგრძე ფეხი! — გაიცინა საშამ ამჯერზე ბუნებრივი სიცილით.

— ასეა, ბატონო, კარგია სწავლა, მაგრამ ნამეტანი არაფერი არ ვარგა; როგორც ვხვდები, საოჯახო საქმეების ცოდნაც საჭიროა და, საერთოდ, ყველაფერში უნდა გამოიჩინოს ქალმა ფხა.

— არ ღირს, დათიკო, ამაზე ამდენი ლაპარაკი, ნატო, შვილო, ერთი მაგნიტოფონი ჩართე დაბალ ხმაზე... იცით, როგორ ცეკვავს ჩემი ნათლული!..

— ეტყობა, კი...



— კარგი რა, ნელი ნათლია!

— რა კარგი, რა მოხდა, ცეკვა რომ ვიციოდე, როგორ გავჩერდები!

— გავერთობით პატარას, დედა, მოიწყინა ამ ხალხმაყ...

— უარი არ მიიხრა, თვარა მეწყინება!

— იყოს, არ არის საჭირო! — შევეცოდა საშას.

— კარგი რა, ნელი ნათლია... — გვიმეორა ნატომ და ყველაასათვის მოულოდნელად მართლა დაიწყო ძაგძაგი, ხელეზმომტუქული, თვალდახუჭული აყვა რიტმს; წელში გამტყდარი დაირწა და დაიგრიხა. აბა, მე ეს ქალიშვილი უნდა ვაცეკვოვ, წამოიძარტა ლერი ჭინჭველიძე, ახლა შეუძლია დანაშაულის გამოსყიდვით, შეშინებულ ცისანას ჩამოხედა უძრავი თვალებით და გაქვევებული ღიმილით.

— მართლ ნატომ იცეკვოს, ჯობია...

— რატომ ამბობ, ნელი, მაგას!

ლერიმ გახევებულ გოგოს ხელი ხელში წაატანა, გააბორწიალა და თავად ერთ ადგილზე დაიწყო როკვა ნატოსებურად: ცისანას ცივოფლიან ხელს უშვა ხელი ცოტა ხანში, ნატოსკენ მიტრიალდა და დიდი ლაჯი (თავისუფლად რომ გაძვრებოდა ორივე აბიტურიენტი) გადგა გვერდზე, ფეხის ცერით პარკეტს დაუწყო სრესა თუ სწორება. ბიძა გახლავთ ჩემიო, აღნიშნა საშამ.

— კარგი ერთი... იცეკვე, გოგო, შენც, მართალს ამბობთ?

— მართალს მოგახსენებთ, არ ვხუმრობ, ბიძა ჩემი, დედის ძმა... მხოლოდ მე ვარ უფროსი ორი თვით თუ პირიქით...

— სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი...

— არც მე, მაგრამ ბიძაა, დიას... და კარგადაც ცეკვავს, სხვათა შორის, ბიძა თუ გყავს, ამანე ნაკლები არ უნდა გყავდეს...

ლერი აღარ ცეკვავდა. ამიყოლიესო, ამბობდა და შამპანურგადასხმულ შარვალს უყურებდა მალულად. სიგარეტი გამოართვა ბოლოს საშას და გარეთ

გასვლა დააპირა. აქ მოწიე, აქ მოწიე... თავი მოიკლა ნელიმ, მაგრამ სტუმრები მაინც აივანზე გალაგდნენ.

რას ხუნტრუტობენ ესენი, რა უნდათ, თუ იციო, იკითხა ლერი ჭინჭველიძემ პირველივე ნაფანის შემდეგ.

— ვითომ არ იცი, რა უნდათ!

— აქვთ მერე რამე?

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ!

— ცოდნაზე მოგახსენებ...

— აბა თქვენ რა იფიქრეთ?

— გასაგებია, და მაინც?

— იმ ერთს ხვანჯარჩამოწეული შარვლისა და ბოთლში ჩასაბანი ფეხების ვარდა არაფერი, მეორეს ზედვე ეტყობა, რაც აქვს... ცოდნაზე გეუბნები...

— გასაგებია...

— მაშამისსაც არ უსკდება ჯიბე ცოდნით, შენც კი ხედავ...

— რასაკვირველია, და ის ქალი, პეღავია საბელაშვილისა ორივეს ჯობია, რომ იციოდე!

— ნამეტანი ქაჯია, ისე მართალი ხარ. ამის შემდეგ ბევრი აღარ უღაპარაკით, შებრუნდნენ. დასხდნენ, გულისყურით გამოკითხეს ქალიშვილებს გამოცდების შედეგები. რა ნიშნები მიიღეთ და ქულათა რა რაოდენობა დააგროვეთ. სამედიცინო ინსტიტუტის ერთმა აბიტურიენტმა თავი მოიკლაო, თქვა ცისანამ, ლექტორების ბოლო შეკითხვის საპასუხოდ.

— ზღვაზეც ჩამოვიდა ეგ ხმა, მაგრამ ჭორი გამოდგა... — შენიშნა ნელიმ.

— მართალია, ნელი ნათლია... — არ დაუჯერა ნატომ.

— რისთვის მოიკლა თავი? — ღიმილით მიაშტერდა ლერი.

— მოიწამლა, კი არ მოიკლა, თუმცა ეგ სულ ერთია, ნიშანი დააკლეს თურმე და იმიტომ...

— ნიშანს არავინ არავის არ აკლებს, გენაცვალე, მაგ ამოიგდეთ თავიდან... განმარტა უმაღლეს სასწავლებელში დაყენებული ხმით საშამ.

რეზო ზაიზვილი
მომთხმ სიფოონია

— სხვას უმატებენ, ჩემო ბატონო, იმას რომ მიუმატებ, ჩემი დაკლება არ გამოდის?.. მე ობიექტურად მცდი, ვთქვათ, მაგრამ, ავერ მეორეს რომ არ ეკუთვნის და უმატებ...

— არის, კი, მსგავსი შემთხვევებიც...
— დაყაბულდა ლერი და საათზე დაიხედა.

— იშვიათად, მაგრამ არის! — მხარი აუბა დისწულმა.

— ზოგიერთი უმსგავსო ჩადის მაგნიარ საქციელს, მაგრამ მთლად მასეც არაა, ბატონო მიხაკო...

— დათიკო.

— უკაცრავად, ბატონო დათიკო, ასეც არაა საქმე-მეთქი, მინდოდა მეთქვა, შარშან მაგალითად, იცით, შეიძლება, ჩამოვიდა რაიონიდან ვინმე ხერკელაშვილი უპატრონოდ და მოეწყო...

ეს ფაქტი დათიკომაც ვერ უარყო, მაგრამ ნელიმ ნათქვამი ვერ გაიგო ან უკუღმა გაიგონა და ლერის უთხრა: იმ ხერკელაშვილის არ იყოს, ყველას ჭირდება პატრონი და ამ მშვენიერ, სწავლამოწყურებულ გოგონებს უსწავლელს ნუ დავტოვებთო.

— ბოლო გამოცდა დარჩათ, იცით კარგად, რას მიყურებთ?!

— ჩვენ რა შეგვიძლია, ნელი! — შეაჩერა შეტევაზე გადმოსული ქალი საშა ინაკავაქემ.

— აბა ვის შეუძლია, თქვენ თუ არ შეგიძლიათ!

— ჩვენ არა ვართ, ნელი, ძვირფასო, გამოცდებზე...

— როგორ არა ხართ?!

— მშვენივრად... არც მე, არც ბიძა-ჩემი წელს უმაღლესის გამოცდებში არ ვმონაწილეობთ, ტექნიკუმში გადავედიო...

— თავმჯდომარეაო, იქ ჩამოიტანეს დამტკიცებული სია, ამოვიწერე...

— ნუ ეძებ, მართალი ჩამოუტანიათ, ვიყავით... ვიყავი და უარი ვთქვი, ლერიმაც უარი განაცხადა...

— რატომ არ მითხარი, საშა, აქამდე! — გვარიანად იყო სახეზე წამოწითლებული.

— არ გიკითხავს და ჩვენ ხომ არ გიყვირებდით: არა ვართ, არა ვართ... ამის შემდეგ კარგა ხანი აღარ გაუღია აღარავის ხმა. დუმდნენ და დათიკოს მძიმე სუნთქვა და ღრუტუნის ჭრია და ყურთასმენას. ფხიზელიც ხროტინებდა თურმე ხმადაბლა, მაგრამ ლაპარაკში და ხმაურში არ ისმოდა.

— ისე, სწორად მოქცეულხართ, — დაარღვია სიჩუმე, როგორც იქნა, ნელიმ, — აბა, ჩემი ძმა რომაა სულელი... რა უნდა ამ დროს, ამ სიტყვაში გამოცდებზე, რომელი ჭკუათმყოფელი გაჩერდება ახლა თბილისში, თუკი გავლის საშუალება აქვს.

არავინ შეეპასუხა. ზედმეტი რომ მოუვიდა, თავადაც მიხვდა, მაგრამ არ უნაღვლია; მისი პატიოსანი ძმაც არ გამოჩნდა და სტუმრებიც წავიდნენ.

— რა იყო ახლა, რას გამორჩით, მაიმუნივით რომ მატრიალეთ ვილაც ოხრების წინაშე, რას გამორჩით?! — თქვა სკამზე მოკუნტულმა ნატომ, სუფრის ალაგებას რომ მორჩნენ.

— დაიწყე შენებურად, მოგეცა მიზეზი! — თვალი მოარიდა დედამ.

— სიკვდილი ჯობია თქვენს ხელში ყოფნას, სიკვდილი... არც კი ვესმით, რას ჩადიხართ... დაინახავთ ვილაც ოხერს და...

— აბა რა ვქნა, შე საცოდავო, ფერი აღარ გადევს და სული აღარ გიდგია, სანამდე გინდა აბარო, კიდევ რომ ნიშანი დაგაკლდეს, შავ წყალში გადავეარდები... ვილაცას თუ არ გაუციწენ, თუ არ თხოვე, თუ არ შეეხვეწე, რომელი გადარეული...

— გადარეულები და სულელებიც თქვენა ხართ, ვაბარებდი მე, თეატრალურზე და მაინცდამაინც სამედიცინოს მიმაკალი, მერე საბულალტრო აღრიცხვაც აღარ ითაკილე, მაგრამ ჩავივარდა კოვზი ნაცარში...

— გაგინმა მაგ მწარე ენა, შვილო, რატომ გაუჩნდი შენს დედას საწვალებლად!

— თვითონ იწვალე თავს, თვითონ იწვალე... დამანებე, მომეშვი. კერვაც

ვიცი და ქსოვაც. სულ ერთია, შენს ხელში მინც ვერ გავთხოვდები და თავი კერვით უნდა ვირჩინო ბოლოს... სტუდენტობისასაც მოგაშავებ, ერთ სამიანს როგორ ვერ მივიღებ...

— ყოჩაღ შენ, მადლობის მაგიერია, ასე უხდი მადლობას ნათლიაშენს, აღარც ამ პატოსან ხალხს ერიდები...

— ჩვენ რა სახსენებელი ვართ, ქალბატონო პელაგია...

— დაიქცა ჩემი გათხოვების დღე, მაპატიე, ჩემო ნელი...

— ოღონდ მაგან მიიღოს ერთი სამიანი და არ დავეძებ არაფერს, ოღონდ მაგ ვნახო მოწყობილი... — წყნარად თქვა მაგიდაზე გადაწოლილმა, ხელისგულზე ნიკაჩამოდებულმა ნელიმ. პელოს და ნატოს წასვლაზეც არ განძრეულა, სადარბაზოს კარი რომ გაჯახუნდა, ამოიხზრა და წელში გაიმართა.

— მაკვირვებ, ჩემო ნელი, ჩემი სისხლ-ხორცი ხარ და პირში უნდა გითხრა, უკან დამიყენე შვილი... — დინჯად თქვა დათიკომ, სხვაგან იხედებოდა, ამას რომ ამბობდა და მაგიდაზე ათამაშებდა ბლაგვ თითებს.

— ენაგადაყლაპული მეგონე, აქამდე რომ ხმა არ ამოიღე... ნულარ მაწყენინებ, დათიკო, ნუ ამიხირდები...

— ვხედავდი, ბატონო, ყველაფერს, ბრმა კი არა ვარ, ჯერ იყო და, ხმა არ ამოაღებინე, მერე ჭიქა ჩააფშვნივინე ხელში...

— რატომ ვარ ცოცხალი, ამას მეუბნები ბავშვთან, ასე იყო, ცისანა?

— არა, მამიდა...

— უკან დამიყენე ნამდვილად, შვილი უკან დამიყენე... კარის მეზობელია, ნათლულია, მაგრამ ამან რა დაგიშავა, წინ რომ გადაუღდე... — წამოდგა, ხმელი ნივრისფერი, გადაშვებული ხალათის ჯიბეები მოიფათურა, მაგიდას და სკამებს მოავლო თვალი, რაღაც მოისაკლია, მაგრამ ვერ გაიხსენა.

— ორად ვერ გავიჭერი, დათიკო, ან იმას რა გავუკეთე, ენა როგორ გიბრუნდება, მეშვიდედ აბარებს წელს, ძვალი და ტყავია დარჩენილი...

— ცოდვია, კი, ცოდვია, ესეც ცოდვია, მეც ცოდვა ვარ... მესამედ აბარებს, მართალია, მაგრამ ამნაირი ორი მყავს კიდევ, ერთი წელს ამთავრებს უკვე, მერე — გაისად. მოვიდა იმათი დროც ამ სიარულში. ერთი ვერ მომიწყვიტა და სამს ერთდროულად რა მომაწყობინებს!.. რაღაც მრჩება, გოგო!

— გაზეთები, ქუდი, მიავდებ ხოლმე.

— ნეტავი შენ მიგავდებდე და შეგავდებდე სადმე და ქუდს რას დავეძებ... გავწვალდი ნამეტანი, ნელი, დავკარგე თავმოყვარეობა; უნდა დავანებოთ თავი ყოველივე მეცადინეობას... გაყვეს და გამოყვეს აწი დედამისი, იმანაც გამოსცადოს, რაც მე გამომიძლია; იმანაც იწვნიოს, რაც მე უკადრისი მიწვნევია... ჩემდა უბედურად, გვიან მოვეკიდე ოჯახს, ბიჭს დავხარბდი და სამი გოგო გავაჩინე უნებურად, გაჩნდნენ, გვიან წამომესწრნენ და გამაწვალეს... დავიღალე, შვილო, მეც აღამიანი ვარ, აღარ შემიძლია...

— მიდიხართ, დათიკო?

— წავალთ, დროა... მოსული იქნება ახლა ის ჩვენი მოყვარე, მივალ, ჩავუვარდები ფეხებში, მერე სხვაგან მივალ და ვივლი ამ გაგანიაში ასე კარდაკარ, ვივლი და ვნახავ, რა გამოვია...

— გამოვა, დათიკო, აბა რა იქნება, ორი გამოცდა დარჩა და ჩააბარებს და გეშველებათ, შენ რატომ ტირი, მამიდა?

ტიროდა. გული ჰქონდა ამოძვარი. ორი ცრემლის ნაკადი ჩამოსდიოდა ცვილისფერ სახეზე.

— ...არ მინდა, აღარ მინდა... არც სწავლა მინდა, არც მოწყობა, აღარაფერი აღარ მინდა...

— ჰო, კარგი, დაიწყო ახლა, საყვედურის თქმის უფლებაც არ მქონია! — გვერდებზე დახვრეტილი, ლურჯი ქსოვილის კეპი დაიხურა, დაკეცილი გაზეთები ჩაილაგა ნივრისფერი ხალათის ჯიბეში და ქალიშვილს შეფიქრანებულმა გადახედა.

— არ მინდა არაფერი... — ცრემლებს იმშრალებდა უკვე.

— ნუ ტირი, შემოგველოს მიმიდა, ნუ აყვები ნერვებს. ბავშვს გაუფრთხილდი, იცოდე, დათიკო, სატირლად მიეცა ჩვენს მტერს საქმე... შენისთანა ლამაზს ქვეყანა შემოგნატროდეს იქნება და ტირი!

— აღარ მინდა, აღარაფერი აღარ მინდა...

— აბა გეყოფა, ამოიწმინდე ცრემლი, ეგრე...

— კარგად იყავი, ნელი, ბოდის ვინდი შეწუხებიათვის... რაც არი, ეგ არი, თუ ამის ბედია, ჩააბარებს, თუ არა და...

— ჩააბარებს, აბა რას იზამს, დათიკო, ჩააბარებს. აღარ იტირო, თუ ვინმეს ხათრი გაქვს, გული არ გაიტეხო, დათიკო, ბავშვს გაუფრთხილდი, იცოდე, ღმერთი მოწყალეა!

— კარგად იყავი... ღმერთო, კეთილად დააბოლავე ჩვენი წვალუბა!

მეოთხე დღეს ჩამოვიდა სატირალში წასული ბესო თბილისში. ზესტაფონიდან თერჯოლაში გადაუხვიეს, მესამე დღე იქ დაიღამეს, ძლივს აიშვეს თავი გამთენიის ხანს და ჩამოვიდნენ ოთხშაბათ დილით ადრე. რკოთზე დრუბელი ამგზავრათ, ხაშურთან წამოშვეთა კიდევ, შერე და შერე მოკრიალდა ცა და თბილისში ისევ ხვატი და აღმური შეეგებათ. დასუფთავებულ-დახეხილ, მილაგებულ ბინაში ცოტაოდენი სიგრილე და ცოლის დატოვებული, არცთუ მთლად თავაზიანად დაწერილი წერილი დაუხვდა. თუ ზოგიერთ პიკანტურ, კინალამ უცენზურო სიტყვებს არაფრად ჩავაგდებდით, რამდენიმე საქმიანი რჩევა და დავალება ეწერა შიგ მხოლოდ. დადლის და უძინარს ბარათის ესთეტიკურ-მხატვრული დონისათვის ყურადღება არ მიუტყვევია, ცარიელ საყვედურებზეც არა შეწუხებულა, მაგრამ დათიკოს (რომელსაც იგი იცნობდა და არც იცნობდა ფაქტიურად) გაჭირვებამ დააფიქრა, მოვალეობის გრძნობამ შეახსენა ჩვეულებისამებრ თავი. დღეს ჰქონია ბოლო გამოცდა და აწივიდას ვნახავ, რაღას ეუშველიო. თბი-

ლი წყალი გადაივლო, აივნის კარი გამოაღო და წამოწვა. თვალს მშრალსა და წამოვდგებო, მაგრამ ვერც თვალი მოატყუა და წელიც ვერ აითრია. დიაფრაგმა უთრთოდა, თვლემ ერეოდა და არ ეძინებოდა ნომარსა და ღამეებნატებს. სიცხე აწუხებდა, ოფლით ეცვარებოდა კისერი. მოისროლა ბალიში; მუთაქაც, ტახტის რბილ ძგიდეს ჩამოადო თავი, გაირინდა და ღია კარიდან შემოსულ ვერეს ხეობის ხმებს დაუგლო ყური. ჩიტი სტვენდა, ძაღლი ყუფდა; სადღაც შორს ბულდოზერი მუშაობდა. ბავშვი ეძახდა დედას, ლეიბს ბერტყავდა მოზინადრე, ქალაქის პულსაციის შორეული გუგუნიც უერთდებოდა ლეიბის ბერტყვის, სიცხეში ქალაქად დარჩენილი ბავშვის, ძაღლის, ჩიტის და ნაწვევებულ ხმებს. იშლებოდნენ, იფანტებოდნენ და კვლავ იბურდებოდნენ ხმები. სადღეგრძელოები ისმოდა შიგადაშიგ. ერთდროულად და ცალ-ცალკე ლაპარაკობდნენ: კონა ქვარიანი, ჯონდი ფაღავა, ყუტუ ჩანადირი; უცნობები და ნაცნობები; ექიმები, მესაფლავენი, მექელეხენი; დაგულულად გრიალებდა კლარნეტი, დოლი და პიანინო. ამ უცნაური ტრიოს ხმა მაინც საიდან მოდიოდა სითაქარეში. არადა, პიანინოსაც უკრავდნენ ამკარად. გაჩუმდნენ, გარეგანი ხმებიც მიიგუდა, გაყუჩდა სამყარო და არეულ-დარეული აკორდები ჩამოყარა ვილაცამ იქვე ახლო, გამტკნარებულ ზეფირში. თვალი გაახილა, სმენა გაიმახვილა და კუტკალების ხმა შემოყვა სიცხეს; იწელებოდა და იკუმშებოდა ცხელი ჰაერი, სიც-სიც-ცხ-ცხედ... ღია შუა კარიდან „ხალის“ კედელზე მიდგმული პიანინოს ხუფახილილი საკლავიშე და ბზრიალა სკამი ჩანდა. ცარიელი სკამი, ცარიელი კლავიშები. სიყრუე. სიცარიელე. ვინ ახადა სახურავი კლავიშებს? ახლა, ამწუთას ვინ უკრავდა?.. ხომ არ შეიძლებოდა, პიანინოს პიანინო დაეკრა თავადვე. მოეყურა, ცხადია. შეინძრა, გასწორდა და... რაღაც სულიერსაც მოკრა თვალი ნახევარ პიანინოზე.



კატა იყო შანდლებთან. გადიოდა და გამოდიოდა კლავიშებზე, წელში აწურული ჩერდებოდა კუთხეში და ინსტრუმენტის ხმოვანებას ამოწმებდა.

„ოი, დაწყველოს ღმერთმა, საიდან შემოვიდა ეგ კატა!“

დარეტინებულვით ადგა, თვალში ამოისვა ხელი და შანდალთან აწურულ, წელში აწყვეტილ, კატობაში შესულ ცინდალს მიაჩერდა.

„შენ უკრავდი?“

ხელი წაუწია და კატა ძირს ჩახტა, ფეხებზე გაეხახუნა, გასასვლელისაკენ წავიდა. საშხარეულოში შემასწროო, გაიფიქრა და კართან დაინახა ჰოლში.

„საიდან შემოდი, გადაგიშენდა ჯინლაგი!“

კარი გამოაღო. თვალგაბრწყვიალებული კატა გარეთ გაუშვა. მწვანე თვალის კაკლები გაუწყლიანდა სინათლეზე, ორი შავი ხაზი დააჩნდა ორ კაკალზე. ფეხაკრეფით მივიდა კიბემდე, რკინის რიკულში გაყო თავი და ქვევით ჩაიხედა ფრთხილად. იდგა და იხედებოდა ძირს კარგა ხანს. უყურა ბესომ და კარი მიკეტა: დაწვა, გუნებაგამოკეთებულმა და დამშვიდებულმა დაძინება დააპირა და ზარის ხმა გაიგონა. თუ ახლა კატა რეკავს, უეჭველად გადავირევიო, გაიფიქრა, სიჩუმე რომ დადგა, გაეხარდა და ხელმეორე ზარზე გამოფხიზლდა საბოლოოდ. კარზე იყო ვიდაც ნაღდად მომდგარი, რბილად დაწყვეტილ-წყვეტილ აპერდა ღილაკს თითს.

„ნარია!“

აღელდა. მიდუნებული სამყაროს მოდელი ამოძრავდა ენერგიულად, გულმა შეკუმშვა და გაფართოება, სისხლმა და პლაზმამ მიქცევა და მოქცევა დაიწყო აქტიურად. ისე ცივად, ოფიციალურად მელაპარაკა ერთი საათის წინ და მაინც მოვიდაო, ფიქრობდა ალტაცებული. გააღო კარი და დაღეული დედაბერი დაინახა. იცნო და ვერ იცნო. ბესო ხომ ხარ შენო, ნიკაპამოწვეული კითხულობდა ქალი.

— ბესო ვარ, კი.
— ნელიმ დამიბარა, ბესო გაგიღებს

კარსაო, ლეიბები უნდა დავშალო... შენი კენესა მე, მატყლი უნდა დავებნო...

— გარდა იმისა, რომ უცნაურ მახვილებს ხმარობდა, სიტყვებს არბილებდა ბოლოში, ვაი შენ შემოგვევლო, უმატებდა თითქოს გუნებაში სხვა ინტონაციით.

— ...ჯოხები იქაი სდევს, სადაც შარშანწინ შაინახეო...

რალაც ჯოხებზე ცოლის დანატოვარ ბართშიც იყო ლაპარაკი და ბესომ მატყლიპენტია ქალი იცნო.

— შენ ხარ?.. რომელ ქუჩაზე ცხოვრობ? ერთხელ ხომ მიგიყვანე სახლში?

— როგოი არა, მიმიყვანე, კი, როგოი არა...

- სად მიგიყვანე?
- კომინტერნი ქუჩაზედა...
- რას შვრება შენი ბიჭი?
- ჩემი ბიჭი დაიჭირეს.
- დაიჭირეს? რძალო?
- ჩემი რძალიც დაიჭირეს.
- ერთ საქმეზე?

— რა ვი მე, ცალ-ცალკე კი დაიჭირეს და... შემატოვეს ბალები. ბიჭი ჯარში წაიყვანეს, გოგო დადის ქუჩა-ქუჩა, ხან ვი უჯდება მანქანაშია და ხან ვისა...

- კარგად აგწყობია, აბა, საქმე!
- კი. საქმეი რა უჭირს, თუ ჯამრთელობამ არ მიმტყუნა...
- ჭამე ჯერ, ჩაი დავლიოთ...
- ჩაიზე უარს არ ვიტყვი, ნახევარ ჭიქას დავლევ მხოლოდა...
- მთელი დალიე.
- რა ვი, აბა ნამეტანი არ მომივიდეს კია და...

ქალმა პურზე კარაქი წაუსვა სქლად, ნახევარ ჭიქა ჩაიში (არაფრით მეტი არ დაისხა) ჩაყარა შაქარი, მურაბა; კარაქიან პურს დაადო ყველის დიდი ნაჭერი და უცბილო პირით შეუდგა ლოდნას. ჭიქა ჩაით რატომ არ გაავსეო, ჭკინთხა ბესომ.

— აბა რა ვი, ბევრი არ მომივიდეს კია და...



— რას მიზნოვავ ამ აღუღებულ წყალს!
— გული მოუვიდა მასპინძელს, თავად ხელი უკანკალებდა და ცხელი ჩაის ჭიქის პირთან მიტანა უჭირდა.

ლეიბები გაუყარა ჩაის შემდეგ აივანზე დედაბერს და სააბაზანოში შევიდა, ისევ გადაივლო თბილი წყალი და ცოტა ხანი გაჩერდა შხაპქვეშ. ტანი გაიმშრალა, გამოვიდა. სველ თმას რომ ივარცხნიდა, ორთქლი ასდიოდა შიშველ მკლავებზე. ოთახშივე შრებოდა და ისიცხებოდა ისევ. დედაბერს მატყლი გაეშალა უკვე და პირდაპირ მეტლახზე დამჯდარიყო მზეში. კაბა ლაჯებში გამოემწყვდია და მუხლებამდე ჩამოგრძელებული ნიფხავი მოუჩანდა. შეხედა ბესომ და გაახსენდა პანაშვიდიანი სახლი ბუხუს უბანში, სახნისის ქუჩაზე, სადაც ლექტორი ქარჩავა იმალეობოდა, ბატონი ივანე (მკვდრებს რომ ბანდა) და სხვა მობინადრეები ცხოვრობდნენ.

— რომელი ქუჩიდან ხარ, სულ მავიწყდება!

— კომინტერნი ქუჩიდან... აქ ვილაც იყო, მე რომ მოველ?...
— ვინ უნდა ყოფილიყო, მე ვიყავი...
— შენ ხომ კარი გამიღეი, სხვა კიდევ იყო შიგა, სახლშიდა?
— კატა, უცხუა კატა.
— ეგ ვერანა... ხომ არავინ მოგკედომიათ ამ დღებშია?
— ვთქვათ კი, მერე?
— მკვდარზე იცის მაგანა გემის აღება...
— ის იქ დაემარხეთ და კატა ჩემთან მოვიდა?!

— ასე იცის, კი, კიდევ მოვა...

დედაბერი მატყლს ხელით წეწავდა, ფთილა-ფლითად ალაგებდა გაჩეჩილ მატყლს მზეში. თავადაც მზეში იჯდა თავსაფარწაკარული, გამხდარი და დამარილებული. ჯოხები გვერდზე ეწყობოდა.
— შენი ქმარი როდის მოკვდა?
— აბა რა ვი, დიდი ხნის წინა... ავადმყოფი იყო ავი ზნითა, დედამთილი მეუბნებოდა, შვილი არ იყოლიოო, შენც არა ხარ სანაშენოო, თავად კუდიანი

გახლდა... ცოდვა არ დაიდო... დავიდა ევი მაინც ცოდვაი, თვითონ კი წავიდა დროზედა...

— დედამთილი?

— ქმარი. დედამთილიცა. ორჯერა ვნახე ამის შემდეგა...

— შვილი? — წამოიყვირა. დავყრუვდი ალბათ სიცხისაგანო.

— ქმარი.

— ქმარი როგორ ნახე, თუ მოკვდა?!

— სიკვდილის შემდეგ ვნახე ორჯერა...

— ოი, დაწყველის ღმერთი... მივდივარ და კარი არავის არ გაუღო ჩემს მოსვლამდე...

— არც შენა?

— მე კი. თვითონ გავალე. ჩემ მოსვლამდე თუ წახვედი, კარი მაგრად გაიხურე, თავად ჩაიკეტება.

— მე არაფერს არ მოვიპარამ, არ შეგეშინდეს... იცის ნელიმა, რომ არ ვიპარამ, რომ მოხვალ, შემამოწყმე... აი ეს ერთი კაბა მაცვია შიგნითა, მეორე კაბა მაცვია გარეთა და ეს მაცვია კიდევ ქვევითა...

— ჰო, კარგი... თუ რამე ნახო, ჭამე უჩემოდ.

— არაფერს არ შეგჭამ უშენოდა. ჩაის დალევე მხოლოდა:

— ნახევარი ჭიქა მაშინ...

ჩაქდა მანქანაში და პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ წიგნების მალაზიასთან გაჩერდა. გადმოვიდა. ხალხით სავსე გადახრუტული ეზო და მოედანი შეათვლიძერა. გსმოცდები იწურებოდა, ხალხი კლებულობდა, მაგრამ არ თავდებოდა. ჭგუფ-ჭგუფად, ჩრდილ-ჩრდილ იღვნენ მაინც ეზოში, მოედანზე, ქუჩაში, ტროტუარებზე.

ბევრი იარა ბესო იაქემ მობეტონებულ ეზოში, იქით მიდგა, აქეთ მოდგა, რამდენიმე სქელეისერა მამაკაცს მიაჩერდა, შემოუარა, ახედა, დახედა, მაგრამ დათიკოს ვერც ერთი ვერ მიამგვანა. შეიძლება ეგაა და ვერ ვცნობო, ფიქრობდა ყოველი სქელი და წითური კაცის დანახვაზე. მოითენთა და ჭადრის დაბალ, დაკოჟრილ ხეს მიეყრდნო.



„რა მითხრა მატყლიბენტიამ, ვინ იყო? რა კატაო, კიდევ მოვო, ასე თქვა. ამადამ მარტო ვერ დავიძინებ!“

ნაცრისფერი, ყურებაწვეპილი კურდღელი გამოხტა ამ ფიქრში, წითელი ფიატის ქვეშ გაძვრა, აუქცია რამდენიმე ფეხოსანს გვერდი და გაქრა. რა უნდოდა ტყის კურდღელს ამ შუადღით ქალაქში. ხალხის უყურადღებობამ უფრო გააოცა, ვიდრე კურდღელმა. ნუთუ ვერავინ დაინახა ჩემს მეტაო, გაიფიქრა და ხელმეორედ გამოხტა ტყის კურდღელი. ჩაცუცქდა ყურების პანტურით, გაცუნცულდა და ერთ ფეხებგაჩაჩხულ კაცს გაუძვრა კოჭებში. ისევ ვერავინ დაინახა ბესოს გარდა. სქელ კაცსაც, ინსტიტუტის რადიოკვანძის რეპროდუქტორს რომ მიჩერებოდა, არაფერი გაუგია. კურდღელი ახლა ზიგზაგებით გარბოდა ხალხისაგან გაკიდევანებული, ბაზალტის ქვის კედელთან მიიწყო და დამურას ჩრდილივით.

„ფრთხილად, ბესო იაძე!... რა უნდა კურდღელს ამ შუა ქალაქში, შუადღეზე!... გლახათაა შენი საქმე!.. კურდღელი ასფალტზე კი არა, ყარაიას მიწდვრებში აღარ დადის!“

თავბრუნდახვეული ჩაჯდა მანქანაში, დახუთულ სალონში ჰაერის უქმარობა იგრძნო.

„თუ წავიყვანე, გადარჩენილი ვარ!“ მოწყდა ადგილიდან, გადაუხვია ვაჟა-ფშაველას გზატკეცილზე, ჩქარა იარა და უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან აღმოჩნდა. რატომ, რისთვის მოვიდა, ვერ გაიგო.

აქ უკვე დამთავრებულიყო გამოცდები. დიდი აქტი შესრულებული იყო და მრავალსართულიანი, მახინჯი სახლი ვნებადამცხრალს ჰგავდა. აქა-იქ კიდევ წრიალებდნენ დასიცხული მშობლები და ცოდნაამობერტყილი პინგვინები. მოკაფიე პროფესორების ნარჩენები კმაყოფილნი იდგნენ ფარდებჩამოშვებულ ფანჯრებთან, ჩაჰყურებდნენ ჩაჭრილ-ჩასიცხულ ახალგაზრდებს, რომელთაც ნაადრევი შემოდგომისა და ხმელი ფოთლის დარდი მიყვებოდათ. ეზოში ცა-

რიელი ფურცლები, რვეულებისა და გენების ნახევები, ესკიზოს ჯოხები, კვანძის ქაღალდები და ავტობუსის ბილეთები ეყარა. მიაბრუნა მანქანა, ვაჟა-ფშაველას გზატკეცილის ბოლოში გაჩერდა. დაბრუნდა. აუხვია ხელმარჯვნივ, ჩაუბრა კვლევით ინსტიტუტს, კიდევ რომელი-ღაც ინსტიტუტს, გავიდა მტვრიან შარაზე, აიღმართა, გადამწვარ სერებს გადაადგა, გაცდა ნაგვის გორებს, პატივისა და ნამჯის ნარჩენებს; ძეძვით, ბაბუაწვერათი, აბზინდით, ნარმავებითა და კატაბარდებით დაფარული გზით ჩაივია და შორს, კლდის ძირას ჩრდილდაცემული, ხაკისფერი ვერე მდინარე დაინახა; იარა, იარა და იმავე მდინარეს მიაღდა სხვა მხრიდან. სუფთად და აუმღვრეველად მოღვანლვალბდა ღუმელა წყალი, მზე ანათებდა და ხაკისფერიც აღარ ეღო ჩქერებს იმ ალაგას. ძეძვნარში, შამბში, ლიხში, ტირიფების რაყაში ასიათასობით მწერი ერთდროულად ჭრიჭინებდა. ჭრიჭინი პროტონების სეტყვასავით მოდიოდა ზეციდან, კოსმიური შრიალით ეღებოდა ვადამწვარ ველ-მინდვრებს. ერთდროულად უსვამდა საკუთარ ძვალს ხემს ასი ათასი ჭრიჭინა, ბოკომკალი და კუტკალია. ისხდნენ მხერხავები და ჭრიალებდნენ სულმოუთქმელად. ექვს ხმას ასხვავებდა ამ ქაოსიდან მიზო ბ-ძე, რომელიც მუხათგვერდის სასაფლაოზე განისვენებდა ამჟამად. რა აჩერებდათ ფეხბურთში ჩამწვარ მიზო ბ-ძეს და ბიჭიკო ხუხუნეიშვილს ამ შუა ზაფხულში, შუა საფეხბურთო სეზონში სამარეში. ჩათვადებოდა და ახალი სეზონი დაიწყებოდა, ჩატარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატები მიზო ბ-ძის, ბიჭიკო ხუხუნეიშვილის, ბართლომე ბიბილეიშვილის, ლავრენტი არდაზიანის გარეშე. გადაიგრიალეს საუკუნეები უჩვენოდაც; დაიბადებოდა დიდი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მეამბოხენი, თუჯისთავიანი პოლიტიკოსები; შეაბრუნებენ ჩარხს ისტორიისას და ვერ შეაჩერებენ დროს; ერთნაირად მოეფინება მზე ვარდთა და ნეხვთა და ეამთალმწე-



რლები შეასხამენ ხოტბას დიქტატორებს, მკვლელებს, მანიაკებს, ადამიანის სულისა და ტვინის ობობებს; მიაგებენ უღირსთ მისაგებელს, სიკეთის მქნელთ დაიფიჭებენ. აშენდება და დაიქცევა დიდი ტაძრები და სასახლეები, ჩაიფრდება ქალაქები და ოაზისები; გადაეგება ლავე ზეთისხილის ბაღებს, მღლარ ვენახებს და კვლავ და კვლავ აღორძინდება შისიქვეშეთში ყოველივე. ჩამარხულ ხსოვნას ჩამოცილდება მტვერი და გაკრიალდება ზეცა შენს წინ და შენამდე, დაიხურება ცის კარები შენს მერე და ველარ გაყვები საკუთარი სისხლისა და ღრობის უწყვეტ სიციხფერეს. ვიცოდით და აღარ გვეცოდინება, გვახსოვდა და აღარ გვემახსოვრება; გავიგეთ, რაც იყო, ვერ გავიგებთ, რა იქნება. მდინარეში შევიდა, კოჭებამდე წყალში გაჩერდა, გაახსენდა ეორია, ვინც პირნათლად, ჩვეულებრივად მოიხადა ამქვეყნიური ვალი და ეზიარა მარადისობის საიდუმლოს. შოფერმა ეორიამ ახლა მარტომ მეტი იცოდა, ვიდრე ყველა ცოცხლად დარჩენილმა ერთდროულად და ცალ-ცალკე. ჭრიჭინებდნენ ბოცომკალები, კუტკალები, ჭრიჭინები. მხერხავებდად ისხდნენ ტირიფის, ძეძვნარის, აბზინდის, ნარშავების ტევრში და ერთდროულად ხერხავდნენ საკუთარ ძვლებს. ტიროდნენ, მღეროდნენ, ეკვიანობდნენ, ნაყოფიერდებოდნენ გულის ტახიკარდიული დაგაღუგით, აკვნეტდნენ სპერმით გატიკნილ პარკს მამლებს, კვნესოდნენ, ეძებდნენ დანარჩენები ცალს, გლოვობდნენ სხვები სიცხ-ცხეში; ისინიც მღეროდნენ გადამწვარ-გადახრუკულ სერებში, კუტკალების, ჭრიჭინების, სიც-ცხ-ის შრიალის აკომპანიმენტზე:

რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

მღეროდნენ სამ ხმაში, სიცხეში, ჭრი-
ალში, ძვლების ხერხვაში; მღეროდნენ
ხმაშეწყობილად, მაგრამ ტექსტს ვერ
იმახსოვრებდნენ, ადგილიც არ იცოდ-

ნენ დასადგომი. სად იდგნენ, სად მღე-
როდნენ: ჭრიჭინების, სიცხ-ცხ-
ცხის ცის ქვეშეთში.

რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

სანამდე შეიძლებოდა ერთი და იგი-
ვეს მღერა. რა უნდოდა ბოლოს და ბო-
ლოს ტექსტის სწავლას ასიცხ-ცხ-ცხ-
ცხებულში, კალიების ხოროში, ჭრი-ჭი-
კინში, ხერხვაში, პროტონების შრიალ-
ში, მკილის ხერხვაში. ხომ ვთქვი: მკილი
ვარ-მეთქი. მაქვს ცოდნა მკილისა, გა-
ნათლება მკილისა, ხედვა მკილისა, შე-
ცნობის უნარი მკილისა, პერსპექტივა
მკილისა: მომეც ბარემ ძალი მკილისა,
იმედი მკილისა და წაიღე ჰკუა ჩემი,
დარდი ჩემი, სიკეთე ჩემი და სიყვარუ-
ლი ჩემი, ხოლო როცა „პირველად მო-
ვალს ანტიქრისტი,“ გამაღვიძე სიც-ცხ-
ცხეში...

...მის მიერ მოიკვლის ენუქ და ელ-
ია და მრავალნი სხვანი მოსწყდებიან
და მრავალთა აცდუნებს. და შემდგომად
მისსა იქმნას საყვირთა ცემანი ანგელო-
ზებისა მიერ და მკვდარნი აღდგებიან.
და რომელნიც ცოცხალნი არიან, იგი-
ნიც წამსჯა შინა მოკვდებიან და მუნთ-
ქვესვე განცოცხლდებიან. და განიღებს
ჯოჯობეთი პირსა და აღმოვალს ცეცხ-
ლი, შესწავას ყოველთა მტერთა ქვეყ-
ანასათა. მაშინ გამოჩნდების სასწაული
ძისა კაცისა, ჭვარი ცხოველმყოფელი
და დაიდგის საყდარნი დიდისა მეუფი-
სა...“

და მაინც... არ წერილ არს კაცთაგან
ქეშმარიტება ჯერ...

ეს იქნება მხოლოდ გაცხადება, მხო-
ლოდ ახსნა საიდუმლოსი.

მახსოვრობის ტვინს გადაცილდება
აბლაბულა, აეხდება ფარდა სიბნელეს
და ნეტარ იქნებიან ისინი თუ ჩვენ, ვინც
ვიცოდით, რომ არაფერი არ ვიცოდით,
თუ შენც...

ვინც იყავ მკილი მიწისა და ფიცრი-
სა; უნართა მკილისა, ცოდნითა მკილი-
სა, სიყვარულითა და მოთმინებითა შე-
ნითა.

გენიკ ხარანაული

სამტრედიის ზღაგაუშის გასხევა

ვსხედვართ მანქანებში
და გზის გასხნას ველით,
მზეა, სიცხე არის,
წინაც გზა გვაქვს გრძელი,

ამიტომაც ვბრაზობთ —
ხალხი ზღვაზე მიდის!
თვალს წყალს ვალევიწებ
ვითომ სხვებზე მშვიდი.

გვერდით მანქანაში
კაცსა ვხედავ წითურს,
ჩანს, რომ მიდის ისიც
ზღვაზე ცოლშვილითურთ.

მკერდი ჩაუხსნია
სკამზე გადაწოლილს,
მიდის ქალიშვილით
და ლამაზი ცოლით.

თითქოს ერთმანეთიც,
თავის თავიც სძულდეთ,
დაშორებულები
თითქოს სამ კუნძულზე...

მიყრილები ზანტად,
როგორც ზღვა ისვენებს,
უტყვი სახეებით
მუსიკას ისმენენ...

იქ კი ვილაც ჩივის,
იქ კი ვილაც მღერის,
რომ უსიყვარულოდ
დაულამდა დღენი,

რომ ყველგან ეძება,
მოვლო მიწა-მყარი
და ახლა სიკვდილის
იმედიღა არის...

ისმენდა ის სამი
უტყვი სახეებით
და დაქროდნენ ცაში
თავ-თავისი გზებით...

და... ვისას მღეროდა
უცხო მომღერალი?
ერთი კაცი იყო,
ორი კიდევ ქალი!

გინდა გამოვიცნოთ,
გინდა კენჭი ვყაროთ,
მეც ვისმენდი... მაგრამ
ღმერთმა დამიფაროს!

აგერ, გზაც გაიხსნა,
ანზურდა ხიდი,
მზეა, სიცხე არის,
ხალხი ზღვაზე მიდის.

სიყვარულის წარმოსახვანი

შენ მონა ქალი ხარ.
მე რომაელი კონსული ვარ
(როგორც იქნა... ბოლოსდაბოლოს...)
ხვალე დილით სენატში, უნდა გამოვიდე,
მაგრამ მე შენთან ვარ.
შენ შავი ხარ... მე — ცოტა თეთრი,

მე შენ მიყვარხარ.

აღარც სიბრძნე, აღარც ასაკი, აღარც სახელი...

როგორი იოლი გადასაყრელი ყოფილა ყოველი.

მეგობრები მელიან სახლში:

სვალინდელი დღის ბრძოლებისთვის ვემზადებით

ჩვენც, მთელი რომიც.

მაგრამ მე შენთან ვარ.

არსად ისე არ იციან მოსყიდვის და შანტაჟის ფასი,

როგორც ჩვენს რომში...

მელოდებიან,

სამხილებით და ჭორებით რომ აღმჭურვონ სახვალიაოდ,

კეისარმა მკითხა გუშინ სველი ტუჩებით:

— ალკეოსმა რომ მისწერა საფოს ლექსად, სომ გაგიგია:

„საფო, შენთვის რაღაცის თქმა მინდა, მაგრამ ვერა

ვბედავო“ —

რისი თქმა სურდა მითილენელს,

ან რას ეტყოდა,

რომაელივით გამბედავი რომ ყოფილიყო?

— მე მგონი ლექსში გაჯიბრებას არ ჰკადრებდა ღვთაებრივ

საფოს

უთუოდ მასთანე ერთ საბანქვეშ წოლა სურდა ალკეოსს-მეთქი.

— უყურე, იმ ლესბოსელ მამალს,

რომაელზე უკეთესი გემოვნება არა ჰქონია!

გაიცინა და გამეცალა.

და რომ გავხედე — ნეკა თითით კეფას იფხანდა.

მე დამცინიან მტრები რომში,

თანამზრახველნი სიმხდალეს და ღალატს მწამებენ,

მეგობრები მხრებს იჩეჩავენ.

ვაჟიშვილი მუქარას მითვლის:

საშინელია მოლოდინი სიკვდილისა იმ კაცისაგან,

რომლის ყოველი მოძრაობაც ზეპირად იცი.

შენ ახლადდაბანილ თმას ივარცხნი...

სანთლებთან იშრობ,

შენ შავი ხარ,

მე — ცოტა თეთრი,

ამაყი ხარ...

არ შეიძლება შენთვის უკან ხელის წამორტყმა.

ხოლო ჩვენს რომში

ყველა ქალი ჰკვიანი არის

და ყველა კაცს მიაჩნია, რომ უთუოდ უნდა იხუმროს.

მე კი შენთან ვარ... დღეც და ღამეც

და იმით ვტკბები,

რასაც ამქვეყნად ვერასოდეს ვერ მივწვდებოდი,

თუნდაც ზედიზედ შვიდიგზის რომში ვშობილნიყავი:

სიყვარულს ვსწავლობ.

დაე, წავაგო მე ეს ბრძოლა,
ბევრი ბრძოლა მაქვს მოგებული!
— დაე, წავაგო ეს სიცოცხლეც,
მე ისედაც ბევრი ვიცხოვრე!

ჰადესში ჩავალ კელაპტარით წამძღვარებული —
სიყვარულის დრო დაკარგული დრო არ ყოფილა!

თუმც ამაოა ჩემი ლოდინი,
მე ვწერ ამ ლოდინს და გელოდები.

მაგრამ ქარია მხოლოდ სარკმელში
და მოშრიალე ხეთა ფოთლები.

მაგრამ ქარია მხოლოდ სარკმელში
და მოშრიალე ხეთა ფოთლები.

არ შეუძლია გულს ულოდინოდ,
ამიტომ ალბათ მეც გელოდები,

მე ვწერ ამ ლოდინს, მთელი დღე არის
ჩემს მაგიდაზე ვარ დაღვენთილი,

მაგრამ ქარია მხოლოდ სარკმელში
და მოშრიალე ხეთა ფოთლები.

უკვე აღარ ვტყუვდები,
შევწყვიტე ფოთლობა,
მცირე ნიავისთვისაც
რომ ვიყავ აცქვეტილი,

უკვე აღარ ვტყუვდები...
და რა სამწუხაროა,
როყის ქვას ქარიც ვერ ააშრიალებს.

დაწერე და გაშორდი!

ჩვენს ოცნებაში განა რამე უკეთესია,
ვიდრე ცხოვრება ღარიბ პოეტის?
იგი ზის და წერს...
დღეები და ღამეები და დროებიც წელიწადისა
მის გარშემო მოიქცევიან...
იგი ზის და წერს
და შეიძლება
პურის ნატეხიც ჰქონდეს სადმე და ღვინის ყლუპიც,
შეიძლება ცეცხლზე ყავაც ეხარშებოდეს,
იგი ზის და წერს...
და ერთხელაც,
ერთ მშვენიერ დღეს,
ისიც დასწერს ბოლო სიტყვას და ის —სიზიფეც
თავის მტანჯველ ლოდს შემოსდებს ღმერთის მწვერვალზე.

განა ტკბილად არ აღიქმება
გარდასულთა მწარე ცხოვრება?

განა ტკბილად არ აღიქმება
გარდასულთა ტანჯვები?

ტყუილია, თითქოს წყალი არ ისვენებდეს

დგება დრო — თითქოს შესვენებისა,
როცა გულგრილი ხდები ხოლმე ყველაფრისადმი:
რასაც შეჰხაროდი, რასაც ზედ ედებოდი,
რასაც ეწირებოდი...
როგორც მუსიკოსი გაუგულგრილდეს საკრავს თავისას,
თავის მარჩენალს, თავის მბრძანებელს.
ღმერთი გვასვენებს?
თუ ჩვენა გვაქვს ძალა ფარული,
ვით პეპელას, დაღლილსა და ნახეტიანებს
ძირს დაშვების უნარი აქვს ღვთით ნაჩუქარი,
რათა კი არ დაიმსხვრას და არ დაიჩეხოს,
არამედ მშვიდად დაეწვეთოს ბალახის ღერზე.

●
თამაშში რომ გემალება ადამიანი
და რომ იპოვნი...
რა ბედნიერი ხარ!

მიუხედავად იმისა,
რომ ამ წუთში შენს გვერდით იყო,
თითქოს გეპოვნოს უნუგემოდ
გადაკარგული...
და შეჰხარით ორნივ ერთმანეთს.

●
ამ ახალგაზრდა გოგოებს
ჯიუტად არ უნდათ,
რომ იყვნენ მელოდრამის გმირები.

იმის გამო, რომ სხვათა საქციელში
ადვილად ამჩნევენ უსაქციელობას,
ძალიან ძნელია მათთვის რამის ჩუქება.

ხოლო ზოგიერთი ძველისძველი,
კლასიკური მამაკაცური შესტი
არონიულ ღიმილსაც კი ჰგვრით.

მე ძალიან მიყვარს ასეთი გოგონები.

მათთან ყოველთვის ფრთხილადა ხარ და საერთოდაც ცდილობ, კარგი კაცი რომ იყო.

ეპ, ვინ გამოვია შენს დაძახილზე,
ჩემო საწყალო „ზაპოროჟეცო“,
თუმც კი დგახარ და ვილაცას იხმობ
სადარბაზოებმრავალ სახლიდან.
ეკრძალვი ღამეს, შენს ხმას უძალოს,
და ისეთი ხარ შესახედავად,

რომ ეჭვი არვის შეეპარება
მაგ შენს უბრალო ერთგულებაში:
რომ შეგიძლია დილამდე დგომა
და უპასუხო ძახილი მისთვის,
ვინც მყუდრო სახლში გამოკეტილა
და მშვიდი ძილით არის დასჯილი.

მათი სიყვარულის გზა ისეთი ხანგრძლივი და დამღლევი იყო,
რომ, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ,
მხროლდ ლოყის ლოყაზე მიღება შეძლეს.

იქ ჩემზე აღარ ლაპარაკობენ,
იქ ნელნელა მკვდარს ვემსგავსები.
თუ რამე ფრაზა,
ანდა სიტყვა — წამოცდენილი
შორეულად მაინც — ჩემს თავს ახსენებთ,
ბაგეს კუმავენ, შუბლს იკრავენ
და დიდსულოვნად პატიობენ სიტყვის წარმომთქმელს,
რომელიც ამ დროს
ნირწამხდარი სიკვდილს ნატრულობს.

ი ა ვ ნ ა ნ ა პ რ ო ვ ი ნ ი ე ლ ი ა ე ტ ი ვ ი ს ტ ი ს თ ვ ი ს

იგი ლაპარაკობდა თავის მშობელ კუთხეზე,
გრძნობებით, რომლებიც სულ არ შეჭფეროდა
არც ჩვენს დამოკიდებულებას იმისი მხარისადმი,
არც ჩვენს ცოდნას და სიყვარულს და არც მის ასაკს.
მაგრამ იგი ლაპარაკობდა — სტუმრისთვის — საერთოდ,
აღგზნებული, ღამაში, თავის თავს აყოლილი,
მშობელ კუთხის წარსულზე, მის ისტორიაზე,
იმის თაობაზეც, რაც შემდეგ აშენდა
და მოდაში შემოსულ, ასე საჭირბოროტო

სოფლის მოსახლეობის მიგრაციის ამბებზე...
მკაცრად იყო ჩაცმული, სუფთად გადავარცხნილი,
ახალგაზრდა იყო და
ის კი თავს იდიდებდა,
ენერგიული იყო, შემართული, მამაცი,
დაგვატარა ქარხნები, ჩვენთან ერთად იარა,
კლუბშიც გამოგვიყვანა, ლექსებიც წაგვაკითხა,
კომპლიმენტებიც გვითხრა... ჩვენ კი ვერ გავუბედეთ:
აკი ის გვატრონობდა, აკი ის უფროსობდა,
აკი ლამაზი იყო და... აკი აქტივისტი...

ვასშამზე კი ნელ-ნელა ჩაქრა და მოიწყინა,
დაილაღა, მიჩუმდა და უცებ დაემსგავსა
ჩვეულებრივ გოგონას — სახლში რომ ენატრება...
და მომინდა იმისთვის სიწყნარე და ლოგინი,
თავზე ხელის გადასმა, ჯდომა თავსასთუმალთან
და მისი იმერეთის რომელიმე ნანინა —
ტკბილი, ანაზღეული, როგორც სამაგიერო.

მოკვდავის კეფა

მე ვერ ვხედავ ამ კაცის სახეს,
რადგანაც მის ზურგს უკან ვდგავარ.

სამაგიეროდ ვხედავ იმის მსხვერპლს:
შეშინებულს, დამცირებულს და სულგაკმენდილს
და აქედან ვასკენი ჩემთვის, რომ გოროზია,
თავხედია, ულმობელია...
და მის წინ მჯდარი საცოდავი მსხვერპლის თვალებში
ირეკლება, როგორც ურჩხული.

ამ კაცს, რომელსაც ზურგსუკნიდან თავზე ვადგავარ,
კეფაზე თმა შესთხვლებია.
თვითონაც იცის, ეტყობა და განიცდის კიდევ:
სულ ცოტა ხნის წინ ნერვიულად უწვალებია,
სულ ცოტა ხნის წინ, ვიდრე მსხვერპლი შემოვიდოდა.

ნახეტიანები მამა გვიან დაბრუნდა სახლში,
არავისთვის არ მიუშვერია დაღლილი სახე —
ალბათ პირს არიდებდა.

ვიდრე დაწვებოდა,
სამზარეულოში ჩახედა ქვაბებს:
რალაც ჩაიფიქრა.

დაწვა და მშვიდი ფშვინვა ამოუშვა.

გაიშალა ოჯახი და უსიზმრო ძილით დაიძინა.

სახალისოდ

კმარა,
შენთვის დამეხურა
გულის კარები,
არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

გუნდი: არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

აწი სხვამ ვთქვას,
სხვამ გეძებოს
სველი თვალებით,
აწი სხვისი დაითვალონ
ყელზე ხალები...
არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

გუნდი: არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

ამ მიწაზე არ დავდგები,
ცას ვეფარები,
წაველო, ჩემი თავისავე
გამამწარები,
არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

გუნდი: არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

სულ ვედრება,
სულ ყვედრება,
სულ უარები,
ლამეც ბნელი,
დილაც ბნელი,
გაუხარები...
არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

გუნდი: არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

აწი, როცა ჩაგესმება
მწუსრის ზარები,
თქვი,
წავიდა სიყვარულთან
ნაზიარები,
სხვამ იპოვა,
სხვამ გაულო
გულის კარები,
არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

გუნდი: არც მიყვარდი,
არც მიყვარხარ,
არც შეყვარები.

პაატა მოისწრაფიშვილი

ნუთუ ეს ყველაფერი

ერთი ტილო ორი ტილო,
ტილოს გვერდით ტილო ჩნდება,
თამბაქოს კოლოფებს შორის
ძილი უსიცოცხლო ხდება.
ხელოვნების ჰიმნი ისმის
ჩვეულებრივ ყოფით ფიქრში.

ალარ დარჩა არაფერი
ლალი, მშვიდი ცხოვრებისთვის.
ვალეზ ფანჯრებს, ვუშვებ ჰაერს,
დილის პირველ ჩიტთა ჭიკჭიკს.
მაგრამ იქაც ხელოვნება
დადარაჯებული მიცდის.

თეთრი ცხენები

მდინარის გაღმა ნაპირიდან მომადგა ცხენი,
მომადგა ფრთხილად, ფრუტუნით და ცხენური მშერით.
მის უტყვ თვალებში დავინახე თოვლი და წვიმა,
ორი ვერაგი, ერთმანეთის მოსისხლე მტერი.
ვიდექით მარტო, მობიბინე ყაყაჩოს ველზე
მე და სითეთრე, ცხენი, ზეცა, მზე და ღრუბლები.
ჩვენი თვალები გადაიქცა დიდ დერეფნებად,
და დადიოდა დერეფნებში ჩვენი აზრები.
გვტკიოდა ხილვა ერთმანეთის ფიქრების ცოდნის.
ერთი მიზანი, ორივეში იღებდა ფორმას.
ყაყაჩოს ველზე ჩვენ ვიდექით ერთი სათქმელით,
თეთრი ცხენები, ჭიხვინებდნენ, მდინარის მიღმა.

ალბათვე ცოტათი ვეზად.

გზის ყვავილია ბოროტება!
ბოროტება რომ იყოს უნემი,
მას ხომ არავინ ალარ მოკრეფდა.
განსაჯეთ, თუკი ბავშვი

იბადება სიკეთით ქვეყანაზე
სად ხდება ბოროტი?..
გზაზე! ყვავილია ბოროტება,
მაცდუნებელი და თან ლამაზი.



ზამთრის თეთრი მერცხლები

— ვაშა! — ხელი ხელს შემოჰკრა ტერეზამ.

ჰოგრიტი მკლავებს შორის გაუსხლტა, ხმაურით დაეცა ფილაქანს და დამისხვრა.

— რა მოხდა ტტტერეზა? — ზურგს უკან აესვეტა გოგოს მოახლე ქალი.

— კაცი მოდის, კაცი!

— კაცი? ნნეტავ ვინ უუნდა იყოს?

— შუბლი მოიჩრდილა მოახლემ და გზას გახედა.

— ნამდვილი ტყისკაცია, გაბანჯგულული!

— გავალკიძოთ მაამა ბატონი, — უარესად დაება ენა შიშით თვალბდაკარკალულ მოახლეს.

— უცნობს მე შევეგებები! — უშიშრად განაცხადა ტერეზამ.

— ტტერეზა, შვილო, სსიფსიფრთხილეს თავი არ სტკივა, იიქნებ?..

— დამრთეთ უფლება, ძაღლებისა და თოფიანი კაცების გარეშე თვითონვე მივეახლო სტუმარს, — გაწიწმატდა გოგო.

— მტერი რომ გამოდგეს?!

გადაიკისკისა ტერეზამ. სათვალთვალო კოშკის ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა, გრძელი დერეფანი მარდად გაიბინა, მამის საძინებელ ოთახს ცერებზე შემართულმა ჩაუქროლა და მიხვეულ-მოხვეული კიბით ეზოსკენ დაქანდა.

თითქოს მიფრინავდა გოგო, ცისფერი კაბა ჰაერში უფრიალებდა, თმაზე დაფრენილი ბაფთები ცისკენ ექაჩებოდნენ.

უცებ ქვას წამოჰკრა ფეხი, თავი ველარ შეიმავრა და ყვავილებით დაწინწკლულ მოღზე გაიშოტა.

დიდხანს იყო ცხვირით ყვავილებში ჩამხობილი, მერე თავი ასწია, წამოდ-

გომა დააპირა, რომ ის დაენახა, ვისკენაც გარბოდა.

უცნობი თავადერილი ირგვლივ უვლიდა ხეს, მერე შეჩერდა, მოკეცილი თოკი გაშალა, დაიხარა, რიყის მოგრძო ქვა აიღო, თოკის ცალი მხარე გამოაბა და დაიქნია.

ქვამ ჰაერში გაიშხულია, თოკი მიიყოლია და ხის მსხვილ ტოტს გადმოეკიდა.

„საქანელას აკეთებს, ეტყობა, ჩემზე უსაქმურია“, — გაიფიქრა ტერეზამ, რომ არ გადაეკისკისა, პირზე ხელი აიფარა, თავი ისევ ბალახში ჩარგო.

უცნობმა თოკი დაამარყუჟა, ყულფი თავზე გადაიკვა, ცას ახედა და... უცებ გველნაკებნივით ჰაერში შეხტა.

ცხვირდაჭორფლილი, ცისფერთვალეა გოგო სახელოზე ექაჩებოდა, გოცებული შეჰყურებდა.

— ეს ტყე ჩემია, — უთხრა ტერეზამ.

— სულ შენი? — გაელიმა ყულფში თავგაყოფილს.

— ღიახ! — ამაყად თქვა გოგომ და დონიჩი გაიკეთა.

— თუ ეგრეა, მაშინ ეს ხეც შენი ყოფილა.

— კალია რომ კალიაა, ამ მინდვრებზე რომ დახტის, ისიც ჩემია, — თვალები უციმციმებდა გოგოს.

— ოჰო, ეს ვინ ყოფილა?! — გაიკვირვა უცნობმა.

— წვიმაც შენთვის მოდისო, მაამა მითხრა, პეპლები ფრთებით ჰაერს გინიავებენ, მზე მიწას ვითობს, რომ არ შეგცივდესო.



— ყოჩაღ მამაშენს! — აღფრთოვანება ველარ დამალა წვეროსანმა.

— მამაჩემს სძინავს! — გულუბრყვილოდ ჩაიქსუტუნა გოგომ.

— შენ თვითონ რა გქვია? — კიდევ უფრო მოაბოშა თოკი კაცმა და ფეხის წვერებზე შემართულმა, მთელი სიმძიმე ჭუსლებზე გადაიტანა.

— როგორ, ჩემი სახელი არ იცი? — გაიკვირვა გოგომ.

— ვიცოდი და დამავიწყდა, — იეშმაკა უცნობმა.

— ტე-რე-ზა, — დამარცვლა გოგომ.

— ჰოდა, ჩემო ტერეზა, თუ ყველაფერი შენია, ცოტა კიდევ რომ გეცლია, მეც შენი ვიქნებოდი.

— რანაირად?

— ამ ყულფის წყალობით სულს ცისკენ ავაბოლებდი, გვამს კი ხის პატრონი მიითვლიდა.

— რა სასაცილო ყოფილხარ, — გადაიკისკისა ტერეზამ, მერე ყულფიდან გამოხსნილ წვეროსანს ფეხებთან ჩაუცუტვტა, თოკის ცალ მხარეს დაჭაჩა, მიწისკენ ჩამოაყურა და მისი სითამამით გაოცებულ უცნობს ჰკითხა:

— რას აპირებდი?

— შენ რომ არა, ამ ძონძებს სითბოს დაუვუკარგავდი.

— ღარიბი ხარ? — შეიცოდა გოგომ.

— რაც თან მახლავს, ესაა ჩემი ავლადიდება.

— წამოდი ჩვენთან, — მკლავზე შეახო თითები ტერეზამ.

— სასახლეში ასე ჩამოძონძილს ვინ მიმიღებს.

— ახლებს შეგიკერავთ, ისე მოგრთავთ და გამოგაწყობთ, თავს ველარ იცნობ.

— თქვენს ტანსაცმელს რომ მოვირგებ, თქვენი უნდა გავხდე, ხომ სწორია? მე კიდევ ძალიან მეჭავრება ისეთი კაცი, ტანსაცმლისა და ჩინის გამო რომ საკუთარ თავს ველარ სცნობს.

— ვისაც კარგად ჩავაცვით, ყველა გაგვექცა, — გულისწყვეტით თქვა ტერეზამ.

— ამა, კაცი კარგად რომ ჩაღმეცნა, — თავი ვინმეს ხომ უნდა მოაწონოს, დანახვოს, — გადაიხარხარა უცნობმა.

— მე მინდა, ვისაც მოვრთავ და ვავაობტავებ, სულ ჩემი იყოს, — დანებებით თქვა ტერეზამ.

— რადგანაც ამქვეყნისკენ ისევ შემომბარუნე, უკან რომ დავბრუნდები, უთუოდ მოვინახულებ, — უთხრა უცნობმა.

— მაინც, სად მიდიხარ, აღარ იტყვი? — გაჯავრდა გოგო.

— ოცნების ქალაქში.

— ოცნების ქალაქში? მეც წამიყვანე, — შეევედრა გოგო.

— დავბრუნდები და აუცილებლად თან წაგიყვან.

— მზეს გაფიცებ, თუ მომატყუილო, ხომ გიყვარს მზე? — გულზე ხელები გადაიჯვარედინა ტერეზამ.

— მზე ყველა სულდგმულს უყვარს.

— ჰოდა, მზე მოგიკვდეს, თუ მომატყუილო.

უცნობმა თმაზე ხელი გადაისვა, დაემშვიდობა, კარგა მანძილი რომ გაიარა, შეჩერდა, უკან მოტრიალდა და აცრემლებულს ხელი დაუქნია.

— ეჭვი, რა გქვია, რაა! — ძლივს მიაწვდინა გოგომ ხმა.

— ბეჭირი ვარ, ბეჭირი! — ხელები ფრთებზე გაშალა, აიჭნია და ტყის სიმწვანეში ჩაიკარგა უცნობი.

● თვალმალრმა დედაბერმა ფრთხილად გადმოსვა კატა კალთიდან, ვინ ეშმაკი მესტუმრა ამ შუალამითო, უგემურად წაიჩიფჩიფა და კარისკენ წაფლატუნდა. უეცრად შემოვარდნილმა ქარმა ბღღვირი და ფოთლები თან შემოიძლოლა. კართან ატუზულ ბეჭირს მწყურადად ახედ-დახედა დედაბერმა, ამ მეორედ მოსვლის დღეს აქ საიდან გაჩნდიო, გაუწყურა და არაქათამოცლილი კაცი შინ შეიპატოეა.

— დილამდე შემოფარე, გავიგუდე, მეტი აღარ შემოძლია, — სთხოვა ბეჭირმა, ქობი მიათვალ-მოათვალიერა და კარს მხრებით აეკრა.

— დაკონკილი საბანი მე და ჩემს კატას ძლივს გვათბობს, — უგულოდ ამოიკინავლა დედაბერმა და სოროში ჩამძვრალი ხელიკის კუდივით აახვანცალა ენის წვერი.

— საბან-ბუმბულს რახანია გამოვევქეცი, იატაკზე მივეგდები, თვალს მოვასვენებ, — ჯორკოზე ჩამოჯდა სტუმარი, ფეხები გამართა.

— ხუთი წლის წინათ, ერთი შენნაირი უმწეო შევიფარე. გამდიდრებას დამპირდა. დილით ცინდალი მისახსოვრა, — ჩაცვნილ ფერდებზე ძვალტყავადქცეული თითები ჭადაუკანკალა კატას მოხუცმა.

კატამ კუდი აპრინა, ზარმაცად გაიზმორა და ყვითელი თვალეები უღიმღამოდ შეაშუქა ბეჭირს.

— წყალი გექნებათ, ყელი მიშრება, — ისევ ითხოვა ბეჭირმა მოწყალება.

— დილამდე მოითმინე, საღამოცემს წყლის დაღევა სასტიკად გვეჩრძალება. — გამწლულ ყანყრატოდან ძლივს ამოიხიზინა დედაბერმა.

— ვითომ, რაღო, — გოცდა ბეჭირი.

— ამ სოფელს ჯოჯოხეთი ჰქვია, წყალი ჰირს, ფრინველი არ ვალობს, მამაკაცი სანთლით საძებარია, — აჩიფრფრად ბებრუხსანა.

ბეჭირმა თავი დახარა, დალილდაქანტულს ძილმა თვალეები დაუვიწროვა.

— ვიცი, მოშივებული იქნები, მაგრამ, საუბედუროდ, ვერაფრით გაგიმასპინძლდები, ერთადერთი დედალი მყავს, ისაა ჩვენი მარჩენალი. მზის გადახრისას დაიკაკანებს, ერთ კვერცხს გადმოაგორებს მარგალიტით, თუ კატამ დამასწრო და დედალი საბუღრიდან ამოაგდო, მეორე დღემდე მშიერი ვრჩები, — დაიწუწუნა დედაბერმა.

— წყალწაღებული ხალხი მინახავს, თქვენ კიდევ, რიყეზე გარჩენილ თევზებს უფრო ჰკავებართ, — ჩაეცინა ბეჭირს.

დაქინქლული თხის ტყავი მიუფარებდა დედაბერმა, თავზე ეს წაიფარე. კატამ ყურები არ მოგაკვრიხოსო, — გააფრთხილა და სანთელს სული გაუბერა.

ქარის სისინ-ღმუილში მიინც ტკბილად ჩაეძინა ნამგზავრს. დილით პირსახიდან ტყავი რომ მოიხსნა, პირველი, ვინც იხილა, ჭრელი კატა იყო, გულზე დასკულებოდა, თათებს ილოკავდა, კნაოდა.

ხელი აუქნია ბეჭირმა, წამოდგა, იქაურობა მოათვალიერა და ვიწრო სარკმელში გაიჰყიტა.

სადღა იყო ქარი და სუსხი, ცა მოსარკულიყო, სამზეოდ ემზადებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ჟრიამული შემოესმა, ისევ მიადგა სარკმელს, თვალეებს არ დაუჭერა, ნახევრად შიშველი ქალები ქოხს შემოსეოდნენ, წრე შეეკრათ, დედაბერი შუაში მოექციათ და რაღაცას ეთათბირებოდნენ.

„ლამაზი ქალები ყოფილან ჯოჯოხეთში“, — ჩაეცინა ბეჭირს, კართან მივიდა, სახელურს წაეპოტინა, მოსწია, ამოდ. გარედან იყო დაურდულებული.

ცოტა ხნის შემდეგ დედაბერმა კარი თვითონ გააღო ხმაურით. ბეჭირს ხელი დაუქნია, აქ მოდიო.

ბეჭირი ფეხის წვერებზე შემართული გაძვრა ღრიკოში, სახტად დარჩენილი, მხრებით აეკრა სახლის ბოძს, თვალეები გაუფართოვდა.

ულამაზესი ქალები ჩამწკრივებულ იყვნენ მის წინ. მეკრდომშიშვლებულებს, სხეულს ძლივს უფარავდათ თხელი აბრეშუმის ქსოვილი.

წელამდე ჩამოშლილ თმაში ყვავილები ჩაეწნათ. გაფართოებული ნესტოებით, ველური ცხენებივით ხარბად ისუნთქავდნენ ჰაერს.

წამით შეწყდა მათი შეუცნობელი გმინვა, ჩაიშუხლეს და თავის დაკვრით თავყანი სცეს მამაკაცს.

ბეჭირმა თვალეებში ხელი ამოისვა, ყოველივე მოჩვენებას ჰკავდა.

— შენს სანახავად მოვიდნენ, ყვა-

ვილები მოგართვეს. უნდათ, ჯოჯობე-
თში მათთან ერთად დარჩე, ტკობისა-
თვის თავის დროზე ყველაფერს შეე-
ლოენ, აუხორცობამ უქმროდ და უშეი-
ლძიროდ დატოვა ყველა, ახლა შენ ხარ
მაგათი იმედი.

გაოგნებული ბექირი დაძაბული ის-
მენდა დედაბრის ჩიფჩიფს, ხედავდა,
როგორ თანდათან ვიწროვდებოდა წრე
მის ირგვლივ.

დაჩოქილი, შიშველი ფერიები შე-
უმჩნევლად მიცოცავდნენ მისკენ.

— შენ გგონია, გიქცერენ? — ისევ
წასჩურჩულა დედაბერმა და წირპლი-
ანი თვალები აახამხამა.

— გგონია კი არა, ეგრეა, — დარწ-
მუნებით თქვა ბექირმა.

— თვალხილული ბრმები არიან,
სიყვარულის მსხვერპლნი. ახლა ყვე-
ლას იმად წარმოუდგენიხარ, ვისთვის-
საც დაბრმავდნენ, უფრო საცოდავები
მაშინ იქნებიან, შენც რომ ვააწბი-
ლო, — ხელით უბიძგა ბექირს დედა-
ბერმა.

თითქოს ღმერთის ბრძანებას ელი-
სო, ცას ახედა ბექირმა.

— როცა მზე ველის ნარჩიტებს აა-
ბოლებს, მწოლოდ მაშინ დაითვრებიან
დიახნი, თუ შესძლებ, უნდა მოუსვა
უკან მოუხედავად. ეცადე, არ შეგიპყ-
რონ, თორემ მჩვარივით გაგხდიან, —
გააფრთხილა ბექირი დედაბერმა, ფრია-
ლა, ბოლოებშემოციებული კაბა აიკალ-
თავა და ქოხისაკენ წაჩლატუნდა.

მაისის თბილი ნიავი ზღვის ტალღე-
ბივით წეწდა და ფოფრავდა ფერიათა
ხავერდოვან თმას. საალერსოდ გაცისკ-
როვნებულ მათი თვალებიდან უხვად
იღვრებოდა ნეტარებისთვის გამოხმო-
ბილი შუქი.

მზის სხივები თვალისმომკრელად
ციმციმებდნენ მათ მკერდზე და ყვავი-
ლთა სურნელში შეზავებული, შიშველ
დიაცთა ფერადოვანი სხეულის საამო
სურნელი თანდათან თენთავდა და ბან-
გივით ეკოღებოდა თვალებამღვრეულ
ბექირს.

შუადღის მზემ მცხუნვარება რომ

გააორკეცა, სიმღერა წამოაწყეს ფერიე-
ბმა.

სიმღერა სირინოზთა სამოთხისეულ
გალობას წააგავდა, მიწისა და ცის სი-
ღრმიდან თანაბრად რომ ამოჰქონდა
უხილავ ძალას. ეს უხილავი ძალა
მთელ ტანზე აბლაბუდასავით ეხვეოდა
ბექირს, სიფხიზლეს უდუნებდა და თა-
ვდავიწყების ბურუსში მიაქანებდა.

მგალობელნი მადააღმრულნი აფახ-
ულებდნენ სხივამდგარ თვალებს, ით-
ხოვდნენ ბექირისაგან კაცურ მოწყა-
ლებას, სიცოცხლისაკენ ლტოლვის ერ-
თი წამით გახანგრძლივებას.

ლომივით ფაფარაშლილ მამრს კუ-
ნთები არაადამიანურად დაჰბეროდა,
უკან გადადგმულ, ოდნავ ჩაკეცილ მა-
რჯვენა ფეხს ისე მყარად ეყრდნობო-
და, გეგონებოდათ, საცაა ჰაერში ირ-
აოს შეჰკრავს და მსხვერპლს დააცხრე-
ბაო.

ადამის ძეში ერთმანეთს შეჰკიდე-
ბოდა წამიერი და მარადიული, გონე-
ბა და სისხლი ერთმანეთის საპირის-
პიროს კარნახობდნენ.

ყვავილები მის ფერხთით რომ
ჰკნებოდნენ, მზის სხივებით აბოლე-
ბულნი, მძაფრ სურნელს ბანგივით
უზავებდნენ ჰაერს.

სულ ახლოს მოუჩოჩდა ერთი ცის-
ფერთვალა, ბექირს მოეხვია და არა-
ადამიანური ხმით იწივლა: — ჩემია!

— ჩემია! — შეჰკვივლეს დანარჩე-
ნებმაც, შემოეხვივნენ და თითებით
მოქსოვილ მგრძნობიარე ბადეში თევ-
ზივით ასხმარტალდა ბექირის სხეუ-
ლი.



არაქათგამოცილილი მიახოხებდა ბე-
ქირი ფეხებს, მაღიმაღ უკან იხედე-
ბოდა, ხომ არავეინ ამდევნებიაო. რო-
ცა ხრიოკმა ბორცვმა დაფარა თვალ-
საწიერი და ბურუსმა შთანთქა თვი-
თონ ბორცვიც, გულდამშვიდებულ-
მა ხის ძირში შეისვენა, მზერა გა-
ადევნა ვველივით დაკლაკნილ ბილიკს

ტყისკენ რომ მიემართებოდა, მზერას მალე ფეხიც მიაყოლა და უღრან ტყეში შეაბიჯა.

ხეების სიმალლის გამო მზის სხივები ვეღარ აღწევდა მიწამდე, ხავსი მოსდებოდა იქაურობას, სოკო გამრავლებულიყო ნოტიო მიწაზე, ფრინველი გაიჭახტებოდა ხანდახან, ფრთების ფათქუნით წამოუფრინებოდა ცხვირწინ, გამომწვევად დაიქვივლებდა და რომელიმე ჩაძენძილ ბუჩქში ჩაიკარგებოდა.

ეკლბარდებში კარგა ხნის ხოხვის შემდეგ, როგორც იქნა, თავი დააღწია ტყეს, ცას გახედა და ნაბიჯი უფრო დააგრძელა.

ხასხასა ბალახით აბიზინებული გორაკიდან სახნისს ადევნებული კაცი რომ შენიშნა, გაეხარდა. უღელში შებმული შავი ხარები ფეხს ითრევდნენ და გაბმულად ზმოუდნენ.

თეთრპერანგა კაცი სახრეს წამდაუწყუმ ჰაერში იქნევდა, გაჯიუტებულ პირუტყვს ფერდებს უჭრელებდა.

მხენელ-მთესველს გაუმარჯოსო, მესამედ რომ შესძახა, მაშინდა მოუხედა კაცმა, ხარები შეაჩერა და შუბლი მოიჩრდილა.

— ეს რა ლოდნარი შეგირჩევია სამუშაოდ, — ჩამოსძახა ბეჭირმა და თავდადმართზე სირბილით დაეშვა.

— საფლავებს ვხნავ, საფლავებს, — მიწით მოსვრილი ხელები დაიბერტყა კაცმა.

— რას, კაცო? — ყურებს არ დაუჯერა ბეჭირმა.

— იმ ხავსიან ლოდებს ხედავ? — თითი გაიშვირა კაცმა.

— ვაი-ვაი, რომ ვხედავ, — ამოიხენეშა ბეჭირმა.

— ის ქვები ჩემს მამა-პაპას ედო თავსასთუმლად, ავდექი და მიფვანტ-მოფვანტე, — პერანგის სახელოთი ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა კაცმა.

„უმაღურობაც ამას ჰქვია“, — გაიფიქრა ბეჭირმა, კიდევ ერთხელ გულ-

დასმით აათვალ-ჩამოათვალეირა უცბობი, სრულ ჰკუთხე თუ არისო.

— ჩემი საქმისა მე ვიცი, შენ რა გადარდებს, წამო, პური გავტეხოთ, — მიიბატიეა სტუმარი მხენელ-მთესველმა.

— ვერა ძმაო, შენთან პურს ვერ გავტეხ, ღმერთი გამიწყრება, — იუარა ბეჭირმა.

— ვითომ, რადაო, — გაიკვირვა დამხვდურმა.

— რადა და, ეგ პურიც ცოდვით გექნება მოყვანილი, ცოდვის პურს კი ჩემი საბრალო კუჭი ვერ მოინელებს.

— გულჩვილი ყოფილხარ, ჩემო ძმაო, — ღიმილით უთხრა მასპინძელმა, ხარები უღლიდან გამოხსნა, სახნისი იქვე, ბელტებში ჩატოვა და სტუმარი ღვპარაკ-ლაპარაკით ტოტებდაჯღარაკულ ხისკენ გაიტყუილა.

— თურქი, ლეკი და თათარი წაღმა-უქულმა გვჯიჯნინდა, ტყვე ვიყავით თუ მეომარი, უქანალზე ხელს ვიფარებდით... სარჩო-საბადოს რომ წავართმევდნენ, ჯიშინი ქალები გყავთო, ნაშუსსაც გვხდიდნენ.

ყავრით დახურულ სახლში ნაცხოვრებ კაცს, მუხის კუბოში გამოგამწყვდევდით და მიწაში ვფლავდით. ამპარტანები ვართ და ულუაშს გადაყოლილნი. არ მინდა, ძმაო, უნდა წავშალო ყველაფერი, ახალს ვიწყებ, — გულზე ხელს იბრაგუნებდა დამხვდური, ბელტებში ბაყაბუყით დგამდა არშინიან ფეხებს.

— სახელი რა გქვია, ძმობილო, — ჰკითხა ბეჭირმა.

— ქიტესა ვარ, ახლობლები ოფოფაფრენილსაც მეძახდნენ. ზოგი მოკვდა, ზოგი მოკლეს, ვინც გადარჩა, სოფელი მიატოვა, ახლა სახელის დამძახებელიც მენატრება, მარტო შევრჩი ამ რჯულძაღლსა, — ქუსლი დამკრა მიწას.

— ბიჭო, ქიტესა! სული რომ ეშმაკს მიჰყიდე, არ გეშინია?

— რისა, კაცო?



— აი, ამ საფლავეების!
 — საფლავეების რად უნდა მეშინოდეს?

— ყველამ რომ ერთად ამოიგმინოს, სად წაუხვალ, ა?

— თავისას ამომძახებენ? ჩემსას ჩავძახებ!

— ვინმე გადამთიელი რომ გესტუმროს, თავს რით მოიწონებ.

— ჩემი ბიჭობით.

— ძირი და ფუძე თუ მოსპე და ამოძირკვე. ცაში გაკიდულს, მარტო შენი ბიჭობა რაღას გიშველის.

— ბრძენივით მესაუბრები, ძონძებს კი შეპფარავიხარ, — გაიკვირვა ქიტესამ.

— უგნურთან ბრძენი ვარ, ბრძენთან — უგნური, — ჩაიციხა ბექირმა, ნიკორა ხართან მივიდა, ქედზე ხელი გადაუსვა, მოესიყვარულა.

— თვითონ საით გაგიწევია! — გვერდში ამოუდგა ოფოფაფრენილი.

— სიყმაწვილე ოცნების ქალაქის ძებნას შევალე, ახლაც იქით მიმეჩქარება, დამლაპარაკებელი მეც მენატრება, წამოდი, ერთად ვიაროთ, შენც გაერთობი და საფლავეებიც მოისვენებენ.

— მიწას ვერ ეუღალატებ, — გადაწყვეტილად თქვა უარი ქიტესამ.

— შენ რა ძლიერ გყვარებია, ეგ შენი მიწა.

— ვისაც მიწა არ უყვარს, ცას ვერ შეიყვარებს. სულ იმას ვფიქრობ, რომელი უფრო საჭიროა-მეთქი, ცისკენ რომ თვალი გამეჭკევა, მიწა დამქაჩავს, მიწას ჩავეჭკერი და ცა მექაჩება.

— ამით რაღას ერჩოდის, ცას რომ თვალი მოუხუჭეს და მარტო მიწა იკმარეს?

— შენ გგონია, ესენი არ მიყვარან?

— ეტყობა კიდევ შენს ნასაქმარს. ოფოფაფრენილმა აღარაფერი უპასუხა, ხის ტოტზე დაკიდული ტილო-

გადაფარებული კალათი ჩამოხსნა, იქიდან მჭადები, ჭყინტი ყველი და მოხარშული ქათამი ამოაცოცა. სუფრა საფლავის ლოდზე გააწყო, თვით-

ონ იქვე, წყაროსთან ჩაირბინა. ში ჩაყვინთული ხელადა ამოაცოცა და მარდად მოარბენინა.

ბექირს ნერწყვი მოადგა. ნაშიმშილარს კუჭი აუწრიოდა, ხარბად წაეტანა საჭმელს. ქიტესამ ჭიჭები ღვინით შეავსო და ჰაერში გაშეშებული ჭიქა გალანდა ჩამავალი მზის შუქზე.

— ეგრე რომ კიაფობს, რა ჭიშია? — დაინტერესდა ბექირი.

— ღვთის ცრემლია, მარტო ამ სოფელში ხარობს.

— მალე ათრობს?

— მსმელს გააჩნია.

— ღვთის ცრემლს რისთვის ეძახით?

— სხვა ყურძნიდან დამდგარი ღვინო კაცს აამღერებს ხოლმე, ეს პირიქითაა, ცრემლს მოპკვრის და დაასველიანებს.

— კაცის მარჯვენას და ღედამიწის მადლს გაუმარჯოს, — თქვა ბექირმა და სასმისი მიიბირქვავა.

— მზესაც გაუმარჯოს, ეგ რომ არა, ცოდო ვიქნებოდით. დალოცვილი სულ მისკენ უზიდება მიწის მადლს, ამოწვევრავს, გააღვივებს, სხივებით აპქაჩავს, ნაყოფით დახუნძლავს, მერე თვითონაც იმ ნაყოფში მოექცევა, იმიტომაცაა, რომ შესვამ, შეგახურებს, გავათბობს და კარგ ხასიათზე დაგაყვინებს.

— სოფელი დიდია? — ჰკითხა ბექირმა სასმისი რომ გამოწრუპა.

— არც ისე.

— მიწის მუშაკნი?

— შუკა-შუკა სულ დედაკაცები დატანტალბენ. თუ სადმე შარვლიანი დაიხელთეს, შორიახლო ეფიცებებიან, როგორც ბუხარს.

— გაგმართლებია და ეგ არი, — თავი ველარ შეიკავა ბექირმა, ახარხარდა...

— ცოლი მყავს, სანამ ხურჯინივით არ დაგბერტყავს, ვერ დაეხსნები, — სახე მოუნაღვლიანდა ქიტესას.

— ახალს რას მეტყვი, რას გაუმარჯოს? — გაუღიმა ბექირმა მასპინძ-

ელს, როცა ქიტესამ სასმისები ისევ შეავსო.

— გზაზე დამდგარ კაცს გაუმარჯოს, თვითონ გზას, დამხედურს და ამბის მიმტანს! — ისევ ჩაიწურა პირში ღვინო ქიტესამ.

— საცაა დოქი დაიცლება, ჩვენ კიდე ეგ ღვთის ცრემლი არც ერთს არ გვატირებს, — პირგაბადრული მისიცივარულა მასპინძელს ბეჭირი.

— კაცს თუ დამლაპარაკებელი ჰყავს, ცრემლს რა მოჰგვრის, ეგ ღვინო მხოლოდ თავის საწუხართან დარჩენილს აწკმუტუნებს მუცელმტკივანნი ძაღლივით.

— ეჰა, შენ რა არაკები გცოდნია, მე კი მეგონა, რომ დავსევდიანდებოდი მაინც.

— სტუმარი ატირებული ვის გაუშვია, მე რომ ეგრე ვქნა, — თოხივით კბილები გამოაჩინა ქიტესამ, — რაო, სად მივდივარო, როგორ თქვი? — მზერა შეანათა ბეჭირს და დაცლილი დოქი დააპირქვეავა.

— აკი გითხარი, ოცნების ქალაქს ვეძებ-მეთქი.

— დიდი ხანია მისკენ მიისწრაფი? — ბავშვობიდან.

— ამოდ გარჯილხარ, ეგეთი ქალაქი ზღაპარშიც არ გამოგონია.

— პაპაჩემი ქვიქვირინე იტყოდა, რასაც ეძებ, იპოვი კიდეცო.

— რა ხნის იყო, ის შენი ქვიქვირინე.

— რომ დაბრმავდა, თთხმოცის სრულდებოდა. დარჩენილი ორმოცი წელი თვალისჩინწართმეულმა, მოგონებებში გაატარა. სიკვდილის წინ დაუბრუნდა სინათლე. თვალემახელილმა აგვათვალ-ჩაგვათვალეირა, ველარც ერთი რომ ვერ შეგვიცნო, არ მინდა, არაო, — ამოიგმინა და მზისკენ ხელებგაწვილი გაშეშდა.

ბეჭირი წამოიმართა, პურ-მარილისათვის მადლი მომიხსენებიაო, თქვა და დასამშვიდებლად ხელი გაუწოდა ქიტესას.

— ჩემი სურვილია, ეს ღამე ჩემთან

გაათიო, ბუხარს ავაკვამლებთ, კედელზე ელ-ყურეს შევფაჩვინებთ, — სტუმარს ქიტესამ.

— იქიდან ჩამოვლილს მოსაყოლი და სალაპარაკოც მეტი მექნება, — დააიძედა ბეჭირმა მასპინძელი.

— ეხლა კი ნამდვილად მაბრეყებ! — დოინჯი გაიკეთა ოფოფაფრენილმა.

— ტყუილისთვის რა მრჯის? — გაიკვირვა ბეჭირმა.

— კაცი შენი ღლე და მოსწრება რასაც ეძებ, იმას რომ იპოვი, უკან ვინსლა მოუხედავ, ვინლა გაგახსენდება?

ბეჭირმა არაფერი უპასუხა, ბეჭეზე ხელი მოუტყაპუნა, გამოემშვიდობა და გზას დაადგა.

ხარებმა დაიზმუვლეს, ხეზე შებორტყებულმა ვასაკამ დიკრულა, სიბნელე ჭერ ხის ტოტებში ჩაიღვენთა, მერე თანდათანობით ხახაში ჩაიპირქვეავა ყოველივე, ვარსკვლავებით დაიწინწკლა ცა, აბორიალდნენ ლანდები.

მდინარის ჩხრიალი მომაკვდავის ხროტინივით ისმოდა მიყრუებულ ხევში. მთის ფერდობზე ამოზრდილი, ცამდე აზიდული კოშკები სვეტებივით შეშენებოდნენ საავდროდ მოქუფრულ ცის გუმბათს.

ბეჭირი ციცაბოზე ნიაღვრისგან გაჩენილ გზას ფრთხილად ჩაჰყვა, ვეება ლოდებს შორის ჩაიმუხლა, პეშვი წყლით აივსო და სახე მოიგრილა.

ქვების ხმამ შეაქრთო ხელმეორედ წყლისკენ დადრეკილი. უკან მიიხედა, თოფაბჯარასხმული, სახენაიარევი ახმახი თავზე წამოსდგომოდა.

— აქ რას დაბობდავ, — შეუღრინა ახმახმა და ისედაც თვალემახე ჩამოფხატულ თექის ქულში თვალ-წარბი სულ შეემალა.

— მგზავრი ვარ, ყელი გაგიგრილე, — ისევ ამოხაპა პეშვით წყალი ბეჭირმა.

— ვინც ამ გზით ჩაიარა, რალაც თან წაიყოლია, სოფელი ისედაც ღარიბია, ყველამ რომ თითო კენჭი წა-



გეტყუოს, სულ გავლატაკდებით, — კბილებში გამოსკრა სახენაიარევმა, მხარზე მოგდებული თოფი შეათამაშა და ყრუდ ჩაახველა.

— წყალი ღვთისაა, ასეც არ იყოს, ორიოდე ყლუბი მე რომ სული მომათქმევიანა, არც მიწას დაჰკლებია და არც ცას.

— იქ, სადაც ეგ მდინარე იბადება, ჩვენი მტრები სახლობენ, შენ საით გაგიწევია, ვისი სტუმარო ხარ?

— არავისი, თუ ბუნებამ მიერთგულა, წინ ღიდი გზა მიდევს, — თავი არ აუწუწვია, მშვიდად უპასუხა ბექირმა.

— ბუნება გიერთგულებს, კაცია მხოლოდ ორგული, ფლიდი და გაუტანელი, — მხამივით გადააწიტა ახმახმა.

— თუ ეგრეა, ქვეყანა დაქცეულა და ეგ არის.

— შენ ამშენებელი მითხარი, თორემ...

— მტერი არასდროს მყოლია, — ამაყად თქვა ბექირმა და ახმახს თვალი თვალში გაუყარა.

— გლახა ყოფილხარ! — ჰროლა თვალეში ბოროტად აუციმციმდა სახენაიარევს.

— გლახა მაშინ ვიქნებოდი, თოფაბჯარასხმულს რომ მეველო და შენსავით თავვის გაფაჩუნებისა მშინებოდა. ხანჯლის ტარი ხელში ჩაბღუჯა სახენაიარევმა, კბილები გააღრჭიალა.

— ქალი და ცეცხლია, მე რომ მაშინებს, სხვა არაფერი, — უღარდელად თქვა ბექირმა, დაიხარა, კენჭი აიღო და შორს მოისროლა.

— ცეცხლს წყლით დავაქრობ, ქალს, ხვევნა-ალერსით, — თავმომწონედ გაიყინჩა სახენაიარევი.

— კაცი შენ ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებია, — გაუღიმა ბექირმა.

— აბა, ამას შეხედე, — თავიდან ქუდი მოიშვლიდა სახენაიარევმა, წყლით აავსო და ხელი ჰაერში შეაჩერა. ქუდის სამი მხრიდან წურწურით ვადმოწანწყარდა წყალი.

ნატყვიარი ქუდით თავი მოიწონა სახენაიარევმა. წარბი შეუხტუნდა.

— ტყეის მსროლელი საიღრმად დაინტერესდა ბექირი.

— ზის ახლა და ჩემს ნაჯაფ-ნაამაგარს მიირთმევს, — ბოროტად ჩაიქირქილა ახმახმა.

— მონად ვაგებანა?

— პირიქით!

ვერაფერი ვავიგეო, — მხრები აიჩეჩა ბექირმა.

— გამიძებ, ყველაფერს შენი თვალით იხილავ! — წაუჯიკავა სახენაიარევმა.

გაორჰოფებული ბექირი ადგილიდან არ იძვროდა. არ იცოდა, სად ებატიყებოდნენ, რა უნდოდათ. ესეც არ იყოს, წინ ღიდი გზა ედო. იქნებ აქ, ამ ახმახის თოფქვეშ მთავრდებოდა ყველაფერი?..

— ცუდს არაფერს შეგყრი, ტიტველი მოხველ, ტიტველსავე ვაგიშვებ, — მხარზე ხელი მოუთათუნა ახმახმა.

ხევ-ხევ იარეს! ციკაბო ბილიკზე წამდაუწუმ სხლტებოდა ფეხი, თვალუწვდენელი უფსკრული ამოსჩერებოდათ ქვემოდან.

დროდადრო არწივი გადაუქროლებდა მწვერვალებს, გულგამგმირავად დაიყვილებდა და სადღაც, უსასრულობაში გაუჩინარდებოდა.

წამით შეწყდა სახენაიარევის ქშენა, უკან მოუხენდა ბექირს, თოფსდაყრდნობილმა თითი უფსკრულისკენ გაიშვირა.

კლდიდან გადაჩეხილ, ლეშადქცეულ ცხენს სვავები მისეოდნენ, იქვე ასკილის ტოტზე გარჩენილი, დაფლეთილი ნაბადი ფრიალებდა.

— ერთი მცდარი ნაბიჯიც და ერიჰა!.. — ამოიხვნეშა ბექირმა.

— მუხლი, თვალი და მკლავი, აი, რა არის მთიელისთვის აუცილებელი, — ღიმილით უთხრა სახენაიარევმა ხასიათწამხდარს.

— სისხლზე რას მეტყვოდი, — ოფლით დაცვარული შუბლი მოიმშრალა ბექირმა.

— უსისხლოდ ქვაც არ გორავს, — მედიდურად თქვა სახენაიარევმა.

უცებ ქვა-ლორღზე ფეხი მოუტყურ-
და ბეჭირს, წაბორძიკდა და განწირუ-
ლი კუნელის ტოტს დაებლაუჭა.

სახენაიარევმა ღონივრად წამოსლო
ლაჭებში ფეხი, ფეითონაც ლოდს ჩა-
კიდებულმა ბეჭირი თავისკენ მოითრ-
ია და შიშით ფერმიხდილს, თვალი
მოუჭუტა.

— შენ რომ არა, ალბათ, ცოტა ხან-
ში ჩემკენ გადმოინაცვლებდნენ სვა-
ვები, თუმცა დიდი ვერაფერი სარჩო
დაუკარგე მაგ პირმყრალებს, — შიშით
ჩახედა ბეჭირმა უფესკრულს.

სახენაიარევი დუმდა.
გაივაცეს თუ არა, შხაპუნა წვიმაც
წამოვიდა.

თავისკერწყაინცულნი მგლებივით
მიძუნძულდებდნენ.

— ცას რომ შევყინვიან, ჩემი კოშ-
კებია, — შორიდან დანახვა ბეჭირს
ხავსმოდებული ციხე-კოშკი სახენაი-
არევმა.

მწვანე ბალახით ახასხასებული, გა-
ლანით შემოსალტული ეზო მუხებს
გადაეხურათ ტოტებით, რკინის ბოძზე
დათვი მიებათ ჯაჭვით.

ადამიანის დანახვაზე დათვი უკანა
ფეხებზე შედგა და წამობაჯბაჯდა.

— მოვრიდე, არ დაგტოროს! —
გააფრთხილა ბეჭირი სახენაიარევმა,
თვითონაც შორიდან მოუარა დრუნ-
ჩხედუემოდგარ ცხოველს, დაწინაუ-
რდა, ხაკისფერი ჯუბის ჯიბიდან გასა-
ლებების აცმა ამოაცოცა, პიტალო
ქვით ნაგებ სახლის ქვედა პალატის
დაურდულეებულ რკინის კარს ბოქ-
ლომი შეხსნა, კარი ჭრილით შეაღო
და ბეჭირი შიგ შეიძლოდა.

სიბნელე და მღუმარება სუფევდა
ირგვლივ.

სახენაიარევმა კვეს-აბედი გაჰკრა,
კედლის ბუჯერიდან კვარი დაითრია,
ცეცხლი მოუკიდა და პალატის ერთ
მჩარეს მიაშუქა.

ლანდები გამოიკვეთნენ სინათლის
მკრთალ შუქზე, ცატა ხნის შემდეგ ეს
ლანდები საკუთარ თმა-წვერში ჩაკა-
რგულ ადამიანებად იქცნენ.

— გამარჯობათ, მტრებო! — გამო-
მწვევად მიესალმა მათ სახენაიარევი
ფეხებში მიაფურთხა რომელიღაცამ
და გულშემზარავად შეუკურთხა.

— ენა დაიტკბე, ბათანთქარ, თორემ
თვალებს დაგთხრი და ლუქმა პურს
მოგანატრებ, — ბოროტად ამოიღმუ-
ვლა სახენაიარევმა.

— თვალები რისთვისია მინდა, რო-
ცა დღე და ღამე ბნელში ვზი, შენს
ცქერას, ასპიტს ვხედავდე, მიჯობს, —
თითქოს საღდაც უფესკრულიდან ამო-
იღნავლა ვიღაცამ.

— გარეთ რა ამინდია? — ისე, სხვა-
თა შორის იკითხა თმაწვერდათოვლი-
ლმა ტყვემ, ტყირბი წურბელასავით
რომ გასწოლოდა ლოყაზე.

— ჩამოშალა ღრუბელმა ნაწნავები
და ჩამოალბო ხე და მიწა, — უგულ-
ოდ გაეპასუხა სახენაიარევი.

— ჩემი ბათულაქი მენატრება, დი-
დი ბიჭი იქნება უკვე, — სათქმელს
გული თან ამოაყოლა ტყირპიანმა.

— წყაროსთან შემხვდა ამას წინათ,
წვერი წამოღინძვლია, თვალებში სე-
ვდა შევამჩნიე. დამენანა, იქნებ შენი
გვარის გამგრძელებელი რომაა, იმან
შემაწუხა.

— ამხსენი, ზეზვა, ბორკილი, გულდა-
ნაბადს ავიკრავ, უკან არ მოვიხედავ,
ისე გავეცლები აქაურობას.

— ახლა შენ რომ გენდო და გაპა-
ტიო, ბათულაქი არ მაპატიებს, ცოლ-
შვილს დაკარგული ჰგონიხარ, რა ხა-
ნია გამოგიგლოვეს, ასე ჩახლინწუ-
ლი და ნირწამხდარი ჭიშკარს რომ
მიადგე, ჯალაბს სირცხვილით თავი მო-
ეკრება, ჩემთვის კი დიდი იმედი ხარ.

— ჩემი მაქინეი რასა იქმს, ის ვი-
ცოდე, მაინც, — ჩაიღურღულა სვაე-
ვიით ცხვირისკარტა წითურმა, გადა-
აწიტა და თვალამღვრეული მიაშტერ-
და სახენაიარევს.

— მაქინეი მოკვდა, — ისე მშვიდ-
ად თქვა ზეზვამ, თითქოს ეს-ესაა დი-
დი საქმე მოიღაო.

— მოკვდა?!
— ორი დღის წინ მივაყარეთ მიწა.

ჩაიდმულია წითურმა, თავი ჩაღუნა,
ანთებულ კვარს თვალი მოარიდა.

— გამიშვი, ზეზვა, სიკვიდის ჩემი
ფეხით ვეახლები, — მუდარა გაუთრია
ხმაში.

— ცოლ-შვილი ამომიწყვიტეთ, ბნე-
ლი ღამე შემირჩიეთ და თოფს რომ არ
ემტყუნა, მეც ზედ მიმაყოლებდით,
ახლა მზის ხილვას მთხოვთ და გავლა-
გამოვლა მოგინდათ, არა? ეგრე თუ
გსურდათ, გულს არ დაიღამებდით,
სისხლს არ დაიბალღამებდით, — სა-
ხეზე წამოენთო ზეზვა, შუბლი შეი-
კრა.

— მზის სხივი მოგვენატრა, ცის ხი-
ლვა, მიწაზე სიარული, — აღურღუ-
ლდა ტყირპიანი, თავი ჩაქინდრა, სა-
კუთარ დაუძლურებულ მუხლებს და-
აშტერდა.

— მომენატრეთ, თქვე რჯულძაღლ-
ებო, ისეთები მომენატრეთ, თოფს
რომ მიმიზნებდით! — ცხენივით ჩაი-
ხეიხინა ზეზვამ, შემოტრიალდა, კვა-
რი ჩააქრო და ბექარს მკლავში ხელი
გამოსდო.

საგულდაგულოდ დააურდულა რკი-
ნის კარი, გასაღებების აცმა ძველ ად-
გილს დაუბრუნა, გალავანს მზერით
ჩამოურბინა, — არა, რაღაც უნდა
ვიღონო, მგონი მტრებსაც შევეჩვიე!
— დადარდიანებულმა თქვა და ჩაფიქ-
რებულ ბექირს მზერა მოარიდა.

●
დიღხანს არ დაეძინა ბექირს. იმაზე
ფიქრობდა, იყო თუ არა ზეზვა მარ-
თალი. ჰქონდა თუ არა ღვთის მიერ
გაჩენილ კაცს იმის უფლება, ბნელ
დილეგში გამოემწყვდია მეორე მის-
ნაირი და ადამის ძის ისედაც ხანმოკ-
ლე სიცოცხლე საკუთარი უსუსურო-
ბის ცქერაში დასრულებულიყო.

ალბათ, ეს იყო პირველი ღამე, რო-
ცა ფერად სურვილებს და ოცნებებს
ადევნებულნი ბექირი სერიოზულად
ჩაუღრმავდა იმ ცხოვრებისეულ ფი-
ლოსოფიას, რომლის არსებობაშიც

ყოველ ადამიანს თავისი წვლილი შეაქვს
და გონების რთულ დაფაზე განსხვა-
ვებულად იწერება ყოველი კაცის ნე-
ბა-სურვილი.

ახლა იგი ღამეს ათევდა იმ კაცის
პერქვეშ, ვისი ყოველდღიური საქმი-
ანობაც ყველა დანარჩენი მოკვდავი-
სას ჰგავდა, ოღონდ ერთი განსხვავე-
ბით. საკუთარი მტრები სახლში უსხ-
დნენ, მის ყოველდღიურ, საულუფო
გამიდან საქმელს მიირთმევდნენ და
ყოველ კერძში საწამლავ ლუქმას ხე-
დავდნენ.

იქნებ, ყოველდღიურ შიშს, დღეს
თუ არა, ზვალ შხამიან საქმელს მოგვა-
რთმევენო, მართლაც სჯობდა სიკვიდი-
ლი ტყვეები რომ ყოველ წამს ელოდ-
ნენ, მაგრამ ღმერთის და ეშმაკის ზრა-
ხვები ზეზვას ფსიქოლოგიაში რომ
ერთიანად ამღვრეულიყვნენ, თავის
გართობას და სიცოცხლის გახანგრძ-
ლივების სხვა ხერხი რომ ვერ ეპოვათ,
ასე სჯიდნენ.

ტყვია ან საწამლავი ერთი დღის
ულუფა იყო, რომელიც ხელიდან გა-
მოსტაცებდა საკუთარ მტრებს, თვი-
თონაც მოადუნებდა, დააძაბუნებდა
და სიცოცხლეზე ხელს ჩააქნევინებდა.
მტრის ხელით მოკლული ხატება გუ-
ლში ჩაჰკირვოდა ამ რკინის მკვნეტ-
ელ კაცს, ქვეყნიდან გამოეთიშა და
ვედარც გამოეთიშა, საიმქვეყნოდ გა-
დადგმულ ფეხს, ვილაც უკანვე მოათ-
რევინებდა.

ძიღვამკრთალ ბექირს ბურღლუნი
შემოესმა. მიაყურადა, დათვი ამოჰყო-
ლოდა კიბეს, აივანზე დააბიჯებდა და
რაღაცას ღრღნიდა. ნაბადი წაიფარა,
გაილურსა.

დილით ცისკრის ვარკვლავს დაას-
წრო ბექირმა ადგომა. მასპინძელი
რომ ვერსად დაღანდა და დათვიც
თავის ჯაჭვზე იხილა მიბმული, ძალა
მოიკრიბა, კიბე ჩაირბინა, ჰიშკარი
უხმაუროდ გამოაღო და გზას გაუყვა.

სიფლის ბოლოში გასულს, ცხენის
ფლოქვების ხმა მოესმა. მოიხედა, ზე-

ზეა მოაჭენებდა ყორანივით შავ ბედ-
აურს, გაუთანასწორდა თუ არა ბექირს,
სადავეები მოზიდა, ცხენი ადგილზე
გააქვავა და ჩამოჭვევითდა.

— მეგონა, დაძინებულს მოგისწრე-
ბდი, აჩქარებულხარ, რაკი ეგრეა, ჩე-
მი ბედაურიც თან იახლე, — აღვირი
გაუწოდა ბექირს.

იუარა ბექირმა.

— სანამ გსურდეს, იმსახურე, თუ
თავი შეგაწყინოს, მოსართავი მოხსენ,
თვითონვე მიპოვის, — დაიმედებით
თქვა ზეზვამ და ცხენს ფაფარზე ხელი
გადაუსვა.

ბექირმა უზანგზე ფრთხილად შედ-
გა ცალი ფეხი, ტანი აიშატა და მარ-
დად მოევლო ბედაურს ზურგზე.

იუხერხულა უცხო კაცი ცხენმა,
ყალყზე შედგა და ისე აკვიტრიშდა,
აღვირს და ფაფარს ჩაფრენილი ბექი-
რი ძლივსლა იმაგრებდა თავს.

— ფერდებზე შემოასალტე ფეხები,
ძალას რომ იგრძნობს, დაგმოჩილდე-
ბა, — შეუძახა ზეზვამ, ამასობაში
ცხენიც ადგილიდან მოსხლტა და
ბღღვირმა დაფარა თვალსაწიერი.

ოფლად გახვითქული ცხენი და კა-
ცი საღამოჟამს ერთ მდინარეს მიად-
გნენ. მდინარე ირგვლივ უვლიდა უზ-
არმაზარ, ამწვანებულ კუნძულს. კუნ-
ძულზე შესასვლელი ერთადერთი
ბონდის ხიდი იყო, რომელსაც ფერად-
სამხრეებიანი ჯარისკაცები დაჰპატრო-
ნებოდნენ.

ბექირმა ვერცხლის მოსართავი შეხ-
სნა ცხენს, გავაზე ხელი დაჰკრა, ცხე-
ნმა დაიჭიხვინა, ადგილიდან მოსწყდა
და უკანვე გაქანდა.

ბედაურის ძვირფასი მოკაზმულობა
ხიდის მცველთა მეთაურს უფეშქაშა
ბექირმა და ხიდზე გამწკრივებულ
ხალხს უკან აედევნა. ჭრელა-ჭრულაში
გამოწყობილი ათასი რჯულის ადამიანი
ირეოდა ქვიტკირის გალავნის ირგვ-
ლივ. აქა-იქ კოცონი დაენთოთ, ირგ-
ვლივ შემოსხდომოდნენ, მღეროდნენ-
ცეკვავდნენ, ყურთასმენა აღარ იყო.

პატარა გოგო-ბიჭები ყვილ-ხივი-

ლით დაჰკროდნენ ერთი კუთხიდან
მეორეში. ენაგადმოგდებული კუდბო-
მბორა ძაღლები ძუნძულით ასდევნე-
ბოდნენ პატრონებს.

ხავსივით აჰკვროდა ბექირი უზარ-
მაზარ ხეს, ვერ გარკვეულიყო, რა
ხდებოდა, რა ზარ-ზეიმი იყო, რას
დღესასწაულობდნენ.

პირმშვენიერმა ასულმა ტანის რხე-
ვით ჩაუჭროლა, აბრეშუმის გამჭირვა-
ლე კაბაში გამოკვართული სხეულის
ყოველი ნაკვთი იმდენად გამაღიზიან-
ებლად ტოკავდა, რომ ბექირმა ველარ
გაუძლო და თვალები მოხუტა.

უცებ ქვა მოხვდა ბექში, ხელი იტა-
ცა და სიმწრით დაიღმიჭა, სიცილი მო-
ესმა, შენიშნა ბიჭები იჭაჭებოდნენ
ბუჩქებს იქით.

— აქ მოდიო! — ხელი დაუჭნია
ბექირმა.

ერთი, შედარებით ყველაზე ჩხინ-
კორა ბიჭი გამოეყო სხვებს, მისკენ
წამოვიდა.

— არ მიეკარო, გაგლახავს! — გაა-
ფრთხილეს თანატოლებმა.

— მოდი, ნუ გეშინია! — დაუყვავა
ბექირმა.

ბიჭმა კიდევ გადმოადგა რამდენიმე
ნაბიჯი, მერე ენა გამოუყო, შებრუნე-
ბულმა უკანალზე ხელი დაიტყაბუნა
და მოუსვა.

— რა ხდება, გამაგებინე, თუ კაცი
ხარ, — შეაჩერა ერთი ხეიბარი ბექი-
რმა.

— ცოდვების მონანიების დღეა,
ცოდვების! — ახედ-დახედა ბექირს
ხეიბარმა, გაკვირვებულმა, ვითომდა,
ეს თუ არ იცოდი, აქ რამ მოგიყვანაო,
თვალებზე ქუდი ჩამოიფხატა და წა-
ბაკუნდა.

მზის ჩასვლისას ერთ ადგილზე შე-
ჩვეულად დიდი და პატარა. აჭრიალდ-
ნენ ანჯამები, ხმაურით გაიღო ალა-
ყაფის მძიმე კარი. ბროწეულისფერ
ატლასის მბრწყინავ სამოსში გამოწ-
ყობილი ქღალწვერა მოხუცი დიდის
პატივით მიაცილეს შემალლებულ აღ-
გილამდე შეიარაღებულმა მხლებლებ-

მა. მოხუცმა ხელის აწევით ანიშნა აყაყანებულ ბრბოს, დაწყნარდითო. როცა სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა, ვეება პერგამენტი გაშალა და ოქროს ასოებით ჩაგვირისტებული სულის განმარტებელი ლოცვა აღავლინა ცათა შინა. ჩაათავა პერგამენტის კითხვა, გრავნილი ილღიაში ამოიღო, უკანვე გაბრუნდა და თვალუწვდენელ გალავნის კედლებს შიგნით ჩაიკარგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მტხივით დაიგვრგვინეს გალავანზე გადმომდგარმა ზარბაზნებმა, უამრავი ყვავილი გადმოაფრქვიეს და თოვლის ფანტელებივით ბზრიალ-ტრიალით წამოვიდნენ მიწისკენ ათასი ფერის, სურნელის და სილამაზის ყვავილები.

ცისკენ თვალეროლ აღამიანებს ფიფქებივით აცვიოდათ მხრებზე ყვავილები, მიწა მოიფარა და აჭრელდა თვალის გასახარად.

ცოტა ხანში ოქროთი მოვარაყებულნი გალავნის ვიწრო კარი გააღეს. ხალხი ერთ რიგად გაემართა ამ კარისკენ.

გაოცებული და თვალებადქეუელი ბექირი რიგში ჩადგა, ქალაქში შემსვლელთა ერთ ჯგუფს შეუერთდა.

შესასვლელში ცალთვალა მისანი იჯდა ტახტზე. აეტუზებოდი თუ არა ცხვირწინ, საღ თვალს ციკლოპივით მოგაშუქებდა, მისი თანხმობით წყდებოდა ქალაქში შემსვლელთა ბედი.

— მარჯვნივ, ნიღბების ოთახში! — უბრძანა ცალთვალამ ბექირს, ერთხელ კიდევ ახედ-დახედა, მზერა მომდევნოზე გადაიტანა.

ბექირმა ფრთხილად შეაღო ოთახის კარი.

საშინლად ბნელოდა, მხოლოდ მოვარაყებულ ვეება სკივრს დასთამაშებდა ათინათი. ბექირმა ხელი ჩაჰყო სკივრში, ნიღაბი ამოიღო და სახეზე მოირგო.

— ხვალ, ცისკრის ვარსკვლავის ამობრწყინებამდე დაივიწყე შენი სახელი, — წასჩურჩულა ვიღაც უხილავმა, კარი გამოაღო და სიბნელიდან მწვან-

ელ ახასხასებულ ეზოში გამოისტუმრა ოქროსფერი შადრევნები ზეცამდე აფრქვევდნენ ამბოხებულ წყლის წვეთებს, ყვავილთა სურნელებით დაჭაშნავირებულნი ფარშავანგები გულის წამლებად შეჰყიოდნენ ცას, მარაოსავით გაშლილ-გაფოფრილ კედებს თვალისმომჭრელად აელვარებდნენ.

ვარდისფრად მოკირწყლული საცაღფეხო ბილიკები შეუმჩნევლად მიიპარებოდნენ ტყისკენ, თანდათან ვიწროვდებოდნენ, დნებოდნენ.

ბექირი ნელი ნაბიჯით გაჰყვა ასპირტივით დაკლავნილ ბილიკს, ბილიკმა ცისფრად მოლივლივე აუზთან მიიყვანა.

წყალში ოქროსფერი თევზები ირეოდნენ, მბზინვარე სხეულს ათასფრად აელვარებდნენ, დაკარკლულ თვალებს ნაბავდნენ. აუზი გარშემორტყმული იყო ვარდების ტყით — ტყე სავსე იყო პეპლებით, ფრთებდაწინწყლული ჭიამაიებით.

ბექირი მორზე ჩამოჯდა, სასწაულების ცქერით ველარც გრძნობდა სახეზე ნიღბის არსებობას.

უუებ მხარზე ხელის შეხება იგრძნო.

— მგელო! რას დაფიქრებულხარ, დაედევნე ბატკანს, — ყურთან საამოდ წასჩურჩულა ფაფუკითებიანმა არსებამ და კაბის ფრიალით ტყისკენ მოუსვა.

ბექირი წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და ძუნძულით აედევნა. ბუმბულივით მსუბუქად „მიფრინავა“ მალალკანჯიანი „ბატკანი“.

თანდათან გამეჩხერდა ტყე. წელამდე ბალახში ძნელი ვახდა სირბილი. როგორც იქნა, დაეწია „მგელი“ „ბატკანს“, მკლავში ხელი სტაცა და ორივენი ბალახში გაიშხლართნენ.

— სანამ შემქამდე, ცოდვები მოინანინე, — შეახსენა „ბატკანმა“.

— ბავშვობისას მერცხალს ბუდე დაუუნგრე, მას შემდეგ მეც უსახლკაროდ დავრჩი, სხვის ლანდს ადევენბული, — ალაპარაკდა „მგელი“.



— გაწამებულხარ, — შეიცოდა „ბატკანმა“, — სულ ეგ არის? — მოუღიტირა.

— არ კმარა? — გაიოცა „მგელმა“, — შენ ვინა ხარ, რა ცოდვები გადევს! — შეუბრუნა კითხვა „ბატკანს“.

— ხუთი ქმარი დავასამარე. ხუთივესთან უცოდვილი დავრჩი. მეორეს იმიტომ წაგყვივი, რომ პირველი აღარ მყავდა, მეექვსემ ხუთივეს ჟინის ამოყრა მოინდომა, ვნებით დავახრჩვე, ვინც მიყვარდა, ახლაც მიყვარს, შემინდე! — დაიჩოქა „ბატკანმა“ სავსე მუხლისთავებმა მთვარესავეთ გამოაშუქეს კაბიდან.

— შეგინდოს უფალმა! — წაიჩურჩულა მადაიდძრულმა „მგელმა“ და წელზე ხელი მოჰხვია.

— დავიბეტელო? — გადაიკისკისა „ბატკანმა“ და ყელზე შემოეჭდო.

ვარდები დიდხანს ირხეოდნენ არაბუნებრივად, მოტკეპნილ ბალახს ყვითლად დაესრისა მთვარის შუქი.

— აქეთ მომყევი, მდინარისკენ, უნდა განვიბანოთ, — თავისკენ მიითრევდა ბექირს ქალი.

წყალი სავსე იყო შიშველი ადამიანებით, ერთმანეთში არეულიყო ქალი და კაცი. ბექირი თავით გადაეშვა მოლივლივე ტალღებში.

წყლიდან ამოსული ბექირი აშკარად გრძნობდა სახეზე მოკოსებული ნიღბის არსებობას. აწუნებდა საღებავჩამორეცხილი სხვისი ტყავი, რამდენიმეჯერ ხელი წაიღო კიდეც, ჩამოვიხსნო, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ შეაჩერა. ახლა იმასღა ეძებდა მზერით, სად დაბეტელობდა მისი „ბატკანი“.

ვიღაცამ თვალეებზე ააფარა ხელი.

— გიცანი! — უთხრა ბექირმა.

— ვინა ვარ?

— ისა ხარ, ჩემი „ბატკანი“, — ხმა დაითაფლა ბექირმა, უკან შეტრიალდა, მაგრამ ნიღაბჩამორეცხილი ქალი მანცდამანც რომ ვედარ შეიცნო, ნირწამხდარმა მხრები უხერხულად აიწურა.

— წყალში ჩაყურყუმალეზამდე ყვე-

ლას სხვადასხვა იერი და სახე ეგონებოდა, ახლა ყველა ერთნაირები ვართ, — ნალვლიანად თქვა ქალმა და გვერდით მოუსკუპდა.

— ძალიან მინდა, დამიმასხოვრო, — მკლავზე ხელი მოუცაცუნა ბექირმა.

— გალავანს გარეთ ახალი საქმრო მელოდებო. ვსეც არ იყოს, იქნებ ისევ შევხვდეთ სადმე ერთმანეთს. ნაცნობობა ელფერს დაუქარავავს ჩვენს ლტოლვას. რაც უფრო უცხოვდ ვეჩვენებით ერთმანეთს, ინტერესიც მეტი იქნება, — სველი თმა მხრებზე ჩამოშალა ქალმა.

— აქ შემთხვევით მოვხვდი, პირველად ვარ, — თითქოს რალაცის გამო თავი იმართლა ბექირმა.

— კარში გახირული მისანი თვალეებში კითხულობს ყველაფერს. გარდა შეყვარებულისა, ამ ეზოში ვერავინ შემოაღწევს. შეყვარებულებს კი ყველაფერი ეპატიებათ.

— ეს ხომ ღალატია, რასაც ჩვენ ჩავდივართ?

— მთავარია, გიყვარდეს... — ფეხზე წამოიმართა ქალი, დაიხარა, ბექირს შუბლზე აეოცა და უკან მოუხედავად ტყისკენ მოჰკურცხლა.

ეს ყველაფერი შიგნით, გალავანის ეზოში, მაგრამ გარეთ?..

გაწბილებული, გალავანის გარეთ დარჩენილი ადამიანები ჟინს იყრიდნენ მიმტოვებლებზე.

ქალი და კაცი პირველსავე შემხედურს სთავაზობდა ხელს, მთელი ღამე ვნების ცეცხლში იწვოდა მთვარის შუქით ჩაყვითლებული ქალა, დგებოდა ჟამი ჟინის დაოკებისა.

გამთენიისას კი, როცა ორი მაძლარი სხეული უკვე განიზიდავდა ერთმანეთს, იწყებოდა წყველა-კრულვა და ხმამალალი გინება პირზე რძეშეუშრობელ ნაშიერთა მიმართ, რომლებიც მთელი ღამე კოცონზე აყრიდნენ ყველაფერს, ცეცხლი რომ არ ჩამქრალიყო, მათ შორის, მშობლების ტანსაცმელსაცვლებსაც.

ღლის შუქით განათებული, შიშვე-

ლად დარჩენილი, სირცხვილით თავჩალუნული ადამის მოდგმის ნაშიერნი, საგამოფენო ექსპონანტებივით იდგნენ შეილების წინაშე.

მამალმა ფარშავანგმა რომ ცას შეჰყვილა, ბექირმა სწორედ მაშინ ჩაათავა ბონდის ხიდი. მაღალი ხეების ჩრდილებში ჩაძირულ ციხე-გალავნით შემორტყმულ საოცარ ქალაქს კიდევ ერთხელ მოუხედა და გზა განაგრძო.

● — მამაშვილობის მაღლმა, იქნებ დამეხმარო, — წინ თეთრწვერა მოხუცი გადაუღდა.

— რა გაგვირვებია! — თვალი შეავლო მოხუცის შეცბუნებულ სახეს ბექირმა.

— ბიჭი ქვევრიდან ვერ ამომყავს, — შესჩივლა მოხუცმა და ჯოხს დაეყრდნო.

— რაო, იქ რა მინდაო?!

— ხელიკივით შიგ მოიკალათა და მზეს აღარ ეჩვენება.

— მოშიგდება და თვითონვე ამოვა.

— სამი დღეა, ეგრეა. ჩავძახი, არას ამომძახის. ეგ თუ მომიკვდა, გვარის გამგრძელებელი აღარაეინ დამჩეხება.

— სარკით უნდა ვუმკურნალოთ, — მშვიდად თქვა ბექირმა და ქვევრში ჩაიხედა.

— რა უნდა ვქნათ? — გაიკვირვა მოხუცმა.

— სარკე მზეს მივუშვიროთ, სხივების ანარეკლი პირდაპირ შუბლში ვსტყორცნოთ.

— მერე, კაცო?..

— სინათლეს ამოჰყვება.

— ეგ რა ხერხი გცოდნია, დალოცვილო, — გაიხარა მოხუცმა, სახლისკენ წაბაკუნდა, მერე წამით შეყოვნდა, უკან მოიხედა: — რომ არ ამოჰყვეს, ა? მაშინ რა ვქნა? — თქვა და ეჭვებულმა.

— ჭია, რომ ჭიაა, სინათლისა და სითბოსათვის მიწას ამოარღვევს და ზედაპირზე ამოცოცდება, ეგ კიდევ

კაცია, ადამიანის შვილი! — დამშვიდა ბექირმა მოხუცი.

— ეგრე, შენი ჭირიმე, იმედი ნუ მოგიშალოს გამჩენმა, — ეს რა ხერხი გცოდნია, კაცო, — ბუტბუტებდა გახარებული მოხუცი და სახლისკენ მიფლატუნებდა.

— ბიჭო, გუჯუ! მოხუცს რად აჯავრებ, ახლავე მანდედან ამობრძანდი, თორემ ქვევრს წყლით ავაგებთ. — ჩასძახა ქვევრში მოკალათებულ ბიჭს ბექირმა.

— არ ამოვალ! — დაიგუგუნა ქვევრმა.

— რაო, ვითომ ვის ვემალებიო?!

— სიყვარულს ვემალები!

— მაინც, რა ჰქენი ასეთი, რა ჩაიდინე, აღარ გვეტყვი?!

— ჩემი საქმისა მე ვიცი, თქვენ თქვენსას მიხედეთ.

— ამაზე ჩემი წამალი აღარ გაჭრის.

— უიმედოდ თქვა ბექირმა, როცა მოხუცმა ხელში სარკე მიაჩეჩა და სასწაულის ხილვას გვერდზე გამდგარი დაელოდა.

— სარკე აღარ უშველის ამას, ცუდადაა საქმე, ისევ გაიმეორა ბექირმა. უიმედოდ დარჩენილ მოხუცს მხრები აუტაცხადა, თვალებზე კურცხალი მოადგა.

— ცრემლი დაწვეთე, იქნებ ცრემლმა უწამლოს, — ურჩია ბექირმა.

— სიმწრის ცრემლი არ უშველის თუ თვითონ სიხარულისა არ მოვგვარეთ, — გამოესარჩლა ქვევრში ჩამძვრალს ხის ძირში ატუხული, თმახუტუტა ყმაწვილი.

— მივეშველოთ მოხუცს, თუ რამე შეგიძლია, დაგვეხმარე, — შეეხვეწა ბექირი.

ბიჭი ადგილიდან მოსწყდა, მოჰკურცხლა. ცოტა ხანში უკანვე დაბრუნდა, ხელჩაკიდებული მოჰყავდა თვალეზბერიილა გოგო.

დარცხვენნილმა გოგომ თვალი აარადა მოხუცს, ქვევრთან მივიდა, გადიხარა და ნაწნავები თოკივით ჩაჰკიდა შიგ.



გუჯუმ ფრთხილად ამოჰყო თავი ქვევრიდან, მერე თანდათან ამოიზარდა.

— ჩვენ აქ ზედმეტნი ვართ უკვე, წამო, ხის ძირში ჩამოვისვენოთ, — მკლავზე ხელი მოჰკიდა სახეგაბრწყინებულ, თმადათოვლილ მოხუცს ბექირმა, სარკე ჩამოართვა და იქაურობას გასცილდნენ.

მოხუცი სადღაც გაუჩინარდა. ბექირმა ხის ძირში ლოდზე ჩამოისვენა, მხრებით ხეს მიეყრდნო და სარკეში ჩაიხედა.

ძლივსა იცნო საკუთარი ორეული, თავის ნებაზე მიშვებულ ოქროსფერ თმას და წვერ-ულვაშს ასაკოვან კაცად ექცია ბექირი. თვალბილა შერჩენოდა ძველებურად მკვირცხლი, მოეღვარე.

საკუთარმა სახემ გული აუჩვილა, შუბლზე გაწოლილმა დროის ნაპრალეებმა და გაცრეცილმა სახის ფერმა ერთხელ კიდევ შეახსენეს ასაკი, თვალეები მოხუჭა და ოცნებით ბავშვობაში გადასახლდა.

ხარებმა ბლავილით შემოაქრიალეს ურემი ჰომოგრაფიულ ეზოში. მწუხარებით დამუნჯებულმა კაცებმა უხმოდ გადმოსვენეს იქიდან ტყვიით დაცხრილული ვეჟაკი. ასკილის ყვავილებივით დასჩენოდა თეთრ ჩოხას სხეულიდან გამონაჟონი სისხლი.

უდროოდ ჩამოქცეულ პერს შეჰკიოდა ბექირის დედა და მიწამდე დაშვებულ თმაში ჩაქარგული, ცრემლად იღვრებოდა.

შინდისფერ ფარდაგადაფარებულ ტახტზე გაშოლტილ ყაჩაღებთან მებრძოლ რაზმის მეთაურს თვალებამდვრეულნი დასჩერებოდნენ თანამებრძოლები და ხელით იარაღჩაფრენილეს, დანა პირს არ უხსნიდათ.

ტყე-ტყე გავარდნილი ნაბიჯვრები განურჩევლად აწიოკებდნენ ყველას, ვინც მათ ნება-სურვილს წინ აღუდგებოდა, — კერებელდადებულ საც-

ლისთვის ხალხს ასახიჩრებდნენ, სარკეავდნენ, ჰკლავდნენ, დათარეშობდნენ სოფლიდან-სოფელში მგლებით ხროდ, ხალხს უსაფრდებოდნენ.

კაცის სიკვდილიც არ იკმარეს იმ დამით, თივის ბულულები შემოუწყვეს სახლს, ცეცხლი გაუჩინეს და მიიპალნენ.

საღსალამათად მხოლოდ ბექირი გადაჩა, ცეცხლის ბოლმა ვაკვუდა და დანახშირებული დედისა და დის ძელები სხვებთან ერთად შიშით დაიტირა.

შურისძიების ნაპერწყალი მწარედ დაეცა პატარა ბიჭის მითრთლვარე გულს და ჭერ კიდევ რძენარეგ ბავშვის სისხლს ნაღველი შეუზავა.

ნათესავეებმა მთებში გახიზნეს ბიჭი, მამიდასთან.

მგელკაცა ჯაღო მუდამ იმას ჩიოდა ცოლთან, მეომრად არ გამოდგება, დაჭრილი ნადირის ხილვისას გული მისდისო.

სამაგიეროდ პატარა ბექირი მთის მწვერვალებზე ხელიკივით დაცოცავდა, სათიბში მუდამ თან ახლდა გამზრდელს.

ერთხელ ლაფანებში გაწვართულმა ასპიტმა ისე შეიქცია, ჯაღოს მახვილი თვალის და ელვასავით მოქნეული ცელი რომ არა, დაგესლილს აღარაფერი უშველიდა.

— რატომ უნდა ეკბინა, მე ხომ არაფერი დამიშავებია, — ეტიტინებოდა სახტად დარჩენილ ჯაღოს ბავშვი. ჯაღო ორკაპა ჯოხით მიათრევდა სასწაულად დაგრეხილ ქვეწარმავალს, ეს რა მიაშიტო იზრდებაო, — თავისთვის ფიქრობდა.

— ცხოვრება ბევრ რამეს გასწავლის, შვილო, გზაზე უამრავ ეკალს დაგახვედრებს, თვალის და ფეხის კი არ უნდა აარიდო, თუ შეძლებ, პირწმინდად უნდა აკაფო ეკალბარდი, ვინ იცის, იქნებ შინს უკან ბრმა მოწაწალებს, მადლია, იმასაც უშველი, — არიგებდა მგელკაცა ბიჭს და ლონივრად იქნევდა ცელს.

მგელკაცა ჯალო და მზევიანარი უშვი-
ლოები იყვნენ, მთელი გულსყური და
სითბო ბეჭირისაკენ ჰქონდათ მიპყრო-
ბილი, თუმცა ბიჭი ყველაზე მეტ სით-
ბოს მოხუცი თარეშისაგან გრძნობდა.

წლებს ხორცი შემოედნო თარეში-
სათვის, ჩონჩხად აკინკილებულს და
მულამ სრულ კაბაში ჩამძვრალს, ტუ-
ჩებზე ლოცვა-კურთხევა აღნებოდა,
თუ საზღაპროდ და გარდასულ ამბავ-
თა სასმენად ვინმე მოიცილიდა, ისეთ-
ებს გააჰქენებდა, ღამეს თავზე დაათე-
ნებდა, სულს მთქნარებაში ამოაძრობ-
და, რაც სადმე დევი, ჰინკა და კუდი-
ანი არსებობდა, ერთიანად გამოდენიდა,
კალთაში მოიქცევედა, მუხლზე წამოს-
კუბულ, სმენაღქცეულ ბიჭს ხან ბუხ-
რის ყელში გააძვრენდა კუდიანის კა-
ლთას გამობმულს, ხან დევების ღვინ-
იან ჯამში აბანავებდა.

— დედლო, ძილი დააცა მაგ ბიჭს,
თორემ თუ ძალა არ მოიკრიბა, შენი
ჰინკა დევები რომ სინათლის შუქზე
გაქრებიან, ვეღარ ივლის, ტყეში ველ-
არ წამომყვება, — როხროხობდა ჯალო
და მოპირულ ცელს ცერით კიდევ ერ-
თხელ უსინჯავდა ფხას.

ადრე მოდიოდა მთაში ზამთარი.
ჯერ კიდევ ფოთლებდაუცვენელ ხე-
ებს ცივი ქარი სისინ-ღმუილით დაუ-
ვლიდა, ააფორიქებდა, მიფანტ-მოფა-
ნტავდა და წვიმის წვეთებიც მალე იქ-
ცეოდნენ ფანტელბადა.

თოვდა და თოვდა გაუთავებლად.
თეთრ აბლაბუდაში გახვეულ სამყაროს
სხვა ელფერი ეძლეოდა, სიმყუდროვე
ისადგურებდა ირგვლივ.

იწყებოდა ქამი ბუხრობისა, ერთმა-
ნეთის მიკითხვ-მოკითხვის და მონახუ-
ლებისა.

საყველპურო, დაბალფეხებიან ტა-
ბლას შემომსხდარი კაცები წვრილი
ქიქებით იზოგავდნენ ღვინოს, ჰყვებო-
დნენ მთისა და ბარისას, იგონებდნენ
გაფრენილ სიკაბუქეს, უფრო დიდ ზა-
მთარს.

შომშილი და სიცივე გამწარებულ
მგლებს ჩამორეკავდა ზოგჯერ სოფე-

ლში, თოფების ბათქაბუთქი და ძალ-
ლების ყეფა-გნიასი აფხიზლებდა უსა-
შველოდ გრძელ ღამეებს.

ტრილებდა ჯარა გაუთავებლივ,
ართავდნენ და ქსოვდნენ დედაკაცები.
მორგვებად დახვეული ძაფი თანდათა-
ნობით იქცეოდა ყელიან სვიტრებად,
წინდებდა, ხელთათმანებდა.

გამთენიისას ქონით გაპოხილ ჩექ-
მებს ამოიცვამდნენ მამაკაცები, ხის
ნიჩბებს მოიმარჯვებდნენ, საქონლის
საბმულამდე ვაკვალავდნენ გზას, მერე
სამეზობლო ბილიეს მიტყეპნ-მოტყეპ-
ნიდნენ, სვენებ-სვენებითა და ხელების
დაორთქვლით წყარომდე ჩაასუფთავ-
ებდნენ გზას. ბარაქიანად თოვს ეს და-
ლოცვილიო, მწყარადად ამოილაპარა-
კებდნენ, ზაფხულიც გვიანი გვექნე-
ბაო, — ერთმანეთს ამხნევებდნენ.

მიუხედავად სიცივისა და თოვლისა,
დადგენილ დროს ია-იები მაინც ლურ-
ჯად დააჩნდებოდნენ ჯერ კიდევ თოვ-
ლით პირმოთეთრებულ მიწის პირს,
ჩათვლემილ სამყაროს გაზაფხულის
შემობრძანებას უმახარობლებდნენ.

თითქოს შეუძნეველად, მაგრამ თვა-
ლშისაცემად ალორთქოვდებოდა ბა-
ლანი, სხვადასხვა ჯურის მინდვრის ყვა-
ვილებით გადაქრელდებოდა მთა-ბა-
რი, ბუმბულ-ფულუროს შეფარებული,
ფრენამონატრებული ფრინველებითე-
ლი სიძლიერით აიჭრებოდნენ სი-
ვრცეში, მერე ხიდან-ხეზე ხტოდნენ
ტიკტიკითა და სტვენა-გალობით.

გვალვამ იმძლავრა იმ ზაფხულზე.
ცამ პირი შეიკრა და ნამი რომ ნამია,
ისიც არ გაიძეა მკერდაბოლებულ მი-
წისათვის.

დასკდა და დაიბზარა მიწა, მოიწყ-
ნეს ხეებმა.

დილა-საღამოს ხალხს მავედრებელი
თვალი ცისკენ ეკირა. საცოდავად და-
ფავდნენ სულს ხის ტოტებში შეყუჟუ-
ლი ფრთოსნები.

მდინარეებმაც გამოაჩინეს მიწიდან
ამოჩრილი ქვალორღიანი გულ-მკერდი.
ისე საცოდავად მიწანწყარებდნენ,
იფიქრებდით, საცაა გაქრებიანო.

დაახლოებული საქონელი გულშემზარავად ზმუოდა და გადახრუქულ ბალახს უმალოდ წიწკნიდა.

ისეთმა ხალხმა მოაშურა სოფელს და მთებს რომ მასპინძლებს თვითონვე უკვირდათ, როგორ გავახსენდით, ასე უცხო სტუმრები რა ქარმა გვაახლათ.

სალამოსუამს ბექირი და მისი ტოლმეგობრები, მდინარეში ფეხებს რომ იგრძობდნენ, ძალღმა ატეხა ყეფა, მერე წყავწყავი გააბა და აღარ გაათავა.

ცნობისმოყვარეობამ წასძლია ბექირს, პერანგი გადაიკვა და აღმართს შეყოლილ ბილიკს მზერა გადადევნა.

ბიჭებისთვის არაფერი უთქვამს, მალობი აირბინა და სოფლისკენ მიმავალ უცნობებს შორიახლო აედევნა.

შლაპიანი, ხელბარგით მკლავებჩამოყრილი კაცი ნელა მიუყვებოდა აღმართს, დროდადრო შეისვენებდა, ბარგს მიწაზე დადებდა, უკან ადევნებულ კიკინებიან გოგოს, სულ ცოტაც მოითმინე და მალე მივალთო, — ანუ გეშებდა.

გოგო დროდადრო ჩაჯდებოდა, მუხლებს მოასვენებდა, მერე მარდალ წამოხტებოდა და მორჩილად აედევნებოდა მამაკაცს.

ბექირი რომ შენიშნა, გაუღიმა გოგომ და ხელი დაუქნია.

ბექირმა ნაბიჯს აუჩქარა.

— მე ნაია მქვია, — უთხრა გოგომ აქლოშინებულ ბიჭს.

— ბექირი! — ამაყად გაუწოდა გოგოს ხელი ბიჭმა.

— სოფელში მალე მივალთ? — შეწუხებული ხმით ჰკითხა გოგომ.

— არც ისე, — მხრები შემართა ბექირმა.

— მამა, მამიკო! რატომ მომატყუილე?! — აკაბასდა ნაია.

კაცმა უკან მოიხედა, ბექირი რომ დაინახა, გაუკვირდა, აქ საიდან გაჩნდიო, — ჰკითხა.

ბიჭი უხერხულად შეიშმუნა.

— ვისი ხარ? — სახეზე ღიმილი დაიფინა კაცმა.

— ჩემს გამზრდელს მგელკაცა ჰქვია,

— მედიდურად მიუგო ბიჭმა.

— ამ მთებში და ტყე-ღრეში მართლა მგელი და დათვი თუ გაძლებს, თორემ... — საქმელი აღარ დაამთავრა კაცმა, ბარგს ხელი ჩასკიდა ისევ და წინაურდა.

— მამაჩემს ვანო ჰქვია, ცირკში მუშაობს, თვალდახუჭული გადი-გამოდის თოკზე, — გააცნო ნაიამ მამის საქმიანობა ბექირს.

— სულ ეგ არის? — ისე ჰკითხა ბიჭმა, თითქოს კიდევ იცოდა რაღაც იმ კაცზე და უმალავდნენ.

— არ კმარა? — გაიოცა ნაიამ.

— მაგაში აძლევენ ფულს?

— შენ ეს პატარა საქმე გგონია? — აწირია გოგო.

— კი მაგრამ, რა კეთდება მერე ამით? — უხერხულად მოიფხანა თავი ბექირმა.

— მამამ მთელი სიჯაბუკე ამ საქმეს შეალია. ამბობს მუდამ ბეწვზე კვიდევარ, პურს რისკით ნაშოვნი ფულით გაკმევთო.

— არ ეშინია?

— დედა ამბობს, ყოველდღე სიკვდილს რომ ეთამაშება, იმიტომ უფრო მიყვარსო.

— არ მოსწყინდა?

— ხალხს სურს ეგრე, ეგ კიდევ რაა, მამის მეგობარია ერთი, მაქსიმეს ეძახიან, ლომს პირში უყოფს ხელს.

— ვთქვათ და მოსწყინდათ კაცის ბინძური ხელის პირში ფოთიალი ლომებს, მაშინ?

ნაიამ არაფერი უპასუხა. თითქოს დუმილით ისარგებლათ, ბექირი ადგილიდან მოსწყდა, თავდაღმართში დაქანდა და თვალს მიეფარა.

ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა აქლოშინებული. ხელში ყვავილები ეჭირა. მორცხვად გაუწოდა ნაიას. იმანაც აღტაცებულმა და თვალგაცისკროვნებულმა დიდის ამბით ჩამოართვა, აქ რა ლამაზი ყვავილები სცოდნიაო, — თქვა და ცხვირთან მიიტანა.

თეიმურაზ ლანჩავა
ზამთრის თეთრი მარცხლები



— ოჰო, აი ნამდვილი ჯენტლმენი, — გადაიხარხარა ვანომ, როცა ყვავილებით ხელდამშვენებული ქალიშვილი დანახა.

სიტყვა ჯენტლმენის მნიშვნელობა არ ესმოდა ბეჭირს, იფიქრა, დამცინესო, ყურებაპილიპილებულმა თავი ჩაქინდრა.

კარგა ხანს ისე იარეს, ხმა არავის ამოუღია. დროდადრო ბიჭი მზერას ქურდულად ააყოლ-ჩააყოლებდა წინ მიმავალ მამაკაცს.

ვანო თხელი, კაფანდარა კაცი იყო. საფეთქლებთან ქალარა შეჰპარგოდა, კალისავით მაღალ ფეხებზე იდგა.

დიდი პატივით მიიღეს სტუმარი სოფელში. ორი დღე დარჩა ვანო. სულ იმას იმეორებდა, აქ როგორ ცხელა, თქვენ წარმოიდგინეთ, ქალაქში რა იქნება, დულს დედამიწა, ხვატში ვიხრჩობითო.

გამომშვიდობების უამს ნაია საგანგებოდ დაარიგა მამამ, უფროსებს დაუჯერე, აქ მთებია, შორს ნუ წახვალ არაფერი მოიწიო.

კარგა მანძილზე ჩააცილეს სტუმარი მასპინძლებმა, უკან რომ ამობრუნდნენ, ნაია შინ აღარ დახვდათ, ბეჭირთან ერთად ტყეში გაპარულიყო.

— მამა ამბობს, ქალები სასწაულეზი ხართ, ზიხართ თუ წეხართ, ხელიცას მიგოწვდებათ, ოცნების კოშკებს იშენებთ, ოცნების ქალაქებს ეძებთ, ჩვენ კიდევ ობობასავით ბადებებს ვხლართავთ, რომ შიგ გავაბათ, დაგატყვევოთო, — კისკისებდა ნაია და თვალბადქცეულ ბიჭს ღიმილით შესცქეროდა.

— რანაირია ოცნების ქალაქი? — გულუბრყვილოდ იკითხა ბიჭმა და კორტოხზე წამოსკუბულ გოგოს გვერდით მიუჯდა.

— ვნახე და ვიამბობ, — გადაიკისკისა გოგომ და პეპელას დაედევნა.

ღლიდან ნაიას ვაცნობისა, ბეჭირის გულში რაღაც იღუმალმა ძალამ გაიფანჯნა, აღარც სასმელი ახსოვდა, აღარც საქმელი, კაბის კალთას ადევნებულ ერთგული ძაღლივით მის გვერდით ათენ-ალამებდა. ახლა იმასლა ჯავრობ-

და, არდადეგების დღეები მალე დასრულდნენ, ნაიას ქალაქის გზას გაუყენებენ. რაღა მეშველებაო.

ერთხელ ძალიან შორს წაიყვანა გოგო ყვავილების საკრეფად. ბევრი დროწიალეს ტყე-ღრეში, ბოლოს ყვავილებით მოჩითულ ბორცვზე მოიკალათეს.

— თეთრი მერცხლები გინახავს? — მოულოდნელად ჰკითხა ყვავილისკენ თავდახრილ ნაიას ბეჭირმა.

— თეთრი მერცხალი ვის გაუგია, — აკისკისდა ნაია.

— აქ ცხოვრობენ, ეე... — თითი გაიშვირა ბეჭირმა, ბურუსში ჩაძირულ დათოვლილ მწვერვალისაკენ.

— ეგ შენ საიდან იცი? — ბიჭის თითს მზერა გაადევნა ნაიამ.

— პაპაჩემის პაპას, ცნობილ მთასვლელსა და მონადირეს უნახავს მარადიული თოვლის სპეტაკ ზეწარში გახვეულ მწვერვალს როგორ უფრენდნენ ქლურტულით გარშემო. თოვლის ელვარებას და სიკაშკაშეს თვალის ჩინი წაურთმევია მონადირისათვის.

— რაო, რით იკვებებიან ეგ საოცარი ფრინველებიო.

— სინათლით!

— სინათლით?

— ასე უთქვამს მოხუცს, მხოლოდ სინათლე ასაზრდოებთ იმ ფრინველებს და თუ ოდესმე მწვერვალმა სისპეტაკე და ელვარება დაკარგა, მერცხლებიც დაიხოცებიანო.

გვალვამ და ხვატმა დაატოფა საქონელი. მძიმე სახადმა იჩინა თავი სოფელში.

მიცვალებულთა დასაფლავებას ველარ აუღიოდნენ ცოცხლები.

მძიმე სენმა ბეჭირსაც ჩასჭიდა ხელი, ლოგინად ჩააგდო, დაასუსტა, ფეხზე ველარ დგებოდა. სიცხით გათანგულს, უაზროდ ამოდებდა. შუბლზე ცივ ტილოს ადებდნენ, ძმრიანი წყლით ენას უსველებდნენ. ერთი ორჯერ ნაიაც მონინატრა. რაღაც მიუკიბ-მოუკიბეს...

ცოტა ხანში მგელკაცის ლანდიც გა-



ქრა სახლიდან და ხმამაღალ ბუხუნს შეჩვეულმა ჰერმა ერთიორად მოიწყინა. ამ ამბიდან ხუთი დღელა იცოცხლა მზექალამ, მალე წყლის მიმწოდებელც სანატრელი ვახდა. უშიშარი, მეზობლის ღვთიან-მადლიანი ბიჭი შემოიპარებოდა. ხანდახან ფეხაკრეფით, ლუქმა პურს და წყალს სასთუმალთან დაუდებდა, მერე ისევ უჩინრად გაილალებოდა, ვინმემ არ დამინახოსო.

დაცარიელდა სოფელი, ვისაც ფეხზე სიარული და გაქცევა შეეძლო თავს შეელოდა, უკან მოუხედავად გარბოდა დიდი და პატარა, სიკვდილის ბუდეს სამუდამოდ ივიწყებდნენ.

ვილაციის მუშტი მძლავრად მოხვდა ყბაში მოგონებებში ჩაძირულ ბექირს, ხელიდან სარკე გაუვარდა და დაიმსხვრა. სწრაფად წამოიჭრა ფეხზე, მოგონებების ბურანიდან გამოერკვა. თავზე სამხედრო მუნღირებში გამოკვართული, ბრჭყვიალაებოლებიანი მხედრები წამოსდგომოდნენ.

არაფერი უკითხავთ, სხვებთან ერთად წინ გაიგდეს, თავიანთი საბრძოლო ფორმა ჩააცვეს, იარაღი განძივით ჩააბარეს და მებრძოლთა ერთ მწკრივში ჩააყენეს.

— ვის ვებრძვით, თუ იცი? — გადაუჩურჩულა ბექირმა მის გვერდით გაშტერებულ, თვალბდაკაყულ ყმაწვილს, რკინის ჩაფხუტში სულს რომ ძლივს ლაფავდა.

— მტერს! — მოკლედ მიუგო ჩაფხუტიანმა.

— ჩვენსას ვიცავთ თუ სხვას უნდა წავართვათ რაიმე, — ისევ დაინტერესდა ბექირი და ვეება ტარი ხელში მაგრად ჩაბლუჭა.

— ჩვენ რომ არ გვყოფნის, იმიტომ ვებრძვით, სხვის წასართმევად.

— არ გამოგადგებით მაგ საქმეში, — სახეზე ფერმა გადაჰკრა ბექირს.

— კრინტი, არავინ გაიგონოს, ჩამოგახრჩობენ! — გააფრთხილა თვალბდაკაყულმა.

საბრძოლო, ზანზალაკებიანი დიდი პატივით გამოასვენენ სალოცავიდან.

მეთათრებმა დაიმუხლისთავეს, ფიცი წარმოთქვეს და სათითაოდ ეამბორნენ ოქროს ძაფით მოსირმულ ფერად ნაჭერს.

ცოტა ხნის შემდეგ ბუქსა სცეს, მეთათრები ცხენებზე ამხედრდნენ, დაიძრა ლაშქარი ცხენთა ჭინჭინით, ორთვალთა ხრიგინით.

ორი დღე და ღამე იარეს შეუსვენებლივ, მესამე ღამეს ტყეში დაბანაკდნენ, შეისვენეს და გამთენიისას კალიბივით შეესვენენ რომელიღაც ქალაქს. ატყდა ხოცვა-ყლელთა. ნახმლევი-ნამუსრევი ხალხი გზადაგზა ცვიოდა, სისხლის გუბებზე დატბორა ქუჩები.

დამხვდურებმა ხერხი იხმარეს, ხევში მოიმწყვდიეს დამპყრობლები, დაგვენბლითო გამოუტხადეს. ხსნა აღარ იყო, სურსათ-სანოვანეც შემოელიათ, საგონებელში ჩავარდა ხალხი. ვინც გაიბრძოლა, ნაჭერ-ნაჭერ აკუჭეს და ძელბზე გაჰკიდეს თვალსაჩინოდ.

შომშილმა დააოსა ხალხი. დავნებდეთო, სურვილი გამოთქვა ერთმა. მეთათრმა უმალ გამოარჩია ამის მთქმელი, ენა ამოაგლეჯინა, საკუთარ ნაოხრალში ჩასვა ხელბგაბორკილი.

ცოფმორეულმა მებრძოლებმა ღამით თავი მოჰკვეთეს მეთათრს, ფეშქაშად მოგვირთმევიათ, მოწინააღმდეგეთა ბანაკში გაატანეს მოენეს.

ქარქაშიდან ხმალომრულებლად ჩაბარდა ბექირიც. მალაქონგურებიან ციხისკენ წაასხეს ტყვეები, საქონლის ჯოგით ეზოში შერეკეს, რკინის კარი ხმაურით გამოკეტეს და მიწყნარდა ყველაფერი.

ორი წელი ერთმანეთს და ცას შესცქეროდნენ ტყვეები, წყალი და ხმელი პური ეძლეოდათ დასანაყრებლად, არავინ იყო მათი გამკითხავი.

ერთ ღამით, საზარლად დაიგვრგვინა და მიწა იძრა, ცამდე აღმართული ციხის კედლები დაიბზარნენ, მიწისკენ ჩამოიქცნენ და ტყვეთა უმრავლესობა



ქვეშ მოიყოლიეს. გადარჩენილებთან ერთად თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ბეჭირიც. გზებზე დამდგარ წუმბეებს და ურჩხულივით პირდაბრჩენილ ნაპრალებს კალიებივით ახტებოდნენ თავისუფლებას მოწყურებული ადამიანები. საით გარბოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ, მთავარი იყო, გადარჩენილიყვნენ, ტანჯვა-წამების საშინელ გოლგოთას ასცდენოდნენ, ცოცხლად დამარხვას გადარჩენოდნენ.

ყოველდღიურმა დამცირებამ და დაუმსახურებელმა სასჯელმა კი არ დააძახუნა, უფრო მეტი ძალით ჩააბლაუჭა მოთმინების უსასრულო თოკს ტყვეები. სხვისი კანონის და მათრახის სიმპურვალემ, საოცრად დაამეგობრა ყველა რჯულის ადამიანი და ერთ შეკრულ მუშტად აქცია.

ახლა, როცა თავისუფლება იგრძნეს, უკვე ყველას საკუთარი სურვილი გაუჩნდა. პირველი საზრუნავი მაინც ის იყო, ტყვეთა ხალათები მიემალათ საღმე და სამაგიერო ეშოვნათ.

— ტყეში, გზის პირას ჩავსაფრდეთ, ხალხი გავძარცვოთ! — თქვა ერთმა.

— კი არ გავძარცვოთ, მოწყალემა ვთხოვოთ, — შეუსწორა ბეჭირმა.

— ნებით ვინ რას მოგვცემს, გმეყო პანდური და შიმშილი, — აყაყანდნენ დანარჩენებიც.

უხმოდ გამოეყოთ ბეჭირი, ტყე-ტყე იარა კარგა ხანს.

— აქაურს არ ჰგავხარ, ვის ეძებ, საითკენ მიიჩქარი? — ჰკითხა წყაროსთან ქვაზე ჩამოსვენებულს მხარზე კოკაშემოდგმულმა ქალმა.

ეუტხოვა ბეჭირს ქალის ასეთი სითამამე. ქალაქისკენ მივიჩქარი, მგონი, გზა ამებნაო, — იცრუა.

— ათი წლის წინ მომიყვანა მაგ გზამ სოფელში, მას შემდეგ სულ თვალცრემლიანი ვავცქერი, — სათქმელს გულიც თან ამოაყოლა ქალმა.

— ელი ვისმეს? — ისე, სხვათა შორის ჰკითხა ბეჭირმა.

— საომრად წაიყვანეს ჩემი ქმარი, სხვები რა ხანია დაბრუნდნენ, მისი ას-

ავალ-დასავალი კი არავინ იცის...
— სულ მარტო დარჩი? — შეებრა-
ლა ქალი ბეჭირს.

— ერთი ბიჭილა დამრჩა ქმრის მოსაგონრად, სხვა არაფერი, ცრემლის გარდა. ცრემლიც ორნაირი ყოფილა. ტივილის ცრემლი თვალებიდან აღარ გამოდმოდის, შიგნით ჩამდის, გულს ეწვეთება.

— მეომრის ცოლებს ორი უბედურება სჭირთ, ან სულ ტირიან ან კიდევ პირიქით, — კარგად შეათვალეირა ქალის მსუყე ტან-ფეხი ბეჭირმა.

— ამ სოფელში ყველას დად მივაჩინე, საოცნებოც აღარაფერი დამრჩა, — ქალმა კოკა ჩამოდგა, დააპირქვევა და ისევ შეუშვირა წყალს.

— ბიჭი სადა გყავს?

— საქონელს აძოვებს. ძალიც თან ახლავს ერთგულ ძმასავით, ისეთია, ჩემს გვერდით რომ დაგინახოს, ყველაფერს შემოგაფლეთს.

გაეცინა ბეჭირს.

— უნდა გადავაშენო ეგ ქოფაკი, ვიცი, ჩემი ქმარი აღარ დაბრუნდება, — თქვა სიდონიამ, ხელები წყალს შეუშვირა, სავსე მკერდი ამოეზნიქა გამომწვევად ჩახსნილ კაბის გულისპირიდან.

— თუ თანშეზრდილია, ბიჭი არ დაგანებებს ქოფაკის მოკვლას.

— იმას რა ენადღვება, უკვე ყელყელობს, მე კიდევ...

— იმ ვარდის მოწყვეტას ყველა ერიდება, ქოფაკი რომ იცავს და დარაჯობს, — ჩაახველა ბეჭირმა.

— ვარდის დაჭვნობამდე ჯერ ვიდეგ დიდი დრო დარჩა, — მომხიბვლელად გაუღიმა ქალმა, დოინჯი გაიკეთა. მესტუმრეო, სთხოვა.

— ქოფაკი?! — უხერხულად შეიშმუშნა ბეჭირი.

— ვარდის ეკლების ქოფაკსაც ეშინია.

●
— ეს ძვირფასი ხმალი აქ საიდან გაჩნდა? — განცვიფრებით იკითხა ბეჭირმა და კედლიდან ხმალი ჩამოხსნა.

— სარდალმა უსახსოვრა ჩემს მეუ-

ლეს, გულოვან მეგობარსო, ზედ აწერია კიდევ.

— ნოშრევანს რომ თავი დავანებოთ, ხმალი და ქოფაკიც კმარა იმისათვის, რომ თავს ვუშველო, — გადაიხარხარა ბექირმა და ხმალი ხელში შეათამაშა.

სიდონიამ ხმალი ჩამოართვა, მკლავში ხელი გაუყარა და საძინებელ ოთახში შეიბატოდა.

— რა მალე ღამდება, — ჩაიბურღუნა ბექირმა, როცა თავისი საქმე მოილია და გულდამშვიდებული საწოლზე წამოჯდა.

— საწოლში დრო სწრაფად გარბის, რომ მეწვალეობინე, ამას მაშინ უფრო დაიჯერებდი. თუ გსურს, ადრე რომ თენდება, მაგასაც დავიმტკიცებ, დარჩი ჩემთან, — თვალეები უბრწყინავდა სიდონიას.

ბექირს არაფერი უპასუხნია, წამოდგა, ჩაიცვა და ფანჯარასთან მივიდა.

ბიჭი მოაბიჯებდა — შარაზე. კაცის სიმაღლე, ბეწვაჯაგრული ქოფაკი წინ მოუძლოდა.

— მოდიან! — ხმამალა თქვა და რატომღაც ინსტინქტურად ნაბიჯით უკან დაიხია.

— ბიჭი სხვენზე დაიძინებს, ძაღლს კიშკართან დავაბამ, — დაამშვიდა ქალმა, საწოლიდან წამოხტა, კაბა გადაიკვა და ბექირს გვერდით ამოუდგა.

თფთქოს ქუნოსვით იგრძნო უცხო კაცის გეში, ქოფაკი ადგილიდან მოსწყვდა და სახლესკენ გამოექანა.

— კარებში დააუბრუნე! — შეჰყვირა ნირწამხდარმა სიდონიამ.

ფანჯარას მოასკდა ძაღლი, მინა შემოამსხვრია და ურდულისკენ წახრილ ბექირს ეცა.

ბექირმა ხელები სახეზე აიფირა და იატაკზე დაემხო.

მძაფრი ტკივილი იგრძნო ბეჭზე, ძალი კბილებით ეძგერა და სისხლმა შეღება იქაურობა.

სიდონია ხმალს მისწვდა, ღონივრად დაიქნია და თავგაპობილი ქოფაკი უსულოდ დაეცა ძირს.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა რბილით გულამომჯდარმა ბიჭმა, ძაღლთან ჩაცუცქდა და იატაკზე მიგდებულ გასისხლულ ხმალს ჩაებლაუჭა.

— ნუთუ მამაშენი ვერ იცანი? — იცრუა სიდონიამ.

ბიჭმა ცრემლიანი თვალეები ამოიშრალა, ბეჭდასისხლული ბექირი ყურადღებით აათვალ-ჩაათვალა და გავიდა.



მთელი თვის მკურნალობამ შედეგი გამოიღო, სამკურნალო ბალახებით შემზადებულმა მალამომ თანდათან ამოურწყო ნაკბილარებიდან ჩირქი ბექირს, კრილობამ პირი შეიკრა, გამთლიანდა, მარჯვენა ხელს ძველებურად ველარ ხმარობდა, მაგრამ თანდათან ავიშვებსო, აიმედებდნენ.

ბიჭს არ სიამოვნებდა დედის გადაჭარბებული ყურადღება უცხო კაცისადმი. მეზობლის ქალმა გესლივით ჩააწვეთა, ევ კაცი მამაშენს არაფრით არ ჰგავს, ვატყუილებენო.

გაორტოფებული და განერვიულებული, საქონელს მარტოხელა მიგრეკებოდა საბალახოდ. ერთგული მეგობარი მოუკლეს, გრძნობდა, დედის სითბოც აკლდებოდა თანდათან. ეს კაცი თუ მართლა მამაა ჩემი, დღისით ხალხს რატომ არ ენახებო, ჰკითხა ერთ დილით სიდონიას.

მეომარს არ შეშვენის მოკუნტული სიარული, ბეჭდატორილია და ხალხს არ ეჩვენება, — აუხსნა დედამ.

იმედი თბილად ჩაეღვარა გულში ნოშრევანს. ახლა ერთიდა აეჭვებდა მხოლოდ, პატრონი ძაღლმა როგორ ვერ იცნო.

უნდობლობამ კიდევ უფრო იმატა, თავლაში მიყრილ ძონძებს რომ თვალი მოჰკრა, მიხვდა, ის ძონძეები ბექირისა იყო და ცოტა არ იყოს, გულიც დასწყვდა, იქნებ მართლა მამაჩემია, აქამდე ტყვედ ჰყავდათ, ლაჩრულად გამოიპარა, თავს უშველაო. დედას მაინც არაფერი აგრძნობინა, მინდობილ საქმეს ერთგულად ასრულებდა, ბექირთან

პირისპირ შეერას გაუბოდა მხოლოდ.

— ქმარი დამელუბა, ერთგულ მცველს თავი გაუჭნეხე, შენც რომ მიმატოვო, ბიჭსაც ვკარგავ, ნუ წახვალ, ნუ გამაუბედურებ, — ევეღრებოდა ბექირს თვალცრემლიანი სიღონია.

ბექირი წრიალებდა, ერთი სული ჰქონდა, აქაურობას როდის გაეცლებოდა.

— თუ მიმატოვებ, ნოშრევანს დაეარწმუნებ, რომ შემაცდინე, გესმის?!

— შეგაცდინე? ხა-ხა-ხა, — ხარხარებდა ბექირი.

— აგერ, ჩემი ქმრის ტანსაცმელიც, შეიმოცე ლირსეულად, — სკივრიდან შოსირმული ჩონა-ახალუხი ამოალაგა ქალმა.

— სხვის ქერქვეშ შეჩიზნულს, სხვისი ცოლის შემცდენელს, ახლა ისლა დამარჩენია მიცვალებულს გავხადო და მე შევიმოსო, მამის ტანსაცმელი მაინც შეუწახე ბიჭს ნამუსიანად, — კოპები შეიკრა ბექირმა.

სიღონია აცრემლდა, მერე ბექებზე ღაზლი მოიგდო, კარი გულმოსულად გაიჭახუნა და საღაჯ გაუჩინარდა.

ბექირი ქურდულად თვალის ციციბითა და ჩქარი, ფრთხილი ნაბიჯებით გაეცალა იქაურობას, ორღობეს გაღრეკილი ჩაჰყვა და ბროწეულების ტევრს თავი შეაფარა.

არავის მიტოვება ისე არ გასჭირვებია, როგორც ამ ქალის. სიღონიას სევდიანი მზერა წარუშლელად ჩარჩა მხსიერებაში. სიღონია არ ჰგავდა ვნებით საღერღელაშლილ იმ მანდილოსნებს ბედმა გზადაგზა რომ შეახვედრა, მის მხურვალე სხეულს ისევე სჭირდებოდა მამაკაცი, როგორც მწყურვალს წყალი, მშვიერს პური და მომაკვდავს ჰაერი. საქმე ის იყო, რომ ბექირს მაინც სულ სხვა წყლის წვეთი და პურის ნამცეცი ერჩინა მთელ მის საგანძურსა და ქალურ ავლადიდებას.

ნაიას თვალების შუქი თავისკენ მიიბრუნებდა ყოველ წამს, მისი თუნდაც წამიერი ხილვა უფრო მეტს ნიშნავდა ბექირისათვის, ვიდრე ყველა სხვა, დანარჩენი სიკეთე ამაქვეყნისა.

ვერც ერთმა მოულოდნელმა გრიგა-

ლმა და ქარმა ვერ ჩააქრო ბავშვობის ქამს ანთებული ის პატარა სიყვარულის სანთელი, ყიამეთშიც რომ გზას უნათებდა და საღაჯ, შორს, შეუცნობელ უსასრულობისაკენ მიაქანებდა.

ღიაცთა წამიერი, ქრუანტილიშობი გვრელი გაელვება შეხებისთანავე კარგავდა ძალას და არარაობად იქცეოდა. სრა-სასახლენი თუ ღარიბული ქონები თავს რომ აფარებდა, უქერო ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერს რაღაც აკლდა. ის რაღაც კი ნაია იყო, მხსიერების ბინდისფერ ხვეულებში ამოზრდილი ცინფერი ყვავილი. მზის სხივივით სჭირდებოდა ახლა ამ ყვავილს ბექირის თვალების სითბო, ხოლო ბექირს — ამ ყვავილის სურნელი — მოსასულიერებლად და გაფრენილი ბევშვობის გამოდარებად.

ჩაფიქრებული მიაბიჯებდა.

გულმანიტ გრძობდა, ვილაც მისდევდა უკან. ნაბიჯების ხმა თანდათან ახლოვდებოდა და მკვეთრად ჩაესმოდა.

ციცაბოზე შემდგარს, ზურგს უკან გარკვევით მოესმა ყრუ ქშინვა. წამით შეწყდა ეს ქშინვა. რაღაც მძლავრად ჰკრეს ფერდში ბექირს. ცივად გაიარა უცხო სხეულმა ტანში.

სიმწრით ამოიხრიალა ბექირმა და ჩაიკეცა.

თავქვე დაქანდა ის ვილაც უხილავი.

ბექირმა დაბინდული მზერა დაადევნა გაქცეულს.

მოეჩვენა, რომ საკუთარი ლანდი გაუბოდა.

— ბექირ, ჰაუ, ბექირ! — გასძახა სიკრცეს და აცხცახებული, იდაყვებს დაეყრდნო. საშინელი სიმხურვალე დაეუფლა მთელ სხეულს. საკუთარი სისხლის ხალიჩაზე გამოტილმა, თავი წამოსწია და ისევ მოუნდა თვალების გახელა.

თეთრთოვლიან მწვერვალს მოჰკრა თვალი. მისკენ მიმავალი ნაიაც დაინახა. სიცივისგან გათოშოლს, მხრებზე თეთრი მერცხლები ასხდნენ. ხელი გაიშვირა მისკენ, ძალა მოიკრიბა და ბალახზე გაცოცდა.

სულ რაღაც ორიოდ წუთი და ოცნების ქალაქიც იწყებოდა...

რუსუდან კაიშაური

ქვეყნიერების სევდას და ნადიმს
ჩემს სიცოცხლეს და ჩემს გრძნობებს
ვწირავ,
როცა საკუთარ თვალებში გავზრდი.
მიწაზე მაშინ იწყება წვიმა.
ეშვება ციდან სპექტაკლი წყანარი,

სინათლის სახლში შედიან სხვები
და მეც ხალისით მიღებენ სტუმარს.
ჩვენთვის განკუთვნილ გემებში
ვსხდებით,
აწ უნდა მივყვეთ საკუთარ გუმანს.
არც ბედისწერის ნიშანი არსად,

არ შემეშალოს, ვფიქრობდი ერთხანს,
დავაკაკუნე როდესაც გულზე.
და კარი თვისი გამიღო ერთმა,
სული მაჩვენა დახსნილი ლურსმნებს.
ამიერიდან მე არა მიშავს
და ხეტიალი უმიზნო მორჩა.

ეს ოქტომბერი გადაიქცა ფოთლად
და შემოდგომის ვტრიალებთ წრეში.
როგორ გვაშინებს სიცივე ორთა,
ცისკენ გაფრენის ვალი და წესი.
შველას ვერ მოვთხოვთ სოფელს და
ქალაქს,
მზეს დამიზნებულ თოვლიან თოფებს

ყველას უფლება ექნება ნახვის,
სადაც მე დამაქვს წვეთობით წყალი
და თავს დაკეტილ დარაბებს ვახლი.
სხვები ცხოვრობენ ფანჯრების მიღმა
და უჩივიან მტირალა ამინდს,
რომ ცისარტყელა დავიდგა ჯილად
ვით სიხარული, დამდგარა ჟამი.

იმედი დამრჩა საკუთარ ფარფლის —
ბედნიერების კუნძულზე დამსვამს,
სულისმოსათქმელ ადგილად ჩათვლის,
არა თამაშის, არამედ შრომის,
სიკვდილის შემდეგ ვიტყვი ჩემს ამბავს.
ესლა კი ვზივარ ტკბილ-მწარეს შორის,
მგზავრის სიმღერებს ზედიზედ ვაბამ.

ყველა თავისას მადებდა ნიშანს
და ჩემს სახეზე ეს გზები მოჩანს.
კი არ მეგონა, წუხილის ნაცვლად
ბედნიერებას პირისპირ შევრჩი.
ერთურთში ვიწყებთ აზრების გაცვლას
ის და მე, როგორც მეფე და ელჩი.


და ქარი ჩვენთვის უცნობი ძალა
ავგიტაცებს და გარემოს მოგვფენს.
ისე დაგვაჭანობს, შეგვიცვლის იერს,
რომ დაგვივიწყონ და ყველას
ვტულდეთ,
მე და ფოთოლი გამჩენის მიერ
ციდან ოდესღაც ნასროლი მრუდედ.

შემოდგომაა. სამეფო ლურჯი,
სული აივსო დაღლილ ფოთლებით.
და დღე-ღამეთა უმძიმეს სურჯინს
მხრებით ვატარებ დიდი მოთმენით.
მე ვით ვიცინო, ფოთლები მწვანე
მზეს უღეჯია ოქროს კბილებით.

მე ვეფერები, სხვები კი წვავენ
ფოთლებს. ბედისგან განაწილები.
ზღაპრის გმირივით ნაცარში ვცხოვრობ,
ხან უმიზეზოდ ზოგჯერ ინათებს,
რომ შემოდგომა, მხოლოდ და მხოლოდ
თავზე დამაყრის ყვითელ სიმართლეს.

აღბათ რა დიდხანს ფიქრობდნენ, როცა
დღეს იგონებდნენ სამზეოდ ჩვენთვის,
და ზეცას, მიწას — სულად და ხორცად,
ბუნებას, რითაც ვდუმვართ და გვეთქმის.
თავს დავიმაღავთ, ან ცოდვას ვფარავთ
ღამეში, როგორც არარსში ბოლოს,

ჩვენ შევერიეთ დღე-ღამის ფარას
და მწყემსებს ვგავართ ამტანთ და
გოროზს.
ჩვენ მოვიწონებთ ერთმანეთს ძნელად,
რადგან უფრო მეტს გვპირდება ნატვრა,
რად მოვიგონეთ სიცოცხლე ძველად,
ენლა ხომ უკეთ ვისწავლეთ ხატვა.



პერმადინე ქალღანი

ბრუნავს წუთისოფლის ჯარა
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!
ხან ცა ჩამოგვიდის ღვარად.
ხან გვიღიმის მზე ცხრათვალა,
ბრუნავს, ძლივსლა ჰყოფნის მინდი,

მიწა ითხოვს თავის ღალას.
მოგვეწევა სადმე ბინდი,
სხვა წავიდა, ჩვენც ხომ წავალთ.
ბრუნავს წუთისოფლის ჯარა,
ჩქარა! ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!

შვის ჩასვლისას

ცოტა ხანს დარჩი,
ჩემი სამყოფი სიცარიელე გაიზიარე.
დანამე ცრემლით ცხოველყოფელით
სულისა მწირის სიუდაბნოე.

ცოტა ხანს დარჩი,
ჩემი კედლების
უშენოდ ყოფნის სიმარტოვე გაიზიარე.

სიზმარი — ცხადი

მამულის ღამის მთეველად
კლდენი დამრჩალან ფრიალო.
მოწყენით დგანან კოშკები,
ჩარდახში ქარნი ქრიანო.
არც საით მოვა სტუმარი

არც მასპინძელი ხმიანობს..
დაზეზებულან ლომები
გზა შარას მელნი დიანო...
„ვაი დედასა, მტრისასა,
თავენი ყანასა მკიანო“.

ღამე უღვირვა

მე მაგონდება მთები მწვანე
და ცისკენ მიმავალი გზა.
და ცისფერ ტბაში მობანავე
გაზაფხულის ცა-
მწუსრი, მთის ნიავი და „ლილეო“, —

რა დილა თენდებაო ხვალ.
ერთი სადღეგრძელოც დალიეო,
თქვენი მშვენიერი ხმა.
მე მაგონდება მთები მწვანე
და ცისკენ მიმავალი გზა.





თეთრი კედელი

რ. მ. შანი

იმ ვიღაცამ ღვარძლიანად შეიგინა, მერე რომელიღაც ქალი მომხიბვლელად აქისკინდა.
— ეი, შენი — ხერყანტი გახლდათ, კარი გამოეღო და თავისთან უხშობდა.
ლეიტენანტი დერეფანში ელოდებოდა, თითოი ძუნწად ანიშნა, აქ მოდიო, და შებრუნდა.
— მიდი, მიდი! — უბრძანა ზღურბლზე ფეხგადაბიჭებულს და მწერა დოლაბაძის კაბინეტის კარს მიაბჯინა.

დოლაბაძე ვიებერთელა მაგიდასთან მდგომ ვიებერთელა სავარძელში მოკალათებულიყო.
— რაო, რას გვიბრძანებთ? — დაუბღვირა შესულს.

— ნაია მინდოდა შენახა და...

— მაინც არ დაიშლდი, არა?... — კოტიტა თითები მომუტა მაიორმა და მაგიდას მსუბუქად დაჰკრა მუშტი.

— ნაიამ უველაფერი მიამბო, ჩვენ გვიყვარს ერთ... —

— უყურე ამ ლაწირაკს! — იღრიალა დოლაბაძემ. — ბიჭო, შენ, ციხე მოგენატრა?

— მინდა გავიგო, რა ბრალი ედებდა ადამიანს, რომელიც მიყვარს... — ძალისძალად სძლია მორცხვობას, რათა საკუთარ თავში ამოზიდული სათქმელი ავბედით შვევლად არ დაეტოვებინა.

— ხე, ხე... — გამზიარულდა მაიორი, — არ გავიმართლა, უმაწვილო! ჩვენი ქვეყნისთვის მეთად საშიში დამნაშავე შეგყვარებია. ვამჩნევ, ძალზე გულუბრყვილო ხარ და არ ღირს პასუხისმგებლობაში მიგყეთ. არადა, როგორც საბჭოთა ახალგაზრდას, მეტი უურადლება გმართებს. ბედი შენი, იმ ქალმა საზღვარზე რომ ვერ გადაგვასწრო. ახლა ის ქალი, საქმემ თუ მოითხოვა, შენაძლია, კიდევ გავათავისუფლოთ, მაგრამ არ იფიქრო და არ შეიკარო. ჩვენი მითითებისამებრ, თავდაცე უნდა აგარიდოს თვითი, გამოეგე... —

ნოდარი უხერხულად შეიშმუნა, მოძალეზულ ეცვს შეებრძოლა და რაღაცის თქმას შეეცადა.

— ვიცი, რასაც გეტყვობ... — დაასწრო ჩასაფრებულმა დარვინმა, — შენ პირველი მსხვერპლი არა ხარ... ხდება, ხდება... კარგა ხანია გითვალთვალებთ. სასიყვარულო რომანის გარდა, ხომ არაფერი გაკავშირებდათ? — მკითხა წარბშეკრით.

— არა... — უნებლიეთ მორჩილ ბავშვს დაემსგავსა.

— თუ საქიროდ მივიჩნევთ, მერე დაგკითხავთ. კარგი, მიმატიებია, ხომ ხედავ, რა მოიმოქმედე, ვინა გულისთვის მიატოვე მკურნალობა. ჩვენ ანგარიში გავიწიეთ და... ალბათ, კომკავშირელი იქნები?... —

— დიას...

— მოდა, გაუფრთხილდი კომკავშირელის სახელს. ახლა წადი შეეცადე, სანატორიუმში დაბრუნდე. ოღონდ იცოდე, ამ ამბავის შესახებ სიტუვა არავისთან დაგცდეს!

ნოდარმა თავი დახარა და მძიმედ შებრუნდა. კაბინეტიდან გასულმა ლეიტენანტს მწერა აარიდა.

... გაოგნებული მიაბიჭებდა.

წვიმდა. საოცრად წვრილად წვიმდა და რატომღაც ასე ეგონა, ცა საწვიმარ ბუნუსებს იბერთყავდა.

ზოულოდნელად შეაძაგაგა, თითქოსდა გონს მოეგო და ქუჩის ხმაურს ხარბად მიუგლო ყური. უცებ ქვეცნობიერად იგრძნო, რომ სადღაც, ვიღაც ელოდა. ელოდა, რათა იმ დიდი ტყვილის აღქმასა და დამლევაში დახმარებოდა. „საურმაგი“ შესაძაბა ცნობიერებამ და ერთხანად გამხნედა.

საურმაგ ედენტი ბეწვზე გადარჩა, ფინური დანა ოდნავ ასცდენოდა ჭულის ძარღვს, თანაც დროით რომ არ გამოეძახებინათ „სასწრაფო დახმარება“, შესაძლოა, სისხლისგან დაცლილიყო და ერთ კვირაში კი არა, საერთოდ, ვერ მობრუნებულიყო სახიციოცლოდ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ციცქარი“ № 7, 8, 9.



გონს მოსულს, იმ ბიჭების მიერ მისი ისე უღმერთოდ გამეტებისა და მერე „სასწრაფო დასწრაფების“ გამოძახების ამბავი გონებაში რბეუსივით ჩაესახა.

— შე მგონი, რაღაცას მიმაღავთ! — უსაყვედურა მის დასაქობად მოსულმა ახალბედა გამოძახებულმა.

— რას უნდა ვიმაღავდეთ?... ალბათ, მთვრალეები იყვნენ, მერე შეშინდნენ და...

— არა მგონია... და მაინც, თუ რაშე ხელმოსაჰიდე გაგახსენდეთ, აუცილებლად შემატუხოხინეთ! — სთხოვა განაწყენებულმა და გამჭოლი გამოხედვით ლამის საბრალმდებლო სკამზე დასვა.

რაღაც ეჭვი მაშინვე გაუჩნდა მის მიერ დაშვებული „შემთხვევითობის“ მიმართ, მაგრამ იმ საბედისწერო საღამოს რესტორანთან თავშეყრილ მამაკაცებს შორის, თვალმოკრული ნაცნობი სახე ვერანგვით ვერ ჯაიხსენა.

გონებაში მხოლოდ ბიჭუნას ორეული კრთოდა და საურმაგაც მოძალებულ ტყვილს მასთან ლაცივით იამებდა.

„საურ, აბა, რას აკეთებ, საურ?!“ — შეუცნობლად და მაინც ტკბილად თამთამებდა აზროვნებაში.

ახლა იგი თანაგრძობის იდგა და დამით ნახულ სიზმარს ძრწოლვით იხსენებდა. სიზმარში, მიწაში ჩახობილი რეღის ამონაშვერთან მოჭაჭურე ბიჭი იხილა, რომელიც შეგადაშივ ვახოს იერს იღებდა და ვახოსებურად ახითბითებას ლამობდა.

უნებლიეთ საკუთარი თავისადმი რაღაც ბრალდების წაყენება სცადა, გულუბრყვილოდ გაეღიმა: „უღანაშუალო-დამნაშავე, ამგვარი ბრალდება შეიძლება, მთელ კაცობრიობას წაუყენო...“

ეჭთანის შემოტანილი ახალი გაწეთები ჰაიპარად გადაათვლიერა, მერე უმაღ გაფაციცდა, ადგილობრივი გაწეთის პირველ გვერდზე ლალი ბერაძის სურათს მოჰკრა თვალი.

ნარკვევში, რომელშიც ბერაძის საწარმოთა უსაფრთხოების ტექნიკის დათვლიერება-კონკურსში გამარჯვების და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკური პროფსაბჭოს, კომკავშირისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოებას ულოცავდნენ, სიტყვა-ზვავრთვით და იყო შექმნილი კალიშვილის შრომითი თავგამოდება. იქვე მისი „სიკერპის“ აღწიშვნილი რამდენიმე ეპიზოდიც იყო მოხსენებული.

საურმაგს გაეღიმა.

„უცნაური გოგო... ცუდად არ დაუნახიათებია დავით ძღენტს, კორესპოდენტიც თავისებურად ზანს უნვამს მის ამ ჩვეულებას. ლალი ზომ ცნობილი გახდა ამ „უცნაურობით“ და, გაუტკბა, ზომ იცი...“ გაიფიქრა მან.

საურმაგა ბოლო დროს თითქმის ვეღარ ზედებოდა ლალის. თავდაპირველად „კერპი“ მასთან შეხვედრისას გაბუტულ გოგონას ემგავებებოდა და ძუნწად ეხალმებოდა. საურმაგა ერთი ორჯერ შეეცადა მის შერიგებას, მაგრამ ლალი, თითქმის ვიდაცის ჯიბრზე, მთლად უპარება გახდა.

„უცნაური გოგო, ვგრძნობდი გულგრილად არ იყო ჩემდამი განწყობილი, მმ, მართლაც უცნაური გოგოა და მეც... მგონი, უკვე აღარც კი მომწონს...“

ვიდაცამ ოთახის კარი გააღო. მიიხედა.

— საურმაგ! — ოთახში შესული ნოდარ დიდებულშივე შეშფოთებული უცქეროდა.

— აგაშენა ღმერთმა! — შესძახა მიბრუნებულმა და მეგობარს ხელმეგაშლილი შეეგება.

საურმაგა ფრთხილად მოხვია, ნოდარმა კი, მეგობრის სხეულზე ხელების ძალუშად შემოქლომა ინდომა, ნაკრთობებთან ტყვილი გაიკლაკნა. ეგონა, ზურგით მავთულბლართს წამოედო. ძალისძალად გაიღიმა.

— მომანატრე თავი, შე ღმერთმაღლი! — საურმაგმა უკან დაიხია და ნოდარი ცნობის-მოყვარეობით შეათვლიერა.

— ვინ დაგჭრა?! — იგი კვლავ შეშფოთებული უცქეროდა.

— ვიდაც ბულიგნებმა გამაწირეს, შენ ხაიდან ჯაიგე?

— თქვენს კანტორაში ვიყავი... ვინ ხულიგნები იყვნენ, თავდგირიძე ზომ არ ურია შავ ამბავში?

— თავდგირიძე?

— ზო, ჩემად თავდგირიძე, მე უველაფერი ვიცი, ნაიამ მიამბო...

— არა, ერთხანს რაღაც ეჭვი მეც გამიჩნდა, მაგრამ...

— ვნახე და, თუ...

— აბა, ეგვრები არ იყოს, ეგ მერე, ზოგი რამ გაიკრევა და... შენ ეს მითხარი, ახე მოულოდნელად მთიდან რამ წამოგავდო, აკი მკურნალობის კურსის გავლას ვაპირებო.

— ზო, მაგრამ... თავს როგორ გრძნობ?

— გადასარკვევად, ჰირილობა თითქმის შემთხვევითია. ალბათ, მალე გამოვეჩვენებო...
 — თქვენებს შეატყობინე?
 — რას ამბობ? გაგვიღებდა დედაჩემი... ახლა კი მიაშვე, რატომ ჩამოხვედი...
 — ისე, უბრალოდ...
 — ნუ გერიღებ, ხომ ხედავ, უკვე გამოჩანსაღებელი ვარ. ხელსაც არავინ შეგვიშლის. აბა, ჰე, ნუ გეშინია, მიაშვე, რა გაგვირცხვია, ამოგატრევი...
 — რა გეწყობა, ისეთ მორცხვში ვარ ჩავარდნილი...
 ისინი საწოლის კიდულე ჩამოსხდნენ.
 ნოდარმა ნაჩქარევად უამბო თავს გადამხდარი ამბავი, მერე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

— როგორც ჩანს, ის ქალი, ძალიან გიყვარს... გულთ გინდა, რომ ბედნიერი იყოს... —
 საკუთარ თავს გახსახურა საურმაგი, — ნიკოლაი სტავროვინისეული ახირება ხომ არ დაგვაპტონენბა?

— ვისეული?! — გაოცებული მზერა შეავლო ნოდარმა.
 — წაგიკითხავს დოსტოვესკის „ეშმაკნი“?
 — ჰოო, არა... სტავროვინის ახირებას გრძნობის სამოსი შემოფლეთილი ჰქონდა.
 — გასაგებია, თუ ეგ ქალი შენი ბედია, მაშინ რაღაც უნდა ვიღონოთ. რაც მთავარია, შენ გჭერა მისი... მილიციის მთავარე ეგვის მითანა კი გერიღებ... ეგ მე მომანდო.
 საურმაგმა მაჯის ხაათზე დაიხედა, — აუ, რა დრო გასულა! ახლა კი ძმური სამსახური გაიჭივი, — იგი წამოდგა. — სახლიდან ტანსაცმელი მომირბენინე. აქ რაცაა, ალბათ, სისხლშია გაწვრილი.

— კი მაგრამ... — რაღაცას მიუხვდა ნოდარი, — მომცემენ შემოტანის უფლებას?
 — არავითარი მაგრამ, რასაც ვთხოვ, შემისრულე. აბა, ჩქარა! ფეხსაცმელები და ლაბადა არ დაგავიწყდეს. მე ექთანს ვთხოვ და კარისკაცს გავაფრთხილებინებ.

— არა, არ გინდა... — სხსოვა რაღაცით შეშინებულმა.
 — ჰირივებლობის დრო არაა, ჩემი ნუ გერიღებ, ხომ ხედავ, კაყვივით ვარ, — ხელი თამამად შემოჰკრა ბეჭთან და მოწოდებებით გაიღიმა.

— ჰირილობა მანახე!
 — ეგ შეშედე, მოესწრები, — თითქოსდა დაუყვავა აღღვებულს. ხელი მკლავზე მოსჭიდა და კარისკენ წაიყვანა, — აბა, გელოდები! — დერიფანში გახულს ოდნავ წაუბიძგა, მერე მათკენ მომავალ ექთანს ხელი დაუწია.

დახნეული და მის სიტყვებს მინდობილი ნოდარი თავდაბრილი წვაიდა.
 ექთანმა, სუსტი აღნაგობის, თვალმშვირმა გოგამ საურმაგის თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა.

— კი, შემოვაშვებინებ! — შეპირდა უმალ და რატომღაც გაპარნჯვით უთხრა: — მეც მაქვს თქვენთან ერთი სათხოვარი. ფრანგული ლაქიდან ჩემშების შეიკრვა მინდა. ამბობენ, „ლუქსში“ კარვად კერავენ, დამეხმარებნით?

— რა თქმა უნდა, სიყვდილს გადამარჩინეთ და... ამ ცხოვრებას რა ვუთხრა, თორემ ლაქის ჩემშები მე უნდა მოგართვით საჩუქრად.
 ექთანს გაეცინა.

— საჩუქრად არ ვთხოვთ, ოღონდ არ მომატუონ, ფრანგულის მაგივრად ჩვენებურიდან არ შემიკრონ.

— მაგას არ იკადრებს გაიოვ კუნჭულია.
 — საამქროს გამგე, არა? ვიცი, სიმპათიური მამაკაცია.

— თვალის მიგიტანებიათ...
 — რას ამბობთ?! ისე, შემთხვევით შევხვდი, — გაწითლდა გოგო.

— ავტოკალამი და ფურცელი გეცნებათ?
 ექთანმა ჰიბიდან სხარტად ამოიღო წიგნაკი, მერე ფანჯარი და საურმაგს გაუწოდა.
 საურმაგმა იქვე დაწერა ბარათი, ექთანს გადასცა და დაარბია:

— დილით უნდა მიხვიდეთ, ასე, ათ ხაათზე, სხვა დროს საამქროს უფროხის ნახვა გავიპირებებათ.

— ზვალ დილითვე მივალ! — დაამიდა მან. — გმადლობთ!

— ჩემი მეგობარი არ დაგავიწყდეთ! — შეახსენა საურმაგმა, მერე ფიქრსაყოლილი ოთახში შებრუნდა. „ჩემი მეგობარი არ დაგავიწყდეთ!“ იგი საწოლზე წამოწვა. „ახლა ამ მიჯს რომ ხელი მოეცაროს... ღმერთმა დაგვიფაროს...“ ეტყობა, ის ქალი უოფილა მისი ბედი... კიდევ კარგი, ადღოს რომ ვენდე და სიმართლის თქმა დავაძლე... რაღაც აუცილებლად უნდა გავიკრავ... რაღაც აუცილებლად უნდა მოვიმოქმედო... იქნებ ესართამ მიშეელოს? ნოდარს ახლა



მხოლოდ ჩემი იმედი აქვს... ნოდარს ახლა მხოლოდ ჩემი იმედი აქვს...“ ამ წინადადებას თმასაძის კოს კრიალონის მძივებზეთ მარცვლავდა გონებაში და მეგობრის გარშემო დატრიალებული აზავიდან, არგაგონილიხა და არდანახულის შეცნობას ლამობდა.

ნოდარი მალე დაბრუნდა.

— მოვედი... — ჩემად თქვა ოთახში შემოსულმა და გვერდებგამოხერხილი ჩანთა საწოლზე დადო.

— ყოჩაღ! — ზეზე წამომდგარმა საურმაგმა მხრებზე მოხურული ხალათი ერთ ღილზე შეუბნია, — ახლა კი, წადი, ტაქსი დაიჭირე და საავადმყოფოს შემოსასვლელთან დამელოდე!

— აღარ გიძალიანდები, შენ უკეთ იცი... — ნოდარი ფიქრმა გაიტყუა. ნათლად ემჩნეოდა, მართლაც მხოლოდ საურმაგის იმედი ჰქონდა, რადგან მის არსებაში ადელგემებული გრძნობა ორიენტაციის საშუალებას არ აძლევდა. — მაინც სად მივდივარ? — ღიმილით იკითხა მერე.

— ოო, ეგ კი დროული შეკითხვაა, — შინაგან საქმეთა სამინისტროში, მინისტრის მოადგილის, პოდპოლკოვნიკ ესართას ხანახავად. ერთხელ, ჩვენთან ფეხსაცმელების შესაკერად მოვიდა და მე, შთავარ ინჟინერთან ერთად, მეგზურობას ვუწევდი, გულმართალი კაცის შთაბეჭდილება, დატოვა. ვნახოთ, ვცადოთ... — ჩანთა გახსნა საურმაგმა.

— ჩაცმაში ხომ არ მოგეხმარო?

— არა, მიდი, რაც გითხარი, ის გააკეთე!
— ვახაგებია... — ნოდარი ოთახიდან გავიდა.

საურმაგმა ჩანთიდან ტანსაცმელი ამოალაგა. ნოდარს პერანგისა და ჭებმარის წამოღება დავიწყებოდა. არც დაფიქრებულა, პიჯაკი პირდაპირ პიჯაშზე გადაიცვა, მერე, ფეხსაცმელები და ლაბადა ჩაიცვა, თმა დაივარცხნა, ლაბადის საყულო წამოსწია და ოთახიდან თამამად გავიდა.

თავდახრილი შიახებდა და უნებლიეთ ეღიმებოდა, რადგან უეცრად ბავშვობაში ჩადენილი სიკუღლუტე გაახსენდა.

დერეფანში მორიგე ექიმი ვიღაც ავადმყოფის თავმჯდომეს ესაუბრებოდა. საურმაგმა ექიმ ქალს მისალმების ნიშნად თავი დაუქნია და გზა განაგრძო.

— გამარჯობათ! — სხვათა შორის დაუბრუნა პასუხი ექიმმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც იცნო.

საურმაგი კვლავ მხრებში გამართული შიახებდა და მკერდში გაკლავნილ ტკივილს სახეზე აცაგებელი ღიმილით ნიღბავდა.

მერე კარისკაცს მალღობა გადაუხადა. ხელი მხარზე მოუთათუნა, კარი გააღებინა და გაოგნებულს ხელაწევით გამოეშვიდობა.

იმავე წაშს მის წინ „ვოლგა“ გაჩერდა. საურმაგი შიგ ჩაქდა, მძღოლს მიხეაღმა, ქუჩა დაუსახებლა და გვერდით მძღომ ნოდარს უთხრა:

— აი, რას ნიშნავს დეტექტიური ფილმების გავლენა.

— ახლა მაინც მოთხარი, სად და როგორ დაგჭერს? — ხმადაბლა სთხოვა მეგობარმა.

— კეთილი, შევეცდები შენი ცნობისმოყვარეობა დავაქმყოფდლო... — სხეული მოადუნა და იმ შეტაკების ამბავი ბუმბობანარევი კილოთი მოჰყვა.

— ზარში წაგაგებდნენ... — დინჯად წარმოთქვა მძღოლმა, რომელიც თავდაპირველად მათდამი არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა.

— პო, ახლა, თურმე, ტაქსისტებზე თამაშობენ, ერთი გუშინ საღამოს მოუყურებიათ... — ხუმრობით მიუხამძიმრა საურმაგმა.

— აბა, სიცოდავი, ჩემი შემცველელი იყო, — კვლავ დინჯად თქვა ტაქსისტმა და „ვოლგა“ შეაჩერა.

მწავრებმა იგი ცნობისმოყვარეობით შეათვალერეს.

— ახლა ჩადით, ამ ამბავს მეორედ რომ შეგხვდებით, მაშინ მოგაყვებით! — გაეღიმა მძღოლს.

— პო, რა ვიცი, იქნებ შენც წაგებულნი ხარ... — ჩაილაპარაკა საურმაგმა და ნოდართან ერთად, რომელმაც მძღოლს სამანანეთიანი გაუწოდა, „ვოლგადან“ გადმოვიდა.

მძღოლმა მოულოდნელად გიჟივით გადაიხარხარა და მანქანა ერთხაშად დაძრა.

— ღმერთო გადაგვარჩინე! — ჩაიციხა საურმაგმა, მეგობარს ხელი მოხვია და ქუჩის იქითა მხარეს გაიყოლია.

საურმაგმა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომენდატორიდან პოდპოლკოვნიკ ესართას დაურეკა, თავი შეახსენა და მიღება სთხოვა.

— კეთილი, ამოდიო! — გაეპასუხა იგი.

მალე კალაროსანმა სერცანტმა მათ სახელზე საშვი გამოწერა.



საურმაგმა მადლობა გადაუხადა და მეგობრებთან ერთად კიბეს მიაშურა.

— იცოდე, უოხალად გეტყვირს თავი, არ აღელდე და ნურც მოგერიდება. უველაფერი დაწვრილებით მოუყვი... — კიდევ ერთხელ გააფრთხილა ნოდარი, რომელიც დამჩერე ბავშვივით ყველა მისი სურვილის შესრულებას ეპირებოდა და შინაგანი მღელვარების დაფარვას ცდილობდა.

პოდპოლოკონიკმა ესართიამ, ჩია ტანის, შვიცრცხლთვადლება კაცმა, კაბინეტში შესულემა მაიბარად შეათვალეირა და უცებ დაიგუგუნა:

— გისმენთ, საურმაგ!

საურმაგს გაეღიმა. ლაბადის საუელო გაისწორა და დაქდომის ნებართვა ითხოვა.

— დასხედით! — ამჩერად პოდპოლოკონიკმა ორივე ცნობისმოყვარეობით შეათვალეირა. — შენს შესახებ მელაპარაკა თქვენი მთავარი ინჟინერი, ძიება, მგონი, ჭერ არ დამთავრებულა... — მიმართა მან საურმაგს.

— მე სხვა საქმეზე ჯაწუხებით, ბატონო ვარლამი — ხელი სკამის საწურგეს დაახჩინა საურმაგ უღენტმა. — ჩემს მეგობარს და ერთ ქალიშვილს რამდენიმე თვის უკან ერთმანეთი შეუყვარდათ, შეუყვარდათ ჰუმპარტიც სხვაგარულით. თქვენი ორგანოს მუშაი, მიიორი დოლაბაძე კი ძალმომრეობით ცდილობს მათ განცალკევებას, რათა ქალს თავად დეპატრონოს...

პოდპოლოკონიკმა ცივად შეხედა.

— დასხედით! — თქვა მძიმედ. — აბა, დაიწყეთ თავიდან და დაწვრილებით მოჭყვივით უველაფერი. — ისე შეპარვით შეხედა ნოდარს, გეგონებოდათ, დაუღარაქდაო.

ისინი დინჯად დასხდნენ, ნოდარი დაიძაბა, მეგობარს შეხედა და ჩაფიქრდა.

საურმაგი მიხვდა, იგი ხმის ამოღებას კარგა ხანს ვერ შეძლებდა და განმარტებული ხასიყვარულით თავგადასავლის მოყოლა თავად ითავა.

...ლაპარაკობდა მოქნილად, დამაჩერებლად. იყო შეტისმეტად გულწრფელი, ისიც კი არ დამალა, რის საიდუმლოდ შენახვას შესაძლოა, ნოდართან ერთად, თავდაც ეშურებოდა.

— კეთილი!.. — პოდპოლოკონიკმა სახეზე ერთიანად გაწითლებული ნოდარი შეათვალეირა და ოდნავ გაღიმებულმა ჩაილაპარაკა, — ჰუმპარტიცების ხარომეტრა... — მერე, რომელიღაც ლილას თითი დაჭირა და ჩვეულებისამებრ დაიგუგუნა: — კაპიტანი გაჩაჟა!

საურმაგმა წამოღდა, წამოღდა ნოდარიც.

— გარეთ დაიცადეთ! — ბრძანა ესართიამ და საურმაგს თბილად უთხრა: — საავადმყოფოდან რომ გახვალ, კუნჭულიას გადაეცი, საწაფხულო წყვილს ჭერ ნუ შემეიქრავს, მერე, კოჭრები რომ წამომწერდება, თავიდან ავადებიანებ ზომას.

საურმაგს გაეცინა და უნებლიეთ ლაბადის საუელო წამოიწია.

— საავადმყოფოდან გახვლამდეც გადაეცემ, ბატონო ვარლამ!

— მაგის გულისთვის კიდევ ნუ გამოიპარები, თუ კაცი ხარ, სჯობს თავს მიხედო! — გააფრთხილა ესართიამ და კაბინეტში შემოსულ შავგვრემანს, რაღაცნაირად წარბებჯღღესილ მამაკაცს თავი დაუქნია.

ორივემ ერთდროულად გადაიხადა მადლობა და პოდპოლოკონიკს მოწინებით გამოემშვიდობნენ.

— თუ აღლო არ მალატობს, ჩვენ პირველნი არ ვართ, ვინც დოლაბაძეს უჩივის და ჩვენდა სახედნიეროდ, პოდპოლოკონიკი ესართია მართლაც კაცური კაცი ჩანს, — გადაულაპარაკა საურმაგმა ნოდარს, როცა მდივანი ქალის მიერ შემოწმებული საშვი ჭიბეში ჩაიდო.

ნოდარმა ძლივს შესამჩნევად გაიღიმა და წაიჩურჩულა:

— შენ რომ არა, დმერთმა უწყის, რას ვიზამდი...

მერე ორივენი მდუმარედ იდგნენ.

საურმაგს მარჯვენა ხელი სამოსის ქვეშ შეეცურებინა და მკერდს მალვით იფლემდა, რათა შიგ ჩაგუბებული ტკივილი ოდნავ მაინც დაეამებინა.

ვიღაც სიმპათიური მამაკაცი, რაღაცას ემუდარებოდა უწინო შესახედლობის სახეამღვრეულ ქალს და მათთან ახლოს მდგომი ნოდარი გულუბრყვილოდ სწუხდა, უნებლიე მათი საუბრის მოწმე არ გამხდარიყო.

კაბინეტიდან გამოსული გაჩაჟა ნოდარსა და საურმაგს მიუახლოვდა.

— ვახტანგ გაჩაჟა! — თქვა სხარტად, ორივეს ხელი ჩამოართვა და სთხოვა, ქუჩაში დამელოდეთო. — მერე ორივენი დერეფანში გამოაცილა და თავად საპირისპირო მხარეს გაუჩქარა. ალბათ, სამართველოში მივდივართ, დოლაბაძესთან... იქნებ ნაიაც ვნახო... მისმინე, ნაია, მისმინე... მე ვარ, ნოდარი!" კიბეზე ჩამავალი ნოდარ დიდებულებზე შეცბა, რატომღაც შეშინდა მეგობარი საფიქრალს არ მიმიხედვსო.

— ალბათ, პოდპოლოკონიკმა რაღაც მითითება მისცა, კაპიტანი კი დაუზარებელი კაცი



ჩანს... — ისე ჩაილაპარაკა საურმაგმა, გეგონებოდათ, გონებაში რაღაც შინიშნაო. და უტყ...
 ბებს ჭვემით სისველე შეიგრძნო.

„მგონი კრილობა ჯამხსნა. ეგ არაფერი, ამ საქმეს ეშველოს რამე და...“ კიბის თავთან შეჩერებულ ნოდარს მხნედ გაუღიმა.

შენობიდან გასულები, ქუჩის განაპირას შედგნენ.
 ნოდარი მოსუვენრად წრიალებდა.

— შენ იქნებ წახვიდე, კრილობა არ გაგიღიწიანდეს... შენ იქნებ წახვიდე... — რაღაცნაირი აღტყინებით სთხოვდა მეგობარს.

— ვნახოთ. ჭერ კიბიტანი მოვიდეს! — დაამიგდა საურმაგმა და როცა მოსახვედში გამოსჩაილებულ „ვილიხს“ მოჰკრა თვალი, ნიშნის მოგებით დაუმატა, — აი, ახლა, მინდა თუ არა, მინც ხავედმყოფოში მიმპარძანებენ.

მაღე „ვილიხს“ მათ წინ გაჩერდა. საჭესთან ვახტანგ გაჩავა იქა.

— მოდით, ბიჭებო! საურმაგ, შენ წინ დაქეცი! — ხალხიანად მიიპატიჟა ისინი და მანქანის წინ კარი გააღო.

გზაში კაბიტანი თითქოს სხვათა შორის სვამდა კითხვებს მისთვის ხაინტერესო ამბავის გარშემო და თანამგზავრების პასუხებსაც თითქოს სხვათა შორის ისმენდა.

— აქედან ერთხელ დამნაშავე გამეპარა, მეთვალყურეს, თურმე, მაღლობაც კი გადაუსხდა ჰურნალბისაჟვის. იმანაც იფიქრა, ექიმო თუ ვკონივარო და შეიფერა, — ღიმილით ჩაილაპარაკა ვახტანგმა. როცა „ვილიხს“ ხავედმყოფოს წინ შეაჩერა, — ალბათ, შენც ამ მეთოდით ისარგებლებ? — გადმობედა საურმაგს და ხაუვირი აახშიანა.

— ნაწილობრივ... ოღონდ ის დამნაშავე ჩემსავით სამინისტროში არ გესტუმრებოდათ, — ძალიანძალად გაეპასუხა ტკივილთან „მოჭაჭურტე“ საურმაგი.

სამორიგოდან გამონულმა კარისკაცმა მანქანას თვალი შეავლო და კიშკრის ვალებას შეუღდა.

— ეგ მართალია... — მოგვიანებით ჩაიდუღუნა რაღაცაზე ჩაფიქრებულმა კაბიტანმა და ხავედმყოფოს ეროში შესული „ვილიხს“ კირურაგული განყოფილების სადარბაზოსთან შეაჩერა, — შენ, აქ დარჩი! — უთხრა მან ნოდარს. — მე საურმაგს ავაცილებ და ჩამოვალ!

— როცა მოიცილი, მინახულე, აბა, შენი იმედი მაქვს... — საურმაგი მარჯვედ გადაიხარა უკან და მწველი ტკივილის დაძლევის უახად ხელი მეგობარს მხარზე დაჰკრა.

— მე კი შენი...
 წამით ერთმანეთს შეაჩერდნენ, მერე გაეცინათ. ნოდარი მანქანიდან გადმოვიდა და მეგობარი სადარბაზოში შეაიკლა.

— რა მოგიტანო? — დაადევნა კიბეზე ამაჯალს.

— კარგი ამბავი! — გეგონებოდათ, უბრძანა საურმაგმა და ხელაწველი გამოემშვიდობა. ვახტანგ გაჩავამ ავადმყოფი პალატაში მიაცილა, გზად მორიგე ექიმს შეუარა და მოუბოდიშა:

— თქვენი ავადმყოფი მოულოდნელად დასაპირისპირებლად წავიყვანე, იმხანად ვერ გნახეთ და... — სახეზე სინანული გამოეხატა.

ექიმი დაიხნა. იქნებ შეშინდა კიდევ რაიმეში ბრალი არ დამდონო.

— აი, ამას ჰქვია მეგობარი მეგობრისთვისო... ნუ დარღობ, სიმართლეს არავის დავუკარგავთ. იქნებ წუნარად და კრილობა მოიშუშე. თუ რაიმე ისევ ავადმყოფობს, ტელეფონით დამიკავშირდი, — უთხრა კაბიტანმა საურმაგ ელენტს გამოემშვიდობებისა და ტელეფონის ნომერი ჩააწერინა, მერე მათვე მომავალ ექიმსა და ექთანს მიუბრუნდა: — გთხოვთ, ყურადღებას ნუ მოაკლებთ, ჩვენთვის ფრიად საჭირო და აუცილებელი მოწმე!

— აგაშენა ღმერთმა! — ურუდ წარმოთქვა ტკივილისგან განაწამებმა და მიმავალს შუქმორებული თვალები გააუკლა. ცნობიერებაში კი უნებლიეთ თეთრზე თეთრი ასობებით გამოიკეცა: „ჩემნთვის ფრიად საჭირო ღა აუცილებელი მოწმე“.

ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოდან მობრუნებული დენდი ამალღობილაშვილი გალახულ ბავშვსა ჰგავდა. თუმც გულმოდგინედ ცდილობდა მხნე გამოხედვა შეენარჩუნებინა.

ვბლაცამ ფაბრიკის დირექციაში მთელი საათით ადრე მოიტანა ამბავი, დენდი მოხსნესო!.. და უოფილ მთავარ ინჟინერს თითქმის უკვლამ თავისებურად „მოუხამიძინა“. ამალღობილაშვილი შეიკადაშა მსუბუქად აქნევდა თავს და მკრთალად, მაგრამ თითქოს უდარდელად აღიმებოდა, რითაც თავისდა უნებურად ამტკიცებდა, უოველი საუბერო სიტყვის მოსმენასულს რომ უკორტნიდა.



საურმაგს არაფერი უთქვამს, დენდის ოდნავ გაუღიმა, გასაღები გამოართვა და დაიწყო კარი გაღო.

— ნუ გეწინია — ბეტთან შემოპარა ხელი ამალღობელაშვილმა, — არც ისეა საქმე... — ალბათ, თავი იმუტეშა. მაგიდას ისე მიუჭდა, პალტოს გახდა არც კი უფიქრია და თანაშემოს-
ლებით შევსებული ოთახი მიმოათვალიერა.

— რაო, რა გითხრეს? — თანაგრძნობის გამომვლავლების მიწინით, რატომღაც შენობით მიმართა ქალთაშე კვატეიშვილმა.

- გეგმის თაბაზე შევლაპარაკდითი — ამაყად განაცხადა დენდომ.
- იაშას და დურმიშხანის გამო ხომ არ ვისაყვედურებს, — შეპარვით იკითხა ვილაცამ.
- არა, შე შეგათთან რა საქმე მქონდა, ისე, ჰო... — მოწყვეტით ჩაიქნია ხელი.
- ნეტავი ვის უშვებენ? — ველარ მოითმინა ნუნუმ, საქმეთა მმართველმა.
- ვინც უნდათ. ის გამოუშვან უბრალოდ, უსამართლოდ რომ მოგექცევიან, ის გეწყინება

კაცს, თორემ ასე მუშაობა აღარც ღირდა. დავიდარახის მეტი რა შემზვიდრია?

— ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთი კოლექტიურ განცხადებას დავწერთ, რომ... — რაღაც-
ნაირი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აზრებით აღგზნებულმა ნუნუმ ოთახში შემოსულ
გიორგი ურუშაძეს გაუბედავად შეხედა. შეცბა, უღაწაოდ გაიღიმა და პომადით სქლად
შეღებულ ტურებს შორის მეჩხერი, პაწაწა კბილები გამოაჩინა.

— აბა, აბა, რა საქირია? — გულშეწუხებულივით ამოთქვა დენდომ და უცებ მთელი სიმ-
კაცრით განაცხადა: — ძალზე გთხოვთ, ნუ მოვცდებითი ჩერ კიდევ არ მოხულა ჩემი შემც-
ვლეული... — წამით ყველამ უბერხულიად იგრძნო თავი და ბევრმა კარისკენ იბრუნა პირი. საურ-
მაგი ისევ ფანჯარასთან იდგა. — დავიწყებენ... — ბრაზიანად ჩამარცვლა, როცა მარტონი
დარჩნენ. — ნუნუ ენაგატლეგილის შეცოდება მაკლია ახლა მე... ჩაკეტე ერთი ეგ კარი, —
მეგობრულად სთხოვა საურმაგ ედენტს. და როცა თხოვნა შეუსრულეს, ტელეფონის ურშილს
ნაჩქარევად სწვდა. — იქნებ, ასე სჯობია, ბოლოს და ბოლოს გამათავისუფლებს, ახლა ეს... —
ნომრების აკრეფა მოათავა და მეტისმეტი სიდინჯით იკითხა: — ჯიმშერი ხარ? ჰო, გამარჯობა!
ჰო, ჰო... შიგადაშიგ საწყლად იღიმებოდა, თავს კი გამოზომილი სიხშირით აქნევდა.

საურმაგი მიხვდა, დენდი თავის მეგობარს, სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების მთა-
ვარ ინიენერს, ჯიმშერს ხიზანიშვილს ელაპარაკებოდა.

„რა უცებ მოტყდა ეს კაცი?! ალბათ, ეწინია, იქნებ განთავისუფლება არ მაქმარონო...“
მოულოდნელად დენდის ნათქვამი გაახსენდა და თითქოს შის ზმას მიუგდო უფრო: „...მეც აღარ
ვიცი, რა გირჩიო... გემსის, საურმაგ, ჩვენ ყველანი, ჩვენდა უნებურად, იმათ დინებას მივუ-
ვებით. ვიცი, ვიცი, ერთ დროს მეც შენსავით არ მღალატობდა რწმენა, მაგრამ ახლა... არა,
რადღაც უნდა მოხდეს, აუცილებლად უნდა მოხდეს... რაღაც გარკვეული მიმართულება ხომ
უნდა მივცეხს ჩვენს საქმიანობას, ჩვენს ურთიერთობას... ამ, არა, რაღაც უნდა მოხდეს, აუ-
ცილებლად უნდა მოხდეს, ან ბზე, ან ასე...“ საურმაგს სევდიანად გაეღიმა. ახლა იგრძნო,
რომ მაშინ, როცა დენდი ამალღობელაშვილი ამ „მონოლოგს“ წარმოთქვამდა, საურმაგ ედენ-
ტმა, თავისდაუნებურად, მთავარი ინიენერის განთავისუფლებაც გაითვალისწინა.

ყოფილმა მთავარმა ინიენერმა უფრშილი დადო და გამხნეებული კაცით გაიღიმა.

— ყველაფერი წინასწარ ყოფილა დაგეგმილი, ქალაქკომს ჩვენი კადრების გადახალისება
გადაუწყებთა. სიასამურთიმე დროულ იუნოსა და სავადმყოფოდან არ გამოდის. მთელი პა-
სუნისმგებლობა მე დამაიკისა. ვილაც კომკავშირელს აგზავნიანო, მგონი, მსუბუქი მრეწველო-
ბის სამინისტროს კადრებიდან. ჰმ, ალბათ, არ იცნობს საყოფაცხოვრებო მომსახურების ხალხს...

სამმართველოს მთავარი ინიენერი თინათინ ახალია ვილაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა.

შის ხელმარცხნივ, ლალი ბერაძე იდგა და ახალიას ლაპარაკის დამთავრებას მშვიდად ელოდა.

— გამარჯობათი — საურმაგმა ბერაძეს ისე შეხედა, თითქოს შისი იქ ყოფნა ჩვეულებრივი
ამბავი იყო.

ლალიმ გაუღიმა და თავი დაუქნია, საურმაგმა უნებურად თვალი აარიდა. ახალიას შწერას
წაწყულა. იგი ბრალდებულის დასაკითხად შემზადებულ გამომძიებელივით უცქეროდა. საურ-
მაგს რატომღაც მხოლოდ ის გაახსენდა, რომ ეს სანდომიანი შესახებლაობის ქალი გაუთხოვარი
იყო.

— ვისაც შესაძლებლობა გაქვთ, დასხდითი — ბრძანა ახალიამ და უფრშილი დადო.

თადეოს ციმაკურიძე ხუნწით ჩაჭდა სავარძელში. ზოგიერთმა საქმიანი იერით შიხაძა შას,
ზოგმა კი — გაუბედავად. საურმაგი და ერთ კუთხეში მიუყუდო ეკონომისტი ქალები, ფეხზე
მდგომნი დარჩნენ.



— ამხანაგებო! მინდა წარმოგიდგინოთ ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, ლალი ბერაძე, გოსოვთ პატივით მოეყარათ და საპირო დახმარება გაუწიოთ. ლალი საფხვსაცემლო წარმოების ნიჟიერი სპეციალისტია, კარგი ორგანიზატორი; ბერაძის კანდიდატურა ამ თანამდებობაზე, პარტიის საქალაქო კომიტეტმა წამოაყენა, ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი ამ ნდობას გაამართლებს. — ახალაიამ ღიმილით გადახედა ლალი ბერაძეს, რომელსაც რამდენიმე წყვილი თვალი იჭყნეულად მისჩერებოდა.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! — თამამად წარმოთქვა ამგვარი შემთხვევისათვის ტრადიციული ფრაზა ქალიშვილმა. — ვიმედოვნებ, ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდება.

— რა თქმა უნდა! — წამოსცდა ნუნუს და ოთახში ჩურჩულმა გაიშრიალა.

— კეთილი... — ჩაიღიმილა ახალაიამ და ფაბრიკის მთავარ ინჟინერს თბილად მიმართა: — თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე წუთს წაგართმევთ თქვენი სამუშაო დღიდან.

ქალიშვილმა თავი დაუქნია და სკამზე დაქდა.

თანაირად ახალაიამ სამკაცრეშეწავებული კილოთი დაიწყო ლაპარაკი რესპუბლიკაში მომხდარ ძვრებზე, მოიხვედია ფაქტები და ატმოსფერო „განკითხვის დღის“ ბგერებით დამუხტა.

— იცნობ? — უჩურჩულა ნიკოლოზ სულთანისშვილმა, ფაბრიკის მთავარმა მექანიკოსმა საურმაგს.

— ვიცნობ...

— ხაიდან?

— ერთად ვმუშაობდით...

— მაგარია?..

— მაგარი...

სულთანისშვილს კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ ახალაიას გამკოლმა გამოხედვამ დაეღამა.

საურმაგმა მწველად იგრძნო, ვით მოცვეთილ კბილანაზე ლითონის ღვედი, ისე დახსლტა რაღაც ცნობიერებაში და ემოციების ქარავანი თავისი არხების ხიდრმისაკენ ტაატილ დაიძრა. „თითქოს ამასაც ველოდი... მაშ, ეს სიმშვიდე ხაიდან დამეუღლა?“ მოულოდნელად ლალი ბერაძე საქმიანი იერიით შეათვალიერა.

— ახლა კი, ხელს ადარ შეგეშლით, გისურვებთ წარმატებას! — ახალაია კარისკენ გამოემართა.

საურმაგმა კარი გაუღო და დერეფნის ბოლომდე, სადაც მძლოლი ეგულდებოდა, ჩუმად მიიკლა. ქალმა მადლობის ნიშნად ღრმინარევი მზერა „გაქაჟა“.

— ნახვამილი, ვენტილაციის თაობაზე მთავარ ინჟინერს მოელაპარაკეთ! უთხრა დამაჩერებლად და თეთრ „ვოლგას“ მიაშურა.

საურმაგმა საპასუხო ღიმილი შეაგება და გამოემშვიდობა.

ფაბრიკის მთავარი ინჟინერი თანამშრომლებს სათითაოდ ეცნობოდა.

— ჩვენ კი, კარგა ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, ერთ ფაბრიკაში გვიმუშავნია! — თქვა მან და კაბინეტში შესულ უხაფრთხოების ტექნიკის დაცვის ინჟინერს თავი დაუქნია.

საურმაგმა ძღწილი უცაბედად ცივილიზებულ სამყაროში მოხვედრილ ველურრიგით შეათვალიერებს.

„ეგრები, ეგ უკან არ დაიხეებს, ვის კარზეც არ უნდა მივაყენო, ხალხისანად გაიფიქრა მან და ხიამაყე იგრძნო, აი, ისეთი, თანამოაზრის, თანამებრძოლის გამოჩენა რომ აღვიძრავს კაცს.“

საზღვაო ნავსადგურის გადასატვრითი მანქანების პარკის მორიგე მექანიკოსი, მამია ტიკარაძე სკამის სასურველზე გადაწოლილიყო, ღიმი მავადისთვის მიეხვინა, ჭროლა თვალებს ეშმაკურად ჭკუთავდა და იღიმებოდა.

ოთახი ელექტროამწვეთა მემანქანებით გაკედლილიყო, ორი მათგანი „თავგანწირვით“ კამათობდა.

— დამთავრეთ? — დინჯად იკითხა უცებ მამიამ, მერე ფეთთიანვით წამოხტა და დაიკიჟინა: — იდე!... თქვენ აქ ბაზარი ხომ არ გგონიათ?! დამდგარბართ და მშობიარე ქალებივით კვივით, ვთქვი, მორჩა! შენ ოცდამერვეზე წახვალ, ვახილევ, შენ კი, ახაშიძე, ოცდამესამეზე. ბრინჯის გაღმოტირთვაზე იმუშავეს! და მორჩა, მორჩა ბაზარის სამი დღის უკან არ ამოხაჟ ტრიუმიდან შეიდი ვაგონი ხორბალი? მერე წვიმდა და არც გაკვიდია, „ნიერიტი“ ვქაჩავდით.



მოაწერით ხელი განაწესზე! აბა, მე, გაბარდითი ვთქვი, მორჩა! გაშლილი ბელი ზედზედ დაკრა მაგიდას. — შენ, დიდებულიძე, ოცდამეოთხევი წადი იცოდე, ფრთხილად! ქორბენამე ცვლა გამოიცვალა და... არსად გაძვრე, იქნებ დამჭირდე!

ნოდარმა თავი დაუქნია და უმაღლ დატოვა თამბაქოს კვამლით დაბურული ოთახი, სადაც კვლავ მთელი „თავგანწირვით“ აყვირდნენ აბაშიძე და ვასილევია.

„გადასარევი ღუგუტი...“ გაეღიმა ნოდარს და ქურთუკის ღილები შეიქრა.

— დამიცადე, ნოდარ! მეც მაქვთევენ მოვალე! — ტარბელ ცაგარელი, დაბალი, შავტუხა ბიჭი თავჩალუნული მოძუნძულდება. — გაგივდა ეს ხალხი, გადაარია ამ მანეთებშია — ნახიჭე გადავიდა იგი და ნოდარს ხელი გადახვია. — უკვლახ ხორხლის /გადმოკვირთვა უნდა. ის კი არა, ქალაქის ბრიგადანთან ჩამდენჭერ მიმუშავია, ზოგჯერ სჯობს კიდევ, სამსა და ოცს მაინც მიიღებ. გუშინ კი ჩვენს ბრიგადაში ვერც ეს გავაკეთე. ჭერ იყო და, ტრამუმი ძლივს გახსნენ, მერე ვაგონის კარი აღმოჩნდა დამტკრებული, როგორც იქნა, გააკეთეს და წამოწვიმა კიდევ. ჰოდა, დავრბი მშრალზე... ჰო, შენ რას ზვრები? გახწავლის რამეს ქორბენამე? კარგი შემანქანა, მაგრამ მშობრება... მარტო მაგას ნუ მიაჩრდები... ქალაქის ბრიგადანთან რომ ვივინები, შოდი, გამუშავებ... აბა, შენ იცი! — ცაგარელმა მარჯვნივ გაუხვია.

ნოდარმა თბილი მზერა გააყოლა, მერე ჩქარი ნაბიჯით გასწია ამწეკენ. კომბინეონის გადაცმა დაეწარა და ნახვადგურის დასავლეთ მხარისკენ გაიქცა.

ოცდამეოთხე ამწესთან მიხულმა, ამწეს ისარი შეათავალიერა, დოღურებზე გადაცმული ბაგირების სამიედომა შეამოწმა. მერე ცდუნებამ სძლია და გადაადგილების შექანისმის მუხრუჭები მოუშვა. ბოლოს თამაზად აუყვა ამწეს კიბეს.

ვიდაცას კაბინის კარი ღია დარჩენოდა.

„ომარს თუ ეძინა შიგ, იმან იცის ასე...“ გაიფიქრა ნოდარმა და, სახელურებს ხელებმოკიდებულმა, სხეულს ბიძგი მისცა. ომარს თხელიაშვილი მასავით ახალბედა გახლდათ, მაგრამ უკვე მოცნწრო ზარმაცის სახელის „დასაკუთრება“. ომარს ელექტროღუმელი ჩართული დავტოვებინა და კაბინაში ჭერ კიდევ თბილყო. ნოდარმა კარი დაკეტა და სვეტზე მბრუნავი ნაწილის მანქანო განყოფილებაში გავიდა. ჭერ დოღურებზე დახვეტილი ბაგირები შეათავალიერა, მერე თითქოს გაოცებით მიმოიხედა, მიხვდა, ომარს „ჩვეულებებისათვის“ ელაატანა და იქაურობა დაესუფთავებინა. გაეხარა. სვეტის მუხრუჭი მოუშვა და კაბინაში საქმიანი იერით დაბრუნდა, ელექტრომარვა ჩართო, ერთხანს მის რიბმულ ზუზუნს უგდებდა უფრს, ბოლოს სავარძელში ჩაქადა. საბრლო მექანიზმის მუხრუჭი ახსნა, გასწორდა და დამაბულმა ხელები კბილანა სახელურებს შემოაღწია. ელექტროამწის მბრუნავი ნაწილი ტაპით „წატორტმანდა“ მარჯვნივ. მერე „გაკი“ ოდნავ „დამაინდა“ და ზღვისკენ პირქცული ამწეს ისარი სანაპიროსთან მდგომი სატვირთო გემის პირველი ტრიუმისკენ დაიხარა. ელექტროამწის სხვადასხვა მექანიზმის ერთობლივი მართვა პირველად გაბედა და, რა თქმა უნდა, შეიშობდა. კბილანა სახელურები ისევ საწყის მდგომარეობაში დააყენა და შვეებით ამოისუნთქა. მოულოდნელად შეამჩინა, რომ ერთტონიანი „გაკი“ კაბინისაკენ გამოქანდა, ოდნავ მოხაზა ნაბეგარწერე, გვერდითი მინის კედელი შემოამსხვრია და უკანვე გაქანდა. შეშინებაც კი ვერ მოასწრო. პირიქით, საოცარი სიმშვიდე დაეუფლა. დამაჩერებლად დაიწყო კბილანა სახელურის მანევრირება და სულ მალე ტონიანი „გაკი“ ვერტიკალურ მდგომარეობაში ტორტმანებდა.

კაბინაში ზღვიდან მონახერი ცვიი ჰაერი შემოიჭრა.

ზღვაზე თეთრად დალაქავებული სიბნელიე გაწოლილიყო. აღმოსავლეთით ჩამწკრივებული ტანკერები საბრლოდვლად შემზადებული კრეისერებივით ინაკეთებოდნენ. ჩრდილოეთით, საკმაოდ შორს, რიელზე მდგომი ჭემის სინათლე მომხიბვლელად ციმციმებდა.

ნოდარ დიდებულიძე გარანდებული იქდა სავარძელში, გრძნობდა, რა ძლიერ უყვარდა სიცოცხლე, რა ძლიერ და რა მწვეკლად.

„ალბათ, გამომრთველმა მილაატა, რა ბეწვევ გადავრჩიი... სამაგლად გამიჩიჩქავდა თავს. მთელი სიცოცხლე ერთ წამში აპირებდა ჩატევას. ერთ წამში... და მაინც, ეს ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე უოველ წამს იმ ღალატის მოლოდინი, იმ ღალატის დადარაქების ჩვეულებად აკვატება“, აწროვინებამ თითქოს დაუეითხავად გაიჩინა საფიქრალი და უცებ სირენასავით ახმანდა.

„მისმინე, ნაია, მისმინე! მე ვარ, ნოდარსი...“ ამ მოულოდნელობისაგან შემცივებულვიით გააურყოლა. რადგან იმ დღის შემდეგ წინასწარჯანრახვით იწამა ის ღალატი, რომელსაც მისი მომავალი უნდა „ესაზრდობინა“.

კაპიტანმა გაჩავეამ გულთხილად მიიღო და უოველგვარი შესავალი სიტყვის გარეშე აუწყა:

— ის გავო გავანათვისუფლად, გახანთავისუფლებელიც არაფერი კირდა. დოლაბაძის მოითებები, სახლში ჩაკეტლიყო. გულდახმობით ვნსაუბრებ, სასტიკი უარი თქვა შენთან დაბრუნებაზე. უკვე არასდღებიოთ არ შეიძლება იმ ბიჭის ცოლი ჯავბდო, ეს იყო, დოლაბაძის ჩა-

მოცილება ვგთხოვა. ეს ქალი თავისას ასე ადივლიდა არ მოიშლის, რაღაც კიდევ შეონდა გა-
სარკვევით, მაგრამ უმაღ ღადიარგა. ამბობენ, ვილაც შეზღუდურს გამყავთ... რა ვიცი, კარგად
დაფიქრდი, გიორგი დიდებულძის ვაჟიაც გულის გატეხა და წახდენა არ ეკადრება...

სანაპიროსთან გახვევბულიყო. ზღვის ტალღები ისე შარიშურობდნენ, გეგონებოდათ, ათას
კახას, ათასი არშია ერთდროულად ერღვევაო. ნავსადგურის სანაპიროსთან აღმართული ამწე-
ები ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა, რაღაც გაახსენდა, ალყაში მოქცეული სარდალივით
უცახედად მიიღო მტიაციე გადაწყვეტილება. „სხვა თუ არაფერი, აი, მაგათი მოთვინიერება
შინც უნდა ვცადო! გაიფიქრა და პირი იბრუნა.

— დიდებულძემი დიდებულძემი — გაისმა ვილაცის გაბმული ხმა, — ჩამოდი ბაგირს
გამოცვლაში მომეხმარე!

ნოდარმა კარი გამოაღო და ძირს გადაიხედა. მაღალი, გამხდარი კაცი ეძახდა. „ეჰ, შგო-
ნი, ვორობიოვი უნდა იყოს...“ გაიფიქრა და ჩასძახა:

— შექანიკოსმა თუ იციხ?...
— ჩამოდი, იციხ, ახა რა! ჩქარა!..

ნოდარმა დანარჩენი სიტყვები ვეღარ გაიგონა, რადგან ამწეთა ქვეშით დაგებულ ლიანდა-
გებზე სატვირთო ვაგონები შორახრახებდნენ. მაგრამ მიხვდა, ვორობიოვს ძალზე ეჩქარებოდა,
ბორბლით სავსე ტრიუმფი ეღოდა.

ელექტროამწე, რომელიც ბაგირის გამოცვლას ითხოვდა, ნავსადგურის აღმოსავლეთ ბო-
ლოში იდგა, იუვოსლავეური გემის პირველი ტრიუმის პირისპირ, რომელიც კანდიდიან ჩამო-
ტანილი უვითელი სიმილით იყო სავსე.

ვორობიოვს ნოდარის გარდა, ერთ-ერთი ამწეს შემანქანე ეხმარებოდა, მაგრამ ხელის დას-
ვრას ერიდებოდა და კაბინის სავარძელში მჯდომი, უშეტესად სიტყვიერი მითითებებით ცდლობ-
და „დახმარების“ გაწევას.

ერთი შენი! — შეუკურთხა მას ვორობიოვმა, როცა ბაგირის ბოლო, როგორც იქნა,
ისრის შეიწინთ გამავალ კიბის თავამდე მიიტანა, — მომეხმარე, დიდებულძემ, ყოჩაღი ბიჭი
ხარ!

ნოდარი დაუფიქრებლად გაემართა მის დასახმარებლად. ნელა მიიწვედნენ ზემოთ, თან
ბაგირს შიათრედნენ. ისარი თანდათან ვიწროვდებოდა და მოძრაობა ჰირდა. მერე კიბე შე-
წყდა ვორობიოვი უკვე ისარს ზემოდან მოქცეოდა, მაგრამ გაუბედავად მოძრაობდა.

— ბაგირს შე დავიჭერ, მოდი, ამოძვერი, ვეღარ ვინძრევი, იქნებ შენ ახვიდე, — დახ-
შული ხმით უთხრა მან დიდებულძემ.

ნოდარი ისრის „კედელზე“ აძვრა და ზემოთ აცოცდა. მერე ოდნავ წამოიშართა, ჯერ
ერთ დოღურას ჩაავლო ხელი, მერე — მეორეს. მარცხენა დოღურა მჩატედ შეიჩხა. გულის
ცემა შეწყდა, სხეულის სიმიმე მარჯვენა მხარეს გადაიტანა, ფეხი ისარის გლუვ ზედაპირს
დააბჯინა, სხეული ერთბაშად აწიდა და ისარის შეერილზე დოღურებსშორისა ღრმულში
მოექცა.

— ყოჩაღ, დიდებულძემი ყოჩაღ! — ახლავა გაისხენა ვორობიოვმა ქართული. სხეული წა-
მოსწია და სცადა ბაგირს მისწვდენოდა.

ნოდარი ძლივძლივობით შემოტრიალდა, მარჯვენა ხელი დოღურას მოხჭიდა, გადაიწინა
და ბაგირის ბოლოს სწვდა, მერე მარცხენა ხელს მარჯვენაც მიახმარა და ბაგირი დოღურას
ღარზე გადაატარა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ცოტა ქვეშით დაქარე, აი, ასე... ახლა ჩამოდი! ისრის ღრმულში ჩაძვ-
რა ვორობიოვი.

— ეი, რამ გადაგრიათ! — კაბინაში მყოფი შემანქანე რაღაცას ღრიალებდა.

ნოდარმა მხრები გაშალა. ამაყად მოავლო თვალი სივრცეს. სინათლე თეთრი საბურველი-
ვით მოსდებოდა გარემოს. კრიალა ცა თითქოს გულუბრყვილოდ დაჰყურებდა დედამიწას, ზოგ-
ჯერ თოლიები ბოლოებში სიშავედაკრულ ფრთებს წყლის ზედაპირზე შეატყალაშუნებდნენ.
წამოფრენილებს, ნისკარტებში ნამცევა თევზები მოუჩანდათ. მათ უინდაუოკებელ ჭყვივლს
ნავსადგურის ხმაური აკომპანიმენტავით ავსებდა.

ნოდარმა წუთით გემბანზე გამოფენილ თბილად ჩაცმულ ბავშვებს და ქალებს მიაპყრო
მზერა.

„ნავსადგურიდან ნავსადგურამდე... ასობით კილომეტრი... ამ რამდენიმე ბედნიერი დღის
მოსაპოვებლად...“ გაიფიქრა მან და უცახედად ხევერიან სეთურძემეს მოჰყრა თვალი. იგი ამ-
წეს კიბეს აუყვა.

ნოდარს გაეღმა.

სევერიან სეთურძე, რომელსაც ბიჭები ზუსტად იცნობდნენ, გაურკვეველი წლოვანების, შავფერმანი, რაღაცნაირად „სახეგლეხილი“, ტანშელი მამაკაცი, ნოდარს მისი ვარჯისობისა თუ ხასიათის გამო, რატომღაც თხუნელას აგონებდა, იგი თითქოს ყველასადმი და ყველაფრისადმი გულგრილად გახლდათ განწყობილი, ბევრის თვალში ჩანჩურა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ზოგჯერ ხებრულ ლაპარაკსაც არ ერიდებოდა, მაგრამ ნოდარს უნებლიეთ კვლავ აწვავდებოდა იტყვი, რომ ამ კაცს იმ ექვშობიანი ცხოვრების ლაბირინთებთან მაინც რაღაც უხილავი ძაფები აკავშირებდა.

ახლა, იმ დიმილით, იმ იტყვის დასცინა.

„ბუმბერაზ ამწეთა შმაგო მომთვინიერებელი... ვიჯობს, შენს საქმეს მიხედო, უცქირე ამ ლივლივთა ზღვას, შენს აკვატიბულ იტყვს ძალისძალად ნუ მოხვევ იმ კაცს... აჩუქე ის ნახატი და ეგ იტყვი მოგეშვება, მერე რა მოხდა, კაცმა საზღვარგარეთული სიგარეტის ნაწივი გადაინახა? თუ არ გეშეტება, ახე ნაადრევად დასრულდეს შენი, როგორც კერძო დეტექტივის ბოგრაფია? ბუმბერაზ ამწეთა შმაგო მომთვინიერებელი, ვიჯობს, ამ ამწევებს მიხედო...“

— დიდებულიძე, ჩამოდი, ჩქარა ჩამოდი, ფრთხილად ჩამოდი, შექანაკობი მოდის! — თითქოს შორიდან მოესმა ფიჭვისი გართულ ნოდარს.

— ეეე, ვრობოვ, შე მუდრეგო! შე ტუტუტო! ხად აგიშვია ეგ ბიჭი, ხად? — კიტიუნება მამია ტიკარაძე.

ნოდარი გაოცდებოდა. ახლად იგონო ნათლად, რა დიდი მანძილი აცილებდა მიწას, რა ცოტა იყო საჭირო, რათა „იმ მოსახეზრებელ“ სიცოცხლეს გამოთხოვებოდა. ორივე ხელი დოღურებს ჩასჭიდა.

— ვრობოვ, შე მუდრეგო! კაცი ნავსადგურში დახერდი და არ იცი, ბაგირი როგორ იცვლება, ვინა ნახა, მისი ასე, დოღურაზე გადატანა, ვინ? ხად აგიშვია ეგ კაცი, შე მუდრეგო, რას ფიქრობ, რომ ჩამოვარდეს?! ვერ მიაბი ძველს, ახალი ბაგირი, ისე ვერ გადაქაჩე! იმისი ბოლო ვერ გადაუშვი ფანქარაში?! — ძლივხდა ქოწინებდა და ისე გაჰყვიროდა მორიგე შექანაკობის. ცალი ხელი შეტრიალდა მიწაზე.

— რა შექნა, ზედ კინკრისოზე ვაწუდა, საიდან გადავახამდი, ძველს ახალს? — თავისმართლებდა სცადა ქალამბართან შდგომა ვრობოვსა.

— ვრობოვ, შე მუდრეგო, მერე ვერ დაიხმარე შენცე ამწე, ვერ მიაყენე იმ ამწის ისარის დღევანე დაწვერ მოხსენებით ბარათს, ვერ ეღირსებო პრემიასი დიდებულიძე, შე მუდრეგო, არ გაინძრე, არ გაინძრე, არ გაინძრე, იცოდე... მოვყავნებ მოციცეს და შეოციცის ისარზე გადაქვირა, შუაწედილი მოვყავნებ და გადაქვირებო ის, თქვენე კაცობას რა ვუთხრა? — მამია ტიკარაძეს ხმა წაერთვა, მაგრამ მაინც თავგამოდებით კიტიუნებდა.

ნოდარ დიდებულიძე ერთხანს დიმილით დასცქეროდა სხვისი სიცოცხლის მოსალოდნელი დაღუპვის საშიშროების შეგრძნებით აბოზრებულ კაცს და იმ ღანძღვაშიც უდიდეს ადამიანურ სითბოს გრძნობდა, მერე ოდნავ შებრუნდა, დოღურებს ხელები ჩასჭიდა და მოქნილად ჩაწადა სხეული. ისევე მოქნილად ჩაინაცვლა ქვემოთ და შალე ისარის ღრმულში ჩაქვრა. „ორ საათში, ორი სასიკვდილო ფატირაკი...“ გაიფიქრა თავისი დამოუკიდებლობის „ხილვით“ აღგზნებულმა და კიბზე დაეშვა.

მის წარმოსახვაში დღეები დაქვიმულ წამბარებს ემსგავსებოდნენ, დრო არ გამოდგა მკურნალი. პირიქით, თავდაპირველად ძალისძალად მოპოვებული სიმშვიდე ერთიანად შემოაცვდა, და ახლა იმ ღალატის შეგრძნება მთელი სიხასტიკით ახლებოდა. „ნაია, მისმინე, ნაია...“, ეს ფრაზა დაუიციბავდა ამოიჩიმა და კვლავ გულუბრყვილოდ ცდილობდა ეთერში გაღწევას. მკერდში ხედავდა ტივილის მომგვრელ სიმძიმედ გუბდებოდა. ქალის არსება, მისი ვანუშორი-ღელი მომზიბვლელით ცნობიერებაში ჩასახლდა და უღმერთოდ აწვავდებოდა, მხოლოდ საურშაგთან საუბრისას ახერხებდა განშუბტვას, და კიდევ მაშინ, როცა ნავსადგურში მუშებს შორის იმყოფებოდა. ახლაც ნავსადგურისკენ მიიჩქაროდა, ბევრს შვებით ისუნთქავდა, რადგან უკვე აღარ ესმოდა მკერდიდან ის დამამციკრებელი, ფიზიკური უმწეობის მიმანიშნებელი ბუტბუტი, თანაც წანწერთლობის აღსადგენად დილის ვარჯისი და მასაჟი სავარძობლად შეველოდა.

...ინგლისური გემი „მერკულუსი“ მათი ნავსადგურისთვის მოჭარბებული წყალწყვისა აღმოჩნდა, აშკარად ემჩიოდა, შემოთრთული ჰუავდათ, რადგან ახლაც კი ზღვის ფსკერს ეჩოჩილებოდა. გემბანზე გამოფენილი გრძელთმიანი ბიჭები თოვლისაგან ასუფთავებდნენ იქაურობას. რატომღაც ნოდარს გულუბრყვილოდ მოუნდა ამ შორი მხრიდან მოსულ თანატოლებთან გასაუბრება და გული დაწუდა, საშვის აღება რომ არ შეეძლო. „მხოლოდ ერთი



წლის შემდეგ... მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შექმნა უცხო სახელმწიფოს გეში ახალი უფლება...“ მან წამით ნაცად შემანქანედ წარმოიდგინა თავი და წუთიერი შვება იგრძნო. ბრუნებდა და ფარბული „ნეირი“ დაკვირვებით შეათვალიერა. „ნეირს“ გემბანზე დაღამდნენ, მიღების ტრიუმფა და ვაგონს შეუერთებდნენ, რის შემდეგ, ამუშავებული მანქანა ტრიუმფიან სორბალს ვაგონისკენ გადმოსრუტავდა. „აბა, ყოჩაღად, ბუმბერაზ ამწეთა შმაგო მომთვინიერებელი...“ და უცებ „მისმენ, ნაია? მისმინე!..“ მეტისმეტი საქმიანი იერით მიაშურა ამწეს, შერე დაძაბული იქდა სავარძელში და თემურ გალოგარეს მითითებას სულმოუთქმელად ელოდა. არ თინჯავდა, წერილად თოვდა და ფანტელებს ბუსუსა წვიმის წვეთებიც თან მოჰყვებოდა. ქვევით კი უკვე ჩქარობდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, თემურმა ხელი აღმართა, ნოდარი ამწეს მართვას შეუდგა. წამით გული გაერინდა, შერე ძალუშად აძგერდა, ტვირთი ნელა იწვედა ზემოთ, სვეტზე მბრუნავმა ნაწილმა, ჩვეულებებისამებრ, ტაატი იწყო შებრუნება, ნოდარი შიშით უთვალთვალებდა „ნეირის“ ქვემოთ ამოღებულ ფიცრებზე გამოშვულ თოკს, რომლითაც მანქანა „გაკე“ ეკადა.

გემბანზე ტვირთს, სხვებთან ერთად, სვეტიან სეთურიძეც ელოდა, იგი ფეხებგაჩახული წაბოტინა ფიცრის კიდებს, მოულოდნელად ფეხი დაუსხლტა და სასაცილოდ ამოტრიალდა. რატომღაც ადრის მიხმარებია წამოვლდამაში. მან კი, დაქადნების ნიშნად, ნოდარს მუშეთი მოუღერა და ბიჭები კიდევ უფრო გაამხიარულა. დიდებულებსაც გაეღიმა და ტვირთი მსხუბუქად დაეშვა გემბანზე. „ამ ჩანჩურაზე ეჭვი რამ მიმატანინა?!“ ფიქრობდა გალაღებული, როცა გემბანზე მიღები გადაბქონდა „მერე იმ ნახატსაც მივუძღვნი და მეგობრულ შარსსაც...“ მიღების გადაბმით გართულ სეთურიძეს კი კოლეგები რაღაცას ექილიებოდნენ, იგი ხმას არ იღებდა, შიგადაშიგ ბრძენკაცივით გადააქნევდა თავს. მერე „ნეირის“ გადაადგილება გახდა საჭირო და ნოდარი კვლავ ფრთხილად ამოქმედდა. უცერად ტრიუმფის კიდესთან მდგომ ინგლისელ მეწვლავურს მოჰკრა თვალი, ინგლისელს პირში ჩიბუხი გაერტო და იქვე მოფუსფუსებ სეთურიძეს უთვალთვალებდა. ნოდარი უნებლიეთ შეკრთა, შეკრთომამ სიფხიზლე მოხტაცა და ზემოთ წამოწეული „ნეირი“ ერთბაშად დაუშვა გემბანზე, მანქანის ბორბლები თითქოს მოხსლტდნენ, მანქანა კი ზემოთ ავარდა. მოსალოდნელი იყო მისაბმელის რგოლი „გაკის“ კაუჩიდან გამოვარდნილიყო და ტვირთი გემბანის მოჯარზე გადაყრავებულებიყო, მაგრამ ნოდარმა ინტენსივად წყალბობით უშალ შეაქანა სახელური, „გაკი“ წამოიწია, მისაბმელი დაიჭიმა და „ნაირი“ ისევ შაერში აღმოჩნდა გამოკიდებული. გაისმა აღმფოთებულო შეძახილები. ჯორბენაძემ ნერვულად აიქნია ხელი, ნოდარმა მაინც მსხუბუქად დაუშვა ტვირთი მინიშნებულ ადგილას, ოღონდ სეთურიძე და უცნობი მეწვლავური მაინც თვალთახედვის არეში ჰყავდა მოქცეული.

— კიდევ დაუშვი, რამ გაგაშტერა?! — დალატატიანებული კაცივით იღრინებოდა მამუკა ჯორბენაძე.

ნოდარმა „გაკი“ დაამაინა და წამით მიღების „გადაბმით“ დასაქმებულ სეთურიძეს მიაჩერდა, მერე გემბანი მიმოათვალიერა, ჩიბუხიანი ინგლისელი აღარსად ჩანდა, იმ ადგილზე ორი ახალგაზრდა მეწვლავური იდგა და რაღაცაზე იცინოდა.

„ეხეც მორიგი ჰალოფინილია, მაგრამ ეს შუბლი, ცხვირის ფუძე და თვალბების ღრმულები? — წარმოსახვა დიაფლმობით უჩვენებდა უცნობი მამაკაცის სახის ნაკვთებს.

— შიატრიალდე, რამ გაგაშტერა?! — კვლავ იღრინებოდა ჯორბენაძე, რომელსაც მისაბმელი უკვე მოეხსნა „ნეირისათვის“.

ნოდარს უნებურად გაეღიმა. უცებ სეთურიძეს ჰანკიკზე ჰანჩალები დაუსხლტა და ცხვირპირი თოვლში ჩარგო.

„აბა, რაღაც ნაღდად... რაღაც ნაღდად...“ კბილოვან სახელურებს ნელა ამოძრავებდა.

ნოდარი უცნობ ინგლისელზე ფიქრობდა, ამწეს მართვისას მისი სიფხიზლე ამ ფიქრს რომ არ დაეჭაბა, თემურის დარიგებისამებრ, აზროვნების კონცენტრირებას ცდილობდა.

სეთურიძე, ტექნიკოსთან ერთად, მანქანასთან იდგა და მესიგნალის მოვალეობის გაწევას ახერხებდა.

„გადამრევს ეს კაცო...“ თითქოს მთელი არსებით კბილოვან სახელურებს მინდობოდა. და როცა „ნეირთან“ ჰანკიკებით შერთებული მიღის ბოლო ვაგონზე შემოსკუბებულმა ბიჭმა ზემოთკენ გადაურა, ნოდარმა თავი უშალ გვერდზე მიბარუნა, და გემბანი ხარბად მიმოათვალიერა.

კვლავ წვრილად თოვდა, მორიზონტი ჩაბურულიყო, რიელზე მდგომი გემები ბავშვური ხელთ მოხატულებს მგავდნენ, ბუქსირი სანაპიროსკენ მოცურავდა, დისპეტჩერი რადიოთი უხმობდა მის კაპიტანს, ჩრდილოეთიდან სილით დატვირთული კარკაბი მოიზღაწნებოდა, რომელზედაც ვეები გრეთფერიანი ამწე აღმართულიყო.

ნოდარი წამით ამ სურათში შეანთა, შეიწოვა. მოულოდნელად ორთქლმავლის ხვეწვით
რადიაციური სასწარკვეთით ახმანდა.

„არ უნდა აჩქარდეთ, მივალ და ვნახავ...“ ფეხმოთრეულად მიმავალ სეთურძემ თვალი
შეავლო და შებრუნდა.

ნოდარმა მორიგე შექანის ოთახშიღო თითქმის ირბინა, კარი შეღო და სიჩუმემ
ლამის დაფრთხო, ოთახში კი მუშების კედლა იყო.

თენგი ჭულაყიძის ოცდახუთი წლის დევგმირული შესხედობის ვაჟს, ხელში თუნუქის
კოლოფი ეჭირა და აქეთ-იქით ატრიალებდა.

— ყველაზე ღამაში ნაშა მე დავითრიდი — ამაყად შესძახა მან და ხარხარმაც იფეთქა.
კოლოფზე შავთმიანი, სახანაო კოსტიუმში გამოწყობილი ღამაშმანი იყო მიხატული. — აბა,
ამის ნახეთ, მტრბანი სავალი აცვია, — თენგიმ იქვე მდგომ სეთურძემ სწრაფად ჩაუყო
ჭიბეში ხელი — სად ვადავალა?

— ამწერე მაქვს, — გაღრმობა სეთურძემ — ყავის ჩასაურებად კი გამოდგება და, რას ვი-
ძებ...

— აბა, ერთი, შენი გვაჩვენე! — შეაგება ოთახში შემოსულ მამუკას თენგიმ.

— მე არ ამილია, შენსავით ბავშვი ხომ არ ვარ! — ამრეწით მიუგო მან.

— უყურეთ, ამ ვითომდა ანგელოზს! — ჭანელიძემ გრძელი ხელები მოხვია და ქურთუკის
ჭიბიდან თუნუქის კოლოფი ამოაღო. მასზე, ქათკათა ღამაშმანი იყო მიხატული, — აქვს
ვაჟბატონს გემოვნება!.. — კოლოფი თემურისკენ მიაშვირა. — ამას ვერ დაგიბრუნებ, მამუკა
ბატონო!

— რა ჭირად მინდა, ვიფიქრე მეზობლის ბიჭს ვაუქებ-მეთქი...

— გმადლობთ... — ჭანელიძემ კოლოფი ვითომდა გულის ჭიბისკენ გააქანა და მერე უცებ
გაუწოდა: — აბა, შენს ცოდვას ხომ არ დავიღებ.

მამუკამ თითქმის წაგლიჯა კოლოფი და ოთახში მყოფნი ერთხელ კიდევ გულიანად ახარ-
ხარდნენ.

— აბა, გვეყოფა, დავიშალოთ, შეხაძლოა, უცებ გამოიძაროს და ამწეები წესრიგზე გყავ-
დეთ! — თემურმა ჭულაყიძესა და სეთურძემს კარხკენ წაუბიძგა, — ეგ კოლოფები, რადამც
მიჭარეთ და ჩამოიტანეთ, დამალეთ, თორემ ერთი ამბავი ატყდება.

— თემურ, ცოლი მუჟას ავად, უნდა გამოიშვა... — მოესმა სეთურძის ჩურჩული ოთახი-
დან გმავალ ნოდარს.

— წამო, წამო! — ჭარბენამემ თავის მოწაფეს ხელი მოხვია და თითქმისდა წინ გაიგ-
დო. — დარტყმული ჭულაყიძის ყურება არ გარგია...

— ეგ, კოლოფები სად იშოვებ? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ნოდარმა.

— ინგლისელების გემზე. „სევიკომ“ მიაგნო... სანაგვე ყუთში ეყარა, არ გამახხენდა,
თორემ წამოგიღებდი...

— სეთურძემ მიაგნო?!

— ზო, აქეთ-იქით დარჩერტობდა და წააწყდა, მერე ჭულაყიძე გადაიროა, მთელი ყუთის
წამოღება უნდოდა, ინგლისელები სიცილით იხოცებოდნენ.

— უარულმა არ გაგხინჭათ?

— არა, კომბინეზონს ვინ გახინჭავს... ის კი არა, იმ დარეხვილ ჭულაყიძეს ერთი ჭარის-
კაცისთვის უნდოდა ერთუბინა, მერე „სევიკომ“ შეაშინა, ორ წელს გვედავენო და...

— სევიკომ?

— აბა, იცი, რა გაქეილია!

სევერიან სეთურძემ გასახველში მიიძურწებოდა.

— ცუდად ვარ, თუ გამოიშვებ, კარგს იწამ... — ჩაილაპარაკა უნებურად ნოდარმა.

— ცუდად ხარ? რა დავემართა? — გამოთაყვანებულებით მიაშტერდა მამუკა.

— რა ვიცი, სუნთქვა მიჭირს...

— წადი, წადი, თუ გინდა, ექიმთან მიდი...

— წავალ... ნოდარი შებრუნდა და გასახველისკენ გაუჩქარა.

სეთურძემ აღარხად ჩანდა.

„გამისხლტა, აღბათ, კოლოფის გადაშლავს ჩქარობდა. არა, აქ, ნაღდად რაღაც ამბავია“.
„მან გზად მიმავალ ტაქსს“ ხელი დაუქნია.

გზაში ცდილობდა ცნობიერებაში ჩახატული ინგლისელი მეზღვაურის სახის ნაკვთები არ
მიეწყებოდა.

სახლში შესულმა წიგნების კარდას მიაშურა, სადაც ბლოკნოტი ეგულებოდა. ზემოთ,
ადვილად შესამჩნევ ადგილას ნახა. „ეს ხომ დამალული მქონდა!“ აიღო და გადაფურცლა.



რამდენიმე თვის უკან თვითმფრინავში დახატული უცნობი მამაკაცის პორტრეტი შესამჩნევად ჰგავდა ცნობიერებაში ჩაბეჭდილ ინგლისელი მეზღვაურის პროფილს.

გარინდებული იდგა, ჭერ კიდევ მისთვის შეუცნობი შტრიხებით ჩანახატის შევსებას ცდილობდა, მერე ბლოკნოტი დაუფიქრებლად გადაფურცლა და სულ ბოლო გვერდზე აჩქარებული ხელით მინაწერს წაწყდა.

„მე შენ არასოდეს გილაღობ... და თუ ბედმა გვიშოვს და ერთმანეთი დავკარგეთ, მითელი სიცოცხლე ერთმანეთის ძებნაში გავწვალდებით... მთელი სიცოცხლე...“ ნოდარს სუნთქვა შეეკრა, წამით მის თვალში ასოები თითქოს გაშივლდნენ.

„ნაია, ნაია, მისმინე, ნაია, მე ვარ, ნოდარი!“ იგრძნო სიტყვებმა რაღაც ზღვარი გადაკვეთეს და სივრცეში გაიპრუნენ. იგრძნო და იმავ წამს ნაიას მიმჭრალი ხმაც ჩაისმა „გისმენ ნოდარი, ეს მე ვარ, ნაია!“

ქალიშვილს ნატიფსა და მოხდენილ ფეხზე თეთრი, შავად დაწინწკლული წინდა ემოსა. „პრინცესა...“ გაიფიქრა დაბნაზის კუთხეში მდგომ სავარძელი ქალღმის საურმაგმა, იგი ცნობისმოყვარეობით უთვალთვლებდა სადგარზე ფეხშემოდგმულ ქალიშვილის წინ ჩაცმულ კული ბარმენ ბიჭაძე, როგორ იღებდა ზომას და თავის წამოწევას ავგინებდა.

— ოღონდ, ცოტა უფრო მაღალ ყელზე, ძალიან გთხოვთ არ დაგვიწყდეთ... — ემუდარებოდა „პრინცესა“ ბიჭაძეს.

„ო, ეს ქალები, რაღაც თუ არ წაუმატეს, იმ ჩვეულებრივს, ისე ცხოვრება არ შეუძლიათ. სად დაიკარგა ის კაცი? რაღას რეკავდა, დამელოდეთ, აქამდე მესამეშიც გავიბრუნდი. დღეს, ალბათ, მიღებს გადაბამდნენ, დირექტორის მოადგილეს ჩემი მტერი ველო, იმას ვენტილატორი ფეხებზე ჰკიდია...“ საურმაგი წამოღდა, „პრინცესას“ თვალი აარიდა და საამქროს უფროსის კაბინეტისაკენ გასწია.

გაიოზ კუნჭულია მაგიდასთან იჯდა და შეკვთების ტურნალს ათვლიერებდა, სახეზე სპილენძისფერი გადააქრავდა, შავი თვალები და კაუჭა ცხვირი ცეცხლოვან იერს შატებდა, ქალღმრთელი უფი თმა კი — დარბაზისლურს. გემოვნებით ჩაცმულს, ვერცხლისფრად მზინავ პერანგის საყლოზე ფართო, ალისფერი ყელსახვევი ეკეთა. იგი ხელოვან მოგაგონებდათ და მართლაც, ხელოვანი გახლდათ, ოღონდ ფეხსაცმელების მოდერების შექმნის და შეკერვის საქმეში, სრული დაწყებითი განათლებაც კი არ ჰქონდა, მაგრამ ბუნებას ხელოსნობის ძარღვიანი უნარით დაეჭილდოვებინა, თანაც ფრიად ნათელი გონების ადამიანი იყო და თუმცა რაიმეს წახსოვდა იშვიათად მოიცლიდა, ცხოვრებაზე მრავალმხრივი დაკვირვების შემწეობით, ალღოიანი მსჯელობის უნარი ჰქონდა. ნაცნობები მომჭორენ და ზოგჯერ ძუნწ კაცსაც ეძახდნენ, იქნებ არც იყო ახე, უბრალოდ, ამ კაცმა ფულის უადრი სხვებზე უკეთ იცოდა. მისი გამოსარჩევი ოსტატობის წყალობით, საამქროს, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, ქალაქში „ლუქის“ სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და უამრავი მუშტარი ჰყავდა, მათ შორის რამდენიმე გავლენიანი პირიც ერია, მათთან ნაცნობობით გაიოზი გვარაინად სარგებლობდა და თანამშრომლებიც რიდიდა და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

— ოო, მოდი საურმაგი, მე შეგონა, მე შეგვიდი, — მხიარულად შეეგება გაიოზი ოთახში შესულს, — ორი წუთის წინ დარეკა დენდომ, სადაც არის, მინისტრის მოადგილეს მომაყენებს, ამალით.

— რა, მოხდა რამე?!

— ალბათ, ისე დადიან...

სტუმრებმა დერეფანში თანამდებობის მიხედვით შემოაბიჯეს.

— გამარჯობათ, — ჩახლიჩილი ხმით წარმოთქვა მინისტროს წარმომადგენელმა. დაბალ, სახეწამოსივებულ მამაკაცს საკმაოდ ნახშირი პალტო ეცვა. — ალექსანდრე ცხომელიძე...

საურმაგმა სტუმარს, რომელმაც ის-ის იყო, გაიოზ კუნჭულია თბილად მოაკითხა, უნებლიეთ გაუღიმა და მის გამოწვილ ხელს ხელი მოწიწებით შეაგება, „ნეტა რა ვიგრიბები?...“ მან ახლა მინისტრის მოადგილის ზურგს უკან შემდგარ დენდის ჰკიდა თვალი.

— აი, ეს ახლაგაზრდაა, ომარ ბეღლარიჩი, — გვერდში ამოუღდა მინისტრის მოადგილეს დენდი.

— კეთილი, ესაუბრე, — გადალლილი ხმით ჩილაპარაკა წარმოსადგემა მამაკაცმა და საურმაგს ხელი მაგრად ჩამოართვა.

საურმაგი საამქროში შემავალ ჭგულს უკან მოექცა, დენდომ გამაზნევებლად გაუღიმა.

— შენთან საქმე მაქვს... — ისე უთხრა, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლო გააღწო.

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი საურმაგი მზად იყო მოხასმენად, მაგრამ დენდი ამაღლობდაშვილმა კარგად იცოდა წინასწარ გასაიდუმლოებული სათქმელის მაიმარად თქმა სასურველ შთაბეჭდილებას რომ აუფერულებდა. იგი ბოლო დროს თავისიდა უნებლიეთ მო-



დომებით ცდილობდა, რაც შეიძლება ზედმიწევნით დაეხასიათებინა საკუთარი თავი და უმძიმესად ტრსად თავის „უიღბლობას“ სიტყვა „თავდაზოგობას“ უკავშირებდა, რითაც, ალბათ, სიტყვა „გაუბედობას“ ნიღბავდა, სტუმრები საამქროს დათვლიერებას მალე მორჩნენ და მერე გაი-
ოხ კუნჭულიას კაბინეტში შეღავდნენ.

— ჩვენ აღარ ვართ საჭირო... — საურმაგს ხელი გამოხლო დენდომ და დერეფნის ბოლოს-
კენ წაიყვანა, — ხომ იცი, როგორ გენდობი, — იგი რატომღაც მღელვარების მიჩქმალვას ცდი-
ლობდა, — დღეს ომარ ბეგლარიჩმა გამომიძახა, სამმართველოს უფროსად მიწვევს მთიან
წღვისპირეთში, იქაურ რაიკომის მდივანს უთხოვია კადრების შერჩევა. მთავარი ინჟინრის
ძოძენა დატყირდებო. შენი კანდიდატურა წამოვაყენე. მე ავიღე ჩემს თავზე, ხომ იცი, რო-
გორ გენდობი; ბევრი რამის გადახალისება მოგვიხდებდა, ბევრი მუშაობა მოგვიწევს, მაგრამ
შენს ასაკში მთავარი ინჟინრის თანამდებობა...

— მადლობელი ვარ, მაგრამ... — საურმაგმა აღარ იცოდა, რა ეთქვა, თუმც არც გოცება
ემჩნეოდა.

— უკან დაბრუნებას ყოველთვის მოასწრებ. ახლა გეძლევა თავის გამოჩენის საშუალება.
ნომ იცი, როგორ გენდობი...

ჩამრგვალებული ამაღლობელაშვილი ისე ღონივრად სუნთქავდა გეგონებოდათ, მთელი
სხეული ფილტვებად გადატყვიოდა.

— თუ იქ უფრო საჭირო ვარ... ვენტლაციის საქმე თითქმის მოგვარებულია... — ჩი-
ლაპარაკა დაფიქრებულმა.

გაიოხ კუნჭულიას კაბინეტიდან სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრე ცხომელიძე
ხვდნით გამოვიდა, დენდი კედელს აეკრა და საურმაგაც უკან დასწია.

— სად მცალია, ეგ ისე, გული არ ისვენებს, იქნებ როგორმე დრო გამოვანახო... — გადა-
ულაპარაკა ცხომელიძემ ნახევარი ნახევით უკან მომავალ მინისტრის მოადგილეს და მკვეთრად
დაუმატა: — ეგ ჩვენი გაიოხი მარჯვე კაცია...

მინისტრის მოადგილე დაიბარა და რაღაც ჩასწორებდა, ალექსანდრეს გაეღიმა და კუნჭუ-
ლია, რომელსაც მუჟაოს გრძელ ყუთში ჩალაგებული ჩექმები მოჰქონდა. თავისთან იხმო.

— რაო, რა მოილაპარაკეთ? — დახალ ხმაზე ჰკითხა დენდის მათ წინ შეუყვანებულმა
მინისტრის მოადგილემ.

— რა თქმა უნდა, თანახმაა თავდები მე ვიქნები...

— კეთილი, — საურმაგი იქვეულად შეათვლიერა, — თქვენი მთავარი ინჟინერი ძლივს
შეგელია, გაემგზავრეთ, ჭერ დახმარების აღმოსაჩინად მიგაკლენთ. კარგად შეისწავლეთ სამ-
მართველო, ჩამოსულები მოხსენებით ბარათს წარმოადგენთ. დიდი შრომა გელით, კადრები
ჯადასხალისებელია, ახალგაზრდები უნდა მიიწოდოთ, ეს აშბავი ჩქარა უნდა გადაწყდეს, იმოქ-
მედეთ! — ნათლად ემჩნეოდა დარბაზში გასულ ცხომელიძეს უნდა დაწყოდა, მეტად აღარც
შეუყვანებულა.

დენდომ საურმაგს მკლავზე ხელი მოუთათუნა და სტუმრების გასაცილებლად გაიშურა.
კართან მისულმა ალექსანდრემ გაიოხს კოლოფი ჩამოართვა.

— გარეთ არ გამოგვეყვით! — უბრძანა მერე და მინისტრის მოადგილესთან ერთად დარბა-
ზი დატოვა.

— პირველი ქრთამი მაგ კაცს მივეცი, მაშინ არტელ „წინვლას“ დირექტორი იყო, —
ლიმილით გადაუწერებოდა საურმაგს გაიოხ კუნჭულიამ, როცა სტუმრები „ვოლგაში“ ჩას-
დნენ.

საურმაგი ვერ მიხვდა, ვის მისცა პირველი ქრთამი გაიოხმა, მაგრამ არც დაინტერესებულა.
„პირველი ქრთამი...“ ჩაეჭედა რატომღაც ცნობიერებაში. მასწინძელს თბილად გამოემშვი-
დობა და გარეთ გასულ ამაღლობელაშვილს მორჩილად გაჰყვა.

მერე დენდომ ხელაკავი გაუკეთა და გასაიდუმლოებული ხმით მომავალ გეგმებზე დაუწყო
ლაპარაკი.

საურმაგი საბრძოლველად აღვსილიყო, თითქოს წინდაწინ გრძნობდა, აქეთკენ რომ
წაუბიძგებდა ბედისწერა.

ლალი ბერაძე საოცრად აფორიაქა სამინისტროს ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ.
ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენეს.
და ახლა ლალი ბერაძე ზღვის სანაპიროსთან იდგა.

ცა და ზღვა საეჭვო სიმშვიდეს მოეცვა. ლალი ამ სიმშვიდის მიღმა აბოპირებულ ვნე-
ბათა სიხვეს გრძნობდა და მის არსებას სიამაყის დამორგუნველი მარტოობის სევდა ეხალტე-
ბოდა. გეგონებოდათ, მხოლოდ ახლა მიხვდა, ადამიანი სიყვარულისთვის რომ იყო გაჩენილი,
ქალი კი — დედობისთვის. წამით თითქოს თავისი ცხოვრების გადასარჩენად გაიბრძოლა, მაგ-
რამ უშაღ რაღაც გაიფიქრა სამსახურის შესახებ და მტკიცედ შებრუნდა.



„რამდენი რამეა გასაკეთებელი, რამდენი რამე... მარტო ერთი საამქროს უფროსები... რთი შეცვლით შედეგს ვერ მიადწევ... ტექნოლოგიური პროცესები უზუშად ირღვევა... გემ- მის ჩაჯარდნას კი არავინ გვაპატიებს. ტუავე ზედმეტად ფორიანია და რეზინივით იწელება, შეხსაცემელი კალაპოტადან მოხსნის შემდეგ ისე იღმობება, რამდენი რამეა გასაკეთებელი... და მაგ ვაუბატონებმაც ახლა მოინდომებს... „მიხვდა, სადღაც მიღმა“ მაგ ვაუბატონმაც... გასარღი- და, შეცხა და ცნობიერებაში დაგუბებულმა გრძნობამ იმ „სიკერაბის“ ჭებირი გადმოარღვია, „შენ რომ ახლა შემომხვდებოდე... შენ რომ ახლა მოულოდნელად შემომხვდებოდე...“ მწველი სითბო მთელს სხეულში ჩაედვარა და თავისდა უნებურად გაახსენდა, რა ძლიერ უყვარდა პატარები, მათთან თამაში და თანაც გაუფხულზე, ხელიდაწითლებული გოგო-ბიჭები ენმელი ბის საკრფად რომ შეეხვოდნენ ზვავისაგან მითოვებულ ფერღობს. და ისიც, მყინვარი დღით, მოწმენდილ ცაზე მზის ამოსვლას ჩვილი ბავშვივით თვალეგაბრწყინებული რომ ხვდება. სა- ლამოთი კი, თითქოს გაბუტული პატარაძალიაო, ისე შემოიხვევს ნისლის მანდილს და გარსაბურ- ში უჩინარდება. გაბუტული პატარაძალი... შენ რომ ახლა მოულოდნელად შემომხვდებოდე...“ ლალი იმ წუთებში ნამდვილად ელოდა საოცარი ნატვრის ასრულებას, ბოლოს საიდანღაც ქარის ტირილი ჩაეხმა, ჩუმი, ერთ უსაშველო კენესად გაწელილი სწორედ ისეთი, ანთებულ ზნარსთან მჭდომს რომ მოუსმენია მთაში, „სტანდარტები, შენაძლოა, რომანტიკულმა სახით- მაც გამოიშუშავოს თავისებური „სტანდარტები“. და უკერ: „ლია თუ გახსოვს, ჩემი თანაგურ- სელი?...“ „მახსოვს, შორიდან ვიცნობდი...“ „ძალზე კარგი გოგოა, ერთად გაგვანაწილეს, მერე სტუმრად გუყავდა მთაში და იქ მოიტაცეს, თვს იკლავდა... ახლა ძალზე კმაყოფილია... ორი ვაჟის დღეა, შეიძლება წელს შესტუმროს...“ „სიკერაბის“ ჭებირი შეიკრა, თითქმის შედუღა- და, მაგრამ უკერ გვიან იყო, ახლა მთელს სხეულში თამაშებდა: „შენ რომ ახლა მოულოდნე- ლად შემომხვდებოდე...“

— იაშა გელოდებოთ, ვერახვით ვერ გამოვიყვანე გარეთ, მთვრალიცაა... — შინარევი ხმით უთხრა სამსახურში დაბრუნებულს და იმ „მოულოდნელი შეხვედრის“ თავისდა ნამაღვად მოსურნე მთისშვილს ნუნუს.

მან თავი დაუწვინა და კაბინეტის კარი დაუფიქრებლად შეადო, ერთი კვირა იქნებოდა, რაც იაშა აშკარა დასდევების გამო, სამსახურიდან გაანთავისუფლა. იაშამ თავდაპირველად სასაცილო- ლად აგაღო ეს ამბავი, მაგრამ, როცა შემცვლილი გაუგზავნეს და უზნის გადაბარება მოსთხო- ვეს, გადაიჩია, „ივ ვინ, ვინ გამოიბედა მე?! ცუდად, ცუდად მიცნობთ ალბათ! — იქადნებო- და იგი და თანამდებობაზე დაბრუნებას ითხოვდა.

დენდი, მთავარი ბუღალტერი და შოთა ხლიაძე მასთან შეხვედრას შეძლებისდაგვარად არიდებდნენ თავს და პირდაპირ თუ ნართაული ნათქვამით ლალი ბერაძისკენ „ირეკებოდნენ“. და აჰა, იაშა ლმობითივე მთელი ერთი საათი იქდა დირექტორის კაბინეტში, სავარძელში მოკალათებული, ფეხები გაეშხლართა და თვლიშდა.

გაკრინად შეფურთხილიყო, მაგრამ მაინც ვეებერთელა ჩანდა. მდიდრულად, ოღონდ დაუ- დევრად ეცვა, თითზე რაღაცნაირი ტლანქად ნაკეთები ბჟაღლო ოქროს ბეჭედი ეკეთა. თვ- გადაპარსული, ერთ-ერთ ცნობილ განვსტერს ჩამოჰყავდა.

ლალის მის დანახვზე გაეღიმა, პალტო გაიხადა და საკიდარზე ჩამოჰკიდა.

იაშა ნილა წამოიზღაზნა, ისევ თვლიშდა. მერე უცებ გამოფხიზლდა და გაიბადრა.

— ბოდიში, რომ არ მენახეთ, არ შეიძლებოდა...

ლალი მიესალმა და მაგიდისკენ წავიდა.

— გისმენთ! — უნებლიეთ სიმკაცრე გაეპარა ხმაში, — დაბრძანდით!

— თქვენ დაბრძანდით, და მე თუ საქმემ მოითხოვა, მთელი ცხოვრება ფეხზე დამდგარი მოგემსახურებით, — გაიღრქვა იაშა.

— გისმენთ! — ცივად შეათვალერა და კაბა შეისწორა.

— კიდევ კარგი, თქვენ მაინც მისმენთ... ფეხებს რომ უნდა მიკოცნიდნენ, ისინი მემაღლე- ბიან, ფიქრობენ, ვერ ვხვდები, მაგათ იაშა სულელი მგონიათ. მაინც რას შემართლებიან?! ცილი დამწამებს, ვიღაც მათხოვრებს დაუჭერეს და... მართალია, თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ მენდით და, ჩემზე იყოს, — გაშლილი ხელები მაგიდას დაახჭინა, — ჯანდაბას, თუ ჩემს ად- გილზე მყოფი ჩისლაძის განთავისუფლება გიჭირთ, მაშინ ახალი საამქრო გამოხსენებინეთ, ახალ დასახლებაში. დამეხმარეთ და... — ლმობითივე იცოდა, ფაბრიკის ახალ ხელმძღვანელთან სხვაანარად უნდა ელაპარაკა, მაგრამ რა ექნა, მოლაპარაკების საქმისსური კილო თუ მანერა ძველ-ბოლოში მქონდა გამჭდარი, — მე პარტიის წევრიც გახლავართ, ასე რომ... — შედიდურად დაუმატა ბოლოს.

— ეგ შეუძლებელია... საგამომძიებლო ორგანოების გადაწყვეტილება-ჭერ არ მიგვიღია, ფაქტების უქონლობა ბრალდებას არ ახათილებს... თქვენს შესახებ, ალბათ, ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს მოუწევს მხედლობა. მერე შესაძლოა, რომელიმე უბანზე ოსტატად აღგადგინოთ...



— ბიკოს... — კბილები დააღრჭიალა იაშამ. — ესე იგი, მაგდებთ? ოცი წელი გიმეფუძვე
უბნის უფროსად და ახლა მაგდებთ...

— ხომ აგისენით... — ლაღიმ იგრძნო ლომთათიძის მკლურმა გამოხედვამ სახეზე წა-
მოაწითლა და უნებლიეთ საკუთარ თავზე გაბრაზდა, — ჭერ თქვენ ვერავითარ საქმეს ვერ მო-
განდობთ!

— ვერ მომანდობთ? ვატუბ, თქვენგან საპონიკობის უღელბასაც ვერ მივიღებ... ხე,
ხე... — ხმა ჩაებლიჩა, — შე ჩემსას მოვიბოვ, არც სავატროდ მცალია, დამიბრუნებთ თუ
არა უბნის უფროსობას?! — „დამიბრუნე თუ სიცოცხლე არ მოგძულებია...“ — ამას უკვე მისი
გამოხედვა ამბობდა.

ბერაძე მიხვდა, ლომთათიძეს მთელი ამ ხნის განმავლობაში გულში დაგროვილი ბოღმა
შეიძლება ახლა გადმოენთხია, შეამჩნია, მის თვალებში ავმა სურვილმა გაიღვრა და წამით შე-
შინდა.

— დაწწარდით, თქვენი მდგომარეობა თქვენვე უნდა გააანალიზოთ, — შეეცადა ის შიში
მეჩქმალა.

— გვაანალიზო! — ერთი ხელი ტელეფონზე დაადო, მეორეთი ყურმილი აიღო, ზემოთ
აქინა და აპარატს მოაგლიჯა.

— დატოვეთ ოთახი! — შიში უცახებდმა განრისხებამ შთანთქა.

— დაგტოვებ სწორედ, ასე დაგტოვებ, ვნახოთ ერთი, რა გოგო ხარ, იქნება დაშოშინება
გინდა, — ხელი გაიწვდინა და კიხერზე მოხვია. თავისკენ მიიწიდა, მეორე ხელი მკერდზე მო-
უფათურა.

ლალი გაოგნდა, რადაცნაირად ღვთისმოსავივით, რომელმაც ბუნების საოცრება იხილა,
გაიბრძოლა.

ლომთათიძემ კაბის საყინვე ჩაღლიტა.

— რას ბედავთ? — გეგონებოდათ, ღმერთო ჩემოო, შესძახა, ხელი გაინთავისუფლა და
სახეზე შემოპკრა.

და საურმაგ უღელტმა კარი მხრით შემოგლიჯა, ალბათ, ჩაკტილი თუ ეგონა.

იაშამ მსხვერპლის სისხლს დაწაფებული შტაცებულებით მიიხედა, იმის გასარკვევად თუ
ვინ დაურღვია მუუღრობა, რადაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ საურმაგმა ხელები ხელებზე დაპ-
კრა, მერე მკლავებზე მოაქდო და მთელი ძალით გვერდზე „აოქინა“.

იაშა წატორტმანდა და კედელს მიეხეთქა, მძიმედ გასწორდა, მოულოდნელად საურმაგს
გულიშმა და ძმაცავივით უთხრა:

— მაგის ბედზე გამოჩნდი... თუ კეუაზე არ მოვა, სხვაგანაც მოვიხელთებ... — ბერაძე
ვნებიანად შეათვალერა, საჩხუბრად აღგზნებულ უღელტს თვალი აარიდა და ოთახიდან
მედიდურად გაიბიჯა, თან კარი ისე ძლიერ მიანარცხა, თანჯტრებში მინები შეწანარდენ.

საურმაგმა აღარ იცოდა, რა ენა. აქ როცა შემოვარდა, იცოდა ლომთათიძეს უნდა შებრძო-
ლებოდა, ახლა კი...

... დერეფანში მომავალ დენდის აფორაქებული ნუნუ შეეგება.

— დენდი! — იწილა მან, — დენდი! ბერაძესთან იაშა შევარდა.

— მმ... — თავი გადაქანია დენდიმ. — ერთი ორჯერ პურ-მარბილი გვაჭამა და არ წაგვამ-
წარა ამ კაცმა? მიდი, ერთი ნახე, რამე არ დაუშავოს, — გადაუღაპარაა ზურგს უკან შეჩერ-
ებულ საურმაგს.

— შე იაშას შიშით შიგ შესვლა ვერ გავებდე... — თავი იმართლა ქალმა და საურმაგს
გზა დაუთმო.

ლალი ბერაძემ კაბის გულისპირი ხელით მომუტა.

— მხეცი! — ოთახში ქალთაშუე კვაკეიშვილი შემოიქტა, — მხეცი! უკვე დავრეკეთ მილი-
ციანში, ამოღებთა ციხეში!

— გთხოვთ, მარტო დამტოვოთ! — ბერაძეს არავისთვის არ შეუხედა, და როცა თხოვ-
ნა შეუსრულებს, მუხლებაკანკალებული სამზე ჩამოჯდა და მწარედ აქვითინდა. „შენ რომ
მოულოდნელად შემომხვდებოდრე...“ დაუკითხავად შარიშურობდა ცნობიერებაში. მკერდი
ეწვოდა.

და მას პირველად შეეცოდა საკუთარი თავი.

— შემანქანევი ებეი, შემანქანევი — მთელი ხმით შესძახა ვილაცამ.

ელექტროამწის სამართად შემზადებულ ნოდარ დიდებულებს გულუბრყვილოდ გაეხარ-
და შემანქანე რომ უწოდეს.

ქალაქის ბრიგადის წევრები უკვე ტრიუმში მიმოფანტულიყვენ, ჯობენადე კი იგვიანებ-
ლა, ალბათ, როგორც ყოველთვის, ქალაქის ბრიგადისთან მუშაობას თავს არიდებდა.

ნოდარმა ჭერ შავიდა მიადგა ვაგონის ღია კარს. მერე ტრიუმში „პარაშუტები“ გადაიტანა

და ფინიკით სავსე ყუთების გამოკვირვას შეუდგა. ტრიუმი სანახევროდ იყო დაცლილი: მისი თვალთახედვა მხოლოდ მეორე იარუსს სწვდებოდა, ამიტომაც მეტწილად მისგანაღეს იყო მინდობილი, მუშაობდა დინჯად და არც სხვები აჩქარებდნენ.

ნოდარი რაღაც შეუცნობზე ფიქრობდა.

მეტანოიკის ადგილზე არ დახვდა, აღარ უძებნია, უკან გამობრუნდა, მერაბის გვერდში უოფნას ეშურებოდა, გზად ინგლისური გეში შეათვლიერა და უცებ ოცდამეოთხე ილიქტ-რააშვის კაბინაში სეთურიძეს მოჰკრა თვალი.

„იგ ხომ პირველ ცვლაში მუშაობდა? ალბათ, მეორეშიც დარჩა. არა, ნაღდად გადაშრევს ეს კაცი...“

ბოლო დღეებში სტეფირან სეთურიძეს შექმნილიდაგვარად უთვალთვალებდა, მაგრამ სა-ეცუო ვერაფერი შეამჩნია, არც ის შეწვავური დაუნახავს გემბანზე გამოსული და ეცეების პირისპირ უკველგვარი ფაქტების გარეშე რჩებოდა. ჩიბუხიანი მეწვავურის სახის ჩანახატიც გაიცრიცა ცნობიერებაში. და შინიც, გაუშიფრავი ალღო, რაღაც შენიღბულის შემჩნევას თუ დანახვას ითხოვდა.

„აქი ტრიუმი ის ამოხავეას მუდამ იმადღება?!“ ნოდარი ოცდამესამე ამწესაკენ წავიდა, გემის ბოლოსთან, ოცდამეოთხე ამწეს პირისპირ რომ იდგა. „ეს გემი მაღე დაიცლება და ის საჭუო მეწვავურთან ერთად თავის გზას გაუდგება...“ ამწეს კიბის დინჯად აუყვა. „ეს გემი მაღე დაიცლება“. დანახვა სეთურიძე შენაშური ოსტატობით მუშაობდა და უნებლიეთ დაოსტატების სურვილის უინით აღიგწნო.

გრეიფერიანი ამწეს მართვა ახალბედასთვის თავისებურ სინდელეს წარმოადგენდა. თანაც „მერკულისის“ ტრიუმების ხვრელები, რატომღაც გემის იქითა მხარეს ეტმანებოდა, ხორბალიც მხოლოდ ტრიუმების ფსკერსდა შერჩენოდა.

ნოდარმა ჩვეულებისამებრ დაიწყო ვარჯიში. ოცდამეოთხე ამწეს მუშაობის შუაღეებში გრეიფერით ხორბალს ბოკავდა, მერე გრეიფერს წეშოთ წამოსწევდა, გახსნიდა და ხორბალენ ტრიუმში დაყრიდა. ერთი ორჯერ ხორბლით სანახევროდ სავსე გრეიფერი გემბანს ვადშოა-ცილა, ბუნკერს გაუსწორა და მერე ისევ ტრიუმისაკენ მიაბრუნა.

„იმუშავე!“ ანიშნა ბოლოდღენაღდ სეთურიძემ და წუთით ამწეს მართვით ვატაციებული ნოდარი თითქოს ვამოაფხიწდა. სეთურიძის შინიც შადღიერი დარჩა და მის ცნობიერებაში ამწეს მემანქანე „მოკალათდა“. მერე იგი ვაფაციცებით უთვალთვალებდა „მოკაცაცხე“ გრეი-ფერს. „თუ დრმაღ დავუშვი და ვავსენი, გრეიფერის ბოლოები ბუნკერში ვაიჭედება და... ბუნკერი რომ ამოვავდო...“ „იოჩაღ!“ ანიშნა სეთურიძემ. ხორბალი ჩხრიალით ეშვებოდა ბუნკერში. ახალბედას ცნობიერებაში „მოკალათებული“ ამწეს მემანქანე ვათამაშობდა, მაგრამ თავად ნოდარ დიდებულებე სეთურიძეს დაუდარაჯდა.

სეთურიძემ გრეიფერი მიწაზე დიდშვა და შერე სამანქანო ვანყოფილებაში მიიშალა.

ნოდარმა „მერკულისის“ გემბანი ვაფაციცებით მიშოათვალერა. გემბანის წინა ნაწილზე კაცი არ ჩანდა. მის საწინააღდდეგო აშაღლებულ ნაწილში კი დაბალ სკამებზე, ქალ-ვაი ჩა-შომჭდარყო. შუაგულში ბოლოკით სავსე გობი ედგათ. ორივე ტანშაღალი, შოქნილი და ქერათშინი იყო, ორივეს თეთრი ჭმბირი და სპორტული შარვლები ეშოსა.

ქალ-ვაი თითქოს შწის სხივებში ნეხივრობდა. საიებზე სიყვარულით ანთებული ღ-შილი უღიციციცებდათ.

გაწმენდა ქალი ბოლოკს, ვადაიხრებოდა და ვაეს აკოცებდა. გაწმენდა ვაი სხვა ბო-ლოკს, მოისვრიდა გობში, ვადაიხრებოდა და ქალს აკოცებდა.

ქალი ასწრებდა ბოლოკის ვაწმენდას და, ეტყობა, კოცნასაც უფრო მეტ გემოს ატანდა, „გეგონება, შწის სხივები მარტო მავით ათბობთ ამ დღეამწის ზურგზე...“ ნოდარი წა-მით ხარბად შოაჩრდა მათ. „შისმინე, ნაია, შისმინე!“ დმტკბარმა ტკივილმა ღამის შკერდი ვაგლიჯა. „გისმენ, ნოდარ, მე ვარ, ნაია!“ ნაია საღდაც სულ ახლოს იყო.

შოლოდღენაღდ ამწეს სავანგაშო სიგნალმა დაიწვიღა. დამფროხალი ქალი უკან ვადაქან-და და ვადაურიავდა, ვაი უშაღ წამოიწია შისხამარებლად, მაგრამ ვობს წამოდღო და ქალს წეშოდან მსხუბქაღ დეაქა.

ნოდარს ეგონა, შემთხვევით შან დაპკირა სავანგაშო სიგნალის ღილაკს ხელი.

— ვაგარძელე, ნუ გეშინია! — დაუყვირა ოცდამეოთხე ამწეს კაბინაში მდგომმა სეთუ-რიძემ.

„აჰ, თავი შეშახსენა“, ცნობიერებაში „მოკალათებული“ ამწეს მემანქანე კვლავ ვათა-შაშაღდა და ნოდარ დიდებულებე ისევ სვერიან სეთურიძეს დაუდარაჯდა.

ქალ-ვაი უკვე ფტებზე წამოდგარყო, იციონდნენ და სახეგარწყინებულები ნოდარს უეცრადღენ. ნოდარმა მათ თანაშოაწრესავით ვაუღიმა და საშარეუღოსაკენ წასუღებს თბი-ლი შწერა ვაყოლა.



ნოდარი ბუნეკრთან მიტანილი გრეიფერის გახსნას არ ჩქარობდა. სეთურიძე გრეიფერსთან მივიდა, ხელი მის ზედა ჭრალში ჩაჰყო. მერე გახსნილ გრეიფერში თითქმის სანახევროდ შეძვრა „რალაცას ამაგრებს...“ ნოდარმა კბილვანი სახელური შეათამაშა. ოცდამესამე ამწეს გრეიფერი გაიღო და ხორბალი ჩხრაილით ჩაცვივდა ბუნეკრში. „შომაგრა...“ გრეიფერიდან გამოშვარალი სეთურიძე წამოიშარათა. ნოდარს ხელით ანიშნა, ყოჩაღო და ამწესიკენ გაემართა.

„გრეიფერში რალაც დევს, მაღე იგი ტრიუმში აღმოჩნდება, იქ კი, ვინ იცის...“ ნოდარ დიდებულძემ ძრავა გამოართო, მუხრუჭი სწრაფად ჩაეკტა და კარს მიაშურა. უცერად „ბერკულესის“ ერთ-ერთი კაიუტის ფანჯარაში ჩიბუხიან მეზღვაურს მოჰქრა თვალი. გული ღამის ამოვარდა ბუდიდან, კიბეზე თავდაუწოვავი სიჩქარით ეშვებოდა.

„კვირაზე მეტია. ტრიუმში არ გაღებულა, მთელი კვირა, „ნეირით“ ვჭაჩავდით ხორბალს. უნდა მივუსწრო, უნდა მივუსწრო...“ მაღე იგი ოცდამეოთხე ამწეს კიბეზე არბოდა. „უნდა მივუსწრო...“ კაბინაში ველარ შევალ... უკვე შებრუნებას იწყებს...“ და მან უცებ გადაწყვიტა, რა უნდა გაეკეთებინა. ბედად, შიგა დრმულის კარი ღია აღმოჩნდა, ნოდარი სწრაფად აუყვა კიბეს. კრიჭას სახურავი ასწია და სვეტზე მბრუნავი ნაწილის სამანქანო განყოფილებაში ავიდა. იატაკზე დაგდებული ფიცრის ჩამონატები აიტაცა, ერთ-ერთ სანახევროდ თავმომტვრეულ ჩამრთველს დაჰქრა და ამწის ძრავა გამოართო, კარი უმაღ მიხურა, ჩამონატები კუთხეში მიავლო, დოლურებს შემოუარა და მაგიდაზე დადებულ ყუთში ჯანჩის ძებნა დაიწყო.

- სეთურიძე შეტუნებული ამოვარდა სამსაფეხურიან კიბეზე.
- აქ რა გინდა? — შეევირა დამფრთხალი ნოდარის დანახვისას.
 - ღიღვი ამოვარდა და... უნებლიეთ გზა დაუთმო.
 - საიდან შემოდი?! — სეთურიძე ჩამრთველებიხაკენ გაქანდა.
 - ქვემო კარიდან...
 - სეთურიძემ ძრავა ჩართო და სამანქანო განყოფილება ჩვეულებიხამებრ შეზანაზარდა.
 - ვერ ვნახე... — შეაგება უკან გამობრუნებულს ნოდარმა.
 - უკითხავად არ უნდა შემოხვიდე, საიდანაც შემოძვერი, იქიდან გაძვერი! — „სევიკო“ კაბინაში გავარდა.

„ოო, რა ვახრაზება სცოდნია, თავის თავს აღარ შავს...“ სეთურიძე უმაღ ჩამრთველებთან გაჩნდა. ერთ-ერთმა დოლურამ ზუზუნით იწყო ტრიალი. „უკვე გრეიფერს ტრიუმში უშვებს...“ განჩინის კარი გამოაღო და ჩამრთველს ხელში მომარჯვებული მუყაო დაჰქრა. ძრავა გამოართო, კარი მიხურა და შებრუნებულმა კიბეზე ამორბენილი სეთურიძე დაინახა. „აღბათ, სავარძელზე არც კი დამქდარა...“ გაიფიქრა და შესაბრძოლებლად შეეშნადა.

- მაქ რა გინდა? — სევიკიან სეთურიძეს ხმა წაერთვა, პირისახე რალაცნაირად ჩაუმუქდა. მოწომილ ნაბიჯებს ადგამდა, — რას მაიმუნობ? — იყვირა უცებ. აღბათ, პანიკამ ერთიანად მოიცვა, — ჩართე, რას მაიმუნობ?

ნოდარ დიდებულძემ აღგვილიდან არ იძვროდა. „ისეა დამფრთხალი, არაფერს დაერიდება...“ ოდნავ წაიწია წინ. მოახლოებული სეთურიძე მოულოდნელად მარჯვენა მხრიდან ეძგერა, მთელი ძალით წაუბძგა და დოლურზე მიავლო. ნოდარს საფეთქელი დოლურას ძგიდეს დაჰქრა და წუთით გონი წაერთვა.

სეთურიძემ შეება იგრძნო. „გადავახვევ ზედ...“ გაუელვა გონებაში და განჩინის კართან გაჩნდა. როცა ძრავა ჩართო ნოდარი შიპარად შეათვალიერა და კაბინიხაკენ გაიქცა.

ნოდარს ძლიერმა ტკივილმა დაუბრუნა გონი. ბედად, დოლურა წუთით საწინააღმდეგო მხარეს დატრიალდა, (აღბათ სეთურიძემ ამწის მართვისას რალაც შეცდომმა დაუშვა), ბაგირისგან თიგებმოკვეთილი ნოდარი იატაკზე გაიშხლართა, მაგრამ რალაც ვახაოცარი ნებიხყოფის წყალობით კვლავ წამოიშარათა. გასიხლიანებული ხელი მძიმე ნივთივით აიყოლია და კაბინიხაკენ წაბნაცალდა. „მოასწრებს, მოასწრებს...“ ეს სიტყვა ჯევენიობიერად უბძგებდა წინ.

სეთურიძე სავარძელთან იღვა და გრეიფერს ტრიუმში უშვებდა. ნოდარმა მარცხენა ხელი კიხერზე სობლიშა, გვერდზე მიავლო, მერე იმავე ხელით კბილვანი სახელური უკან დახწია. გრეიფერმა უცებ იწყო ზემოთ აწევა.

— ხელები მაღლა! — შესძახა მერე მინის კედელს მიხეთქებულ სეთურიძეს. „არ უნდა წავიჭყე, არ უნდა წავიჭყე...“ გრეიფერი ტრიუმს საქმოდ ამოსცილდა. დიდებულძემ კბილვანი სახელური საწყის მდგომარეობაში დააყენა, ისე რომ უცაბედად გამოთაყვანებულ „სევიკოსათვის“ თვალი არ მოუშორებია.

— არ დამლუკო! — ჭკუანკულუღივით შეემუღარა იგი. წამით იატაკზე დამღვარ პატარა სიხლის გუბებს შიაჩრდა, — გნებდები... — მართლაც ვახავათებულ ტყვეხავით გადმოდგა ნაბიჯი. „ბერკულესის“ გემზანს გახედა. „უცხოეთის გემი, ეგ უკვე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაა...“ გაუელვა თავში, ამწეს ისარს იმედით შიაჩრდა და სამანქანო განყოფილებიხაკენ ისეკუა.



ნოდარს გამოდევნების თავი არ ჰქონდა, ამჩნევდა, სისხლისგან იცდებოდა. და საცა იყო, გონებას დაკარგავდა. „არ წავიქცე, ოღონდ არ წავიქცე...“ ჭანხალი, მარცხენა ხელით მერყეობილივანი სახელურის მართვას შეუდგა. ამწემ ბიძგებით იწყო შემობრუნება. ხვდებოდა, საჭირო იყო ისრის ზემოთ წამოწევა, თორემ შეიძლებოდა ოცდამეხუთე ამწეს ისარს შენარცხებოდა. წამით თვალთ დაუხეილდა და შებარბაცდა, მაინც მოაგლო კბილოვან სახელურს ხელი, ისრის წამოწევა სცადა და უცებ თვალი მოჰკრა ისრის „ღრმულში“ გამავალ კიბეზე ხეთურიძე მიძვრებოდა. რაღაცას მიხვდა, ისრის წამოწევას თავი მიახება და ხვეტზე მბრუნავი ნაწილის შებრუნება დაიწყო.

— არა, მე არ მინდოდა მე არ მინდოდა — მშობლების წინაშე დათრგუნული და შერცხვენილი ბავშვივით ახლავდა „სევიკო“ და თავის მართლება მთელი ხმით გააგრძელა. ამწე მკვეთრი ბიძგებით ტრიალდებოდა. ხეთურიძე ერთ ადგილზე გაკრულიყო და შიშისგან გონდაკარგული, ადგილიდან ვერ იძვროდა. ნოდარმა კბილოვანი სახელური საწყის მდგომარეობაში დააყენა, ნავსადგურისკენ პირქცეულ ისარზე გამოივლო გრეიფერს თვალთ შეავლო, საგანგაშო სიგნალს თითი დაჰკრა და ნელა ჩაიშუბლა.

გუშავი ჭარისკაცი ოცდამეოთხე ამწისკენ გამოიბოლა.
„ოღონდ გონება არ დაეკარგო...“ უკანასკნელი ძალის მოკრებით აღვივებდა ნოდარი ცნობიერებაში ამ სიტყვებს, რათა შიგ ჩაგუბებული ზინდისთვის გამოქცევის საშუალება არ მიეცა.

და როცა კახიანაში თემურ გალოგრე შემოვარდა, გონებაწართმეულმა, თითქოს ვიღაცის ნათქვამი გაიმეორა:

— გრეიფერში, გრეიფერში დამალა...
„ნაია, გეხმის ნაია? მე გიხმობ, ნოდარი!“ „მე შენთან ვარ, ნოდარი!“ ალიონისას გამოღვიძებულმა ნოდარ დიდებულძემ წანტად გაახილა თვალები. სიხარული ბურანიდან მოიყოლია და სიმუქეცატრცილი სიხნეულ თინაინად მიმოათვალიერა, „აკი ნაია ჩემთან იყო?“ წამოიწია, უნებლიეთ მარჯვენა ხელის ადევნებ სცადა დაყრდნობა, ტკივილმა სხეული გაკვეთა და იგი საწოლზე მიეღწია.

იმ ეჭვის გამართლებამ, როცა ფიზიკური ტკივილი საგრძნობლად დაცხრა გაუთვალისწინებელი სიხარული მოიყოლია. თითების დაკარგვას ჯერ არც ისე მკვიცნეულად განიცდიდა, რადგან ხელი შესვეული ჰქონდა და იმ ტკივილსაც მთელი სხეული ინაწილებდა. და, ალბათ, ეს სიხარული „ხეიბრის“ უსიამოვნო განწყობილებას მოშავალშიც გადააჰარავდა.

„იმ ეჭვს იმითმ ვენდებ, რომ იმედი მქონდა, მოლაღატეს აღმოვაჩენდი. და ამ იმედს ეჭვთან ერთად დაეკარგებდი... ალბათ, ბეშმართებას თავისი წილი ეჭვები ემსახურება... და ერთ-ერთი მათგანი ჩემს ცნობიერებაში ჩასახლდა. ნაძირაღების კიდევ ერთი ჯგუფი... ოღონდ დაწვრილებით ჯერ კიდევ არ იციან, რა ხალხის თანამოსაქმე იყო „სევიკო“. ნაძირაღების კიდევ ერთი ჯგუფი... შეუღლებელია, კმაყოფილი არ ვიყო. მე ხომ უცხო ხაზარზე გაყიდვას გადავარჩინე ქართული ხატი, რას ვიფიქრებდი, რომ იმ ღმერთგამწუვრალმა მაგნიტს გამოიზომული ხატი მიამაგრა გრეიფერზე. არა, ეგეთი კაცი დასანდობი არ იყო. ჩიბუხიანი ინგლისელი თუ ამერიკელი ალბათ, თავს უშველის, მაგრამ სეთურძემ და მის თანამოსაქმეებს კი — ვერა. მგონი, ღმერთმაც შერისხა...“ ნოდარმა წამით ისრის ღრმულში გამავალ კიბეზე გაკრული სევერიანე წარმოიდგინა, რომელიც ძლივს ჩამოიყვანეს ძირს. „არა, მე არ მინდოდა მე არ მინდოდა“ ჩაესმა მისი განწირული ხმა. „ამბობენ, შოკიდან მალე გამოვარო, იქნებ მისი დროებითი სიგიჟე უკეთესიცაა ძიებისათვის. ქართული ხატის გამოღვევი დაისაჯა, მას გაუმარჯოს იმ ეჭვის!“ ნოდარმა ღრმად ჩაისუნთქა ბერი. რაღაცის უკმარისობის გრძნობა დაეღუფლა. „არა, ეს ფილტვი მაინც არაა ხაიმედო, როგორც ეს ზელი მომირჩება, ისევე ვავაგრძელებ მასაუბრის კეთებას...“ სინათლის „ლაქები“ მოხატულ კედელს მიაჩერდა, ბზარბესა და ჩრდილებში უაზრავი პორტრეტი ინაკვთებოდა. უაზრავი ცხოვრებისეული — სცენა. და ამ თავისებურ მხატვრულ გაღერებაში ერთგან ნაიას პორტრეტიც ჰქონდა ამოტვიფრული, უშაღვ გამოქმენა და თვალებით მიეადერსა. „მე შენთან ვარ, ნოდარი!“ მოისმა კვლავ. გარინდებული საუთარ თავში ნოდარ შემიძირვდა, ფრთხილად წამოვდა. ღერიფიდან ფრთხის ხმა მოესმა, ხმაში რაღაც ნაცნობი ბგერები გამოარჩია. პალატის კარი ექთანმა ქალმა გაშალა.

— აი, აქაა, მარცხნივ, შედიო! — ნოდარი არც კი დაუნახავს, ისე უთხრა ვიღაცას და წავიდა. კარში თეთრხალათიანი ნაია შემოვიდა.

— ნოდარი! — შეფრთხინით მიაჩერდა. მერე თვალბდანამულმა ნაბიჯი წამოვდა და თავი მკერდზე მიაღო... მის მარჯვენა ხელს ფრთხილად შეეხო.

- მოხვედი? — შევებით ამოთქვა ნოდარმა და თმაზე ეამბორა.
- მოვდივ, ღლე და ღამე შენი ხმა მესმოდა, გამუდმებით ემსახლი.
- ჰო, გიხმობდი. აი წიღანაც... და უცებ შენი ხმა გავაგონე...

— მოთხრეს, დაგვიბედაო... ჩემი მისამართი არაფერ იცოდა, მაშინდა შევიღოთ...
მოსავლეთშია გათხოვილი. დრომ ვერ მიმეჭურნალა, ყოველი წუთი ტკივილად მიქცა, ხელი როგორა გაქვს? — ახლა ხარბად ათვლიერებდა, თითქოს სხეულის ყოველ ნაკვთს უმოწმებდა.

ნოდარმა წამით მიინარე მეზობელს გადახედა, ქალი მარცხენა ხელით მიიწია და ტურნეზე დააქვდა.

ნაიას სუნთქვა შეეკრა, მაგრამ თავის დახსნა არ უცდია და როცა ვაჟმა მისი თვალების მიადრსხება ინდომა. შეტორტმანდა, კედელს მიეყრდნო, პაერი ძლივს ჩაისუნთქა და, გაღიმებული, მისუსტებული სმით უთხრა:

— დამახრჩობ... დაწვი, შენისთანა დაუდგარი ავადმყოფის მნახველი არა ვარ.

ნოდარმა თხოვნა შეუსრულა. ნაია სკამზე ჩამოჯდა. დაჯდომამდე მოხუცს ჰქონდა მწერა, რომელიც ისევ ეძინა.

მერე ისე დუმდნენ, თითქოს სალაპარაკო შემოღეოდათ და ღიმილს ერთმანეთს უნაცვლდებდნენ.

ვაჟს ყოველგვარი ტკივილი მიავიწყდა და აღარც ქალს ახსოვდა, ათასჯერ რომ გარდაისახა აქეთკენ მომავალი, ზოგჯერ, სხეულს რომ ველარც კი გრძნობდა და მხოლოდ სული მოფრთხილებდა.

მერე პალატაში ექთანს ქალი შემოვიდა, ნოდარი თბილად მოიკითხა, სიცხის გასაწომად თერმომეტრი მისცა და მოხუციც გააღვიძა. მოხუცი ომხიანად მიხედალმა ახალგაზრდებს, ხვეწით წამოღდა, საწოლთან მიუუდებელი ხელჯობი აიღო და დერეფანში გავიდა.

— კარგი კაცია, ახალგაზრდები ძალზე უყვარს... — თქვა ნოდარმა და მოულოდნელად პალატაში საურმაგ ელენტი თითქმის შემოვარდა.

წამით ნაია ვაოცებნი შეათვალიერა, მერე შეშფოთებული მეგობარს დააკვირდა. ქალი სწრაფად წამოღდა და გვერდზე გადაგა. საურმაგი დაიხარა და ნოდარს აკოცა, მერე ნაიას ჩამოართვა ხელი, ჩაფიქრდა და თქვა:

- მომილოცინა!
- გმადლობთ! — თქვა ნოდარმა და ხახეზე ამოწვერილ ღიმილს სიმორცხვე დაემჩნა. საურმაგმა ნაიას შეხედა.
- გმადლობთ! — წაიჩურჩულა მან და საშვივს გაეცინა.
- შენს ამბავს ზღაპარივით მომიყვენენ მეზობლები. შენ, აქ ისეთ დღეში იყავი, შე კი იქ... — საურმაგმა თავი გადააქნია. — ალბათ, ბევრი სისხლი დაკარგე?
- ნუ ღარგობ, მგონი ორი იმდენი გადამისხეს, ხელიც წესრიგზეა...
- შენი ბიოჩი... ასე უნდა, აბა... — ნაიას სკამი შესთავაზა, თავად საწოლზე ჩამოჯდა და ნოდარს თავს გადამხდარი ამბავი გამოჰკითხა.

— ნაილი დეტექტივი ყოფილხარ... — აღტაცებით წარმოთქვა ბოლოს... ესეც სიურპრიზი... გმადლობთ, ჩემო ნოდარ. შენს მიერ ქართული ხატის გადარჩენის ამბავმა მეც ბევრი რამ შემეხსენა. ამ ორომტრიალში ბევრი ისეთი რაიმე გვავეწყდებოდა, რამც სიცოცხლე გვარჩუნებდა... — ჩაილაპარაკა, გადაიხარა, ბალიშზე მხრებით მიწოლილი მეგობარი გადააკოცა და წამოღდა. მერე ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მაგიდაზე დადო.

— აბა, დიასახლისო, ჩაიხარე! — უთხრა ნაირას, — ჩემი ოთახისას ჭერჭერობით დავიტოვებ...

— ეგ სიტყვა მეორედ არ ახსენო! — უსაყვედურა ნოდარმა და ჰკითხა: — შენი საქმეები როგორაა?

— საღამო ხანს გამოვივლი და მოვიყვები... ჯერ ცოტათი მარცხენა ხელი შეაწუხე, მერე მერე მარჯვენაც წამოგებმარება. აბა, თქვენ იცით, არ მოიწყინოთ... — ნოდარს თვალი ჩაუქრა და ოთახიდან გავიდა.

ქალ-ვაჟმა წამით თვალი გააყოლა, მერე ერთმანეთს შებღმომილეს.

„რა ბედნიერებოა, ამჟვეუნად რომ გავჩნდით, რომ შეგვიძლია ასე ძლიერ გვიყვარდეს ერთმანეთი, ღმერთო ჩემო, ყოველი წამი სიცოცხლედ აღენება ჩვენს სულებს...“ გაოფიქრა ნოდარმა, ხმამაღლა კი თქვა:

- ნაია, გესმის, ნაია? შე გიხმობ, ნოდარი!
- შე შენთან ვარ, ნოდარ... — წაიჩურჩულა ქალმა და წამით თითქოს ვაჟის თვალბში ჩაიძირა.

...წინ უამრავი, სიყვარულით აღსავსე დღეები ელოდათ.

დერეფანში დინჯად მიმავალი საურმაგ ელენტი მათზე ფიქრობდა:

„... ისე არნახულად უყვართ ერთმანეთი, აწი, ერთმანეთის დაკარგვას ველარ შეძლებენ... აგაშენათ ღმერთმა!.. აგაშენათ ღმერთმა!.. ბედისწერაც, შენი ნანთელ-საქმეველი დაილოცოს... გმადლობთ, ჩემო მეგობრებო, ერთმანეთის ასე თავგაუმეტებით შეყვარებისთვის, გმადლობთ...“



გმაღლობთ, ჩემო მეგობრებო! შენი ჰირომე, ნოდარ... ეს რა ნებისყოფა გქონია. შენ, გენა... ცვალებ, ნოდარ!.. და მაინც მეგობრებმაც ბევრი რამ არ ვიცით ერთმანეთის შესახებ...“ იგი საბრძოლველად აერთო. ეგონა, სხულის უკველი ნაწილი მზად იყო საღვთვად გახაქცვად, თანაც თითქოს იმის წადილით იწვეოდნენ, როგორმე ერთმანეთისათვის დაესწროთ ეს გაქცევა.

საურმაგ უდენტი სამსახურში მისვლას იჩქაროდა, რათა ვინმესთვის მოეთხორო მეგობრის ეფუკაციონის ამბავი და კიდევ, რაღაც საჭირობოროტო საქითხი გადაეწყვიტა. რომელი? თავადაც არ იცოდა, მაგრამ იცოდა, აუცილებლად უნდა გადაეწყვიტა.

...და მაინც მეგობრებმაც რომ ბევრი რამ არ ვიცით ერთმანეთის შესახებ... ქართული ხატი ვადაარჩინა... ჩისი ვატანაც მოასწრეს, მოასწრეს, მაგრამ, ალბათ, რამდენი ვადარჩა უცხო ბაზარზე გაყიდვას სეთურიმე არაქართულ გვარებს გაიძახისო, მისი ვინაობაც გასარკვევია...“

- საურმაგს ვახლავარ! — მოსახვევიდან თადეოვ ციმაქურიმე გამოძვრა.
- გამარჯობათ!

მთავარმა ბულალტერმა კროლა თვალეზი, ჩვეულებიხამებრ, აქეთ-იქით მიმოაცეცა და საურმაგს ხელი ჩამოართვა.

— დენდი გელოდებთ, წუხს შეგავიანდაო... — მთისშვილი უკველდღე სამინისტროში დარბის, მგონი, აღარ გოშვებთ, ხე, ხე... ანდა, რა ვინდათ იმ დასაქცევიში? კადრების ვადახალისებთა აქაც ხდებთ... ხომ კარგი დრო ვატარებ თბილისში? — ციმაქურიმე რაღაცით ვახარებულე იყო.

- კარგი, ბიჭებმა გამოცილებთა მომიწყვეს და... — საურმაგმა შუბლი მოიხრისა.
- აქ რომ უოფილიუატი, მაინც არ ავცდებოდა დაღევა, დავხოცე ბიჭები, შვილიშვილი შემიძინა — გოგო... ექვსი წელი ველოდი.

საურმაგმა გულმხურვალედ მიულოცა და უნებლიეთ გაიფიქრა: „რა ემართებთ, ამ „თანამედროვე“ ქართულ ქალებში?“ მერე ციმაქურიმე შეუჩერებლივ დაპარაკობდა და საურმაგს ამბის მოყვლა აღარ აცალა. „ახას ახლა ხატის ვადარჩენაზე უფრო, მისი ფულის ვადარჩენა აღარდებს...“ უცახებდად ციმაქურიმე დაურიდებლად შეარჩეა და ჰქითბა:

- არ ვაგვიგია, ნავსადგურში რომ სევერიან სეთურიმე ვაკოქვს?
- ვიან?
- „სეივო“ ქართულ ხატებს და ვარებს უცხო ბაზარზე რომ ავზავინდა.
- აა, ჯამუში რომ იყო? ვიღაც უშიშროების კაცს ვაუტოქავს, მაგრამ უშუშავია... თავადაც ამწეუ მუშაობდა თურმე... შენ რა, იცნობდი იმ სეთურიმეს?
- ჩემი ძმაკაცი იცნობდა...
- მაგარ მაყუთს ტებავდა, ალბათ...

საურმაგმა თადეოვი ისე ცივად შეათვლიერა, უკანასკნელი შეცბა. — თქვენისთანებმა გაყიდეს საქართველო...

მთავარმა ბულალტერმა წამწამები ააპარპალა, რატომღაც შეშინდა. — საქართველოს ვანძო უცხოეთიდან ჩამოიტანა ქართველმა კაცმა და ის შობელმადლი ახლა ავზავინდა იქით? — შეიძლება მან და სეთურიმის ვინებას მოჰყვა. „მაგარ მაყუთს ტებავდა, ალბათ...“ ალბათ, წამოსცდა... ალბათ, შემუშავებული ინსტინქტის ბრალია...“ ფიქრობდა იმდემოცემული საურმაგი.

დენდი ამაღლობელაშვილი კაბინეტში შესულს ხელეგაშლილი შეიგება.

— მოვილოცავ მეგობრის ვადარჩენას, მოვილოცავ! — ხელები მოხვია და მხრებს ქვემოთ მოუთათუნა, — ჩამოვედი თუ არა, იმ დღესვე დარქეცს, მერე პატარა გოგომაც მოიხრინა, მგონი, გულნარა მჭვია, ეგ რა ვაფუკაციონა ჩაუდენია, ის რჯულგამწერალი, ქართულ ეკლესიებს როგორ ძარცვავდა? უმჯველად რომელიმე სასულიერო პირთან იქნებოდა შეკრული. ორივე დახვრიტო უნდა, სახალხოვ ვახასართლო და სახალხოვ ჩაქოლო. კადრების ვადახალისებთა იქაცაა საჭირო. ეგ ძალად ღვთისმსახურები რომ არიან, უველა უნდა დაფერებო!... — დენდის ამგვარად აღგზნებულს იშვიათად ნახავდით, — როგორაა ნოდარი, როგორ გრძნობს თავს?

- კარგად, ახლა საავადმყოფოდან მოვდივარ, ხაცოლე ადგია თავზე...
- ნახავდა რომ წახვალ, მეც წამოგყვები... ამა, წაიციხე და ხელი მოაწერი! — მან უცებ შაფიდის კიდებთან დაწყობილი ფურცლები ამოატრიალა. — ზუსტად ამ დილით დამირტყა მშარ ბეგლარჩინა...

საურმაგმა ორ ეგზემპლარად ვადაბეჭდილი მოხსენებითი ბარათი ვადაიციტბა. მოხსენებით ბარათში სამმართველოს უშუაობა მართებულად იყო ვაკრიტიკებული, მაგრამ საურმაგს ისეთი ვაწეუობილება თაყუფლა, თითქოს ვიღაც მაინც არამართებულად უნდა დაბეჭდებინა,



რადგან ისინი დახმარების აღმოსაჩენად შიავლინეს და არა უკვე უველასთვის ცნობილ ნაკლოვანებებზე განგაშის ასატყდა.

— ჩვენ ხომ იმ ხალხთან იმისთვის მიგვაველინეს, რომ ამ ნაკლოვანებების გამოსწორებაში დაეხმარებოდით...

— მით უკეთესი, სამინისტროს დღეიდან უკეთ ეცოდინება, რა დახმარებაც უნდა გაუწიოს... აქ ხომ უველაფერი დაწვრილებითაა ჩამოთვლილი... — ნიშნის მოგებით გაეპასუხა ამ-აღლოებულაშვილი.

საურმაგს ჩაეცინა. კამათის გაგრძელება არ ისურვდა; ნაჩქარევად მოაწერა ხელი ორივე ეგზემპლარს.

— ერთი მინისტრის მოადგილეს, ერთიც განუოფილებს უფროსს... — კმაყოფილებით ჩაიდუღუნა ამადლოებულაშვილმა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა: — ჰო, მართლა, ბერაძე თუ ინახულენ?

— არა, პირდაპირ აქ შემოვედი...

— გზაში შემხვდა, რატომღაც ადრინად გარბოდა სამინისტროში, ახლა მოგეცა ვონს, რა გადაწყვეტილი? ფეთიანებით მკითხა. ჭერ არ ვიცით-მეთქი. თქვენ ბავშვები ხომ არ ხართო? ჩვენთან იმდენი რამეა მოსაგვარებელი... ეტყობა, ამ ორ დღეშიც დაეტყო ჩვენი აქ არ ყოფნა, კარგია... ახლა მაინც ეცოდინებათ ჩვენი ფასი... — დენდომ რაღაცნაირად ხორბს ქვემოთ ჩაიხიბინა, მერე იგრძნო, ზედმეტი რომ ილაყბა და საურმაგამ მთელი სიღინჯით გააფრთხილა, — შენ არხად წახვიდე, იქნებ ბეგლარიჩმა გამოგვიძახოს — და უცებ სხვათა შორის დაუმატა: — თუმცა, როგორც გინდა, თუ საჭირო გახდა, შემდეგვეც მიხვალ...

— კეთილი, მაშინ შესამეში ვავალ...

— გადი, გადი... ჰო, იაშა აუყვანათ. მოისვენებს... — დენდომ უპრშილი აღლო.

საურმაგს არაფერი უთქვამდა, ისე გავიდა ოთახიდან, მერე დერეფანი თავდახრილმა გაიარა. ისევ ნაიასა და ნოდარზე ფიქრობდა და ეს როგორღაც ოპტიმისტურ განწყობილებას უნარჩუნებდა. მაგრამ რაღაცით მაინც შეძრწუნებულს ჰგავდა.

მერე ცნობიერებაში სიტყვა „ლაჩარი“ გაიძურწა, უკვე მესამე საამქროში იყო, სადაც რამდენიმე მუშა თავისებური ოვაციებით შეიგება. გახარებული ათვალიერებდა ხვედრტელაციო გაუყვანილობას და უცებ გონებაში საგანგაშო სიგნალივით ამიანდა — „უნდა მივუსწრო! უნდა მივუსწრო!“ და კარისკენ გაეშურა.

გრძელ ნაბიჯებს ადგამდა. კვლავ ეგონა, სხეულის უოველი ნაწილი მზად იყო სადღაც გასაქცივად, თანაც თითქმის კვლავ იმის წადილით იწვოდნენ, როგორმე ერთმანეთისთვის დაესწროთ ეს გაქცევა.

„უნდა მივუსწრო!“ ეს შეძახილი შეუწყვეტლივ გაისმოდა გონებაში.

გზაში ტელეფონის ჭიხურთან შეჩერდა, რაღაც გაახსენდა, ჭიბები მოიქეჭა, მერე ვიღაც ვაჟი გააჩერა და ორკაპიანი სთხოვა. ვაჟმა ათკაპიანი მისცა და უთხრა:

— ენეც დარეკავს...

საურმაგმა დენდის დაურეკა, არავინ გააპასუხებია, ახლა ნუნუს დაურეკა და დენდის ადგილსამყოფელი ჰკითხა.

— სამინისტროში წავიდა, სად დაიკარგე? კადრები და ბუღალტრია დაგემებს, მივლინების ანგარიში გაქვს გასასწორებელი, მერედა, არც ჩვენ გვინახული, ხომ არ გადიდაცდი? — უსაუვეღურა ქალმა.

— გინახულივით... — შეშპირდა და უპრშილი დაჰკიდა.

„გამასწრო...“ ერთხანს ფეხმორტრული მიაბიჯებდა. ნირწამდარსაც დაემხგავსა... არაფერზე არ ფიქრობდა, მაგრამ უცებ გონებაში მაინც დაასკვნა: „მერე რა მოხდა...“ და სამინისტროსაკენ გაუჩქარა.

სამინისტროს შენობაში ფეხშედგმული კარისკაცს მიესალმა და კიბეს დინჯად აუყვია.

— ოო, საურმაგ! — დენდი ამადლოებულაშვილი, თათქოს მის შესახვედრად გამოვიდა განუოფილების უფროსის კაბინეტიდან და უჩრჩიულა: — გაცოფდა, ეს რა ექსკურსია მომიწყვეთო... პენსიაში გახვალას აქალებენ და აღარ იცის, ვისზე იყაროს ჭკური... ძლივს დავიძვრინე თავი... მინისტრთანაც მიმიყვანა... პირდაპირ ვუთხარი, ექ ისეთი შეტრული წრეა, მთელი მმართველი აპარატი კი არა, ზღლოსნებიც თუ არ შეიცვალა, ისე არაფერი გამოვა-მეთქი. მგონი, ისევ მთავარ ინჟინრად მიპირებენ დაბრუნებას, ალბათ, ბერაძეც აწრიალდა, — დენდის სახეზე ლიმილი გაიძურწა: — ნუ გეშინია, შენ თავს საწარმოო განუოფილების უფროსად ვაპაშვებინებ, რა გვინდა იმ დასაქცევში, აქ სამინისტროს ხალხთანაც ახლოს ტრიალებ, ხომ იცი, ახლა... — მკლავზე ხელი მოსჭიდა და აიძულა კედლისკენ მიწეულიყო.

— შე გადასვლას ვაპირებ... — მოთმინებაშემოხარჭული კაცივით უთხრა საურმაგ ელენტმა.

— გადასვლას?! — შეტოკდა ამადლოებულაშვილი, დაკვირვებით შეათვალიერა, — ჰმ, თუ

ასე, ამით გაუხარდებოთ კიდევ და მეც... — კაბინეტიდან გამოხულ განყოფილების უფროსს მხიარულად შეეგება, — პატივცემულო მამია, აი, ახლახან ველაპარაკე ჩვენს ინჟინერს ისევ, და თანახმაა, ახალგაზრდა კაცია და გაბედა.

— ბიჭოს — მხრებში მოხრილმა, კაფანდარა კაცმა სათვალე შუბლზე აიწია, საურმაგს მიაჩერდა, მერე ხელი ჩამოართვა და კაბინეტში მიიპატია, თან დენდის სთხოვა, გარეთ დამელოდეთო.

დენდომ რატომღაც საოცარი დაღლილობა იგრძნო, კედელს ზურგით მიეგრძნო და გაკვეთილიდან გამოგდებულ მოწაფეს დაემსგავსა. უნებლიეთ საურმაგ ედენტის შეშურდა და რღაც ინანა. მიხვდა, თანამდებობა მისთვის ვარგნულ საჩაუღლად გადაქცეულიყო. მომრგვალებულ ღიპზე დაიხედა და საკუთარ თავზე გაბრაზდა. „ლოტოს კოქივით დამრგვალდი... — გაიფიქრა ზიზღით. — არადა, რა კარგად ვთამაშობდი ფეხბურთს...“ საშინელმა უნებამ მოუარა, ყოველ დილით ევარჯიშა. უმოწყალოდ ჩამოაფერებდა სხეულიდან ეს ზედმეტი ქონი, კედელს ბიძგით მოშორდა და საოცრად სხარად გააბიჭა.

კაბინეტიდან გამოსულ საურმაგს მხედ მშავალი დენდის დანახვისას გაცემა დაეძტო.

— გაგინაწყენდა ამაღობელაშვილი... — ჩაიჭირქილა განყოფილების უფროსმა, საურმაგს წინ გაუძღვა და დარიგება გააგრძელა: — აბა, თქვენ იცით, არ შეგვარცხვინოთ, სამმართველოს მთავარი ინჟინრობა, უბრალო საქმე არაა, უზიზღლად უნდა იყოთ.. ნუ შეშინდებით, ალბათ, რაიონის ხელმძღვანელობას მალე შეცვლიან და... არც ჩვენ მოვალეობთ ყურადღებას... — იგი მინისტრის კაბინეტის წინ შეეგება: — აქ დამიცადეთ! — სთხოვა და კარი გამოაღო.

საურმაგმა ვიღაც ლამაზ ქალს თვალი გააყოლა და მთიანი ზღვისპირეთის პატარა ქალაქი გაახსენდა. ძალზე სურდა, იქ ვინმე მისი მომლოდინე ყოფილიყო.

განყოფილების უფროსი დერეფანში ლალი ბერაძესთან ერთად გამოვიდა. ლალი საურმაგს თბილად მიესალმა, ნუშისფერ თვალებს კი განაწყენება ემჩინებოდა.

— მაშ მდიხართ? ვიცოდი, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება რომ გიყვართ... — უთხრა ნიშნის მოგებით.

საურმაგს არაფერი უთქვამს, თავი დაუქნია და უნებლიეთ მიმავალს მიაჩერდა.

— ურჩალი გოგოა, ეგეთი ქალი ციციხლს გიციდებს... — განყოფილების უფროსმა საურმაგს ხელი შეგობრულად მოუთათუნა, — ახლა, მინისტრს არ სცალია, ხვალ დილით მოდი, თერთმეტ საათზე და შევიდეთ, აბა, კარგად! — უთხრა მერე და წაცუსტებდა.

საურმაგმა თავი დაუქნია და კვლავ თავადერებით მიმავალ ლალის გახედა. „ასე რომ...“ გაელიშა.

„ახლა რომ მოულოდნელად დამედევნებოდე... — ლალი ბერაძეს სიგამბდრეშეპარული მკერავი სხეული თავისდა უნებურად უცახცახებდა. — შენ რომ ახლა მოულოდნელად დამედევნებოდე...“ დერეფანი საოცრად გრძელი ეჩვენებოდა და ეგონა, საურმაგ ედენტი საცა იყო, წამოიწეოდა. უნებლიეთ ხელს გულისხიარზე ივლებდა.

„ახე რომ...“ სახე მომღიძარა საურმაგი, რომელიც ამ დაუშთავრებელი წინადადების მიღმა, რალაციის ამოცნობას ცდილობდა, მძიმედ მიაბიჭებდა, თან ნაბიჯების სიგრძეს მოწონილად ზრდიდა.

ქუჩაში გასული ლალი წამით შეუცვდა, შეშინდა, უკან არ მივიხედოო და ისევ გაუჩქარა. საურმაგი კვლავ დინჯად მიჰყვებოდა, გრძნობდა, საცა იყო, დაიწეოდა და ელიმებოდა. „ახე რომ...“ მოულოდნელად შორიხლო „ვოლგა“ შეჩერდა. „ვეაკაცო!“ მოგონა დაგუდული ხმა. მანქანის გაღებული კარიდან იაშა ლომთათიძე იხედებოდა. „გვიანახლემ ერთი...“ იქედურად ჩაიციხა მან. საურმაგმა ლალის გახედა, სამშვიდობოს დაიგულა. მშვილდად მიუახლოვდა „ვოლგას“. „რას გვიბრძანებ?“ ჰკითხა იაშას და სიწითლისგან „სახედალაქვებულს“ მიაჩერდა. „ჩამოქექი ერთი...“ იაშა ზენუშით მიიწია. საურმაგი დაუფიქრებლად ჩაქდა შიგ, ცალი ფეხი მიწაზე დაბანჯა. „ჩამოქექი, ჩამოქექი, ნუ გეშინია...“ გაიღრია ლომთათიძე. საურმაგმა სატესთან მჯდომ ვაჟში ჭემალ თავდგირაძე შეიცნო, მერე შის გვერდით მოკალათებული გაუშე გაცირიძე. ხლდაც არ გაჰკვირებია მათი ერთად დანახვა. „მადია...“ გაიფიქრა უნებლიეთ და ფეხი აწიდა. „წავედით!“ ლომთათიძემ შის ზურგს უკან გადაწვდინილი ხელით კარი მოხურა. „ვოლგა“ უეცრივ მოსწყდა აღვილს. „შენ კიდევ ცოცხალი ხარ?“ გესლიანად ჰკითხა თავდგირაძემ, ხარკეში დამცინავად შეთავაზიერა. „აბა რა, ვუკაცია!“ ჩაიხლიჩინა იაშას მიღმა ჩამოღულმა, დაბლმა, ჩუამებულმა ხახის კაცმა. საურმაგმა ლომთათიძე დაკვირვებით შეთავაზიერა. რაო, ხომ არ გეგონათ, მართლად დამიჭერდნენ? საურმაგს ჩაეციხა, „ასე რომ...“ გულუბრყვილოდ სიამოვნებდა ლალი რომ სამშვიდობოს ეგულებოდა. „იცინის კიდევ, უხარია!“ წამოენთო ჩუამებული ხახის კაცი. „რაო, ძმაკაცი როგორ გუყავს, შინც ერთავს არა, იმ ბოლს?“ ღვარძლიანად ჩაეძია თავდგირაძე. „ნუ მიბჭარავ...“ ვუკაცუხა საურმაგი, „ხმა, ნაბიჯვარო!“ ჩაიხლიჩინა სახეჩამებულმა. საურმაგმა ხელი გადაიწვინა და უური აუწია. „უბ, შენი!“ გაღირონა იგი. „წუნარად, მოსწერები...“ გააფრთხილა გაუშე გაცირიძემ, უკან არც კი



მოუხდინა „მშაკაცი ვაჟაკი ჰყავს, საცოდავი სეთურიძე მაგან ჩაადო, ხატისთვის... გადმადო! თავი...“ ისევ თქვა თავისი თავდგირიძემ და საქე „მობდენილად“ „დახვია“ „...ლოცვა“ „...იცი. ნახიჭვარო?“ შესაბაა ურწმუნულმა. „ეცოდინება, სალოცავად თეთრ მონასტერში ავიყვანოს!“ ბრძანა გაუშმა. „თეთრი მონასტერი...“ საურმაგი ისევ განეწყო ამ სახელწოდების მიხარო, თითქოს იქ სასიკეთო საქმეზე ეპატიებოდნენ. გაუშ გოციორძის მიაცქერდა და თავისდა მოულოდნელად გაახსენდა, რესტორნის წინ მდგომ მამაკაცებში, იმ ავბედით ლაქს, ამ კაცის სახე აღინუსხა ქვეცნობიერად მისმა გონებაში.

„ვოლგამ“ ქალაქი მოლიდა და ზნატიცილზე გაიჭრა. საურმაგი საზურგეს მიაწვა და თავლები მილულა. „ასე რომ...“ უნებლიეთ მარცვლავდა გონებაში, გულუბრყვილოდ ელიშებოდა. „უხეზეზე ვეკიდებ, გააჩერე ერთი!“ ვეღარ მოითმინა სახეჩაუამებულმა. „გეყოფა! მოესწრები...“ შეუწყრა გაუშო. „ხომ გაგაფრთხილე, ზომ გაგაფრთხილე, ნუ მიშპარავ-შეთქი...“ გეგონებოდათ, ჭკუას არიგებდა იაშა. მანქანამ შარაგზაზე გადაუხვია და აღმართს აუყუა, მერე გაივკა და თეთრი მონასტერიც გამოჩნდა, რაღაცით ზღვიდან გამოჩიულ ხომალდს მკვავდა, თეთრი იაღქანი შემოფლეთოდა. საურმაგი მივეწყებულის გახსენებას შეეცადა. ალაღად შეწყულდა არაფერი რომ არ იცოდა ამ მონასტრის შესახებ, ისიც კი არ უწყუდა, აქ, ახლომანლო, სადმე მონასტერი თუ იყო. „ვოლგა“ მონასტრის ჩამონგრეულ შესასვლელს შიადგა. იაშამ ხელი გადაიწვდინა, კარი გაადო და ჩასაბა: „გადადი“ საურმაგი შებრუნდა, კართან უკვე ჩაუამებული სახის კაცი ელოდა. მკლავში ხელი ჩაავლო და გადათრევა მოუნდომა. საურმაგმა ხელი დაუჭირა და განძრევის საშუალება არ მისცა. „შეეშვი, მონასტერში სალოცავად თავისი ფეხით მიდიან“, ჩაიცინა „ვოლგადან“ გადახულმა გაუშ გოციორძემ. მშაკაციით გაულაშმა, საურმაგი თითქოს ახლა მიხვდა, საჩხუბრად უნდა შემზადებულიყო. მანქანიდან გადააბიჭა, წამოიშართა, მხრებში ვასწორდა და მონასტერში შეაბიჭა.

თეთრი ქვისგან ნაშენ ერთიანად ვატიალებულ მონასტერს კედლები თითქოს სევდისაგან გაფერყრთალებოდა.

საურმაგმა მიმოიხედა. თალსაც მიაწვდინა შურა და ზედ მაცხოვრის ფრესკის მცირე ნაწილს მოჰკრა თვალი. ფრესკას ცალი თვალიდა შერჩენოდა და ეს ერთადერთი თვალი იმედად დაიგურა. „ცოდვდა, იქნებ ისე დავვიჭროს, ცხოვრებაში, ასე თუ ისე, ერკვეთა, ავბრისის საქმეებიც უსმის, მთავარ ინფინერსაც მოსწონს...“ თქვა გაუშმა. სიგარეტს ისევ ჰჩაავდა. გეგონებოდათ, იმის ეშინია, კვამლი არსად გაიპაროსო. „აა, რას იტყვი, ბიჭი, ზომ დავგიჭერებ?“ თითქოს მის მისაფერებლად ვიწვდინა ხელი სახეჩაუამებულმა. „ესლა მაკლია...“ ჩაიცინა საურმაგმა. „შე ნახიჭვარო!“ მუშტი მთელი ძალით დაჰკრა უცრიმალთან დაბალმა, საურმაგი შებარბაქდა, მაინც მოიჭინა ხელი და სახეჩაუამებული მოწყვეტით წაიქცა. ადრინანდ შემშადებული თავდგირიძე მოხდენილად ჩაება ჩხუბში, „ძველი გარტყმელები“ ლაშთიანობით იაშამაც გამოიჩინა თავი, მალე სახეჩაუამებულიც წაეშველათ. საურმაგი გააფრთხილდა იცავდა თავს, საშვივს მწვავე დარტყმა აგემა, თავდგირიძეს ფეხი აშოკრა და საცოდავად ააშუილა, იაშა კედელს მიანარცხა. უფრო მიეძალნენ, სასიკვდილოდ გაიშეტეს. მერე იგრძნო, ასე იქნებ დაუსრულდებოდათ გარტყმელებულიყო, თითქოს თავად ცხოვრება თელავდა უმოწყალოდ. ძალა გამოცადა, ჩაიკეცა, „აბ, თქვე დამმლებო...“ ესლა თქვა და თავი აჩაქდა. „ხომ დავგიჭერებ?“ ეს მერამდენედ ეკითხებოდა გაუშ გოციორძემ. „აბ, თქვე დამმლებო...“ ძლივსლა პასუხობდა საურმაგი, ისევ დაუნდობლად სცემდნენ, ის კი თვითგვემას მიცემულივით ვეღარ გრძნობდა ზორციელ ტკივილს. „გეყოფათ, ეგ სხვა კაცია, ტყუილად კი არ გამოვაძახებინე იმ დღეს სასწრაფო დახმარება“. სადღაც შორიდან ჩაესმა გაუშ გოციორძის ხმა. „გეყოფათ! — იღრიალა მერე, გეყოფათ, თქვე მართლა დამმლებო!“ სახეჩაუამებულს და თავდგირიძეს ხელები ჩაავლო და მონასტრიდან გათრია. იაშა თავისით წალასდასდა, გაოგნებულს მკვავდა.

საურმაგ ელენტი ქვის იატაკზე განრთხმულიყო. თანდათან იმის წადილით ივებოდა, როგორმე საკუთარ თავში ჩაყარულიყო და რაღაც საშინლად ვეებერთელას, ხელშესახებასა და ამავე ღრის მოუხელთებელს იმედინად მოხვდიებოდა. მერე ქვის სიგრილე ღრმად შეისუნთქა, მუხლებზე წვალბებით წამოიჩოქა, თავი აიღო. მის წინ თეთრი კედელი აღმართულიყო. მიშპარალი სითეთრე თითქოს სივრცეს შერწყმოდა და ისიც იმ სივრცეში აღმართულ კედელს სისხლში მოთხრობილ ხელებით მიერდნო. კედლისმიერ ხმას მიუყურადდა.

თეთრ კედელზე სისხლიანი ნაკვალევი ფრესკის ფრაგმენტებს ემსგავსებოდა.



აფთანდილ გურგენიძე

ვდგავარ...

ისე ლამაზად ვდგავარ,
ასე მგონია მთა ვარ,
და ვგრძნობ ყოველგვარ წვრილმანს,
და ვგრძნობ ყოველგვარ მთავარს.

ვმღერი...

ისე ლამაზად ვმღერი,
გაწვართული მაქვს ყელი,
ოქროს კი არა, ნაღდი
ღერწმის გათლილი ღერი.

ვთვრები...

ისე ლამაზად ვთვრები,
თითქოს მესხმება ფრთები,
ანგელოზები მჭვრეტენ,
— ჩემი ლამაზი ღები.

ვდუმვარ...

ისე ლამაზად ვდუმვარ,
აღარც კი ვიცი თუ ვარ,
სიჩუმეს ახმაურებს
თეთრი ფიფქების თოვა.

ვგალობ...

ისე ლამაზად ვგალობ,
იმ გარდასულის გამო, —
ჩემი ბავშვობის წლების
ყელს შერჩენია გეშო.

ვკვდები...

ისე ლამაზად ვკვდები,
გაოცებულან მთები,
ვკვდები და მერე როგორ,
— ნებით, საკუთარ ნებით!

დღევ, თავი მოგწონს თვითონ,
რა კარგი პირი გიჩანს...
რას დამჭიკჭიკებ, ჩიტო,
შენს პირს შაქარი, სკვინჩავე.

სულ გავყმაწვილდი ვითომ?
რად ვყელყელაობ ყინჩად?
რას ჩამომძახი, ჩიტო,
შენს პირს შაქარი, სკვინჩავე.

გულსაც სხივებზე ვითბობ,
იმედი გადამირჩა...
მომე — მომეშვი, ჩიტო,
შენს პირს შაქარი, სკვინჩავე.

ამდენ გალობას ვითომ
კი ჩავითვლიან ნიჭად?..
არ გადამრიო, ჩიტო,
არ გადამრიო, სკვინჩავე!

ბადნიერი

ბავშვობაში აკლდა რძე
და ფერადი ფანქრები,
კიდევ რაღაც ათასი,
თუ ათასზე ნაკლები.

სხვანაირი აკლდა მზე
(ოცნებებში გაკრთა!)

მაგრამ უღიადუსი
თვით ბავშვობა აკლდა...

მერე სიყმაწვილეში
აკლდა თვალი კეთილი,
ქარებში და წვიმებში
იყო გამოკეტილი.

აკლდა ნაღდი ალერსი
(ოცნებებში გაკრთა!)
მაგრამ უდიადესი
სიყვარული აკლდა.

მერე, ჭარმაგობაში,
ცოლ-შვილში და მოყვრებში,
ძმა-ბიჭების ძმობაში —
საყვარლებში, ოხრებში —

აღარ ჰქონდა წარსული
(მწარე ელვად გაკრთა,)

რადგან მთელი ცხოვრება
მუდამ რაღაც აკლდა.

მერე... ტახტზე, იმ დილით
იწვა სულ ფერმიხდილი,
ბედნიერი ყველაფრით
ამაყობდა სიკვდილით.

ყველაფერი ასრულდა,
ყველაფერი გაკრთა.
არაფერი არ სურდა,
არაფერი აკლდა.

შენ რომ არ მოსულიყავი

ცხადში ერთხელ არ მენახე,
სიზმარეთში სულ იყავი.
სხვისი რა ვთქვა...
მე კი — როგორ, —
შენ რომ არ მოსულიყავი

უსაშველო ლოდინისგან
მარტო „ჩუ“ და
„სუ“ ვიყავი...
ისიც აღარ ვიქნებოდი,
შენ რომ არ მოსულიყავი!

მოდიან და არ იღევა რიგი...
რაკი წევხარ, გინახულებს ვინმე.
მტანჯავს ერთი უსაშველო ფიქრი:
რატომ მნახა?
ვინ იგი და ვინ მე?

რატომ მნახა?
დარდს ვერავის ვუმხელ,
კრთება გული თვალნაცემი ბავშვის:
ანგელოზმა მინახულა წუხელ
და კინალამ წამიყვანა ცაში.

გულს

მიიღია... ბოლოს მაინც ატოკდა,
თითქოს ხელებს გამოესხა კვირტები.
— ოღონდ ახლა აღარ მიღალატო და...
მერამდენედ, მერამდენედ გპირდები.

გაძლებათა, რაც შენ მე გამიძელი,
ძველებურად მყავხარ ისეუ მდიდარი;
ყელამდე ვარ შენი პატივისცემით,
მადლობა კი ახლაც ვეღარ გითხარი.

ჯემალ კვერინცილაძე

თოვლი

თოვლი — მიწის თეთრი ლექსი,
თეთრი გულით გვლოცავს ზეცა —
ბავშვი ვნახე, ილიმოდა,
ტანზე თოვლის ჩოხა ეცვა.

კანკალებდა თოვლის ფიფქი,
იყო ქარი, იყო თოში.

და სიცილის ფანტელებით
შედროდა ბავშვი თოვლში.

თოვლის პაპას აკეთებდა,
თოვლთან ერთად იყო ცაში.
მერე ბავშვიც თოვლი იყო,
მერე თოვლიც იყო ბავშვი.

ფიქრი შვილაგზა

ოთხი ბავშვი — სიხარული ოთხი,
ოთხი ნემსის ჩუმი ჩხვლეტა გულზე,
ოთხი დარდი, გაელევა ოთხი
ამ სამყაროს ნუკრის თვალით უმზერს.

სადღაც ისევ კვლავ გაჰკივის ტყვია,
საღალაც ისევ იბადება დარდი,

სადღაც ისევ კვლავ ეკრობა მიწას
ბავშვის სისხლი — დაფლეთილი ვარდი.

მეშინია არ დასცალოს ცრემლმა
ჩემი ოთხი სამამულო თასი
იწერება პაწაწინა ლექსი
დაჩოქილი სიხარულის მსგავსი.

ჩემი სოფელი

აჰა, გ.მოჩნდა ტურფა სოფელი,
ზორეაის მწვანე მთები
და ჩემს ბავშვობას ყვავილმოფენილს
თითქოს ხელახლა ვხვდები.

აქ კიდევ უფრო მშობლიურდება
ჩემი სამშობლოს მიწა

მშრომელი გლეხის ოფლი უხდება
ყანას შრიალში მღვიძარს.

აქ ახლაც ძველი სიზმრის ნისლია, —
ლიმი და ცრემლი მწუთხე.
ჩემი მამულის დასაწყისია
ეს დალოცვილი კუთხე!

არღაპიწყება

იქ, უცხო სახლში ხარ გარინდული,
მოშორებული მზეს და თარიღებს
დიდი სიჩუმე ხმაგაკმიდული
შენს ცივ საწოლთან ლანდებს არიგებს.

ბობოქარ მკერდში ჩაგრჩა ისრები,
გული ღიმიით და სევდით დახნული

და ახლა ძველი მზით და ნისლებით,
ხარ გრძელ სიზმარში გადაკარგული.

ვერ დავამშვიდე ფიქრში წუხილი,
მკერდში საშენო კვლავ ძვერს იარა.
ისე მახსოვხარ, როგორც ქუხილი
ცაზე რომ გაჰკრა და ჩაიარა!..

სერგო თურმანაული

სერგო თურმანაულია, გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გამოგვიგზავნა წერილი რედაქციაში... წერილი კი არა ერთადერთი ლექსი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „როცა შორეთში ერთად ვიქნებით, როცა სიცოცხლე განმეორდება“. თითქოს გვაფრთხილებდა, რომ წასვლას აპირებდა ამ ქვეყნიდან და გვემშვიდობებოდა...

სრულიად ახალგაზრდა წავიდა იგი ჩვენგან. წავიდა და დაგვიტოვა თავისი ფიქრიანი ლექსები, რომელშიც ნათლად ჩანს მისი სულის ბიოგრაფიის ანარეკლი.

არ გაბუღისდე

სალამოვდება,
ციდან ნელა
ცვივა ფიფქები,
საგონებელში
არ ჩაგაგდოს
ამ აციებამ.
შენ იყავ წინათ,
ხარ ახლა და
კვლავაც იქნები —
როგორც სიცოცხლე,
სიყვარული,
ნათლის ძიება.

არ გაგულისდე,
არ შეგაკტოს
სიტყვამ უღირსთა.
კვლავაც ძალუმად
აღეგზნება
სიცოცხლე მნათის.
განშორებაა
ტეშმარტი
სიყვარულისად —
იგივე, რაიც
არის ქარი
კოცონისათვის.

დღეს შენ მიფარავ

თუმც ისინიც და ჩვენც კაცად ვიშვით —
ყველა გადიქცა უსუსურ მწერად —
ვინც გზას ზვერავეს და ასპიტის შიშით
ცად ვერ აღაპყრობს დაღალულ მზეერას.

შენ კი გლოვად ჰქმენ ეშმას
ქორწილი —
ისე წახვედი ამა ქვეყნიდან

და არ ვიცოდი სამეფო ძილის
თუ ჩვენ ერთმანეთს როსმე შეგვეყრიდა.

მე გამჩენივით დღეს შენ მიფარავ
სულო — დაღვრილო სიბრძნის
ჩქერებად,
როცა წყვდიადი ფერებს იპარავს —
სიზმრად შევიგრძნობ შენს მოფერებას.

სულს მოარგე დანაპირი
მოთმინების ბექთარი
და დღეს უკვე აღარ სტირი —
ავ სიზმრებით შემკრთალი.

შენს გარშემო ტკივილები
მაინც იღრინებიან,

შორს კი მრავალ მედილეგის
უმკაცრესი ხმებია.

დოვლათს თუნდა ტანჯვით მკიდე —
ესსენ ყოფნის ნაპირებს.
ღმერთს ვინც უყვარს —
მას სჯის კიდევ
და ეს ნუ გაგაკვირვებს.

უღმის ქარო

გრძნობა წრფელია,
ზრახვა მაღალი,
სულს არ ჰფენია
შიში დაღალვის.

ისევ ვუგალობთ
შორეულ ნაპირს.

ედემის ქარო,
ჩვენ, როგორც აპრილს —

აქ თუ ვარდთ მშლელი
ბალი გადახმა —
სხვა ბალი გველის
სიკვდილს გადაღმა.

მარადისობის შენ ხარ ასული

ისევ გამდიდრდა გრძნობათ სიმწირე,
მომსპობ გრიგალთა შეწყდა თარეში,
როგორც იღბალი — შენ ჩაიძირე
ჩემს ლამაზ ფიქრთა ლურჯ სავანეში.

მარადისობის შენ ხარ ასული,
წარსული შენს ბედს დაეწინდება,
ბევრი წახდება შენით ავსული
და წინ მრავალი მზე გაბრწყინდება.

ვარ მადლობელი

მიზეზს ბავშვური უმანკობის —
რწმენას მავანი ვითვლის ხუნდებად,
შენთვის კი ნეტარ საღამოებით —
განთიადების ხსოვნაც ხუნდება.

შენით მისხენებს გზა არა ერთი,
მტოვებს ავსული და უკულმართი.

სულის სილაღე ნაწერს დაერთვის,
გამელნისფერდა ზეცის გუმბათი,

არ ვიცი ვიღაც სხვა — უღმობელი
რით დააფასებს შენს ერთგულებას,
მე იმ სითბოსიც ვარ მადლობელი —
ნათლის წვეთებად რომ მეპყრება.



ილია კავკაზაზი

სიმართლა

(ხალხურიდან)

ამბობენ: „ერთმა რაჭველმა საქმე წააგო მართალი:
 სად არის ქვეყნად სიმართლე, ან სამართალი სად არი?
 სიმართლის ძებნას შეუდგა ღარიბი, მრავალტანჯული:
 უნდოდა სადმე ენახა სამართლიანი მსაჯული.
 ჯერ რაჭა შემოიარა, მერე ამერ და იმერი;
 ყველგან სიმართლეს ეძებდა ჩაგრული კაცის იერით.
 ურჩიეს ბერიკაცებმა გზებით დაღლილს და გათოშილს:
 — „სიმართლეს მხოლოდ იპოვი უმაღლეს სასამართლოში!“
 და გაემგზავრა რაჭველი ქვეყნად სიმართლის მძებნელი
 მტკიცე რწმენით და იმედით, როგორც მართალ კაცს შეფერის.
 ამდენი ძებნით თვალებში გამოელღია სინათლე:
 ვერც უმაღლესში, ვერც სხვაგან ვერსად იპოვა სიმართლე.
 ბოლოს კი გაწბილებული უკან დაბრუნდა საწყალი,
 გზის პირად ლოდზე ჩამოჯდა საკუთარ ბედზე გამწყრალი.
 ფიქრობდა: — „თავო ბედშავო, ცრუ არის წუთისოფელი:
 ქვეყნად სიმართლის ძებნაში შევიქენ ჰკვათამყოფელი!
 მომწყინდა მთელ დუნიაზე ხეტიალი და წაწალი!
 ვაი, სიმართლის ძებნაში სულს დაღვევს კაცი მართალი!“
 ეს თქვა და თავი ჩაჰკიდა, დადუმდა კაცი კეთილი
 და უცებ ქვაზე შენიშნა წარწერა ამოკვეთილი:
 „სიმართლე“ ეჯდა ბოლოში ნახევრად წაშლილ სტრიქონებს.
 წამოიყვირა რაჭველმა: — „ეჰ! სიმართლე ვიპოვნე!
 ვაიშე, ამას რას ვხედავ? ქვის ქვეშ მარხია სიმართლე,
 მისი ამ ქვეყნად მოძებნა მე კი ამაოდ ვინატრე!“
 თქვა და წამოდგა რაჭველი ჭრელ-ჭრელ ფიქრებში გართული,
 და გაემართა შინისკენ მხნეობით წელგამართული.
 და გულში ასე ფიქრობდა: — „თუმც დღეს მკვდარია სიმართლე, —
 სვალ ყველას მოეფინება მისი უკვდავი სინათლე!..“
 თურმე, იმ ლოდქვეშ მარხია კეთილი ადამიანი:
 ყველაზე ალალ-მართალი, ყველაზე სამართლიანი:
 სიმართლისათვის იბრძოდა, სიმართლისათვის დაეცა:
 გმირისთვის ერთი ყოფილა თურმე დღეცა და ღამეცა:
 სდევნიდა უსამართლობა: მტერი, ბატონი, ვაჭარი,
 რადგან სიმართლეს იცავდა მისი ხმალი და აბჯარი!
 ის იყო სიმართლისათვის ათასჯერ ნაციმბირალი,
 ღარიბ-ღატაკთა ქომაგი, მემამბონე და ფირალი!
 სიმართლის მჭადაგებელი — სიმართლისათვის დაეცა:
 სულ ერთი იყო გმირისთვის თურმე დღეცა და ღამეცა.
 იგი იმ ლოდქვეშ მარხია, ხალხმა შეარქვა „სიმართლე“
 და თაობებში გადადის მისი კაცობის სინათლე“.

იპოვე შენი სინარული

ამბობდა პაპა:
(შენდობის ღირსი)
შვილო, არასდროს
შეგშურდეს სხვისი.
ის ყველასია —
ერთი რომ მღერის,
უნდა დალოცო
ღერწამის ღერი.
შენ რას შეგმატებს
სხვისი სიმღერა,
თუ სულში
შავი შური იღვრება!

შენ ვერას გარგებს
სხვისი სინათლე,
შურიან კაცად
თუ მოინათლე.
დგას პოეზიის
მწველი აღმური
კვლავ შემოქმედი
სული არ ცხრება,
ისმის აკორდი
გენიალური
და ელოდება
შენს აღტაცებას.

ხასიათი

ვ. ბოლშაკოვს

კაცს უნდა ჰქონდეს
ხასიათი გამოკვეთილი,
როგორც ვულკანი,
მაგრამ წყნარი,
მაგრამ კეთილი.

გული გაუღოს
სიყვარულით
მხოლოდ ერთადერთს
და გულისგულში
ბოლმის ბოლმა
არა წვეთავდეს.

კაცს უნდა ჰქონდეს
ხასიათი გამოკვეთილი,
პირზე ღიმილი,
გული მტრისთვის
გამოკეტილი.

თუ ვისმეს იცნობთ
კაცს ამნაირს —
გულადს, გულმართალს,
ისე ჩათვალეთ
რომ გაუმართლა.

სამი დრო

სიყვარულს
სამი უტკბესი დრო აქვს,
ჩამოგითვალო? —
სიამოვნებით,
ერთი, ძვირფასო,
ლოდინს რომ მოაქვს,
მეორე, უკვე პრიმადონების —
რომ დაიჭრები
ისრით ამურის,
როცა ბუდეში
ზის სიყვარული.

მესამე გახლავთ
მოგონებები,
აღორძინება
დამცხრალ ვნებების.
წავა სიცოცხლე,
წაპყვება წარსულს,
გასცდები ყველა
ზომას და წონას,
და ძველ სიყვარულს
ჩარჩოში ჩასმულს,
შემოვიტოვებთ
ვით ლამაზ ხსოვნას.

ხან თუ მომავლის
ხმით მიმღერიან,
ხანაც წარსულზე
ფიქრი მაშინებს,

ასი სიცოცხლეც
არაფერია!
იმ წუთთან
შენთან რომ მაკავშირებს.

ნღობა

ისევ ნღობისთვის
მითხრეს აუგი,
ეხ, მტყუნან-მართალს
ვინ რას გაუგებს...
ვის დაკარგვიხარ,
ვის აგონდები,
ბრიყვი იყავ და
ბრიყვად მოკვდები.

არ მითხოვია
არც გასამრჯელო,
არცა ჯილდო და
არცა შექება,
მადლობელი ვარ,
შენი გამჩენო,
მე მხარზე შენი ხელი მექნება.

მე შევიფარე
ერთი საპყარი,
შუა გავუყავ
სადილ-სამხარი.
სუყველაფერი გავუზიარე,
დაბლა მიწას და
მაღლა მზიანეთს.

არ ვცხოვრობ
სხვათა დასანახავად,
ამ გულის კარი
გავაღე ფართოდ,
მოვიდა იგი,
სტუმარს ვახლოვარ!
და ჩავიხუტე,
სტუმარი სათნოდ.

ბაღში

არ ჩანს ფრინველი
ქარის ხმას ეუსმენ,
მეორე დღეა
წვიმის თქეშია...
უცხო ჩიტუნავ,
შენ ისე უსტვენ,
რომ ერთი მუხლიც
კი არ შეგშლია.

პაწაწკინტელავ,
სულ არც კი ჩანხარ,
გულს მაინც სწვდება
შენი სიმღერა,
როგორ გამოსცემ
ჩიტუნა ამ ხმას,
ცა და ქვეყანა
როცა ინგრევა?

დედის ხელები

მორჩა, გათავდა,
ბედმა გაგვეყარა,
შეგროვილია
ბარგი-ბარხანა.
ჩუმათ ვსხდებით და
კენდობით გუმანს,
შენი კეთილი ხელები სდუმან.

მე ბავშვობიდან
მიყვარს ისინი,
სიფრიფანები
თეთრი ნისლივით.
სულ თან დამყვება
ხმით და მთოვარით
მე მათი სითბო
სურნელოვანი.

დაღარულ ხელებს
და ძველ სიყვარულს
დრო ახლანდელი
არ ეთანხმება,
მაგ ხელებიდან
დანახულ მამულს,
დედა, როგორ გავს
შენი სახება.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა





გივი ალხაიშვილი

„საგომოლო სეპსურიის“

ვაჟა-ფშაველა წერიალი — „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“, როგორც სათაური მიგვანიშნებს, ფშაველების ძველსა და ახალ პოეზიას განიხილავს, გამოიწნავს ძველსა და ახალ პოეზიას არსებული თვისობრივი სხვაობის გამო და გვიხატავს იმ სულიერ, ჴნეობრივ შეტამორფოზას, რაც ახალს დროში ფშავემა განიცადა. მდიდარი ფოლკლორული მასალა, მსჯელობისას რომ ეურდნობა დიდი პოეტი, ნათლად წარმოგვიდგენს ფშაველთა გარდასხვის, გადასხვაფერების, ერთგვარი დეგარდაციის თანდათანობით პროცესს.

„ვიდრე ახალი პოეზიის განხილვას შევედგებოდეთ, საჭიროა გავიხსენოთ ძველი ფშაველების პოეზია, როგორც დამახასიათებელ-დამახსურათებელი ძველის დროებისა, ძველის ცხოვრებისა. რაზეა მიპყრობილი თვალი და გული ერისა? ან სასახელო რა იყო იმ დროს, ან საუფო, ხაგმობი? რითა ფასდებოდა, კაცებოდა კაცი, ან რითა მცრევედებოდა? არის ისეთი ჴნეობრივი პრინციპი, რომელსაც მუდამ ფასი და ადგილი აქვს, როგორც ძველსა, ისე ახალს დროში...“ „საზოგადოდ ძველს ლექსებში ერთადერთი წადილი, ლაღადისი ისმის: ვაჟკაცობა, მამაცობა, გულადობა; როგორც ახალს პოეზიაში სიღარიბესა და სიმდიდრეს უზირავს ადგილი... ძველი დრო იყო დრო ვაჟკაცობისა, ძალისა, მტრობისა, მუსტიისა და ხმლისა. მაშინ იყო ძალგულოვნება და ამიტომ არის ნათქვამი:

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდან ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედრანი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი.

პო, თუ ვაჟკაცს გული შეპრჩა, ხის ხმალსაც გააჭრევენებს, თუ არა და ბასრი ხმალიც ჩლუნგია“ (ვაჟა-ფშაველა).

ვაჟა-ფშაველამ ერთერთმა პირველმა შენიშნა ჴნეობრივი და არა მარტო ჴნეობრივი გადასხვაფერების, დავინების, თითქმის შეუმჩნეველი, ჩუმი, მაგრამ მომავლიდებელი პროცესი — ხალხური პოეზიის ახალ ნიშნუებში რომ აისახა; ხოლო ის ხი-უეც, რაც ახალ ხალხურ

პოეზიაში აისახა, მაშინ, წერიალის დაწერის დროს, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში (1896 წ.) ფებს იკიდებდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, კანონდებოდა და სხვაობაც ძველსა და ახალს შორის უფრო ხაგრძნობი იყო, ვიდრე დღეს.

ის, რასაც ვაჟა-ფშაველა ფშავერ პოეზიაზე წერს, ყოველგვარი კორექტივის გარეშე ვრცელდება მთიელთა, და არა მარტო მთიელთა, სრულიად საქართველოს მამინდელ ყოფასა და მდგომარეობაზე.

უმთავრესი საძირკველი ქართველთა სულიერი და ფიზიკური არსებობისა, უდიდესი მისია სამშობლოს დაცვისა, ჳადარჩენისა, მისი აღორძინებისა, რომელზეც საუკუნეების მანძილზე მკვიდრად იყო დაშინებული ქართველი ერის მრწამსი, თანდათანობით კარგავს თავის ფუნქციას, თავის მიზანს და ხალხურ პოეზიაშიც, როგორც სარკეში აირეკლება ახალი დროის ავბედითობა. ხაგმარო, თავგასაწარი, დასაცავი — თითქმის აღარაფერია. ხალხი თავის პოეზიაში ახახავს ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდება, გმირობისა და მამაცობის მაგიერ სიღატაკისა და სიღუბურითე ქმნის ლექსებს, ეროვნული გმირების ნაცვლად ლექსებში ჩნდებიან „სლუდები“, „გზირ-ნაცვალ-მამასახლისები“. ძველად „ცხოვრება სადა, მარტოვე იყო და ყოველ საქმეს ამჩნევია სიმარტოვე. იგივე საქმე, რასაც დღევანდელი მოხელეები მრავლისგან უმრავლესნი აკეთებენ დიდის ვი-ვაგლახით, აურზაურით, დავიდარაბით, მაშინ უბრალოდ კეთდებოდა“.

„ხედავთ, რომ უმთავრესი ძალა ერის გონებისა მიმართულია ცხოვრების ცენონომურს მხარეზე:

ძნელი ხარ სიღარიბეო,
დამახელმოკლე, ტიალო,
მეორ-მესამე წელია,
ერთ ახალუხი მკეციანო.



სიახ-სიკეთე კაცისა მისი ეკონომიურის მდგომარეობით იწომება. ახლა „კი ბიჭობა“ სარჩოთი, ქონებით იწომება“. ეს სტრიქონებიც ვაჟა-ფშაველას დასახელებული წერილიდანაა: ახა კარგად დავუყვირდეთ, — „კიბი-ქობა“ სარჩოთი, ქონებით იწომებოდა ამ ერთი საუწყნის წინათაც. ეროვნული თვითშეგნება ირღვევა: უფუნქციობითი, უმინოობით ხელმოცარული ადამიანები სარჩოს მოპოვებით არიან გართულნი, რათა ცხოვრებას რაიმე გამართლება მოუძებნონ. სოციალური გარემო, ცხოვრების წესი, წესობა, ძირძველი ტრადიციები ფერმკრთალდებიან თანდათან, ჩუმად, თითქოს შეუმჩნევლად იცვლება ეროვნული ფსიქოლოგია და სამშობლოსთვის თავგანწირვის ადგილს იჭერს მომხვეჭელობა, ძმობა დალატი; ამაღლებულ, წმინდა სიყვარულს ცვლის მრუშობა და ზევსურეთში, სადაც წოგირითი სხვა კუთხის მსგავსად — ზევსურის „ბედი ბატონ-უმობის უღელს არ უხეხია“ — ახალი ტიპის ბატონები გამოჩნდნენ: გზირი, ნაცვალი, მამასახლისი და ათასი ჭურის ჩინოვნიკი.

ნელი, მტიკვნიელი, თანდათანობით პროცესი ეროვნული თვითშეგნების არღვევისა — მთაში უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე ბარად, მაგრამ დაიწყო და არ შეჩერებულა. დროზე აღმოაჩინა ვაჟა-ფშაველას გენიამ ეს მომავლი-ნებელი მტამორაფოზა. ხალხს ძველი წეს-ჩვეულებანი არ ეთმობოდა; ახალს კი ვერ ეჩვეოდა, უძლური იყო რაიმე შეეცვალა, საკუთარი უძლურების შეცნობამ თუ შეგარქნებამ, მაინც შეცვალა მათი ცხოვრების წესი და გადარჩენისათვის აუცილებელი — შეგუების, შეჩვევის მრავალნაცადი ინსტიტუტი წამოატივ-ტოვა.

მიუხედავად ზევსურეთისა და ზევსურთა გადასხვაფერებისა, რომელიც ისტორიულმა ბედ-უკუღმართობამ გამოიწვია, არ ვიქნებით მარ-თაღნი თუ ყველა სიკეთეს, ყველა კეთილ ტარადიციას, გამორჩეულ წესობრივ მხარეს დაკარგულად და განადგურებულად ჩავთვლით. ერთს კი უნდა შევიტყოთ, ზევსურეთის პირ-ველსახის აღდგენა, იდეალური ახლის შექმნა შეუძლებელია და ახლა იმასდა უნდა მივხე-დეთ რისი გადარჩენაც მოსახერხებელია, რისი გადარჩენის ძალაც შეგვარება.

ყველამ კარგად ვიცით, რომ დუბჭირი ცხო-ვრება ზევსურს ძველადაც ჰქონდა, მაგრამ სი-ღარიბეს, მიწების სიმწირეს, ბუნების სიმკაც-რეს და მთაში გაუსაძლისობას — გასული სა-უყუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის და-საწყისში მიიქცია მაქსიმალური ყურადღება, აწუწუნდა, „ზევსურის შეინძრა“. (გაზეთი „ისარა“ — 1907 წ. № 87 ა-ლი).

დავჭერთ, რომ ზევსურებს ძველ დროში არ უძირდათ „თოვლიან-ყინულიან“ ზევსურეთ-ში ცხოვრება? დავჭერთ, რომ წინათ დაღზე-ნილი ცხოვრება ჰქონდათ და მტომ იღვწენ

მკვიდრად მამა-პაპათა ნაფუძვარზე? მაშ რა მო-ხდა მოგვიანებით, რატომ აწუწუნდა სვე-ბედ-ზე ზევსური, თვალი ბარისკენ რად დაიჭირა? მიზეზი ერთადერთი და უმთავრესი იყო: ზე-სურს წაერთვა წმინდათაწმინდა მოვალეობა — დაეცა საქართველოს საზღვარი, წაერთვა ის ფუნქცია, რომელსაც საუკუნეების მანძილ-ზე ერთნათლად ასრულებდა. ამ უწმინდესი მო-ვალეობის შესრულებისას, ძველად, ზევსურს არ ეცალა წუწუნისათვის, იგი ხმაღმემართუ-ლი იდგა მამულის საზღვრების დასაცავად. აი, ნაწყვიტი წერილიდან — („ზევსურის შეინძრა“ — 1907 წ.) „გვჭეროდა, რომ ზევსური თავს არ დაანებებს სალ კლდეებს, ბარის სი-მდიდრე ვერ გაიტაცებს და თოვლიან-ყინუ-ლიან ზევსურეთს არ მოშორდება. მაგრამ მო-ვტუფდით. ზევსური შეინძრა. იმის შიშით, უსაზღოოდ სული არ ამომძვრეს სალ კლდეთა შორის, ადგა და მთავრად დაუწყო მუდარა, ნება მომეცო ბარში დავინავედო. საოცარია, თან სამწუხარო და სავალალო ბედი ამ ერთი მუტა ხალხისა. უსხოვარ დროიდან ზევსურები შეპყდლებიან კავასიონის ქედს, არწივსავით გაუყეთებან ბუდეები მთაგრილის უბე-კალ-თებზე და აღარაქობენ ჩრდილოეთით საქართ-ველოს. მტერს, რომელიც კი გაჰმედავდა აქ-ეთ გადმოსვლას, სიცოცხლეს უმწარბედნენ... გავიონი არავის ჰქონდა გავიონი, რომ თავ-ზედა მტერი ოდენმე შეხეოდეს ამ უტუო-უყე-ული და მამაცი ხალხით დასახლებულ ქვეყანას. პირველად 1818 წ. გენერალი სიმონოვიჩი ზომ აიჭრა ზევსურეთს რუსის ჯარით ბატონიშვილ ალექსანდრეს დასაქვრად, ზევსურები სახტად დარჩნენ და კარგა ხანს ვერ გადაეწვივითათ — ვერსოლოთ თოფი ამ ეშმაკის კერძებს, თუ არაო“.

ციტირებული სტრიქონებიდან ნათლად ჩანს, რა დიდი მისია ჰქონდა დაკისრებული ზევსუ-რეთს, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოე-თის კარიბჭეს — ზევსურეთს — ერთ მუშტად შეკრულ აუღებელ ციხე-სიმაგრეს, — ხალხს, რომელმაც ზევსურეთში 1818 წელს ნახა უტუო ჯარი, იხიც ალექსანდრე ბატონიშვილს დადე-ნებული და დაიბნა: ვერსოლოთ თუ არაო. ეს არ იყო ზევსურთა უბრალო ორჭოფობა. ამ ორ-ჭოფობამ რაუყარა საფუძველი იმ სულიერ რევებს, შედეგებს, გვიან, ცხრასიან წლებში რომ იჩინა თავი და „ზევსურის შეინძრა“.

ზევსურთა მისია, მათი წმინდათაწმინდა მო-ვალეობა, უმთავრესი ფუნქცია შესანიშნავად ესმოდათ საქართველოს მეფეებს. „საქართვე-ლოს მეფენი სამაგიეროს უხდებდნენ ზევსურებს ხ ა რ ჯ ს არა სთხოვდნენ, უყვავებდნენ და სა-ზრდოს ბარიდან უგზავნიდნენ. ნებაყოფლობით ზევსური ერთ მოვალეობას პირნათლად ასრუ-ლებდა. ეს მოვალეობა იყო მტერთან ბრძოლა. შეატყობინებდნენ თუ არა, მტერი შემოსია ქვეყანას და გელითო, ზევსური იმ წუთში

ახსნამა ბმლო-აბჯარსა და შორეურობადა ბარისაკენ". სწორედ ამტომ იყო, რომ „საქართველოს მეფენი სამაგიეროს უბლიდენ ზევსურებს, ხარჯს არა სთხოვდენ, უყვავებდენ და საზრდოს ბარიდან უგზავნიდენ". ამ ერთ წინადადებაში უყვალაფერია ნათქვამი. ნათლად ჩანს, რომ ზევსურებს ძველადაც ეხმარებოდნენ, შეღავათს უწევდენ, ისინი კი, თავის მხრივ, უმთავრეს მოვალეობას პირუთვნელად ასრულებდენ, — იცავდენ აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრებს მომხვედურისგან და საჭიროებისას, ახეთი საქართველო კი ხშირი იყო. — ბარში აგზავნიდენ ლაშქარს.

მერე, როცა უკვე ზევსურს აღარ ევალეობდა იარაღით ხელში დაეცვა სამშობლო, როცა უმთავრესი ფუნქცია ისტორიულმა გარემოებამ მოულოდნელად წაართვა, ამდგრა და შეწყობდა მეომარი ხალხის სული. სიღუბნური და აუტანელი საცხოვრებელი პირობები, მოუსავლიანობით თუ სტიქიური უბედურობებით გამოწვეული მწუხარება ერთიანად თავს დაატყდა. წინათ, როცა თვითონვე იყო თავის უფროსი, უბატონო და თავისუფალი და მოლოდელ სამშობლოს დაცვა ევალეობდა, სიღუბნურზე, მიწის ხმწირზე და მოუსავლიანობაზე ნაკლებს ფიქრობდა. მოგვიანებით, როცა „სულიდებმა“ გზირებმა, მამასახლისებმა და ათასი ჯურის ჩინოვნიკებმა ხელყვეს ზევსურთა თავისუფლებას, ის მთავარი მოვალეობაც დაიკარგა, გაქრა, „ზევსურიც შეინძრა“. დიდ ხანს აღარ დაუყოვნებიათ; იმ პერიოდში გაჩნდა მთიელთა ახალდასახლებები ბარში, კერძოდ, შირაკში. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე არ მინდა ახლა უკრავდებოთ გავამახვილო. მინდა მხოლოდ ერთი რამ აღვნიშნო: მთის დაცარიელება, სახელდობრ, ზევსურეთის გაუცაცურება, თითქმის ერთი საუკუნის წინათ დაიწყო. ჩვენ ძალიან გვიან მივხვდით რა საკვალალო შედეგი გამოიღო მთიდან ხალხის ჩამოსახლების თანდათანობითმა და ტრაგიკულმა პროცესმა. ბზარი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის წინ გაჩნდა, თანდათან ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა. ბზარი უზარმაზარ ნაჭრილობებს ემზავსებოდა და უკვე აღარავის შეეძლო ქერის მარცვლებით დაეწომა წყულთი. უკვე აღარავის შეეძლო აუნაზღაურებელი დაწკაპისის ანაზღაურება. ბზარი, რომელიც ზევსურეთს გაუჩნდა, ჰერ ჰრილობად იქცა, მერე უფსკრულად, ეს უფსკრული მთანთავდა და აუცაცურება სოფლებს, ამ უფსკრულს გაუბრბოდა დიდ-პატარი. მიუხედავად ამ აუტანელი პროცესისა, ზევსურეთს ერთგული ზევსურები არ გამოლევიათ, მას მერე კი, როცა ხალხი მალაღმთიანი სოფლებიდან ძალით ჩამოსახლებს ბარში, როცა ამ ჩამოსახლებს „ზოგირთმა მედროვე ლიტერატურმა ლექსით უშლავა, ზევსურეთში მაინც დარჩა ხალხი, ყველაზე მამაცი, ყველაზე ერთგული, მაგრამ ძალიან ცო-

ტანი დარჩენენ. ნებაყოფლობითი, უანდლოანისობითი, ჩამოსახლება მაინც ვრძელდებოდა. უცაცურდებოდა სოფლები, პარტახდებოდა ძველისძველი კოშკები, უდაბურდებოდა მამაპაათა ძვალშესხალატი.

ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა ახალი თემა: მიტოვებული სოფელი, ნასახლარები, დაცარიელებული მთა და ა. შ. აღბათ რამდენიმე ტომის გამოცემა შეიძლება ამ თემაზე შექმნილ მხატვრულ ლიტერატურას რომ მოუყაროს თავი კაცმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თემაზე დაწერილი ლექსების უმრავლესობა თვითმწიწურად, ხარკის მოხდის მიზნით, ეგზოტიკური ემოციების წყალობით იწერება. ამ თემაზე დაწერილი ლექსების ავტორთა ერთი ნაწილი მაინც რომ დასახლებულიყო, დაშვიდრებულიყო ზევსურეთში და საქმით ეშველა მძიმე მდგომარეობისთვის, — რამდენიმე სოფელი მაინც გადაჩრებოდა გაუცაცურებას. სტიქიური ტიპული პოეზია და გაუთავებელი ლულულული არაფერს შველის მთას, ორ-სამკომლიან სოფლებს.

კომა არაბულისა და ავთანდილ არაბულის წინგნს სხვაგვარად ვრცელი ნარკვევი შეიძლება ვუწოდოთ. ამ წინგნს „მუყანა წისკვილები“ ჰქვია. ანოტაციაში ვკითხულობთ: „ნარკვევი ზევსურეთის მწარედმეტყველი გუშინდელი დღის ტკივლითა და მომავლის ნათელი იმედით არის დაწერილი. იგი ეხმარება იმ ეროვნული მნიშვნელობის პრობლემებს, რომელთა მთავარი მიზანია საქართველოს ძალადარტული მთის რეგონებისათვის ახალი სიცოცხლის შთაბერვა... ნარკვევის ავტორთა ოცნებაა „რომ საქართველოს არავის ქარი მწვერვალებისაკენ ეძახდეს ისევ...“

ნარკვევის ავტორებმა შენანიშნავად იციან მშობლიური კუთხის წარსული და აწმყო, ამიტომაც, მათი ნაწარვი არხებულ პრობლემებზე, სამომავლო გზებზე, ანგარიშგასაწერო და ფრიალ დაფულისხმობა. კომა და ავთანდილ არაბულებს არ დაუტოვებიათ თითქმის არც ერთი საკითხი ღრმად რომ არ შეესწავლათ და არ გაეანალიზებინათ. ცალკე თავი ეძღვნება ეკოლოგიურ პრობლემას — ამ სასიცოცხლო და სამწუხაროდ, უყურადღებოდ დატოვებულ ხაკითხს, რომლის მოგვარების გარეშეც ზევსურეთის აღორძინებაზე საუბარიც კი შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი მთავრობის ცნობილი დადაგინილება ფსევ-ზევსურეთის აღორძინებას ისახავს მიზნად. ყველა იმედის თვალით შეხუტრებს ამ დადაგინილებას, მის განხორციელებას, იმ უწყებათა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობას, ვინც ეს დადაგინილება ცხოვრებაში უნდა გაატაროს, ვინც კონკრეტულად უნდა შეასრულოს ნაქონის ვალდებულებაში, ვასაკრებელი კი ბევრია. ის, რაც საუკუნის მანძილზე ინგრებოდა და პარტახდებოდა, ერთი ხელის დაკვრით



ვერ აღადგენ. ბარში დიდი ზნის წინ ჩასახლებულ მთიელს ადვილად, დაუინტერესებლად უან ველარ ააბრუნებ. ბარელი მთიელი უკვე ბარელია და მხოლოდ წარმოსობითაა მთიელი. მხოლოდ ენთუზიაზმი ამ საქმეს ვერაფერს უშველის. უმთავრესი და უპირველესი ხელშეწყობა, დახმარება და შედავათია. აქ წარსულში ქართველი მეფეები ეხმარებოდნენ ხევსურებს, უბატონოდ აცხოვრებდნენ და სურსათსაც უგზავნიდნენ. დაცარიელებული ხევსურეთიც რაღაც მსგავსს მოიხიბვს ჩვენგანაც.

„1982 წლის ოქტომბერი მნიშვნელოვანი დღე იყო ხევსურეთის ცხოვრებაში. ამ კუთხეს ახდენი სტუმარი კარგა ხანია არ ენახა. ხევსურეთს ეწვივნენ მეცნიერებისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, დელეგაციები სხვადასხვა რაიონებიდან... იმ დღეს კიდევ ერთ ქართულ დღესასწაულს—შატლიძობას—ჩაუტარა საფუძველი. მაგარამ ზეითი ზეითად... არსებითი მაინც ის იყო რომ იმ დღეს ხევსურეთში საქმიანი განწყობილება სუფევდა. დაიხსნა გზები ხევსურეთის აღორძინების იდიის განხორციელებისათვის“. ამ სიტყვებით იწყება კობა და ავთანდილ არაბულეების „მევიანა წისკვილები“. იმედია იწყება და იმედის საბაბიც გააჩნიათ.

თუ ამ წიგნში გამოქვეყნებულ აღწერების ცხრილს გადავხედავთ, რომელიც ავტორებს თ. ონიანურის ცნობილი წიგნიდან „ხევსურეთი და ხევსურები“ გადაუბეჭდავთ, დარდისა და სასწაურობების მიზეზიც აშკარა გახდება. „რომ შევაჯამოთ: ამ ცხრილში დასახლებული 25 სოფლის მოსახლეობა 1878 წელს 830 კომლს შეადგენდა, 1928 წელს 415 მეომურია ჩანს, ხოლო 1960 წლისათვის ოჯახების რაოდენობა 284-მდე დავიდა. რამდენიმე სოფელი კი მთლიანად დაცარიელდა“.

ერთი საუკუნის მანძილზე ხევსურეთის ოცდობის სოფლიდან ოთხსამდე კომლი გაქრა, მშობელ მთებს მოაქლდა, ბარს მიემატა.

ახლა, ყველას გვმართებს იმაზე დაფიქრება რა გზებით, როგორ, რაინაირად აღორძინდეს ხევსურეთი? რა ხელისშემშლელი პირობები არსებობს დღესდღეობით? რა უნდა ვიღონოთ ამ უძველესი კუთხის გადასარჩენად?

ისევ მივუბრუნდეთ ეკოლოგიის საკითხებს. ისევ წიგნის ავტორებს მოვუსმინოთ: „ხევსურებს განგებით ნაბოძარი ბუნებრივი რესურსები გონივრული მოხმარების, ეკონომიური ხარჯვის შესაშური წესები ჩამოუყალიბებიათ. ბუნების მოფრთხილება მიზნად ისახავდა სახნავი და ხაითი ფართობების წელშუა დასველება-გაუაშორების ტრადიციასაც, საქოვრების გამოწოდებას ცვლას, სახატო ტყეთა კორუმების ხელშეწყობადაც გამოცხადებას, ნადირის ერთჯერადი კვლისათვის მკაცრი, რწმენაში

გადაზრდილი, საზღვრის დაღებაც“ (ს. 100)

აღაშინათა დაუდევრობას, ტყეების უაზრო ჩეხვას, ნადირ-ფრინველის უანგარიშო ხოცვანულეტვას რა სავალალო შედეგები მოჰყვასაკოვრულთაოდაა ცნობილი. გვიან, ძალიან გვიან დავიწყეთ ეკოლოგიაზე საუბარი. შეფუთობა მხოლოდ მაშინ გამოითქვა, როცა გაჩნდა ტყეები გაუდაბნოვდა, როცა დაშრა და დაიკარგა წყაროები, მდინარეები, როცა გაჩნდა წითელი წიგნი, მდინარეებში გაქრნენ თევზები, როცა ერთი აკოვრულიურად ნთქავს ყველასათვის ესოდენ საჭირო საგარეულებს. „მევიანა წისკვილები“ ავტორები გულისტკივლით წერენ: „ვაიმონადირენი“ რქების გულისათვის უმოწყალოდ ავლდებენ მუსრს მთების მშვენიერებას— „წითელი წიგნი“ დაცულ ნადირს. ცნობილია, რომ ამ საქმეში ვერტმურების გამოყენებასაც კი არ ერიდებიან... ეს ბოროტება პირდაპირობით განთქმულ არხობიონთა და სხვათა თვალწინ ხდება და რაიონშიც არ გამოუჩნდა პატრონი, ამ დიდ დანაშაულს რომ ბოლო მოეღებოდა“.

როგორ გგონიათ, ვერტმურებით ვინ ნადირობენ? უბრალო მოკვდავნი თუ პრივილეგირებული მოქალაქენი, ისინი, ვისაც ვერაფერს უბედავენ?!, არა, ამ საკითხს სხვაგვარი უნდადღებოდა ესპირობა. პიროვნება, რომელიც უფლებამოსილია დანაშაული ჩაიდინოს და პასუხი არ აგოს, რა ზეგავლენას ახდენს მთის მკვიდრთა რწმენაზე?! რაიონის ხელმძღვანელობის პირდაპირი ვალია ამგვარ უფლებამოსილ მონადირეთა აღაგმვა და მათი დანაშაულის გამოაშკარავება. კანონი ყველასათვის კანონია. მავანნი და მავანნი საუფლებადულოდ რაივნე თავიანთ კომფორტაბელურ ბინებს რქებითა და ტყაებით, იმავე რქებით სვამენ სამშობლოს სადღეგრძელოს, თუმცა საკუთარი კეთილდღეობის გარდა არაფერი აწუხებთ.

„როცა ადგილობრივმა მოსახლეობამ უპატრონოდ დატოვა მასზე მინდობილი, მის მზრუნველ ხელს მინდობილი ბუნება, მთებისადმი რაციონალური დამოკიდებულება პრაქტიკისტულმა, ხარბმა, სადღეისო დამოკიდებულებამ შეცვალა. როგორც ცნობილია, ნი-იანი წლებიდან, ხევსურების გეგმიური გადასახლების დროიდან, ხევსურების მთები კახეთის მეურნეობებს გადაეცა საქოვრებად და მთის ფერდობები აურაცხელმა ცხვრის ფარებმა დაიკავა... ცხვრის ფეხმა მთებში ძირი ამოუგდო შურთხების, როქო-კახებისა და სხვა ფრინველთა საბუდარებს, გადააშენა ისინი, შეავიწროვა და დაასწავნა ჯიხვები, მოსწო შავი მოციხისა და მთის სხვა სამკურნალო ხილკენების ბუნქარები და მთისთვის ისეთ ფესვმაგარ მცენარეებსაც კი დაუძრა ძირი, რომელიც დეკა“.

ნურავის ეგონება, თითქოს, წიგნის ავტორ-



რები ცხრის გაწყვეტა-განადგურებას ქადაგებდნენ. არა. ისინი მოსალოდნელ საშორო-ენაზე მივითითებენ და გვაფრთხილებენ — რა შედეგი შეიძლება მოაქვს ცხრის ფარების განუსაზღვრელ ზრდას მთაში და მთის ფერდობების მხოლოდ საძოვრებად გამოყენებას. არასახარბიელო შედეგი კი უკვე სახეზეა. ერთიან თანდათან იკლებს უფს სხვისურეთ-შიც. ნარკვევის ავტორებმა უაზრებელს რაიონის მაგალითს იხსენებენ: „უაზრებელს ბუნება დღეს მკაცრი კონტრასტულობით, ხრიოკიანობით, ხრამ-ქარაფიანობით გამოირჩევა. მაგრამ ისტორიულად სულაც არ ყოფილა ასე. მოხუცები დღესაც მივითითებენ წარსულში სავერდოვან თუ ტყეებთან ფერდობებზე, ხადანაც ახლა მხოლოდ ნაღვლიანი ფრიალოები და ქვიშაინი ხრამები შემოგაყურებენ... აი, სადამდე შეიძლება მივყავანოს საღი აზრის ინდიფერენტობაზე ნამდვილად მტკივნეული საკითხების მიმართ...“ „ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, პრინციპული, სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება, ამ საკითხებთან სუბიექტური და ვიროსურებივი დამოკიდებულება დანაშაულია“.

ნარკვევის ავტორებმა მშვენივრად იცინა, რა უჭირდა სხვისურეთს წარსულში და რა უჭირს დღეს. ბუნებრივია, ამ მაღალმთიან მხარეს, — იქ შემორჩენილ ერთ მუჭა მოსახლეობას ექიმის თვალი და უურადლებაც სჭირდება, ადრე სად იყო ექიმი სხვისურეთში, ან ახლა რას შველის მიყრდებული სოფლის მკვიდრებს ბარსახოს საყადმყოფო; სანამ იქ ჩააღწევს შეიძლება სულიც განუტეონ. ისევ და ისევ მრავალნაკად ხალხურ მელიციანის მიმართავენ. „ხევსურმა ბავშვებმაც კი იცოდნენ სამკურნალო ბალახები: გველის ნი, შალის ძირი, ცხენის ტერფა, ხონსოტა, ცხრაძარღვა, წყლულის ბალახი, ფაფანავა, მელის კულა, წითელა ბალახა, საშურა“ და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვადასხვა ჭიშის ბალახბულახი.

აქამდე არ ვიცოდი და მე პირდაპირ შემძრა, გამოცა იმ ინფორმაციამ, რომელიც კობა და აუთანდილ არაბულებს ნ. მინდაძის წიგნიდან ამოუწერიათ. „საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენს დროში ტრეპანაცია დადასტურებულია ხევსურეთის ცოცხალ ყოფაში, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ეს ოპერაცია შევისწავლოთ, როგორც ეთნოგრაფულ, ისე ისტორიულ კრილიში“. ვანსაც ვიფრებელია ფაქტები წიგნის ავტორები რომ გვაცნობენ. „მგელია დიპოკელს სადასტაქრო პრაქტიკაში 440 ოპერაცია გაუკეთებია, რომლის 98 პროცენტს მშვიდობიანად დასრულებულა“. ალექს ოჩიაურს „თავის სიცოცხლეში მოუჩინია 850 ჰრილობიანი ავადმყოფი, მათ შორის 150-ისთვის გაუკეთებია თავის ქალის ტრეპანაცია, აქედან მხოლოდ 8 მძიმე ავადმყოფი მოკვდომია“.

ღმერთმანი, ასეთი წარმატებები ნარკვევის სიონალ ქირურგებსაც შეუძლებიათ. „ხევსური დასტაქრები თვითნაკთ იარაღებსა და წამლებს ხმარობდნენ, მაღამოებს თვითონ ამზადებდნენ თაფლის სანთლისა და დინდგელისაგან, ძვლის ტვინისა და ნადირის ქონისაგან, თაფლისა და კვერცხის ცილისაგან“. ვასაგებია წიგნის ავტორთა გულისტკივილი, ვიდრე უკვლავად არ გამქრალა საყურების მანძილზე ნაგროვები სამედიცინო ცოდნა, ვიდრე ჭერ კიდევ არიან სამკურნალო ბალახთა-მცოდნენი, უნდა ვიჩქაროთ და ვისწავლოთ რათა საშუალოდ არ დავკარგოთ ღვითთ ბოძებულ სიეთი.

ვის შეუძლია გვიანახლოს რა ცოდნა დაეკარგეთ? არავის ის რაც შემთხვევით გადარჩა, იმას მიანიც ნუ მივცემთ დავიწყებას.

როცა თავის ტრეპანაციაზე ვხაუბრობდით, ისევ ვაე-ფშაველა გამახხენდა მისი საყოველთაოდ ცნობილი წერილი — „ხევსურის თავი“: „უველა ადამიანის თავს, როგორც მთელს მის სხეულს, ერთ დროს, ადრე თუ გვიან, სამარე მოელის; მაგრამ არა მგონია, დედაშიწამ მთელ თავის მცხოვრებთა შორის, ვინც კი იმის ზურგზე ჰქიდა, რა ტომისაც უნდა იყოს ის ადამიანი, თუნდაც ველური, ნახოს ისეთი თავის პატრონი, როგორც ხევსური მიცვლებულია. საფლავში არც ერთი ტომის მამაკაცი არ ჩაიყოლებს ისეთ, როგორც ხევსური, გადაკორტნილს თავს. ვინ დაქრა; ვინ დაუყვა მისი თავი? რამ გადაკორტნა? ისევ მის თანამომის, ხევსურის ხმალმა და ხანჯალმა“.

„ზოგიერთა ხევსურის თავზე მე დამითვლია 50 ნაჭრები, ზოგი მსუბუქი, მაგრამ ზოგიც ისეთი, შიგ ცერი ჩაქდებოდა“. ამ თანაწერიანაც ჩანს რამხელა პრაქტიკის საშუალება ჰქონდათ ხევსურ დასტაქრებს. კიდევ ერთი ქვეტექსტიც ჩანს ციტირებული ახსავიდან, თუ წინათ მტერთან ბრძოლებში იტრებოდნენ მამაცი მეომრები, შემდგომში, „უშტრო“ ქვეყანაში ერთმანეთს ღარევიან.

ახლა ისევ აწმუს დავუბრუნდეთ, ყური მივუგდეთ იმ სამართლიან გულისტკივილს „მეივანა წიქვილების“ ფურცლებზე რომ აღბეჭდილია. „ხევსურეთი რამდენიმე წლის წინ ცოცხალი ეთნოგრაფიული მუზეუმი იყო ახლა იგი გაქრალდა, გაპარტახებული „მუზეუმ-ყოფილია“. საღა არის ის განთქმული დავით-ფერულები, ის ხმლები — „ხევსურეთის ნაქედი...“ „საღა არის ის საყურ-ბეჭდები, მანდილ-ქაობები, კიდობან-ტაგრუცი? საღ არის ის ვერცხლიანი და პირკამლიანი სიათები, ან რქის მშვილდები და ორბისობიანი ისრები? საღ არის ის ჩაჩქნები, ის საჩერნეები, ის ფარები, საღ არის ის ჭაჭეები?“. „

სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილი ნივთების თუ ხანების დიდი ნაწილი, ხელდასრულების



ძვირფასი ნიშნები, ცალკეულმა კოლექციონერებმა დაიტაცეს. ხევსურეთი კი, არა მარტო ხალხისგან, ხელოვნების ამ შესანიშნავი ნიმუშებისაგანაც დაცარიელდა. ამიტომაც, ყველამ, ვისაც ევალება, სასწრაფოდ მხარი უნდა დაუჭიროს წიგნის ავტორთა სამართლიან მოთხოვნას: დაარსდეს ხევსურეთში, თუნდაც შატლიის კოშკებში ისტორიულ-მონოგრაფიული მუზეუმი. ეს დიდი და საშური საქმე დროულ შესრულებას მოითხოვს. უნდა ვიჭაროთ, „ვიდრე ყველაფერი არაუფინის ნიხლში არ დანთქმულა“.

ჩვენ ვიცით, შედარებით მჭიდროდ დასახლებული, ღონიერი, ხალხმრავალი მთის კუთხეები. სამაგალითოდ გავიხსენოთ, იმავე დღე-შეთის რაიონში შემავალი, მთიულეთი. რა არის მიზეზი რომ მთიულეთიდან ხალხი ნაკლებად გარბის და სოფლებს დაცარიელებისა ნაკლებად ეშინიათ? პასუხი მარტივია და ერთადერთი: გზა. გზაა უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მთიულეთის გადარჩენისა. ხევსურეთში როგორღა გზების საქმე? პირდაპირ უნდა ითქვას: ცუდად. გზა კი მიდის შატლიამდე, მაგრამ ამ გზაზე რევოლუციური ტრანსპორტი არ მოძრაობს. დანარჩენი სოფლები, რომელთა უმრავლესობა ამ გზას მოწყვეტილი არიან, იმათ რა მქნან, რა ილონონ? უგზოობაა სოფლების დაცარიელებისა და გაპარტახების უპირველესი მიზეზი. მე არ დავწყებ იმის ახსნა-განმარტებას თუ რა შედეგები მოსდევს უგზოობას და რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული; მითუმეტეს დღეს, როცა მეოცე საუკუნე ფინიშს უახლოვდება. „ხალხი გზას მიჰყვება, უწინ კიდევ შეიძლება, ახლა კი ისეთი დროა, უგზოდ ვერ იცხოვრებ. მიბარუნებულ არხოტივნებს თუ გზა არ მიუვა, მალევე მოუწყვთ წამოხვლა“. ასეთია ხევსურთა აზრი. ახლა ისევ „მუივანა წისქვილები“ გადაფურცდლოთ. „შარშანწინ ბარისახოში საგზაო უბანი გახსნეს, რამაც დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის დასაქმებას; ოდდათამდე კაცია ამ საქმეში ჩაბმული: გზის უფროსია ბენჯია გოგოჭური, მთავარი ინჟინერი — მინდია ჭინჭარაული“, და მრავალი სხვა. „მაგრამ რა ხდება? საგზაო უბანი დიხსაც რომ არსებობს, მაგრამ გზა მაინც არ არის საქმე ის გახლავთ, რომ საგზაო-ხაქსპლოატაციო უბანს ტექნიკა არ გააჩნია,

არც ერთი ახალი ტრაქტორი და გრეიდერი არა მყავთ. რაცა მყავთ, ისიც ძველია და ხანსად არის გახიდული და ხანსად! მერედა რა ძნელი გზები შემოდის ამ უბნის მარტოველობის ხეფროში — —თოქმის მთელი ფშავისა და ხევსურეთის ურთულესი გზები“.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, — არსებობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1988 წლის 20 იანვრის დადგენილება, რომელშიც „ყველაფერი მშვენიერად, დიდი საქმის ცოდნითა და მონდომებით არის ასახული, მიცემულია დავალებები ყველა კერძო ორგანიზაციის მიმართ და განსაზღვრულია მათი შესრულების ვადები“, მაგრამ ცალკეული უწყებანი და ორგანიზაციები, ვისაც ამ დადგენილების შესრულება ევალებათ ზოონით მკიდებენ ხელს მინდობილ საქმეს.

ზოგიერთი ორგანიზაცია, რატომღაც, გადაეჩვია ზვალინდელ დღეზე ფაქტს. მხოლოდ მუხიერ მოგებაზე უჭირავთ თვალი. რა თქმა უნდა, მომგებიანობა, ყარათიანობა დიდი ფაქტორია, მაგრამ ალბათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია მორალურ-პატრიოტული მხარე წამოწყებული საქმისა. ერთნული მოვალეობის გრძობა ასე არ უნდა დაურღუნდეს ზოგიერთი უწყებისა და ორგანიზაციის ცალკეულ წარმომადგენელს. ხევსურეთის აღორძინება ხომ საერთო, სახალხო, ერთნული საქმეა. შიდა საავტომობილო გზების მშენებლობა, ცალკეული ობიექტების მშენებლობა, რაც დღესდღეობით წამგებანია, უახლოეს მომავალში დიდ შემოსავალს მისცემს ქვეყანას, შემოსავალთან ერთად სინამდვილედ იქცევა ნაოცნებარი და საქართველოს უძველესი კუთხე კვლავ აღორძინდება. თუმცა ყველაფერს წინასწარი დაფიქრება სჭირდება. ხეტყის სახერხის აგება არ უნდა დაიგეგმოს უტყეო ზონებში. როგორც რომა და გიორგიწინდა.

მე არავითარი მორალური უფლება არ მაქვს წიგნში მოტანილ ფაქტებს არ დავეყრდნო და იმპერვე დავაყენო ეს ფაქტები. წიგნის ავტორები არც იმაზე ზუგავენ თვალს, რაც ამ ხნის მანძილზე გაკეთდა ხევსურეთში. ზოგიერთი რამ მართლაც გაკეთდა და უმადურება იქნებოდა, რომ არ აღნიშნათ. აღნიშნეს კიდევ. მაგრამ უკრადლება ნაკლოვანებებზე უფ-

გივი პლახიუშვილი

„სამშრომლო ხემსურისა“

რო გაამახვილეს, იმ იმედით, რომ საერთო საქმეს რაღაც ეშველება. არსებული დადგენილების შესრულებას მათი გულისტკივილი რაიმეში წაადგება.

რას თხოულობენ ხევსურები? მოკლედ ვუპასუხებ: დადგენილების დროულად ვადებში შესრულებას. კიდევ რას? გზებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, აფთიაქს ბარისახოში, დაგეგმილ საწარმოთა აშენებას. ჩემი მხრივ ერთ რამესაც დავამატებ: მატერიალური წახალისება და დაინტერესება სპირაღება ურთულეს პირობებში მცხოვრებ ხალხს და ანა ზოგიერთი დამამზადებლის ქორვაჭრული და თვალთმაქციური დამოკიდებულება, პირადი გამორჩენის მიზნით რომ ხელყოფენ უოველივე წმინდას და სახალხოს.

ეს წიგნი მრავალ საფიქრალს გაუჩინებს მკითხველს. კარგია ამ წიგნს ისინიც თუ წაიკითხავენ. ვისაც მთავრობის დადგენილების შესრულება ევალებათ. მაგრამ ერთი შეყარო სიმართლე მაინც უნდა ვიცოდეთ: ვერავითარი წიგნები, ამ წიგნთა საჭარო განხილვები, სქაბაანი და კამათი ვერ უშველის დადგენილების შესრულებას, თუ დროზე არ მოჰკიდებს ხელი საქმეს შესაბამისმა უწყება-დაწესებულებებმა. ამისათვის კი საჭიროა დადგენილების შესრულებაზე შეყარო კონტროლი დაწესდეს.

P. S. საყარო დრო გავიდა კობა და მათხნდოლ არაბულების საინტერესო წიგნის „შყარა წიკვილების“ გამოცემიდან. შეყარო სიმართლე და მომავლის რწმენა, რითაც ეს წიგნია გაედენითლი. ისევ ვავხედებს მთისკენ, ფშავ-ხევსურეთისკენ, ისევ დავავაფიქრებს მრავალ პრობლემაზე.

ახლახან ჩატარებულ სახალხო დღენასწაულზე „შატილობა“ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ის, რაც უკვე გაკეთდა ხევსურეთში და ის, რაც დღემდე ელის შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციების ურადებას. მამულიშვილურ მზრუნველობას. გაკეთებული კი მართლაც ბევრია, გასაკეთებელი კი უფრო მეტი.

როგორც იცით მალე ფშავ-ხევსურეთში დაიწყება რკინიგზის მშენებლობა. ამ მეტად დიდსა და მნიშვნელოვან მოვლენას სრულიად მომზადებულნი უნდა შევხვდეთ. წინასწარი სამუშაოები უნდა ჩაატარონ არქეოლოგებმა და გეოლოგებმა. ბევრი რამ უნდა ვაითვალისწინოთ. რკინიგზა მთლიანად შეცვლის ამ კუთხეს, გადაახვავფერებს. გზას, სიკეთესთან ერთად, მრავალი საჭირობოროტო და დამაფიქრებელი პრობლემა შემოჰყვება.

ჩვენი მზადყოფნა, მომავალზე დაფიქრება გადაუდებელია და აუცილებელი.





გვიწი: ლოპხანიძე

არჩილ ჭორჭავაძე — ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური უხედაულუბების გეგმვა

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი დაედო მხოლოდ მეოცე საუკუნის დამდეგიდან და უაღრესად მისასაღმებელი პირველი ამგვარი ცდა დაკავშირებულია ცნობილი მოაზროვნისა და პუბლიცისტის არჩილ ჭორჭავაძის სახელთან.

არჩილ ჭორჭავაძემ 1901 წელს დაწერა ერთ-ერთი საყურადღებო გამოკვლევა: „პუბლიცისტი — ილია ჭავჭავაძე“. რომელიც შემდეგ თავის თხზულებათა პირველი გამოცემის მეორე ტომში შეიტანა. მართალია, არც ეს გამოკვლევაა ისეთი მონოგრაფია, რომ სრულ სურათს იძლეოდეს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობის ყველა ასპექტსა და მათ მნიშვნელობაზე. მაგრამ მასში მოხაზონი მეცნიერული მიდგომით არის შესწავლილი ავტორის მიერ კვლევის ობიექტად გამხდარი საკითხები (სხვაგვარი პრეტენზია არც თვითონ ამ ნაშრომს არ შეეძლება).

თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, თუ რა მიზნით და რა ვითარებაში მოუხდა არჩილ ჭორჭავაძეს თავისი ამ გამოკვლევის დაწერა და რა სიტუაცია იყო მაშინ შექმნილი დიდი მწეხლის გარშემო. იმ დროისათვის ჩვენს მოღვაწეთა შორის აშკარად შეინიშნებოდა აწითა სხვადასხვაობა და მწვავე კრიტიკული საქართველოს მომავალი სოციალურ-პოლიტიკური სახის შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ გახული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან კრიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ობიექტად იქცა ილია ჭავჭავაძე და მისი სოციალურ-პოლიტიკური ნაწარმოები. და ეს არ უფიქრა შემთხვევითი. მთელი ოცდაათი წლის მანძილზე ილიას მტკიცედ ეჭირა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა; მისი სიტყვა და საქმე უპირველესი ორიენტირი იყო მშობელი ერისათვის. ამიტომ უვლია, ვისაც განსხვავებული სოციალური და ეროვნული იდეალები უჩნდებოდა.

ახალი ეპოქისა და ახალი ვითარების ზეგავლენის წყალობით, თავისი კრეატივით ჩამოყალიბებასა და განმარტებას იწყებდა ანლოგური საკითხებზე ილიას მიერ უკვე წამოყენებულ შეხედულებებთან მიმართების გარკვევით.

თვით არჩილ ჭორჭავაძესაც, რომელიც თავის თავს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მიერ დაწეული საქმის გამგრძელებელი თვლიდა, რაც საკითხებში კორექტივი შეტანდა მათ შეხედულებებში. მაგრამ, განსხვავებით ბევრისაგან, იგი არ ლაღატობდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმის კემარტივ ისტორიულ თვალსაზრისს და უკვლევებს ხაზს უსვამდა მის დიდ დამსახურებას პროგრესულ დემოკრატიული იდეების განვითარებისა და დამკვიდრების საქმეში.

არჩ. ჭორჭავაძე თავიდანვე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მას არა აქვს პრეტენზია სრულად და უკვლევებრივ განიხილოს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა; თვითონ არჩილ ჭორჭავაძემ 1911 წელს თავის ამ ნაშრომს, როცა იგი თხზულებების მეორე ტომში შეიტანა, ასეთი შენიშვნა დაურთო: „ეს წერილი, 1901 წელში დაწერილი, არ გვადიებს სრულ სურათს ილ. ჭავჭავაძის პუბლიცისტური მოღვაწეობისას. აქ არ არის აღნიშნული არც „საქართველოს მოამბის“ დაარსების ხანა, არც უკანასკნელი პერიოდი ჭავჭავაძის მოღვაწეობისა. ხოლო რადგან ის, რაც არის ამ წერილში, ერთგვარ სინათლეს ჰქვანს წარსული საუკუნის ერთ-ერთ საყურადღებო ხანას, ამიტომ ვათავსებ ამ წერილს ჩემს თხზულებათა მეორე ტომში, სადაც შევავსებ მასალები ქართველი ინტელიგენციის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“. ამ უკანასკნელის შესწავლა მას მხოლოდ გარკვეული კუთხით აინტერესებს. კერძოდ, სურს წარმოაჩინოს ილია ჭავჭავაძე როგორც ეროვნული პუბლიცისტი; მისი მსოფლმხედველობის თავისებურება; მოღვაწეობის პირველ პერიოდში (ორსმოციანი წლების ჩათვლით), გარ-

კვება იმისა, „თუ რას ემსახურებოდა ჩვენი მწერალი, რასა სცემდა იგი თავყვანს, რაში იყო მისი ძალა და რაში — სისუსტე“. სურს აჩვენოს, აგრეთვე, თუ რომელ მიმართულებასა და ხანაკს ეკუთვნოდა იგი: კონსერვატორი იყო, ლიბერალი თუ დემოკრატი.

არჩ. ჯორჯაძე კიდევ უფრო კონკრეტულად მიუთითებს თავის ძირითად მიზანზე და გარკვევით ამბობს, რომ პასუხს ვაცემს ორ კითხვას: „რა ნიორი, რა თვისებისა იყო ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოძღვრება? რა მიმართულებას ადგა ის საზოგადოებრივი და ეკონომიური კითხვების განმარტებაში?“

ამ მიზნის მისაღწევად, როგორც თვითვე მიუთითებს, იგი უპირველეს აუცილებლობად მიიჩნევს იმ ეპოქის ხასიათის გარკვევას, რომელშიც მომწიფდა და ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა.

„მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი რომ დადგა, — წერს არჩ. ჯორჯაძე, — ჩვენ სრულებით მოუშვადებელნი ვიყავით შოქალაქობრივი ცხოვრების ეროვნულ ნიადაგზედ გადმონერგვისათვის. აუცილებლად საჭირო იყო ზაგვეგო, შეგვეწიხ თუ არა ღონე ახალი ცხოვრებისათვის. საქირო იყო იმისი ცოდნა, რომ ეს ახალი ცხოვრების დგნა ახ შთანთქავს ჩვენს პიროვნებას, რომ ჩვენ გავუმარგდებით გარემოებათა ცვლილებას და რომ ხალხს აქვს თავისი მომავალი“.

არჩილ ჯორჯაძის ეს შეხედულება იმდროინდელი ქართული სინამდვილის ობიექტურ სურათს გამოხატავს და მართებულად არის გამხავილებული ყურადღება იმ გარემოებაზეც, რომ მაშინ გადაუდებელ პრობლემად იდგა ეროვნული თვითშეგნების გადაცემა და უკეთესი მერმისის რწმენის დანერგვა ჩვენი ხალხის რაც შეიძლება ფართო მასებში.

სწორად არის შენიშნული ის გარემოებაც, რომ ამისათვის საჭირო იყო ხალხს, უპირველეს ყოვლისა, შეეგნო ორი რამ: ბატონყმობის მოსაობისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების აუცილებლობა.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით ილია ჭავჭავაძე სწორედ ის მწერალი იყო, რომელსაც ეს გარემოება კარგად ჰქონდა გათვალისწინებული და აქედან გამომდინარე ხელმძღვანელობდა თავის შემოქმედებით და პრაქტიკულ მოღვაწეობაში. იგი სწორად შენიშნავს, რომ, მართალია, ილია ჭავჭავაძე უშიჯატესობას აძლევდა ეროვნული საკითხის გაცეხასა და განმარტებას, მაგრამ ეროვნული და ეკონომიკური ცხოვრების ურთიერთკავშირი მას შეგნებული ჰქონდა; „იგი იყო ბატონყმობის წინააღმდეგი და მის ეროვნებაში მონობისაგან განათვისუფლებული კაცი იგულისხმებოდა“.

ხავხებით მართებულად შენიშნავს არჩილ

ჯორჯაძე, როცა ამბობს, რომ „შეძლებდა დავეთანხმეთ ილია ჭავჭავაძეს ჩვენი ცხოვრების ეკონომიური პროცესის ახსნაში, შეიძლება არ დაგვამაყოფილოს ამ მწერლის ეკონომიურმა მოძღვრებამ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმ აზრისა, ვითომ ილია ჭავჭავაძე „უშიანახსო“ ეროვნებას ჰქადაგებდა, ვითომ მას არა ჰქონდა გათვალისწინებული ის უზრალა აზრი, რომ კულტურა და ხალხის მატერიალური მდგომარეობა ვიწროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული“.

თავისი ამ მართებული შეხედულების განხამტკიცებლად არჩილ ჯორჯაძეს შეეძლო მითითებინა ილია ჭავჭავაძის სტატიულ „საქართველოს მოამბეზედ“, რომელშიც, პირველად ქართულ სინამდვილეში, დიალექტიკური ლოგიკით არის ნაჩვენები ხაზისიხა და ზედნაშენის ურთიერთობა, რომელიც აღარავითარ ეტყვს ანარტოვებს ამ მიმართულებით, მაგრამ, მაშწუხაროდ, ამ შესაბამელობას იგი ხელიდან უშვებს.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ არჩილ ჯორჯაძის არც ეს მიანიჩა საქამათოდ (ამით იგი შკაცრად დასცინის ილიას ვაი-კრიტიკოსებს) და არც ის გარემოება, რომ ახალი ეპოქა მოითხოვს ილიას ეროვნულ კონცეფციას ამჭრად ხაფუძვლად დაედოს ახალი ეკონომიკური თვალსაზრისი. მას თავის წმინდა მოვალეობად შიჩინა განაცხადოს, რომ ილიას შეგნებული ჰქონდა ის უცილობელი კავშირი, რომელიც არსებობდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ (ეროვნულ) პრობლემათა შორის ჩვენს სინამდვილეში. მაგრამ, ამვე მოვალეობის შეგნებიდან გამომდინარე, იგი საჭიროდ თვლის მიუთითოს იმაზეც, რომ ილიას ეკონომიკური პროგრამა აღარ აქმაყოფილებს. ამიტომ, — შენიშნავს ის, — ჩვენ ჯესურს „იის ეროვნულ პროგრამას სხვა ეკონომიური, ჩვენი დროის შესაფერი, საფუძველი დავუდეთ და ამ სახით განვმარტოთ ის გზა, რა გზითაც გვესაჭიროება სიარული“.

ამგვარად, არჩილ ჯორჯაძემ პირველად სწორედ ამ სტატიოში ჩამოყალიბა თავისი ეროვნული და ეკონომიკური პროგრამები. გარკვევით მიუთითა, რომ თავის მომავალ თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში იგი იხელმძღვანელებს ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამით, მაგრამ მას ხაფუძვლად დაუდებს განსხვავებულ, ახალი ეპოქის შესაფერ ეკონომიკურ პროგრამას.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური სიზოლო, — ამბობს არჩ. ჯორჯაძე, — ქართული ეროვნული ცხოვრების აღორძინების აუცილებლობაა. ამასთან, ილიას მიანიჩა, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრამ გახაკეთებელი 70-იანი წლებისთვისაც კი უფრო მეტიც, მას საუალაოდ



შიაჩნია ამ პოლიტიკური სიმბოლოს იმდროინდელი სურათი.

ნათქვამის ნათელსაყოფად არჩ. ჯორჯაძე იმორჩმებს ილიას სიტყვებს სტატიიდან „ზოგიერთი ხაზი“, რომელიც გაზეთ „დროების“ 1876 წლის 27-ე ნომერში დაიბეჭდა. ილია წერს: „ხად არის ქართველი და ქართველობა?.. აჩქარებული კაცი... ადვილად გვიმასუსხებს და გვეტყვის: ბრმანი უყოფლხართო... ქართველები არ არიან, მათ რა არიანო? არიან თავდაზნაურნი, მღვდელნი, ვაჟარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი — ყველანი არიან, ქართველი კი არხად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს თავადი, გლეხს ორივე. ნუთუ ესენი ქართველები არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილინი? თავადის აზრია სათავადო, აზნაურისა — სააზნაურო, გლეხისა — საგლეხო, ვაჟარისა — სავაჟრო, ნუ თუ ესენი ქართველინი არიან, ერთს თესლზე აღმოსუენი?“

არჩილ ჯორჯაძე, ფფქრობთ, მართებულად ასკვნის, რომ „ამ სიტყვებში პოლიტიკური ერთიანობის დარღვევის აზრი აქვს ავტორს გატარებული და არა ეკონომიურ განხეთქილებაზედ აღმოცენებული ქართველობის განთავითობა“ (ზაზი ჩვენსა — ნ. ლ.).

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით ილია და არჩილ ჯორჯაძეც ამ სიტყვებით არ აღიქვამდნენ იმ გათიშვასა და წინააღმდეგობას, რომელსაც სოციალური უთანასწორობა და დიფერენციაცია ქმნიდა, მაგრამ არჩ. ჯორჯაძე წერდა შენიშვნას, რომ „ამ შემთხვევაში, ილიას მხედველობაში აქვს პოლიტიკური ერთიანობის დარღვევა. იმ ძარღვის გაწყვეტა, რომელიც, სოციალური განსხვავების მიუხედავად, უნდა აერთიანებდეთ მათ.“

არჩ. ჯორჯაძის თქმით, „გაერთიანებული პიროვნების დარღვევის“ მაჩვენებელი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, არის პატრიოტული გრძნობის დაკარგვა, ეროვნული თვითშეგნების დამდაბლება, „საერთო ძარღვის“ უქონლობა. არჩილ ჯორჯაძე მთლიანად იზიარებდა ილიას ამ მოსაზრებას. მაგრამ ამაზე შეჩერება, — მისი თქმით, — მაინც შეუძლებელი იყო: „ჩვენს მდგომარეობას შევლა უნდოდა, ჩვენს სულის კეთებას — ახსნა“.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ილიამაც არ დააყოვნა და მალე ჩამოაკალიბა „ჩვენი მამულის სიუვარული ფსიქოლოგიური ფორმულა“. ამჟვარ ფორმულად შიაჩნია მას ფურცულაძის „ივენიის“ 1882 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში („საპოლიტიკო მიმოხილვა“) ნათქვამი სიტყვები: „მამულის სიუვარული ემუგავება ნაზს კაკლის ხესა, რომლისთვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იშუენებს დამჩაგვრელს ბეებს, რომელიც დიდხანს იზრდება... ეროვნულს. პატრიოტულს გრძნობასაც დიდი ხნის

ზრუნვა, მოვლა, უფრის გდება და ერთგულება ეჭირება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაყოფიერი...“

ილია ჭავჭავაძის მიერ მხატვრულად გამოთქმულ ამ აზრს არჩილ ჯორჯაძემ უწოდა პატრიოტული გრძნობის ფსიქოლოგიური ფორმულა; ფსიქოლოგიური, ვინაიდან იგი უფრო მეტად სათანადო განწყობასა და იმპულსს ქმნის მკითხველში, მაგრამ იგი, ცხადია, არ არკვევდა პატრიოტული მოღვაწეობის დანიშნულებასა და თავისებურებას ქართულ სინამდვილეში. რის გარეშე არ შეიძლებოდა საკითხის სრულყოფილად გაშუქება.

ამიტომ, — შენიშნავს არჩ. ჯორჯაძე, — ილია ჭავჭავაძეს წერტილი არ დაუსვამს თავისი ამ ნათქვამისათვის. მან გარკვევით მიუთითა იმაზეც, რომ „ჩვენში მამულის სიუვარული ხსება თვისებისა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტა არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის...“

არჩ. ჯორჯაძე, იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზრში შექმნილი ზოგიერთი ტენდენციის გამო, საგანგებოდ ამხვილებს უფრადებს იმ გარემოებაზე, რომ „ამ საგანგებულაპარაკი ფრად საჭირო იყო ჩვენში, სადაც „კაცობრიობის მოსაჩრდე, ჩვენი უნიდასო ახალგაზრდობა თითქოს მთავილობდა თავისს პატარა სამშობლოს, რომელიც ვითომ და ეღობებოდა მის „კაცობრიობისადმი“ ლტოლვილებს“; „საჭირო იყო „ლიბერალიზმს“ ნიადაგი მოეპოვებინა ჩვენში, იმ „ლიბერალიზმს“, რომელიც შესამოცე წლებიდან ჩვენშიაც გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზე და რომელმაც ჩვენშიაც დაჰადა უთანამოგბა „მამებას და შეილებს“ შუა. რასაკვირველია, რუსეთის ცხოვრებას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენსაზე, მაგრამ რუსულ ლიბერალიზმს ერთი შინაარსი ჰქონდა, ჩვენსას — მეორე, თავის განსაკუთრებული. ხოლო ეს განსხვავება ყველასათვის ცხადი არ იყო“.

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსულ პროგრესულ აზრს დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაზე, რასაც იგი უოველთვის მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ მხოლოდ მისი მიღებითა და ათვისებით არ შეიძლებოდა ჩვენი ერის წინაშელოლობა, მისი სატიკივარის მკურნალობა, ვინაიდან მას ჰქონდა თავისი საკუთარი და სპეციფიკური პრობლემები: იმდროინდელი ქართული პატრიოტიზმის უმთავრესი საზრუნავი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო.

ამის გამო არჩილ ჯორჯაძე აღფრთოვანება-



ში მომყავს ილია ჭავჭავაძის წინდახედულ მსჯელობას ამ მიმართულებით და შესაფერი შეხედულებების მიწოდებას თანამებრძოლთა და მთელი ხალხისათვის. ილიას ამ აზრისა და კონცეფციის კონტესტაციას ხედავს იგი დიდი მწერლის შემდეგ სიტყვებში: „ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვაა თხოულობს. სულ სხვაა დასაძებნ და, მახასიათებ, ჩვენი ლიბერალიზმა სულ სხვა რაზედმე უნდა მიიქცეს მთელის თავის ძალღონითა. და თუ აქაც ზედის წერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო ბიძაობის სახად, ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებული. ის „სხვა რამე“ იყო ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფაქტურისაგან, რომ ეგ ფაქტურაი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვეცდენია — ყველსათვის ცხადზედ ცხადია... მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მკვ ახალს გუნდს ბევრი არა უწინაა რა („საქართველოს მოამბე“, „მნათობა“, „დროება“, „ივერია“), მაგრამ ისიც დიდი სჭამეა, რომ მაგ მიმართულებას მიადგეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად და ბევრად ფეხი მოაკიდებინეს...

ყურადღებას ამახვილებს რა ილიას ამ შეხედულებაზე, არჩილ ჭორჭაძე კმაყოფილებით დაასკვნის: „აქ ავტორი ჩვენი ცხოვრების დედა ძარღვს მოგვიდა და საფუძველი დაუდო ჩვენს ეროვნულ პროგრამას და ამასთან ისიც გამოარკვია, რომ ეს საფუძველი იქნება „იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა შესაფერს და კუთვნილ ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში“.

არჩილ ჭორჭაძე, სრულიად სამართლიანად, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ილია ჭავჭავაძე იყო არა მხოლოდ ავტორი დადებული ეროვნული პროგრამისა, არა მარტო თეორიულად განმსჭველი თავისი სამშობლოსათვის საქმით და აუცილებელი ეროვნული პრობლემებისა, არამედ უპირველესი მებრძოლი მათი ზორცხესხისათვის და თავგანწირული მსახური მათი უმწიკვლად დაცვისა. ამის უტყუარ საბუთად მიიჩნია მას, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილი გამოხვედრები ანოვაციისა და კატოვის წინააღმდეგ, როცა პირველმა ქართული სკოლების რუსიფიკაცია მოითხოვა, ბოლო მეორემ — ქართული ეროვნული „შობა“ შეურაცხყო.

არჩილ ჭორჭაძემ, პირველმა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, მართებულად და გასაგებად ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამის წინაარსი და დაახასიათა მისი სპეციფიკა განმამარბობებელ ფაქტორებზე მითითებით. და ეს გააკეთა არა ლიტონი მსჭედლობითა და საეჭვო მტკიცებებით, არამედ თვით

ილიას ნააზრების ობიექტური მონარქებითა და მისი შესაზური ანალიზით. ამიტომაც იგი, ამ მხრივ, დღემდე არჩება სახელმძღვანელო და საქმით გამოკვლივად. მაგნამ, როგორც უკვე მივთითეთ, ამ ნაშრომს აქვს მეორე ხანტერეო მხარეც: იგი ასევე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თვით არჩილ ჭორჭაძის ეროვნულ კონცეფციაზე, და ამას იგი თვითონაც არ შალავს; „ამგვარად, — წერს ის, — ილია ჭავჭავაძე ეროვნული საქმეების ზელადად და მოხარტლედ გამოდის. არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ მისი პირველი ხანის ეროვნული პროგრამა არამც თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, პირიქით, იგი სრული გამოსახველია ამ მდგომარეობისა. ამისთვის ჩვენ თითქმის შეუვლელად ვიღებთ მას სახელმძღვანელოდ. მხოლოდ ამ პროგრამას უნდა დავუშაოთ მის (პროგრამის) და ჩვენი დროის შესაფერი ეკონომიური მოძღვრება, იმგვარი სოციალური ცხოვრების განმარტება, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ შეხედულებებს“ (ხაზი ჩვენია — გ. ლ.).

ამ სიტყვების შემდეგ მკითხველისათვის გაურკვეველი არტება მხოლოდ და მხოლოდ ორი საქობით: 1. რა განსხვავებას ხედავს არჩ. ჭორჭაძე ილია ჭავჭავაძის პირველი ხანისა და შემდგომი პერიოდის ეროვნულ პროგრამებში? და 2. როგორა აქვს მას წარმოდგენილი ახალი დროის შესაფერი ეკონომიური მოძღვრება?

* * *

არჩილ ჭორჭაძემ არა მარტო მოიწონა ილიას ეროვნული პროგრამა, არამედ ლირსეულად დაფასა დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თავდადებული პატრიოტული პრაქტიკული და სამწერლო საქმიანობაც. იგი დაბეჩიოვებით ავითარებს იმ აზრს, რომ ილია იყო 19-ე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი და ერის აღიარებული წინამძღოლი. ამასთან იგი დიდი პუბლიცისტური ოსტატობით გვაჩვენებს იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ პრაქტიკულ და ინტელექტუალურ პერსპექტივებს, რომლებიც კიდევ უფრო აშკარაა და გამოკვეთილს ხდის ილია ჭავჭავაძის გამოჩნული მამულიშვილური საქმიანობის მთელ აზრსა და მნიშვნელობას.

სწორედ ამ მიწით მსჯელობს არჩ. ჭორჭაძე მე-19 საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში შექმნილ ე. წ. „უნიდავო“ ტიპზე, რომელთა გამარავლება, მისი აზრით, სიკეთეს არ უქადადა ჩვენი ეროვნული ვინაობის გამორკვევისა და პროგრესის საქმეს.

ვის უწოდებს „უნიდავო“ ტიპს არჩ. ჭორჭაძე?



70-80-იან წლებში. მისი შეხედულებით, გარკვეული ნაწილი ქართველი ახალგაზრდობისა სამშობლოს გაურბოდა და „თავის მოვალეობად სთვლიდა რუსეთის საშუალებით კაცობრიობის მოძრაობაში ჩარეულიყო... კაცობრიობის სამსახური მონიღომა უშუამავლო ეროვნული ჩარჩოების გარეშე“.

ამგვარი „უნიადგო“ ხალხი, არჩ. ჯორჯაძის აზრით, „არც წარსულში, არც აწმყოში, არც მომავალში... არა ხედავდა სანუგეშოს, სანუგეშოს, გამახალისებელს და გულის გამკეთებელს“. ამგვარი ახალგაზრდობის ერთ-ერთი ტიპიურ წარმომადგენლად მიაჩნია მას «Письма о ГрУ-ЗНИ»-ს ავტორი ივანე ჯაბაძე, რომელმაც „ნარ-დონის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა თავისი წერილები.

ივ. ჯაბაძარს წერილებმა («Письма о ГрУ-ЗНИ»), წერს არჩილ ჯორჯაძე, თავზარი დასცა ჩვენს საზოგადოებას. რადგან მან შეგვიგინა უკველივე ის, „რითაც თავი მოგვეწონდა და რითაც გაჭირვებაში თავს ვინუგეშებდით... თავის სურვილისამებრ გადააკეთა ჩვენი ისტორიის დასაწყისი, იესი მიმდინარეობა...“

საჭირო იყო სერიოზული პასუხის გაცემა ამგვარ და მსგავს გამბოხებებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ნიმილიზმი და, შესაბამისად, სკეპტიციზმი ფრთხვს გაშლიდა და გავრცელებოდა. და პირველი ასეთი პასუხის ავტორად ილია ჭავჭავაძე მოგვევლინა თავისი წერილით „აი ისტორია“.

„ამ ნაწარმოებს, — წერს არჩ. ჯორჯაძე, — დღევანდელი განვითარებული ისტორიოგრაფიის თვლით რომ შევხედოთ, თავისი ნაკლებევაება აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი საზოგადოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა დღესაც დღევანდელია“. საუკლისმყოფი ის გარემოება, რომ ეს სიტყვები არჩ. ჯორჯაძეს, შენიშვნის სახით 1911 წელს დაუმატებია თავისი სტატიისათვის.

მაგრამ არჩილ ჯორჯაძემ მშვენივრად იცის ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძე იყო არა მხოლოდ პუბლიცისტი და მოაზროვნე, ჩვეულებრივი გაეებით, არამედ — მწერალი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. „მწერლის ნამდვილი ხასიათის გასაგებად, — წერს არჩ. ჯორჯაძე, — ძალიან გვშველის იმისი სულიერი ცხოვრების გაცნობა. საუკეთესო წყაროდ ამ სულიერი ვითარების გასაცნობად თვით მწერლის ნაწერებია უნდა ჩაითვლებოდეს...“

ამ მიზნით კი, არჩილ ჯორჯაძეს, სრულიად საშარტლიანად, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ მომარჩვება და გათვალისწინება მიაჩნია აუცილებლობად.

არჩილ ჯორჯაძე ვინებამახვილურად შენიშნავს, რომ, თუკი უურადლებით დაავაგრდებით, „მგზავრის წერილების“ არსებითი იდეა, ავტორის სანუგეშარი იდეალები თვით მწერლის მიე-

რია ნათქვამი თითქმის აშკარად დაიღწევა რავად. ამიტომ იგი ხაზს უსვამს ასეთ ადგილებს, რითაც შეითხველის უურადლებას მიაკცევს მათ შინაარსსა და მოწოდებაზე.

არჩილ ჯორჯაძეს მხედველობიდან არ გამოჩენია არც ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძემ დიდი პატრიოტული შემართებითა და მოქალაქეობრივი გამბედაობით გასცა პასუხი არა მარტო ველიკორუსულ გამობლომებს (კატკოვი, იანოვსკი), არა მხოლოდ ადგილობრივ „უნიადგო“ ელემენტებს (ივ. ჯაბაძარი და სხვ.), არამედ — მოძვე ერის (სომხების) რეპუციონერ-ნაციონალისტებსაც, რომლებიც წინადაუბედავად მსჯელობდნენ და წერდნენ საქართველოსა და ქართველების ისტორიული წარსულის შესახებ.

არჩილ ჯორჯაძე, ამჯერად, დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ ილია იყო არა მარტო კუშმარტი პატრიოტი, არამედ დიდი ინტერნაციონალისტიც, რის გამო მას ერთმანეთში არ არევიდა სომხები ხალხი, სომხები ერი და მისი ზოგიერთი ვიწარმომადგენელი.

არჩ. ჯორჯაძე, ამ შემთხვევაშიც, უეჭველს ხდის ილია ჭავჭავაძის გონივრული და კუშმარტიად პატრიოტული ნაბიჯის მნიშვნელობას ქართველი ერის ინტერესთა დასაცავად. მან ხაზგასმით მიუთითა, რომ „პატრიოტული ფანატრში და სიძულვილი კი არ ალაპარაკებდა ავტორს, არამედ — დამცირებულ და შელახული ადამიანობა: ავტორის წყრომა და ჯავრი კანონიერი წყრომაა თავებდობის და თავგასულობის წინააღმდეგ“.

ახე სამართლიანად აღიმაღლა ხმა არჩილ ჯორჯაძემ ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღდაღის“ მრწამსის მართებული გაგებისათვის ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს, მწერლის სიცოცხლეშივე, მაგრამ მისმა ღირსეულმა რეაბილიტაციამ, სამწუხაროდ, მინც დიდი ხნით დიგვიანა: ილიას ვაი-მოწინააღმდეგეები მას მაინც თავიანთი მიზნებისათვის იუენებდნენ.

ყოველივე ამის შემდეგ არჩილ ჯორჯაძემ უფლება მისცა თავის თავს, რომ საჭაროდ განეცხადებინა: „აქ თავდება ილია ჭავჭავაძის ის ეროვნული და პოლიტიკური მოძღვრება, რომელსაც არამედ თუ თანავუგრძნობთ, პირიქით, ჩვენს ეროვნულ მოძღვრებულ ვეგლით. ვუსვამთ წერტილს და ვამბობთ, რომ აქ თავდება საზღვარი, როდემდინაც ჩვენ ფხვდაფხვ მთვდედით ავტორს“.

მაგრამ გაურკვეველია, რატომ „აქ თავდება საზღვარი“ ამის შემდეგ ილიამ უღალატა თავის ეროვნულ პროგრამას?

ამ კითხვაზე არჩილ ჯორჯაძე ასეთ პასუხს იძლევა: „აშკარაა ავტორის სულიერ ცხოვრებაში რაღაც ცვლილება ხდებოდა, რწმენა ეყარება და გულისცემა უტყვებოდა. და ეს გულისცე-



ტება და რუმენის დაკარგვა იმაში გამოისახება, რომ ავტორი აღარ ხელდას თვით საზოგადოებაში და ხალხში აღორძინების და გაღვიძების უნარს. მისი ზნეობრივი ძალა სუსტდება და ეროვნული თვითშეგნების ქადაგების სურვილი ეკარგება. ფსიქოლოგიური კანონია, რომ სუსტი და ღონემიზილი სხვას შემეშურებლად და სხვისგან მოელოდეს მოწყობებას და დახმარებას. ასე ემართება ილია ჭავჭავაძესაც. თვალი გადაავლეთ „ივერიის“ ნომრებს 1887 წლიდან დაწყებული. კითხულობთ და არა გჭერათ, რომ შესაძლებელია ამგვარი ცვლილება“. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ არჩ. ჭორჭაძის შეხედულებით, ამგვარი ცვლილება დატყობია არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს, არამედ სამოციანელებს საერთოდ. „ეს ცვლილება, — წერს ის, — მართლ ილია ჭავჭავაძის დამახასიათებელი არ არის, იგი თითქმის მთელ ძველ თაობას ეხება...“

ამგვარი დასკვნა თუ დებულება კი შეტად ლიტონ ვანცხადებად მოჩანს თვით არჩილ ჭორჭაძისათვის საერთოდ დამახასიათებელი მეცნიერული ანალიზის ფონზე; თავის ნათქვამს ავტორი არ ამარაგებს და ვერ ახაზუთებს სათანადო არგუმენტებით. მართალია, ის სქოლიოში შენიშნავს, რომ 1901 წელს მისი სტატიიდან ცენზურას ამოუღია შესაფერისი ადგილები, მაგრამ, როგორც ამ შენიშვნიდანვე ჩანს, ისინი მოტანილი უყოფილა ილიას იმ სტატიებიდან, რომლებიც გამოქვეყნებულნი იყვნენ „ივერიის“ 1886, 1889, 1897 და 1899 წლების ნომრებში.

აღნიშნული სტატიების ანალიზი კი მოწმობს, რომ ილიას არავითარი კორექტივი არ შეუტანია თავის ეროვნულ პროგრამაში. იგი, რა თქმა უნდა, კვლავ ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას ქადაგებს და ეთაყვანება. შესაძლოა მათ აკლდეთ ძველებური სიმწვავე, მაგრამ ამას ჰქონდა ობიექტური და სუბიექტური საფუძველი და ახსნაც. პირველ ყოვლისა, ეროვნული თავისუფლების იდეა, ამ პერიოდისათვის, უკვე საქმაოდ იყო ფესვმოკიდებული ქართველი ხალხის სულსა და აზრში; მის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ძველებური მსჯელობა აღარ იყო საჭირო. ამასთან, ამ დროისათვის ილია ჭავჭავაძეს უნდებოდა მოწინააღმდეგეებს სხვადასხვაგვარ გამოხდომებზე პასუხის გაცემა და მისი ურადლება სხვა ხასიფის საკითხების განმარტებაზე მიქცეული. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ 80-იან წლებში, შარქისხმის გაფრთხილებასთან დაკავშირებით, ილია საქირად თვლის ახლებურად დააკვირდეს დროთა მსვლელობას, გაანალიზოს ახალი ცხოვრებისეული ტენდენციები და აუჩქა-

რებლად გააკეთოს დასკვნები, ამიტომაც განსაკუთრებული მთავროვნება შეხედულებებს სწავლობს, ეპოქის სუნთქვას უსმენს; განსაკუთრებით აფიქრებს მას ეკონომიკური განვითარების თავისი პროგრამა, რომლის სისუსტეს ამკარად გრძნობდა და ისიც იცოდა, რომ მისი დაზუსტების გარეშე ეროვნული პროგრამის შესახებ კატეგორიული მსჯელობა იმ დროისათვის თითქმის შეუძლებელი იყო.

* * *

ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების ისეთი ზომი ანალიზი და ობიექტური შეფასება, როგორც ეს გააკეთა არჩილ ჭორჭაძემ, არ მოუწოდებია არც ერთ რევოლუციამდელ მკვლევარს.

არჩილ ჭორჭაძემ მშვენივრად იცის ვინ არის ილია ჭავჭავაძე. მას კარგადა აქვს შეგნებული ის გარემოება, რომ ერის ასეთი ღირსეული შვილის შესახებ წერა კერძო საქმე არაა, ილიას სახით მას საქმე აქვს მთელ ქართველ ერთან. მისი ამგვარი განწყობილება და ტაქტი კიდევ უფრო შეტად მაშინ ვლინდება, როცა ის ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური პროგრამის გაება-შეფასებაზე ვადაღის; როცა ის ბევრ რამეში აღარ ეთანხმება თავის დიდ მასწავლებელს.

არჩილ ჭორჭაძის მართებული შეხედულებით, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური და პოლიტიკური მოძღვრების განახლებად და განათავისუფლებლად არ კმარა მარტო მისი ეროვნული პროგრამის დახასიათება; საჭიროა ასევე სრულად გავიაროთ „მისი საზოგადოებრივი ფილოსოფია და ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების განმარტება“.

ჩვეულებისამებრ, და სრულიად მართებულადაც, — შენიშნავს არჩ. ჭორჭაძე, — ილიას წესად ჰქონდა ყოველი სოციალური მოვლენის ისტორიულ ასპექტში გათვალისწინება. წოდებათა ურთიერთობის საკითხზეც თავისი შეხედულება მან გამოთქვა ამ მომენტის გათვალისწინებით. მისი თქმით, „ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოხატავად, რასაც რუსული სიტყვა «СОЦИАЛИЗМЪ» ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვა... ჩვენს ძველ ცხოვრებაში დას-დასხად დაუფოცა ერობისა არ არსებობდა... ჩვენი უფლანი ერთნაირად უბმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმადლესის მთავრობისა... იმ ბძროლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლებათა დასაპურობათ, გახაერცობათ, რომელიც ევროპაში იყო და ახლაც არ გათავადულა და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობწობად დაუფოცისა, ჩვენში ადგილი არ ჰქონდა... ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლა-



მდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ შოკოხვის წიგნი ბრწყინვალედ იხსენებოდა და გლეხი კი არა. დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მშფობთელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია... არც წინებით, არც აწიით, არც ფრწნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაშორებია გლეხობას, არ შეუკვტია თავი, თავის საკუთარი ინტერესები არ შემოღუბაწავს ისე, როგორც სხვაგან... ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილ მიდრეკილება საუფესი, — წერს ილია თავის „ცხოვრება და კანონში“.

არჩილ ჭორჭაძის აზრით, ილიამ წოდებათა ურთიერთობა ძველ საქართველოში ამგვარად წარმოადგინა იმის გამო, რომ „თანამედროვე ეკონომიურ პირობებში ავტორი არ მხედავს ძირითად ინტერესთა წინააღმდეგობას. და ამ თავის აზრს, სხვათა შორის, აფუძნებს იმაზედაც, რომ ჩვენს ძველ დროშიც არ იყო ამგვარი წინააღმდეგობა“.

არჩილ ჭორჭაძე უფრო ზუსტი და კონკრეტული იქნებოდა, რომ ნაცვლად „არ ჰხედავს“ ეთვია — „არ უნდა დაინახოს“. და „არ უნდა დაინახოს“, ცხადია, სრულიად შეგნებულად. თორემ განა მართალი ვიქნებით, „ოსთარაანთ ქვრივის“ ავტორს ამგვარი წინააღმდეგობის დაუნახველობა დავაბრალოთ? ანდა ისეთ ანალიტიკურ მოაზროვნეს, როგორიც ილია იყო. შეიძლება იყოს ვეროპის სინამდვილეში არა მხოლოდ კარგად შეგმინია კლასთა ბრძოლის მთელი არსი, არამედ ლოკიკურად და განზომიერადაც ელიარებინა იგი, ხოლო საქართველოსათვის უცხოოდ და შეუფერებლად მოჩვენებოდა?

საქმე ის არის, რომ ილია ჰვაჭვავაძე წინააღმდეგობის შემცველ ამ თავისი თეორიის ახსნასა და დასაბუთებას ვერ იძლევა უფრო გარკვეულად და მთელი სიცხადით. იგი მხოლოდ ქვეტექსტითა და შემოვლილი გზით ცდილობს მისახვედრად და მისაღები ვახადოს იგი ჩვენთვის. სხვა გამოსავალი ვერ მოუწახავს კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისა და ერის იდეურ წინაშელოლს მისი ეს კონცეფცია კი ასეთია: ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის წყალობით ქართველმა გლეხმა არა მხოლოდ იურიდიული თავისუფლება მიიღო, არამედ, დროთა განმავლობაში, მან ეკონომიურადაც გაიუმჯობესა მდგომარეობა; ქართული გლეხკაცი, ამ მხრივ, რუს გლეხს აღარ ჩამორჩება, მაგრამ იგი მოკლებულია ეროვნულ თავისუფლებას. ამიტომ მთავარი უუარადდება ამ უკანასკნელის მოსაპოვებლად უნდა მივაპროსოთ, უველაფერი მის მოახლოებას უნდა ვანაცვალოთ. და არადაც ახლა გარკვეული საშეშრობება — კლასთა ბრძოლის გამწვავებით, ჩვენი შინაური უთანხმოებები ისა-

რკებლებს ცაროზში, რომელიც რუსიფიკაციის პოლიტიკას ადგას, დროებით უნდა მოვიტოვოთ და არ გავამწვაოთ წოდებათა შორის [არსებული წინააღმდეგობა პირიქით, უფრო წოდება უნდა იცადოს გარკვეული მსხვერპლი გააღოს, რათა ჩვენი საერთო ეროვნული მთლიანობა უფრო ძლიერი და ეფექტური იყოს.

სხვა საკითხია, დაფუძნებით თუ არა ილიას ამ კონცეფციას, მაგრამ, ფაქტია, რომ იგი ასე უნდა გავიგოთ. ამიტომ მისი კრიტიკა ადვილიც იყო და ძნელიც. ადვილი — იმის გამო, რომ გარკვეული წინააღმდეგობის შემცველი იყო, ძნელი — თუკი გავიზარებდით მისეულ მოტივაციასა და არგუმენტაციას, რომელიც იმ დროისათვის მოკლებული არ იყო საფუძველს.

ამიტომ სახსებით მართალი იყო არჩილ ჭორჭაძე, როცა ამბობდა, რომ ილიას მიერ მოწონებული „სათემო საზოგადოება (Бесцословная волость) პირველი შეხედვით მართლაც ჰგავს ლიბერალურ დაწესებულებას; „იურიდიულს შეხედვებით არც შეეგოსო, მართლაც ამგვარი დაწესებულება არ ეწინააღმდეგება ლიბერალობას, რადგან დაფუძნებულია წოდებათა იურიდიულად გათანაწორებაზე, მხოლოდ, თუმცა ამგვარი დაწესებულება თეორიულად ლიბერალიზმს არ ეწინააღმდეგება, პრაქტიკულად გამოუსადეგარია, რადგან ამ „სოფლობაში“ შედიან სხვადასხვა ეკონომიური ხარისხის წარმომადგენლები (მდიდრები და ღარიბები) და რადგან ამ ეკონომიურ სხვადასხვაობაში უპირატესობა უკველთვის შეძლებულს ექნება და ღარიბი უკველთვის დაჩაგრული დარჩება“.

არჩილ ჭორჭაძე მართებულად შეინშნავს იმასაც, რომ ილია ჰვაჭვავაძის კონცეფციის ეს სუსტი მხარე ადრეც სამართლიანად იყო გაკრიტიკებული და მითითებული იმაზე, რომ „საქმე სწორედ ჩვენს წოდებათა წყაროში“ იყო და მის „შინაგან არებაში“. წოდებათა წყობა დაედო საფუძველად ჩვენი სოციალური ცხოვრების აგებულებას“.

თავის ამგვარი შეხედვებიდან გამომდინარე, — შეინშნავს არჩ. ჭორჭაძე, — ილია ჰვაჭვავაძე საერთო კეთილდღეობის ძიებაშია და უკველ წოდებას მოუწოდებს შრომისა და მოქმედებისაკენ; „მისი იდეალი წოდებათა თანხმობა“.

„ივერიის“ 1881 წლის მე-11 ნომერი („შინაური მიმოხილვა“) ილია ჰვაჭვავაძე წერდა: „ჩვენის გულითაღის ფაქტით, ქვეყანა იმისა, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანა, ხმალი იცავს გუთანს, ხოლო გუთანა ასაზრდოებს ხმალს...“

ილიას ამგვარი დამოკიდებულება ქვეყნის ახალი ეკონომიკური სახისა და მისი განვითარების ახლებური ტენდენციებისადმი, ცხა-



და, ერთგვარ გავიკრებებს იწვევს არჩილ ჭორჭაძეში, რომელიც შეინიშნავს: ილია ჭავჭავაძის „არ აქვს გამოსახული და ნათლად განსაზღვრული შრომაშუქედ დაფუძნებული და შრომით აგებული ხალხის ეკონომიური წყობილება... არ ჰქონდა ზედმიწევნით შეგნებული თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების მოძრაობა ხასიათი, არ ჰქონდა გათვალისწინებული მრეწველობის მომავალი როლი, მისი მნიშვნელობა პროფესიონალური კლასების და არსებაში და ხალხის სიმდიდრის მოძრაობაში. ჭავჭავაძის უურადლებას მართლ სოფელი იწვევდა. ამას გასამართლებელი საბუთი ჰქონდა. რადგან ჩვენი ქვეყანა სოფლური ქვეყანაა. მაგრამ ავტორს უნდა დაენახა, რომ სოფელთა ერთად იხადება და ისახება იმგვარი ეკონომიური ნიადაგი, საიდანაც წარმოსდგება სრულებით ახალი და საქართველოში უცნობი ფაქტორი წარმატებისა და მოძრაობისა — ალბ-მიცემობის გაძლიერება, მრეწველობის აღორძინება, ფულის გაბატონება...“

ილია ჭავჭავაძისადმი ასეთი საყვედური, უნდა ვაღიაროთ, საფუძველს არ უყოფილა მოკლებული. ისიც ნიშანდობლივია, რომ არჩ. ჭორჭაძე, რამდენადაც კი საშუალებას აძლევდა ობიექტური გარემო, ცდილობდა ერთგვარი გამართლებაც მოეძებნა ილიას ასეთი პოზიციისათვის, მაგრამ მისი უცვლელად მიღება, ცხადია, შეუძლებელი იყო.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიური პროგრამის ამგვარი წინააღმდეგობრივი ბუნებით უნდა აიხსნას, არჩილ ჭორჭაძის აზრით, დიდი მწერლისა და მოაზროვნის ის განსაკუთრებული უურადლებაც, რომელსაც იგი უთმობდა სწორედ აზნაურთა ბანკის ხელმძღვანელობასა და მუშაობას. ამ მიმართულებითაც, არჩ. ჭორჭაძე დიდ სიფრთხილეს იჩენს როგორც ილია ჭავჭავაძის ამაგის, ასევე ბანკის საქმიანობის დასაფასებლად, მაგრამ ჭეშმარიტება აიძულებს შენიშნოს, რომ სწორედ აზნაურთა ბანკი მაინც წოდებრივი დაწესებულება იყო, რისი ანგარიშგაუწველობაც შეუძლებელია. მაგრამ, სრულიად შეგნებულად, მაინც მოჰკიოდა ხელი ამგვარი დაწესებულების ხელმძღვანელობას. რატომ? მან იცოდა, რომ სათავადაზნაურთა ბანკი მაინც იარსებებდა, თანაც თავის მოგებას მთლიანად თავდაზნაურთა ინტერესების დამყოფილებას მოახმარდა და არა ეროვნული მნიშვნელობების დონისძიებათა განხორციელებას (სკოლები, პრესა, თეატრი და სხვ.). მან კი ამგვარი დაწესებულება ერის ინტერესებისთვისაც გამოიყენა, რასაც სხვა არ გააკეთებდა ან ვერ გააკეთებდა. ამგვა-

რი ნაბიჯის გადადგმავი კი ილიას მისი ეროვნული პოლიტიკა არ ზღუდავდა. ნ. ნიკოლაძის წახვლაც, უფრო მოგვიანებით, ფოთის ქალაქის თავად განა ანალოგიური ვითარებით არ უნდა აიხსნას?

არჩილ ჭორჭაძეს უდავოდ სწორად ჰქონდა შეგნებული ის ვითარება, რომ კონკრეტული ისტორიული გარემო, ხშირად, სხვაგვარად აუქნებდა ხოლმე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის საჭიროებას, ვინემ ამას კარნახობდა თეორიული პოსტულატი. მაგრამ იგი მაინც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ილიას ეკონომიურ პროგრამას მაინც „არსებული სოციალური წყობილების გაუმჯობესება ჰქონდა მიზნად და არა მისი დარღვევა...“ ამ მხრივ, იგი, ცხადია, მართებულ შეფასებას იძლევა.

არჩ. ჭორჭაძეს სურს კიდევ უფრო კონკრეტული იყოს, და რაც შეიძლება ზუსტად წარმოადგინოს ილია ჭავჭავაძის ეკონომიური კონცეფცია. ამ მიზნით იგი მოგვაგონებს, რომ იმდროინდელ ევროპულ სინამდვილეში ბევრი სხვადასხვა დასი. მიმართულება იყო, რომლებიც გულწრფელად იღვწოდნენ არსებული სოციალური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის; ასეთები იყვნენ, მაგალითად, ე. წ. პროგრესისტები, ლიბერალები, რადიკალები, მაგრამ „სოციალისტებისაგან ყველა ესენი იმით განიჩივრებენ, რომ მაშინ, როდესაც სოციალისტების მოქმედება არსებული წყობილების გაუქმებისაკენ მიისწრაფვის, ამით სურთ, პირიქით, არსებული უთანხმოება შეასუსტონ სხვადასხვა რეფორმებით და მით უფრო განამტკიცონ ეს გარეგნობით განახლებული წყობილება“.

რომელ ამ მიმართულებათაგანს უფრო მიესადაგება ილია ჭავჭავაძის ეკონომიური კონცეფცია?

„ილია ჭავჭავაძე, ევროპული საზომით რომ დავაფასოთ მისი ნაწერები. — წერს არჩ. ჭორჭაძე. — არსებული ცხოვრების გაუმჯობესების მომხრე იყო, ხოლო იარაღი და საშუალება, რომელსაც ხმარობდა ამ ცხოვრების გასწორებას, იმგვარი იყო, როგორსაც ხმარობენ ლიბერალ-რადიკალები“.

როგორა აქვს წარმოდგენილი არჩილ ჭორჭაძეს ლიბერალ-რადიკალთა ეკონომიური პროგრამა?

ლიბერალ-რადიკალები, — არჩ. ჭორჭაძის შეხედულებით. — ამტკიცებენ, რომ „ეკრძომ საკუთრების ძირითადი პრინციპი შეურყვეველი უნდა რჩებოდეს. მაგრამ ამ პრინციპის შეკვეცა და შესწორება საჭირო, დროისა და გარემოების მიხედვით“. ისინი, როცა ეკრძომ

საკუთრების როშელიშე პრინციპის შესწორებასა და შეკვეცას მოითხოვენ, საზოგადოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობენ; ამიტომ ამა-რთლებენ მთავრობის იმ ღონისძიებებს, რომლებიც, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, არღვევენ და კვეცავენ კერძო მესაკუთრის უფლებებს. ასევე, ისინი მხარს უჭერენ პროგრესულ გადასახადს შემოსავალზე. არჩ. ჯორჯაძის შეხედულებით, ობიექტურ-ნი არ არიან ილიას ის კრიტიკოსები, რომლებიც მას კონსერვატორად მიიჩნევენ. მისი ამგვარ მოაზროვნედ და მოღვაწედ გამოცხადება სინამდვილის ეწინააღმდეგება და არც ერთი ხელშესახები ფაქტით არ დასტურდება. მაგრამ ილია არც სოციალისტია, ვინაიდან სოციალისტები მოითხოვენ: „კერძო საკუთრება ძირიან-ფესვიანად უნდა იყოს აღმოფხვრილი, რადგანაც არის მიზეზი კაცთა შორის უთანასწორობისა“. ისინი სარგებლობენ უოველგვარი რეფორმითა და თავისუფალი მოქმედებით, რათა მოისპოს არსებული სოციალური ინსტიტუტი.

ილია კავკავაძე, არჩილ ჯორჯაძის თქმით, იყო ბატონუშური სინამდვილის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი, გლებთა მდგომარეობის გაუმჯობესების მომხრე და ბატონუშური ინსტიტუტის წინააღმდეგ მებრძოლ მწერალს არც შემდეგ შეუწყვეტია გლებზე მწარუნელობა, მაგრამ ხაზგასმით მიუთითებს იმაზეც, რომ იგი არ ამალღებულა კერძო საკუთრების მოსპობის იდეამდე.

როგორც ვხედავთ, არჩ. ჯორჯაძე დიდი ობიექტურობით იცავს ფორმულას „კეისრისა კეისარს“ და ცდილობს იოტისოდენადაც არ შელაზოს ილიას კონცეფცია და მისი პროგრესული ასპექტები. მის სახანელოდ უნდა ითქვას, რომ მეტად რთულ ვითარებაში, როცა, ვიმეორებთ, თითქოს წესად იქცა ილიასა და მისი თანამებრძოლების „განქიქება“, მან საჩაროდ და გაბედულად განაცხადა, რომ „ახალი თაობა თავის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ აასრულებს, როდესაც სამართლიანად დააფასებს და განმარტავს ძველი თაობის ნაანდერძებს...“.





შტრიხები ბრიკოლ აბაშიძის შეიქმედაბითი პორტრეტისათვის

ბრიკოლ აბაშიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. თითქოს დაუჭერებელია, მაგრამ ფაქტია დაუჭერებელია იმით, რომ 70 წელი ჩვენი კეთილი მეგობრისათვის ნამდვილი შემოქმედებითი მოწიფულობის მწვერვალია.

იშვიათია ჩვენში ფართო დიპლომატიის ისეთი მრავალფეროვანი მწერალი-მოაზროვნე, როგორც გრ. აბაშიძეა: პოეტი, ბელეტრისტი (პროზაიკოსი), დრამატურგი, მემუარისტი, მკვლევარი-ეტიციტი, ხელოვანი მთარგმნელი. ასევე მრავალფეროვანია და მასშტაბური მისი შემოქმედებითი ინტერესები, საზოგადო თვალსაწიერი და სამოღვაწეო სარბიელი. ერთი შეხედვით თითქო კირს იმის განსაზღვრა, გრ. აბაშიძე უფრო პოეტი თუ ბელეტრისტი (რომანისტი). ნამდვილად გრ. აბაშიძე პოეტია პოეზიის, ბელეტრისტიკის, დრამატურგიის, საგულისხმოა მისი აღიარება: „ჩვენი პოეტები რატომღაც თეტრს არ წყალობენ. უკვლამ კარგად იციან, რომ დრამის დედა ლექსი იყო და რომ მსოფლიო დრამატურგიის შედეგების უმრავლესობა ლექსად არის დაწერილი“ (თხზულებანი, III, 1974 გვ. 566). თვითონ გრ. აბაშიძემ შექმნა ჩინებული დრამატული პოემა „დედა“. ამ პოემაში ერთგვარად გამოსხივებულია თითქმის ყველა ის იდეურ-შხატურული ჩანაფიქრი, რაც ნიშანდობლივია მისი შემოქმედებისათვის საერთოდ. ავტორი აქ აგრძელებს და ავითარებს ქართული დედის იმ უდიდესი ისტორიული როლის განსახილველს, რამაც მნიშვნელოვანწილად უწირუნელო საუკუნეების მანძილზე ჩვენი ერის სასიცოცხლო ენერჯის შენარჩუნება. „მადლობა შენდა, დედა შენდა, ჩვენი ხინდისო, ქართველო დედა!“ — წარმოათქმევენებს ავტორი ვახტანგ გორგასალს.

გრ. აბაშიძის მეორე დრამატულ თხზულებაში — „მოგზაურობა სამ დროში“ — მთელი სიმძაფრით დახსულია ავტორის სულიკეთე-

ბისათვის ესოდენ დამახასიათებელი მარადიული პრობლემა — შემოქმედი და თანამედროვეობა. ახალგაზრდა ნიჟიერი მხატვარი გურამი ძლიერ გაუნაწყენებია იმას, რომ თითქოს თანამედროვეობამ ვერ დაუფასა მას დედალი ბელეტრისტი, რომ მისდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფუნქციონირებდა მწიანური გემოვნება, გასავალი აქვს სხვადასხვა ნეტარ ტიურ მოვლენებს, რომ ცხადლივ შესამჩნევი ხდება ცხოვრებისეული ბევრი ნაკლი და ტუტყუი, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს ცრუპარტიოტი და გაქნილი ამორტამბერი ვინეკოლოგი პავლე. რომელსაც უფრო შეშვინის სახელწოდება „ღვინეკოლოგი...“. ზნეფაქიზი და პატოსანი გურამი ვერ იტანს ცხოვრების ზედაპირზე ამომჭრალ გაიძვერა კარიერისტებს, სულმდებალ მამებლებს, მომხვეტელობის ტინით შეპყრობილ მედროვეებს. გურამი კარგად ხედავს მისი დროის ტუტყუსა და ლაქებს, მაგრამ ვერ ამჩნევს დიად სოციალურ გარდაქმნებს, იმ ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, „რომელმდეც მთელი კაცობრიობის წინასტორია ოცნებობდა“, გურამისათვის შეუშინველია „ახალი დროის ნათელი“. აგი აწვიადებს ნაკლოვან მხარეებს, წუწუნებს, განზე გამდგარა და ამქობინებს გაქცევას.

დრამატურგიული ბერხებით გრ. აბაშიძეს ჭერ შორეულ წარსულში გადაჰყავს თავისი მოზულდუნ გმირი, შემდეგ კი შორეულ მომავალში. ამ მოგზაურობათა შთაბეჭდილებებით დატვირთული, ნახულითა და განცდილით გამდიდრებული გურამი გულით რწმუნდება, თუ რამდენად ცლებობა იგი, რომ ზურგზე შეაქცია თანადროულობას, რომ ვერ დაფახა მისი დედული დროის სიკეთე. „რა ბედნიერი ვყოფილვარ მაშინ“, მაგრამ რა ბრმა და უმადური გამოვდექიო. ნანობს, უსოლო ნანობს თავის საქციელს. გურამი ჯველინება ბილიურ

„ძე შეცდომილად“ („უძღებ“ შევილად), რომელიც დაუბრუნდა თავის დროს, თავის საზოგადოებას, თავის ერას და ჭულწრფელად შევავაგონებს „გაყვარდეს შენი დრო!“

თავის პიესით გრ. აბაშიძემ წარსულის მომხიბლავი სურათებიც გადაგვიწვია თვალწინ და ამ წარსულის იდეალიზაციის ფეტიშად ქცევის მავნებლობაც დაგვისახუთა დაუფარავად. დრამატურგმა ასევე ამხილა შორეული ფანტასტიკური მყოფადით რომანტიკული გატაცების უნიკადაგობა. მწერალმა არ დაფარა თავისი დროის ზოგიერთი მანიერება, მაგრამ სასტიკად გაიკიცხა აწმყოს მითარო უპრინციპო ნიჰილიზმი და შემოქმედთაგან მოითხოვა მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციებიდან თავისი დროის ერთგული (და არამედარამც ბრმა) სამსახური.

ასეთია გრიგოლ აბაშიძის მრწამსი, რომელიც უყვლა მის ნაწარმოებს მსგავლავს უღლებლივ.

შორეული წარსულის ამბებს მოიცავს გრ. აბაშიძის გახმაურებული ტრილოგია „ლაშარელი“. „დიდი დამე“ და „ცოტენ“. სამივე XIII საუკუნის ამბებით ფარგლდება. „ლაშარელი“ ლაშა გიორგის ცხოვრების მატანია. „დიდი დამე“ ჭალღედიანის შემოსევისა და მონღოლთა ბატონობის დამყარების ვითარებას აშუქებს. „ცოტენს“ სრული სათაურია „ცოტენ ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. რომანის ეს სრული სათაური გარკვევით მიგვანიშნებს მის ძირითად შინაარსზე. ტრილოგიის ცალკეული ნაწილები ერთიმეორის ამბებს ავსებებს და აგრძელებს. იქმნება ერთიანი მონუმენტური ისტორიული ეპოპეა.

ავტორმა „ცოტენს“ დაურთო პატარა პოსტსკრიპტუმი და საკმაოდ ვრცელი ბოლოსიტყვა. აქ მან გავიშობილა თავისი მწერლური მრწამსი და რომანზე მუშაობის ხასიათი.

გრ. აბაშიძეს წინასწარი დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაუტარებია თავისი რომანების, კერძოდ. „ცოტენს“ დასაწერად, სერუბულოზურად შეუხწავლია საჭირო დიდალი ისტორიოგრაფიული და მხატვრული ლიტერატურული მასალა ქართულსა და სხვა ენებზე. ავტორისათვის მთავარზე მთავარი მაინც ყოფილა „ქართლის ცხოვრება“, საკუთრივ კი ეპითალამწერლის თხზულება. გრ. აბაშიძე აღტაცებულ ქებათა-ქებას უძღვნის „ქართლის ცხოვრებას“. აღმატებულად აფასებს ეპითალამწერლებს, როგორც პირთუნელ ისტორიკოსსა და დიდებულ მწერალს. გრ. აბაშიძე ახაბუთებს, რომ მიუხედავად დროის ფაქტობით გამოწვეული რელიგიური აზროვნებით შეზღუდვისა, ეპითალამწერ-

ლის „ისტორიულ-პოლიტიკური კონცეფცია უაღრესად პატრიოტული და ეროვნულია“ (გვ. 422). შემოქმედი ისტორიკოსის მიზანიაო მანიერებათა გვერდის აუღლელად წინ წაშლის წიხის ერის მასხებლებელ შევლთა ზნეობრივი სინამინდის, სულიერი მხნეობისა და ნამდვილი რაინდული თავგამოდების მაგალითები მომავალი თაობების შეხავონებლად და დახამოდვრავად. გრ. აბაშიძე თვლის, რომ წარსულის სასიკაუდლო საქმეთა გვირგვინია კობტასთავს შეერბილ მამულიშვილთა შეთქმულება მონღოლთა ჭოჭხეთური ბატონობის დასამზობად და ქვეყნის სასატრული დამოუკიდებლობის აღსადგენად. კობტასთავს შეთქმულთაგან ავტორი გამოყოფს ცოტენ დადიანს — უყეთელშობილეს აღამანსა და უმამაცეს მებრძოლს, უფაქრზენი ზნეობის პატრონს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალიზმით შთაგონებულ კაცობიყვარე მთავარს. გრ. აბაშიძე აცხადებს, რომ ცოტენს გმირობა მას ესახება „ქართველი ერის ისტორიის აპოთეოზად“ (გვ. 422). „ამბავი კობტასთავის შეთქმულებისა და ცოტენ დადიანის არჩვეულებრივი გმირობისა“, შენიშნავს ავტორი, არისო „მშვენება და დიდება მარტო ეპითალამწერლის მატანისა კი არა, (არამედ) მთელი „ქართლის ცხოვრებისაო“ (გვ. 424). გრ. აბაშიძის მართებული მოსაზრებით, ცოტენ დადიანმა „თავისი კეთილშობილებითა და გმირობით ამაღლებულმა დაცემული ქართველობაც აამაღლა და უკვადებას აწიარა“ (გვ. 299). თანამედროვე მოაზროვნე საბჭოთა მწერალი ბეჩითად ამბობს: „ქართველმა ერმა იმითაც უკვადვეს თავისი არსებობა, რომ მცხეთის ჭვარისა და ვეფხისტყაოსნის გვერდით შექმნა ცოტენ დადიანის გმირობის მაგალითი და თავისი სულიერი სილამაზის ამ შეხანიშნავი მოწმობით მსოფლიო ისტორიაში თავისი განუმეორებელი სიტყვა თქვა“ (გვ. 426).

გრ. აბაშიძეს ის აწუხებს, რომ ეპითალამწერელმა ძალიან მოკლედ, ძუნწად და კონსექტურად გადმოსცა ქართველი ერისათვის ეგოდენი მნიშვნელობის ეს სასახელო ამბავი. ამიტომაც იგი ცდილობს თავისი „ცოდნითა და ფანტაზიით“ შეავსოს არსებული ხარვეზი, შეძლებისდაგვარად აღადგინოს ისტორიული სინამდვილის ცოცხალი სურათი და შთამავანებელ მაგალითად დაუდოს იგი თანამედროვე მკითხველს. ავტორი გონივრულად ასკვნის: „ზნეობრივ მაგალითს შთამომავლობაზე ყოველთვის ჰქონდა ცხოველმყოფელი გავლენა და ცოტენს გაკვეთილის მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის



განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს დღეს, როცა ქართველი ხალხი ასეთი ეროსულღვევებით იბრძვის წინააღმდეგობით, მაღალი შორაღმა და შეუღამავი პატიოსნების დამკვიდრებისათვის" (გვ. 438).

გრ. აბაშიძემ დიდი წარმატებით გაართვა თავი თავის რთულ ამოცანას. რასაკვირველია, ზოგი რამ იჭნებ სადაოც იყოს, ან გაწვადებულ (მაგალითად, პალიასტომის ტბის გემოსაშენის ისტორია), ზოგიც წედმეტი (მაგალითად ახპასიხისა და ახითარის იგავ-არაკები. სხვათა შორის, ერთი იგავ-არაკი ქილილა და დამანას „ერთგული კვრნის“ პირწმინდა გარდათქმა). სამაგიეროდ საუცხოოა რომანში ჩართული ნოველები — „მე მოვალ ჩაღათა“, „ეგარსლან ბაკურციხელი“, „მესტუმრე ჭიჭური“, „თორღვა პანკელი“. თავის სხვადასხვა თხზულებებში გრ. აბაშიძე რამდენიმეჯერ უბრუნდება ვნებატბილი, გაწვილებული მრუში დედაკაცის მუხანათური შურისძიების მოტივს. ყოველივე ეს მინც სარულიად უმნიშვნელო წვრილმანია, რომელიც ვერავითარ ჩრდილს ვერ მიიყენებს გრ. აბაშიძის გრანდიოზულ ტრილოგიას და იმის გვირგვინს — „ცოტნეი“. კუშმარტად უცილობელია ტრილოგიის მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსებანი და მისი შთამაგონებელ-აღმზრდელი ბოთი მნიშვნელობა.

„ცოტნეი“ ავტორმა შექმნა ისტორიულ პირთა მკაფიოდ გამოძრწილი შთამბეჭდავი ხასიათები ეგარსლან ბაკურციხელისა, გრიგოლ სურამელისა, თორღვა პანკელისა, ავგ მხარგრძელისა, რომ არაფერი ვთქვათ თვითონ ცოტნე დადიანზე, საგულსხმომ იხაა, რომ „დაღ დაშეში“ ასევე მკაფიოდაა გამოქანდაკებული უზომოდ მიმზიდველი გამოწაგონის სახეები — თურმან თორელისა, პავლია კუტიხა („ცოტნეში“ ამისი ნიარსახეა ევლიანე მოძღვარი), ვაჩე მხატვრისა... თურმან თორელი რომანის ავტორის თავისებური „მეა“. შემთხვევითი როდია, რომ თავისი ღირიკული ლექსების ერთი ციკლი გრ. აბაშიძემ გამოაქვეყნა თურმან თორელის სახელით.

ისტორიული წარსულის ამბებს გრ. აბაშიძე უქვემდებარებს თანამედროვე მკითხველის ინტერესებს. ამით იგი მუარ ხიდს დებს წარსულსა და აწმყოს შორის. მაგრამ გრ. აბაშიძის ბევრი უწერია უშუალოდ თანამედროვეობის მწვავე პრობლემების გასაშუქებლად. ამ მხრივ საინფორმაციო ვრცელი რომანი „უორნალი“ და მოზრდელი მოთხრობა „უკანასკნელი საღვური“, ავტორი ცოცხლად და მოხდენილად გვისურათ-

ხატებს ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლების პერიფერიული ქალაქისა და მის ახლო მდებარე ერთი ჩვეულებრივი (თუ ტიპური) ქართული სოფლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების არა ერთ ნიშანდობლივ მხარეს.

ავტორი დაუფარავად ამხილებს ერთ დროს პოლიტიკური გადახვევებით გამოწვეული შეცდომების სამწუხარო შედეგებს (ძველი ქართული კულტურის კერების — ეკლესია-მონასტრების რბევა-აწიოკება, ე.წ. კონდრატივეშჩინის კამპანიის ჩატარება და მისთანანი).

გრ. აბაშიძე „უორნალიში“ მთელი სიმძაფრით ამახვილებს ყურადღებას წინააღმდეგობისა და რწმენის სიმტკიცის მტკიცებელ საკითხებზე. „რწმენის დაკარგვა დიდი უბედურებააო“, ამბობს მწერალი „ცოტნეში“. „რწმენის დაკარგვა შენსაზარია, და მორწმუნენი ნეტარ არიან“ გვიმწოდებს ავტორი ერთ თავის ლექსშიც („განმეორდება“). რწმენის სიმტკიცითა და წინააღმდეგობით ნიჭიერი ვერ დაიჭრინან ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში მოქცეული უმაღლესწავლამილებული პერსონალები რომანისა. სამაგიეროდ ამ მხრივ უბადლოა ახესალომ დეკანოზი.

სოფლად და ქალაქად მძლავრად აქვს ფეხი მოკიდებული მომხვეჭელობის წადილს. მეზრანურ-მომხმარებელურ სულისკვეთებას, „კარგი ცხოვრებისათვის“ ზრუნვას, ასეთი საკუთრივ შეპყრობილი ყოფილა საზოგადოების გარკვეული გავლენიანი ნაწილიც კი, რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა ჭურის გაქნელ, წინამხედარ და აღვირახსნილ წვრილგება „მოღვაწეებზე (ტიტე ბუღალტერი, მუშათა სასაღილოს გამგე პარმენ ზარიძე...), ამათ საპირისპიროდ მკითხველთა უზომო სიმართიას იმსახურებენ უბრალო, გულმართალი მშრომელი ადამიანები (დამლაგებელი ქალი მარო, სასაღილოში კერძების მიმტანი გოგონა ცაცო ლორია, სახარგო ავტომანქანის მძღოლი გიგა ავალიანი).

როგორც ვთქვით, გრიგოლ აბაშიძე უწინარეს ყოვლისა პოეტია, უაღრესად თანამედროვე, ახალი საბჭოური ცხოვრების ღირსეული შეხიტყვეიგი უფლებამოსილია თამამად განაცხადოს: „მე ჩემი დროის ძლიერ ქარავანს არც ჩამოვრჩები, არც გავცვლები“.

გრ. აბაშიძის პოეზიის (იხე როგორც მისი მთელი შემოქმედების) გულიგულია, მინი სალოცავ-საფიცარია და საღიდებელი მრავალ ისტორიულ-განსაცდელს გამოვლილი, მაგრამ „ფენიქსებრ განახლებული“, აღორძინებული,

აუვაგებელი. სვედენიერი მისი სამშობლო. გრ. აბაშიძის სიტყვით, თუმცა „პატარა“ მისი სამშობლო. „ნიავის ერთი ჩამოკრძობა“, მაგრამ დიდი კულტურის პატრონია, რომელმაც უკვე შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი ხაერით, საეკობრიო კულტურის ისტორიაში. უნებლით გვაგონდება ჩვენი შორეი სახელოვანი პოეტის პათეტური გადმოძახილი: „ვინა თქვა თითქო პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი?“ აბსოლუტურად განსხვავებული მხატვრული წარმოსახვით ორივე დიდებული ქართველი პოეტი ერთსადაიმთხვე აზრს ახაბუთებს, ერთსადაიმთხვე მაღალ ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას გამოხატავს.

გრიგოლ აბაშიძე აღტაცებულ ჰიმნს უგალობს თავის სინსლბორცეულ სამშობლოს („ჰიმნი სამშობლოს“), მაგრამ მას სევდას ჰგვრის და გულს უღაღას ჩვენი ტაოს აწინდელი უიღბლო ბედები; სევდას ჰგვრის და გულს უღაღას, რომ საქართველოს მდინარეთა წარმტაც სიმფონიას ხმას ვერ უსწორებს ჩვენი კეობოხი („მდინარეთა სიმფონია“).

გრიგოლ აბაშიძე ბევრს მოგზაურობს. მან თითქმის ყველა კონტინენტი მოიარა. უცხოეთში მყოფს მას არასოდეს მოშორებია ფიქრი სამშობლოზე. იგი მშობლიური ქვეყნის თვალთ ზომავს და აფასებს ნახულს თუ გაგონილს. იგი ყველგან დაეინებით ეძებს ისეთ რამებს, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აგონებს თავის მშობლიურ მხარეს. ნატრა ზოგჯერ ასრულებია. ერთ შემთხვევას დავიმოწმებ. შვედეთში უოფნის დროს ერთ მუზეუმში გრ. აბაშიძეს ამოუკითხვას წარწერა „რუსული ხატებიო“. „გულმა ამ რუსული ხატებისაკენ გაშიწიაო“, მოგვითხრობს. „უცბე ჩემი ყურადღება ხატის ნაყნობმა ქართულმა იერმა მიიქციაო, — განაგრძობს, — მივუახლოვდი, ქართული დევისმშობელი ვიციანი“ (შორეულ გზებზე, 1959, გვ. 29). პოეტ-მოგზაურის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — სტოკჰოლმში ნახა „ქართული დევისმშობლის ხატი“. დევისმშობელი მთელ საქრისტიანო სამყაროს ეკოთენის, მას ყველგან თაყვანს სცემენ როგორც უდიდეს წმინდანს, აღმერთებენ. მაგრამ ძველი ლეგენდებით დევისმშობელზე მართლაც მტეტი უფლება აქვთ ქართველებს. საქართველო დევისმშობლის წილბვედრია, საქართველოს მეოხი და მფარველია. სწორედ საქართველოშია დევისმშობელი უპოპულარესი, აქ შეიქმნა მისი კულტი და მსოფლიოში გაიქვლია გზა ათონის ივირონის, ივერიის დევის-

მშობლის სასწაულთმოქმედმა ხატმა. დევისმშობლის მშობლიური ქართული ხატის სტოკჰოლმში ხილვამ მოიყვანა აღტაცებაში პატრიოტი პოეტი. იქვე, შვედეთში, ერთი სამუზეუმო სახლის ეზოში ჩვენს მოგზაურ-პოეტს შეუნიშნავს ორი უბრალო, ძველი, ნადავტი რუსული ჯარბაზანია. ეს ხომ უცხოეთის ტყეობაში დაღუპული სვედებელური აღიქმანდრე ბატონიშვილის ჯარბაზანია ამ მოულოდნელ სანახაობას ბუნებრივად აღუძრავს პოეტ-მოგზაურის მტანჯველი ფიქრი საქართველოს ბედუქუღმართ ისტორიაზე, უცხოეთში გადაბვეწილ და გადაკარგულ მის ღვიძლ შვილებზე, თვითონ აღიქმანდრე ბატონიშვილზე, მის სახელოვან მამაზე (არჩილ ბაგრატიონზე), რომლის ნეშტი იმის ოჯახის წევრებთან ერთად აბლაც განისვენებს დონის როსტოვის საფანის მუედრო „საძაღელიში“ („ვაპ, სოფელი, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებს, რა წენ გვირსა სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრეი სადით ძირსა“).

ნაწი და გულში ჩამწვდენია გრ. აბაშიძის ინტიმური ლირიკა. შეაკრია და მახვილი სამოქალაქო-პოლიტიკური ხასიათის მისი ლექსები. ბევრი შოამბუქდავი ნაწარმოები მიმდღვდა პოეტმა დიდი სამამულო ომის თემას. მინდა მინც ცალკე გამოვეყო მისი პოემა „ძღვევის ქედი“, კერძოდ, ამ პოემის ერთი ეპიზოდი — საბაერო განჯაში თბილისში. პოეტი ჭერ ერთგვარი ეპიური სიმშვიდით წერს, თითქოს იმ ხელოვნურად ჩაბნელებულ უკუნეთ დამგს „სძინავს თბილისს, ათახი წლის განსადედი ეყო დარდალ... სძინავს თბილისს“. მაგრამ საბაერო განჯაში ბმაზე ერთბაშად, თვალის ერთ დაბამბამბაში, ფხვზე დადგაო მთელი ქალაქი, რომ ღირსეულად დახვდეს მის საბაერო სივრცეში შემოკრილი ყაჩაღების ზროვას. დაუფიწყარია პოემის მშვენიერი სტრიქონები: „ქანაბდნენ ვარსკვლავები, თითქო ქარვის მძივებია... დედაქალაქს, თბილის-ქალაქს, თურმე როდი სძინებია“. მე ერთი იმ თბილისელთაგანი ვარ, ვინც ის შრისხანე ღამე ფხიზლად გაათენა ადგილობრივი საბაერო თავდაცვის საგუშაგოზე, როგორც ქალაქის სახალხო მოხალისე დაჭრის რაშემღმა („ოპოლიჩენცემა“). თბილისის იმ საწინელ სამახსოვრო დამგსა და გრიგოლ აბაშიძის მშვენიერი პოემის სტრიქონებს მე ვეღარაფერი დამაიწყებს.

და, ბოლოს, გრიგოლ აბაშიძე დაკვირვებული მკვლევარი-ინებისტია. მან შესანიშნავი წერილები მიუძღვნა ძველი და ახალი ქართული პოეზიის ბევრ სასიქადულო კორიფეს (შოთა

არუსთველს, დავით გურამიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვახას, გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, ალექსანდრე აბაშელს. გულის დიდი სითბოთი განიხილა მოძმე ხალხების (რუსების, უკრაინელების, სომხების, აზერბაიჯანელების, ლიტველების...) არა ერთი და ორი წარმომადგენლის შემოქმედება. თავისი მიუზღლო ხაზღვარგარეთის მაღალ პოეტურ კულტურას (შექსპირს, გოეთეს, ბაირონს...). მისივე აღიარებით, გრიგოლ აბაშიძეს მაინც უფრო იზიდავდა და იზიდავს დაჩაგრული ერების მოწინავე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით შთაგონებული მებრძოლი პოეზია. ქართველი პოეტის განსაკუთრებულ სიმპათიას იწვევს უნგრელი შანდორ პეტეფი (1828-1849) და ფილიპინელი ზოსე რიზალი (1861-1896). ორივე ეს დიდებული შემოქმედნი გრიგოლ აბაშიძეს თავის იდეალად მუავს წარმოსახული, იგი თითქოს უკუმანობს და შერყეობს, რომელი უფროა მისი პოეტური კერპი. „შანდორ პეტეფის ცხოვრება და შემოქმედება დღემდე (ლაპარაკია 1975 წელზე, ა. ბ.) ჩემთვის იდეალად რჩება“, — წერს ის გარდაწევებით (თბილისი, III, 1974, გვ. 621). თუმცა ფილიპინელი პოეტის შესახებაც ახევე გადაჭრით იმეორებს: „შორეულ ფილიპინებში შე გვიპოვე ჩემი იდეალი ჩაგრული ქვეყნის პოეტისა — ზოსე რიზალი. აღმოსავლეთ ევროპის დიდი პოეტების შიკვეთილსა და პეტეფის მსგავსად იგი თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით და გამირული სიკვდილით არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა უფვარდეს პოეტს მშობელი ერი“ (შორეულ ფილიპინებზე, გვ. 298; წიგნიდან „დრო და მანძილი“, თბილისი, 1971).

რიგოლ ცნობილია, ხელფესვებო დიდ ფილიპინელ პოეტსა და სწავლულ ზოსე რიზალის დამპყრობლებმა ტყვიებით გაუგმარეს გული. შანდორ პეტეფი კი დაამწვევიტ ხანკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლის დროს პირდაპირ შეაკვდა მტერს (მისი სხეული ბიშტებზე წამოაგეს და აკუწ-დაკუწეს). ასე შეჩვენება, რომ სადაც გულის სიღრმეში სწორედ პეტეფის მიიჩნევს გრ. აბაშიძე თავის სალოცავ პოეტურ ხატად (ყველაზე უფრო „რომანტიკულსა და მიწიდეულს“. გვ. 407). ამ დასკვნის საფუძველი იხიდა, რომ გრიგოლ აბაშიძემ ბრწყინვალედ გადმოქართულა შანდორ პეტეფის ბრწყინვალე პოეზია. პეტეფის ლექსების გრიგოლ აბაშიძისეული თარგმანი ქართული თარგმნითი ხელოვნების სამაგალითო ნიმუშია.



სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობის საკითხისათვის

(ს. დოდაშვილის დაბადების 180 წლისთავი)

სოლომონ დოდაშვილი, XIX საუკუნის ქართული კულტურის უთვისაჩინოესი მოღვაწე, ერთ-ერთი პირველი ქართველია, რომელმაც უმაღლესი საერო განათლება რუსეთში მიიღო. იმ დროის მოღვაწეთა შორის იგი ერთადერთია, რომელმაც შექმნა სპეციალური შრომები ლოგიკაში, რიტორიკაში, გრამატიკაში. მისი ინტერესების სფერო მეტად ფართოა: ფილოსოფია, სამართალი, სიტყვაჯამული ხელოვნება, ფილოლოგია, ეურნალისტიკა...

სოლომონ იოანეს ძე დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს, სოფელ მადაროში. 1818 წელს მიაბარეს სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1820 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1822-24 წლებში მასწავლებლობდა. 1824-27 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე. 1827 წლის ზაფხულში დაბრუნდა სამშობლოში და პედაგოგად დაიწყო მუშაობა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1829 წლიდან რედაქტორობდა გაზეთს „ტფილისის უწყებანი“, ხოლო 1832 წლიდან ამ გაზეთის ლიტერატურულ დამატებასაც. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, როგორც მისი იდეური ხელმძღვანელი, იგი გაასამართლეს და გადაასახლეს ვიბატაში, სადაც გარდაიცვალა 1838 წელს.

სოლომონ დოდაშვილის ძირითადი ნაშრომებია: „ლოგია“ (1827 წელი, რუსულ ენაზე); „შემოკლებული ქართული ლრამატიკა“ (1830); სიკვდილის შემდეგ გამოიცა მისი „რიტორიკა“ და „ლოგიკის მეოთხედი“. ს. დოდაშვილის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, რიგი მხატვრული ნაწარმოებებისა, სტატიები, შემორჩენილია მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობაც.

ქართული კულტურის ისტორიაში ს. დოდაშვილის ადგილი იმდენად მნიშვნელოვანია და ისეთი დიდი ინტერესის შემცველი, რომ მისი მემკვიდრეობის შესწავლას ქართველ მეცნიერთა არაერთი ნაშრომი მიეძღვნა (წ. ნუცუბიძე, ა. ქუთელია, თ. კუკუა, ვ. გავრიძე, გ. რუსია და სხვ.).

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მრწამსის შესახებ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია

გამოთქმული. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ს. დოდაშვილი მატერიალისტია, მეორე ნაწილი კი, მიუხედავად იმისა, რომ არ უარყოფს მის მსოფლმხედველობაში მატერიალისტური ტენდენციების არსებობას, მას მაინც იდეალისტად მიიჩნევს.

არგუმენტები, რომლებიც ს. დოდაშვილის მატერიალისტობის დასახსნებლად მოჰყავთ, შემდეგია: 1. ს. დოდაშვილი უარყოფითად აფასებდა სქოლასტიკას; 2. დადებითად აფასებდა ბეკონს, გასენდის და ლოკს; 3. აღიარებდა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ სინამდვილეს.

ჩვენი აზრით, ეს არგუმენტები ვერ ქმნიან საქმად საფუძველს იმისთვის, რომ ს. დოდაშვილი მატერიალისტად ჩავთვალოთ. თავისთავად სქოლასტიკის უარყოფითად შეფასება არ მეტყველებს არც მატერიალისტობაზე და არც იდეალისტობაზე. ვინაიდან სქოლასტიკას უარყოფითად აფასებდნენ როგორც მატერიალისტები, ისე იდეალისტები. ჰეგელი წერდა: „როდენ ამალღებულცი არ უნდა ყოფილიყო მათი (სქოლასტიკოსების) კლდევის საგანი, რა კეთილშობილნი, ღრმა მოაზროვნე სწავლულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ მათ შორის, სქოლასტიკა საბოლოოდ მაინც განსჯის ბარბაროსულ ფილოსოფიას წარმოადგენს“. სქოლასტიკის ეს შეფასება გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე ს. დოდაშვილისა, მაგრამ ამის გამო ჰეგელი მატერიალისტად არავის გამოვსადებია.

გასენდის შესახებ ს. დოდაშვილი წერს: „...გასენდი, რომელიც ცდილობდა ეპიკურე აღედგინა მისი საუკეთესო სახით და, შაშახა-დამე, ასწავლიდა ცდის მიხედვით მსჯელობას...“ გასენდის უზაყვედურებენ იმას, რომ მან თავისი ორგანოში ბევრი მნიშვნელოვანი თვალსაზრისი უფურადღებოდ დატოვა“ (იხ. დოდაშვილის „ლოგია“ გვ. 17-18). როგორც ვხედავთ, გასენდის დოდაშვილისეული შეფასება უფრო უარყოფითად შეიმღება მივიჩნიოთ, ვიდრე დადებითად. ყოველ შემთხვევაში,



აქედან იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს, ს. დოდაშვილი დადებითად აფასებდა გასენდის, უსაფუძვლოა.

რაც შეეხება ლოკს, ს. დოდაშვილი ამბობს, რომ მან ლოკიას მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ცნების თეორიით. ე. ი. ის დადებითად აფასებდა არა საერთოდ ლოკს, არამედ მის იდეებს ლოკიაში. ბოლო ფილოსოფიის სხვა სფეროში ლოკის ნააზრევების შესახებ ს. დოდაშვილი შემდეგს წერს: „ზრახვა ლოკისა სულისთვის ფრიად მცდარ არს“ (ს. დოდაშვილის თხზულებანი გვ. 251) ამრიგად ს. დოდაშვილის მიერ ლოკის შეფასება მარტოოდენ დადებითი არ არის.

არც ბეკონის დოდაშვილიანული შეფასება იძლევა საკმარის საფუძველს ქართული ფილოსოფიის მატერიალისტობის დახასიათებლად. ვინაიდან: ა) ს. დოდაშვილი თავის ნაშრომში ბეკონზე არანაყოფიერად დადებითად აფასებს ისეთ იდეალისტებს, როგორებიც არიან იაკობი, რაინჰოლდი, შულცი და სხვანი; ბ) ბეკონს დადებითად აფასებდნენ არა მარტო მატერიალისტები, არამედ იდეალისტებიც (მაგ. კანტი).

ამგვარად, ის არგუმენტი, რომ ს. დოდაშვილი დადებითად აფასებდა გასენდის, ბეკონს და ლოკს, და ამიტომაც მატერიალისტობა, დამაჩერებელი არ არის. დაბოლოს, იქიდან, რომ ს. დოდაშვილი აღიარებს ჩვენგან დამოუკიდებელ გრძნობად სინამდვილეს, სრულებითაც არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს იგი მატერიალისტი იყო. მაგალითად, შელინგის აზრით: „ბუნება მამინაც იარსებებდა, რომც არავინ უფიქროს ისეთი, ვინც მას წარმოადგენდა“. როგორც ვხედავთ, შელინგი უშვებს შემეყენებელი სუბიექტისაგან ბუნების (მატერიალისტი დამოუკიდებლობას, მაგრამ იგი მატერიალისტი კი არ არის, არამედ იდეალისტია.

ს. დოდაშვილიც მხოლოდ მაშინ იქნებოდა მატერიალისტი, თუ იტყოდა, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი გრძნობადი საგნების სიმრავლე, რომელიც ვარს გვარტყია, ერთდგომი რეალობაა, და არავითარი გონითსულიერი არ არსებობს ადამიანის ცნობიერების გარდაო. ს. დოდაშვილი კი პირდაპირ აცხადებს, სულიერი პირველადი მატერიალურწყო: „სულმან დაჰბადა უყოელივე ბილულცა და უხილავიცა, სეუელიცა და უსხეულცა. ქალაქიცა და მეფეცა, რთულიცა და მარტივიცა.“ (თხზულებანი გვ. 252) „გარნათვი სული არს უყოელგან და იქმნების უყოელთათვის“.

ამრიგად, ს. დოდაშვილის ფილოსოფიური პოზიციის საკითხი გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენი მიზანია ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ მრწამსთან დაკავშირებული რიგი საკითხების დაყენება. ამ საკითხების გადაჭრისას

უწინარეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ის, რა აზრი ჰქონდა ს. დოდაშვილს სამყაროს საწყისზე.

ს. დოდაშვილი ერთმანეთისაგან განსხვავებს ადამიანური შემეცნების ორ უნარს: განსჯას და გონებას (ს. დოდაშვილის ტერმინოლოგიით „разум“ და „ум“). განსხვავება ამ ორ უნარს შორის მისი „ლოგიკის“ ქართულ თარგმანში ზოგჯერ აღრუული ან წაშლილია, ამიტომ „ლოგიკის“ სათანადო ადაგილებს ჩვენს ნულში თარგმანით მოვიტანთ.— ე. კ.) განსჯის საგანი არის მოვლენათა სფერო, რაშიც იგულისხმება უყოელივე. რაც ცდით და გრძნობის ორგანობით გვეძლევა. „ეს უნარი (განსჯა.— ე. კ.) მოიცავს მხოლოდ იმას, რაც გრძნობებს და ცდას ეძლევა...“ (იხ. „ლოგია“, გვ. 8). განსჯის მეცნიერება არის ლოგია, რომელსაც, როგორც მოვლენების შესახებ მეცნიერებას, შეიძლება ფენომენოლოგია ეწოდოს. „მიუფერო ლოგიკის საწყისები ნივთებს, რომლებიც ცდის სფეროს ვარტო („вне круга опытности“); იმყოფებთან, ნიშნავს მიაწერო მათ მეტი ძალა და ღირსება, ვიდრე მათ სწამადვილში შეიძლება ჰქონდეთ, ნიშნავს ერთმანეთისაგან სრულიად ბნისხპაპეზული, უფრო მეტიც, ურთიერთდაპირისპირებასული ნივთების აღრევას, საფუძვლის მიცემას დულაუმებისთვის, რომლებიც აუცილებლობით გამომდინარეობენ ჩვენი გონის ორი უნარის და ამ უნართა შესაბამისი ორი სამყაროს აღრევად, რომელნიც ქვეყნიერების ერთობას ქმნიან“ (იქვე გვ. 7 ხაზი უკვლავს ჩვენი.— ე. კ.).

ეს დებულება თითქოს წინააღმდეგობრივია ერთი მხრივ, სოლომონ დოდაშვილი უარყოფს დულაუმებს, ხოლო მეორე მხრივ, უშვებს ჩვენი სულის უნართა შესაბამის ორ განსხვავებულ სამყაროს, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მარჩვენებელია. ს. დოდაშვილი დულაუსტი მაშინ იქნებოდა, რომ ეთქვა, ეს ორივე სამყარო თანაბრად პირველადიაო. ხოლო მის მიერ განსჯის სამყაროს დახასიათება, როგორც მხოლოდ ისეთის, რაც გვევლინება და არ ქმნის თავად საგანთა არსს, მიუთითებს, რომ მისი აზრით, სუბსტანციონალიზმა (პირველადობა) სწორედ იმ სამყაროს ეკუთვნის, რომელიც საგანთა არსს ქმნის.

ციტირებული ფრაგმენტი ს. დოდაშვილის ნაშრომთან ნათელყოფს მის პოზიციას და დამოკიდებულებას მატერიალიზმთან მიმდრეკილ მნიშვნელოვან საკითხებში. მართალია, მეცნიერებას, მატერიალიზმის მიხედვით, ისეთი კანონებთან აქვს საქმე, რომლებიც ცდაში უშეალოდ არ გვეძლევა. მაგრამ ეს კანონები მატერიალური, ე. ი. გრძნობადი და ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი საგნების „გარეთ“ კი არ არსებობენ, არამედ სწორედ ამ საგანთა არსებობის შინაგან წესებს ქმნიან ს. დოდაშ-

ვილი ამბობს, რომ განსჯაში (ე. ი. გრძნობებში) მოცემული სამყარო სრულიად განსხვავებული და დაპირისპირებულიც კი არის გონების (ანუ გრძნობადი სამყაროს გარეთ მდებარე) სამყაროსთან. აქედან ვაქმობდინარე, თუ განსჯის შესაბამის არსთა სიმრავლე გრძნობადის და ცხდაში მოცემულის იგივეობრივია, მაშინ გონების საგანი არაგრძნობადი, ე. ი. იდეალური ყოფილა. „გონების საგანია იდეალური, უხილავი, გონითი (ДУХОВНОЕ)“, წერს იგი (იქვე გვ. 28). ზოგი მკვლევარი იმ აზრისაა, რომ აქ ლაპარაკია შინაგან სულიერ პროცესებზე, მაგრამ ჭერ ერთი, ს. დოდაშვილი ტერმინოლოგიურად მკაფიოდ განასხვავებს სულიერს გონითისაგან. იგი წერს: „რაიმე საგნის გრძნობის ორგანოებზე მოქმედებისას სული (душа) მიიმართება მიღებულ შთაბეჭდილებებზე“ (იქვე გვ. 26) ან კიდევ „სულის (душа) მეორადი მიზრუნება შეგრძნებათა მახალისაკენ არის წედომა ანუ განაზრება“ (იქვე). აგრეთვე: „სული (душа) განვრტებს რა ამ დაპირისპირებას (შემშეცდებელს და შესამეცდებელს შორის — ე. ი.), აცნობიერებს, რომ მოაზროვნე სრულიად განსხვავდება სააზროვნოსაგან“... (იქვე გვ. 28) აქედან ამ შემთხვევაში შინაგანი, სულიერი პროცესები აღინიშნება ტერმინით „душа“ და არა „ДУХ“, მეორეც, ს. დოდაშვილი გარკვევით ამბობს, რომ საქმე ედება ადამიანის სუბიექტური უნარის (გონების) შესატყვის სამყაროს, ხოლო სუბიექტური უნარის შესატყვისი მასთან სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ობიექტური. ამრიგად, აქ საუბარია ობიექტურად არსებულ იდეალურ-გონითზე, რაც ეწინააღმდეგება მატერიალიზმის უფნდამეტურ დებულებას. გარდა ამისა, მატერიალისტური ფილოსოფიის თანახმად, არ შეიძლება არსებობდეს რაიმე შემეცნებითი უნარი, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი იქნება გრძნობის ორგანოთა მონაცემებისაგან. ამ საკითხში ს. დოდაშვილი იდეალისტურ ნიადაგზე დგას. ვინაიდან, მისი აზრით, „გონებაში არაფერი არ შეიძლება იყოს, რაც გრძნობებს ედება“ (იქვე გვ. 24). ს. დოდაშვილს გონების საგნად ადამიანის შინაგან სამყარო რომ არ მიაჩნია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი გონების მეცნიერებად მეტაფიზიკას თვლის: რაც შეეხება ადამიანის სულიერ (შინაგან) კანონთა მეცნიერებას, ს. დოდაშვილს აზრით, ასეთია ფსიქოლოგია. ს. დოდაშვილი გონების საგანად ადამიანის შინაგან სფეროში რომ თავსდებადს, გონების მეცნიერება იქნებოდა ფსიქოლოგია და არა მეტაფიზიკა.

ამრიგად, ქართველი მოაზროვნე არათუ პირდაპირ წერს, იდეალური პირველადია მატერიალურთან შედარებითი („სულმა დაბადა უკოლოვე“), არამედ განსჯის და გონების ურთიერთგამოკლებებით და მათი შესატყვისი

სამყაროების დადგენით. აგრეთვე, გონების საგნის მეტაფიზიკის სფეროში მოთავსებით თანმიმდევრულად ავითარებს თავის თვალსაზრისს. ამდენად, ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის პირველ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს მისი ობიექტურ-იდეალისტური ბაზისით.

თუ ფილოსოფიის ისტორიას იმის მიხედვით განვიხილავთ, შემეცნების რომელი მხრიდან ამოდიოდნენ ფილოსოფოსები, ისინი ორ ძირითად ჭგუფად გაიყოფიან: ერთი თვლიან, რომ ჩვენი შემეცნება ჭერ გარეთ, ობიექტურ-სუბიექტურ უნდა მეფართოვდეს და მხოლოდ ობიექტის რაობის დადგენის შემდეგ (და მის საფუძველზე) დავადგინოთ სუბიექტის რაობა.

მეორე ჭგუფის აზრით, შემეცნების პროცესი სუბიექტური მხარის ანალიზით უნდა დავწყვიტოთ და სუბიექტურობის ანალიზის გზით წავივლით ობიექტურობისაკენ, ანუ „თავად სგნებისაკენ“. ს. დოდაშვილი აშკარად მეორე თვალსაზრისზე დგას: «...Философствовать значит ОБРАЩАТЬ ВНИМАНИЕ на самого себя, ВНИКАТЬ в самого себе, дабы УЗНАТЬ и разуть нас самих и чрез то УСТАНОВИТ МИР в себе и с собой. ОБРАЩАТЬ ВНИМАНИЕ НА СЕБЯ значит отвлекать оное от всего того что не принадлежит к нам; сего бывает... когда оставляет все внешнее...» (იქვე გვ. 4).

(ხაზი უველგან დოდაშვილისა. ციტატი რუსულად მოვეყვავს, რამდენადაც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ითარგმნოს ამ ფრაგმენტში „в себе და с собой“ როგორც „ჩვენთან“ და „ჩვენივეს“, თუ „თავისთავად“ და „თავისთვის“ — ე. ი.).

ს. დოდაშვილი ფილოსოფოსობის საურდენად სუბიექტს აცხადებს, მაგრამ ეს სრულიად აკრწინებს, თითქოს იგი სუბიექტივიზმის პოლიციავზე იდგეს. ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია ფაქტები, როდესაც ფილოსოფოსობას სუბიექტის ანალიზით იწყებენ, მაგრამ სუბიექტივიზმის მსოფლმხედველობას არ იზიარებენ. მაგ. სოკრატე სუბიექტის ანალიზიდან ამოდიოდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ის ობიექტური იდეალისტი იყო. ასევე დეკარტე და ბუხერლიც.

ს. დოდაშვილის აზრით, ადამიანი სიმარტივისა და ერთიანობისაკენ მიხიბუნებრივი მიდრეკილების გამო შერტას უმეტესწილად ვარე ბუნებისაკენ მიმართავს. მის თვალში ყველაზე დიდი ღირებულება ვარე სამყაროს მარტივ მოვლენებს აქვს, უფრო მეტიც, ასეთი ადამიანის თვალში რაც უფრო მარტივია მოვლენა, მით უფრო ბუნებრივია იგი. ისეთი ადამიანის თვალში ბუნებრიობა და სიმარტივე თითქმის იდენტურია. ექვემდებარება რა ამ ლტოლვას სიმარტივისადმი, ადამიანის წარმოსახვა ბშირად ქმნის სისტემებს, რომელთაც შემდეგ მათში

არსებული ცალმხრივობის და სუბიექტივიზმის მიუხედავად ობიექტურ გეომატიკებად აცხადებენ. ამიტომ აუცილებელია ფილოსოფიას მყარი საყრდენი ჰქონდეს და ს. დოდაშვილის მიმართვა სუბიექტისადმი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ვაკვირდებით რა ჩვენში მიმდინარე შინაგან მოვლენებს, კვლევა-ძიების საგნად ვაქცევთ ჩვენს საკუთარ თავს. ამ გზით ვაღდენთ ჩვენი მოქმედების უმაღლეს მიზეზებს. ამდენად, ფილოსოფოსობა ნიშნავს მისდევდა: ა) გაწყენებას და მედიტაციას, ბ) თვითგაგებას და თვითგანაზრებას, და გ) ამგვარი თვითშემეცნებით კმაყოფილებას. ეს უკანასკნელი ყველაზე უშრომისი, მაგრამ ყველაზე უფრო ამბავი უფრო მისაძინებელია.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მეორე მნიშვნელოვანი ნიშანი — მისი ორიენტაცია სუბიექტზე.

ერთ-ერთი ნიშანი, რომლითაც ს. დოდაშვილს ახასიათებენ, არის განმანათლებლობა. „განმანათლებელი“ ყოველდღიურ სიტყვათმარებაში ნიშნავს ადამიანს, რომელიც განათლების (კულტურის, წერა-კითხვის და ა. შ.) გავრცელების მომხრეა, ხოლო ფილოსოფიური თვალსაზრისით. ერთ-ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობის მომხრე.

XIX საუკუნის დამდეგისათვის განმანათლებლობა კი აღარ წარმოადგენდა ფილოსოფიური აზრის უმაღლეს მიღწევას, არამედ გერმანული კლასიკური იდეალიზმი (კანტი, ფიხტი, შელინგი, ჰეგელი). ამას ერთხმად აღიარებს ყველა მკვლევარი. ამდენად, ჭერმინის „განმანათლებელი“ გამოყენება მისი ფილოსოფიური მნიშვნელობით, ს. დოდაშვილის მიხედვით ვერაფერი სახარბიელოა, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამოვა, რომ იგი ერთგვონდა თავისი დროის ფილოსოფიური აზრის არა მოწინავე, არამედ ისტორიულად უკვე გარდასულ მიმდინარეობას.

ცნობილია, რომ განმანათლებლობაში სამი ფრთა გამოიყოფოდა: გერმანული იდეალისტური განმანათლებლობა, „მატერიალიზმის დეისტური ფორმა“ (ენგელსი) და XVIII საუკუნის მატერიალიზმი. ამ უკანასკნელისადმი ს. დოდაშვილის მიკუთვნება გამორიცხებულია, რადგანაც იგი, როგორც ვნახეთ, იდეალისტი იყო და გარდა ამისა, არ იზიარებდა XVIII საუკუნის მატერიალისტების ხენსუალიზმს, თორემ ვერ იტყოდა, გონებაში არაფრია იხეთი, რაც გრძნობებში გვეძლევა და გონება ცდას არ ექვემდებარება. რაც შეეხება ს. დოდაშვილის დამოკიდებულებას მატერიალიზმის დეისტური ფორმისადმი. უნდა ითქვას, რომ მისი წარმომადგენლები ბეილი, ვოლტერი და სხვანი, თუმცა უმაღლეს საწყისად იდეალურს ეხადებენ, მაინც თვლიდნენ, რომ იდეალურის შემეცნება შეუძლებელია, განსხვავებით

ს. დოდაშვილისაგან, რომელსაც განების შესაბამისი იდეალური სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება (მეტაფიზიკა) სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა, და რომელიც უპირისპირდებოდა ამ მოაზროვნეთა აგნოსტიციზმს. გარდა ამისა, განმანათლებელთა ეს ფრთა დუალისტურ პოზიციაზე იდგა. სამყაროს საწყისად მან, ერთი მხრივ, იდეალური დაუშვა (ვოლტერიმა თქვა, ღმერთი რომ არ ყოფილიყო, უნდა გამოგვეგონაო), ხოლო მეორე მხრივ, იდეალურის შეუშეცნებლად გამოცხადებით იგი ფაქტობრივად მატერიალიზმისკენ მოხრუნდა. ასე გაჩნდა ამ ფრთის წარმომადგენლებთან მიზეზის და შედეგის ცნობილი დუალიზმი. მაგრამ ს. დოდაშვილი თავის ნაშრომში რამდენჯერმე კატეგორიულად ილაშქრებს დუალიზმის წინააღმდეგ, რაც ნათლად მიუთითებს მის უარყოფით დამოკიდებულებაზე განმანათლებლობის ამ ფრთის მიმართ.

განმანათლებლებისათვის მიუღებელია ს. დოდაშვილის ის თვალსაზრისი კატეგორიების შესახებ, რომლის თანახმადაც ვთქვათ, მიზეზი და შედეგი, აუცილებლობა და შემთხვევითობა და ა. შ., განსჯას განეკუთვნება და ამიტომ მხოლოდ მოვლენების სტეროს მიეხსება.

ამის გარდა, ს. დოდაშვილს და განმანათლებლებს გაქნსხვავებული შეხედულებები აქვთ:

1. ლოგიკური კანონების წყაროს შეფასებაში. განმანათლებლებს შორის ლოგიკის საკითხებისადმი მიძღვნილი საუთონესო ნაშრომის ავტორის კონდილიაკის აზრით, ლოგიკის კანონები მხოლოდ ცდისეული ბუნებისაა; ს. დოდაშვილი კი თვლის, რომ „...მხოლოდ ცდით შეუღღდული ლოგიკა... ისევე უაზრო იქნებოდა, როგორც მარტოაღენ ცდაზე დაფუძნებული ზნეობის ფილოსოფია...“ „ლოგიკა შეიძლება იყოს მხოლოდ გონისეული და არა წმინდა ცდისეული მეცნიერება...“

2. რიგე განმანათლებლებისა თვლიდა, რომ არათუ ლოგიკის, არამედ ეთიკის კანონებიც ცდისეული ბუნებისაა. ს. დოდაშვილი კატეგორიულად ილაშქრებს ამ თვალსაზრისის წინააღმდეგაც.

3. ს. დოდაშვილი მტრულად იყო განწყობილი განმანათლებლობის ისეთი აღიარებული ლიდერების მიმართ, როგორებიც იყვნენ ვოლტერი და რუსო. ს. დოდაშვილი წერდა: „განცოფებულისა კაცაქისა მის ვოლტერისა სიტყვა, არა შესაბამისი არს წინაშე სულია მექონისა კაცისა და მაღლისა მკურთხებელია გონებისა ზეცად, ვინაიდრე ისტორია მისისა სისტემისა შინა ფილოსოფოსისა მაცნობებს, რომელ იგი არა რაისა განმარჩეველ იყოს. არცა უწყობდა კაცი, არცა სული, არცა ხორცი, არცა შემოქმედი და არცა შექმნილი, ვინაითგან არა განახსვავებდა მათ ურთიერთისაგან და ამაო რწმუნებოთა თავისითთა შთავარდა უწმინ-

დრობაში წინა უსაძაგლეს-შეხარაცხად უკვე-
ლთათვის სულიანი მამტიკიებელთა. მის თანამ-
ზრახველთა რუსსო და მარკიუ დარუჟანძან,
უდრის ავნეს ვიდრე ღა მისცეს სარგებლობა
თვისთა განზრახვითიან დეტლამაციითა“ (თხუ-
ლებანი, №1). ვფიქრობთ, ეს შეფასება ნა-
თლად და ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს
ს. დოდაშვილის დამოკიდებულებას განმანათ-
ლებლებისადმი. ამასთან საგულისხმოა, რომ
ს. დოდაშვილი ესოდენ მკაცრად აფასებს
ფრანგულ განმანათლებლობას, რომელიც
ძირითადად ემპირიზმზე და მატერიალიზმზე
იყო ორიენტირებული. რაც შეეხება იდეალ-
ისტურ ნიადაგზე მდგომ გერმანულ განმანათ-
ლებლობას, მისი დოდაშვილისიველი შეფასე-
ბა არსებითად ნეიტრალურია. ეს კიდევ ერ-
თი საბუთია ს. დოდაშვილის იდეალიზმის და-
სადასტურებლად. ამ მხრივ ს. დოდაშვილი
განაგრძობს თავისი წინამორბედი ქართველი
მოაზროვნეების, კერძოდ ანტონის, ი. ხელაშ-
ვილის და სხვათა გზას.

4. განმანათლებლებს შუა საუკუნეები „ბნე-
ლეთის ხანად“ შიარჩდათ. დღეს ფილოსოფი-
ისების, ფილოლოგების და ისტორიკოსების
ერთობლივი შრომის შედეგად ეს კონცეფცია
უარყოფლია როგორც არამეცნიერული. სა-
კმარისია გავეცნოთ დოდაშვილისიველი „მო-
კლე განხილვის“ იმ ნაწილს, რომელიც XI-
XII საუკუნის ქართულ კულტურას (ძირითა-
დად ფილოსოფიას და სიტყვიერებას) ეხება,
რომ დავინახოთ ქართველი მოაზროვნისათვის
რამდენ უცხო იყო შუა საუკუნეების გაგება
როგორც „ბნელების ხანისა“.

5. ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში არა-
ერთხელ თქმულა, რომ ს. დოდაშვილის აზ-
როვნებას ახასიათებს დიალექტიკურობა, გან-
მანათლებლური ფილოსოფია კი თავისი
არსით მეტაფიზიკური იყო.

6. განმანათლებლები არ ცნობდნენ განს-
ხვებებს განსჯასა და გონებას შორის, ზოლო
ს. დოდაშვილი აღიარებს ამ განსხვავებას. გა-
ნმანათლებლებისათვის (უკველ შემთხვევაში
ფრანგული განმანათლებლებისათვის) სრული-
ად გაუგებარი იქნებოდა ისეთი რამ, როგორ-
ცაა ცდისა და მგრძობილობისაგან დამოუ-
კიდებელი და აქტიური გონება.

არც ის არის სწორი, თითქოს ფილოსოფიის
ს. დოდაშვილისიველი გაგება, რომლის თანა-
ხმადც ფილოსოფია არის მოძღვრება ადამი-
ანური შემეცნების და მოქმედების უმაღლეს
მიზნებზე, განმანათლებლური იყოს. კანტმა
კითხვამ „რა არის ადამიანი?“ (რაც თავის-
თავად გულისხმობს საკითხს ჩვენი მოქმედებ-
ის და შემეცნების უმაღლეს მიზნებზე). პა-
სუნი ფილოსოფიის უმაღლეს მიზნად და-
სახა თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობის მე-
ორე პერიოდში, როდესაც იგი შეუძლებელია
განმანათლებლად ჩაითვალოს. ესეც არ იყო.

XX საუკუნის დასავლეთის ფილოსოფიაში
მთელი მიმდინარეობა, ე. წ. ფილოსოფიური
ანთროპოლოგია, თავის მიზნს ამავე კითხვამ
პასუხის გაცემაში ხედავს. მაგრამ ამის საფუ-
ძველზე იმის თქმა, რომ ადამიანის გაგება,
რომელიც შედრება, გელენმა, პლენენმა და
სხვებმა მოკვეცეს განმანათლებლური, ცხა-
დია, სწორი არ იქნება. ამრიგად, შეგვიძლია
გამოვყოთ ს. დოდაშვილის ფილოსოფიის კი-
დევ ერთი ნიშანი: იგი განმანათლებელია ამ
სიტყვის არა ფილოსოფიურ-ისტორიული, არ-
ამედ უკველდღიური მნიშვნელობით. ამ აზრ-
ით, იგი XIX საუკუნის ქართულ კულტურაში
ერთ-ერთი ყველაზე დიდ განმანათლებლად
გვეთვითება.

მაგრამ, თუ ს. დოდაშვილი განმანათლებელი
არ იყო ამ სიტყვის ფილოსოფიური გაგებით,
დგება საკითხი, ფილოსოფიის რომელ სკოლას
შეიძლება მივაკუთვნოთ იგი, ჩვენი აზრით,
ს. დოდაშვილი განეკუთვნება იმ ფილოსოფი-
ურ მიმდინარეობას, რომელსაც გერმანულ
კლასიკურ იდეალიზმს უწოდებენ. ამის დას-
ასაბუთებლად შეიძლება წამოვყენოთ შემ-
დეგი არგუმენტები:

1. ს. დოდაშვილის მიხედვით, აზროვნების
კანონები უბრალოდ და ერთმანეთისაგან და-
მოუკიდებლად კი არ უნდა დავადგინოთ, არა-
მედ აუცილებელია მათი დედუქცია, სახელ-
დობრ, დედუქცია ადამიანური სულის მოღ-
ვაწეობიდან. აზროვნების კანონების ამგვარ
დინამიკურ განხილვას მარქსადელი ფილო-
სოფიის ისტორიაში მხოლოდ გერმანულ
კლასიკურ იდეალიზმში ვხედავთ.

2. ს. დოდაშვილი ერთმანეთისაგან განს-
ხვავა განსჯა და გონება, და მიუთითა, რომ
გონების სამყარო შეუძლებელია მისაწვდომი
იყოს განსჯისათვის მისი (ე. ი. ფორმალურ-
ლოგიკური) კანონებით. მართალია, განსჯისა
და გონების ასეთი განსხვავება გერმანულ
კლასიკურ იდეალიზმამდეც იყო ცნობილი
(მაგ., ნეოპლატონიკოსებთან, კუხანელთან,
ბრუნოსთან...), მაგრამ ს. დოდაშვილის მოღ-
ვაწეობის წინა პერიოდში ამ განსხვავებას ვერ
ვხვდებით ვერც ლოკთან, ვერც ლაიბნიცთან,
ვერც ვოლფთან და, ცხადია ვერც ფრანგ გან-
მანათლებლებთან.

3. განსჯის დოდაშვილისიველი დეფინიცია
ახლოდგას კანტის „ლოგიკაში“ მოცემულ
დეფინიციასთან. კანტის აზრით, „...განსჯა არ-
ის უნარი აზროვნებისა, ე. ი. გრძობის მონ-
აცემების დაყვანისა წესებზე“. ს. დოდაშვი-
ლის აზრით „... განსჯა სხვა არაფერია, თუ
არა უნარი ყველაფრის დაყვანისა თავისებურ
წესებასა და კანონებზე...“ ჩანს, რომ ს. დოდა-
შვილი იცნობდა კანტის ამ ნაშრომს, და
კანტის პოზიციაზე (რომელიც განსხვავდრელი
იყო გერმანული კლასიკური იდეალიზმის წა-
რმომადგენლებისათვის ფიხტედან შეგუამდე)



იღმა, თორემ, უტყველია, კანტისაგან განსხვავებულ დეფინიციას ჩამოაყალიბებდა.

4 ს. დოდაშვილი უყოყმანოდ ეთანხმება კანტის მიერ დადგენილ კატეგორიების ცხრილს, ეს ცხრილი სრულიად განსხვავებულია ყველა მანამდელი ცხრილისაგან (კანტისეულ ცხრილს მებრ-ნაკლებად აწონებდნენ გერმანული კლასიკური იდეალიზმის სხვა წარმომადგენლებიც).

5. კანტის მსგავსად ს. დოდაშვილი კატეგორიების გამოყენების სფეროს ზედვას მოუღწენებში და არა იმაში, რაც არის თავისთავად, და რასაკვირველია, მიუღებელი იქნებოდა მთელი კანტამდელი (შესაბამისად, გერმანული კლასიკური იდეალიზმის წინამორბედი) ფილოსოფიისათვის.

6. ს. დოდაშვილის აზრით, დრო და სივრცე ვინაობა უმაღლესი მოღვაწეობიდან წარმოიშვება, რაც აგრეთვე ადასტურებს კანტის შემდგომ გერმანულ კლასიკურ იდეალიზმთან მის კავშირს.

7. ს. დოდაშვილის მიხედვით, წარმოსახვის საყოველთაო ფორმები, რომლებიც ცნებების წყაროს წარმოადგენენ, ორი სახისაა: გრძობადი კერძოდ, დრო და სივრცე, და განსჯითი, ე. ი. კატეგორიები. უნდა ითქვას, რომ ამგვარ დაყოფას კანტამდელი ფილოსოფია არ იცნობდა.

8. იდეას და ცნებას შორის განსხვავების დადგენა, რომელსაც ს. დოდაშვილი ახდენს, ახლო დგას შადის და შელინგის ანალოგიურ ცდებთან.

9. გასათვალისწინებელია ის ისტორიულ-ფილოსოფიური ვითარება, რომელშიც ს. დოდაშვილი მოღვაწეობდა. იმ დროისათვის ქველაზე შეტად გავრცელებული იყო ორი მიმდინარეობა — განმანათლებლობა და გერმანული კლასიკური იდეალიზმი, განმანათლებლობისადმი (როგორც მატერიალისტურისა იხე იდეალისტურის) ს. დოდაშვილის მიკუთვნება, როგორც ვახეთ, შეუძლებელია. ეს მისი „მასწავლებლების“ ანტიზისა და იოანეს-დროინდელი ეტაპია, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვე გაკეთებული საქმეა, რჩება ორი შესაძლებლობა, ა) ს. დოდაშვილი ეკუთვნოდეს რომელიმე უფრო ძველ (XVI-დან ვიდრე XVII საუკუნის მეორე ნახევარამდე) ფილოსოფიურ სკოლას; ბ) იყო გერმანული კლასიკური იდეალიზმის წარმომადგენელი.

არც ერთი ძველი სკოლისადმი ს. დოდაშვილის მიკუთვნება არ ზერბდება. იგი ვერც კარტეზიანელი ან ლაზონალისტი იქნებოდა, რადგანაც მასთან საერთოდ არა დგას ფსიქოგნოზიკური პარალელიზმის პრობლემა. იგი არც სპინოზისებია, ვინაიდან მასთან განუფიქრობებს აწროვნებასთან მიმართებით არც ატრიბუტულობა და არც ტოლფასოვნება არ გახანია, და ბოლოს, არც ლაბინციის მიმდევარია, რადგანაც მასთან ფორმალურ-ლოგიკური კანონები არ არის თავისთავად არსებულის კანონები, რჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: ს. დოდაშვილი გერმანული კლასიკური იდეალიზმის მიმდევარია.

ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ს. დოდაშვილის მიკუთვნება გერმანული კლასიკური იდეალიზმისათვის სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქმის მისი ფილოსოფიური შეხედულებები მშობლიურ საწყისებს მოწყვეტილი იყოს, რომ არაფერი ვთქვათ იმ დიდ ზეგავლენაზე, რომელიც მასზე ანტონმა, იონა ხელაშვილმა და იოანე ბატონიშვილმა მოახდინეს (მიუხედავად იმისა, იზარებდა იგი მათ იდეებს თუ არა): გავიხსენოთ, რომ გერმანული კლასიკური იდეალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო ქართული კულტურის ზედ-ილბალთან გადაჯავვული ნეოპლატონიზმიც იყო. ამდენად, უცხოური ფილოსოფიის ს. დოდაშვილისეული ათვისება სრულიადც არ ნიშნავდა ეროვნული ნიადაგიდან მის მოწვევას, როგორც ჩანს, ეს ვითარება თავად ს. დოდაშვილსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, როდესც „ლოგიკის“ მიძღვრაში აცხადებს, რომ ამ შრომის დაწერისათვის უბიძგა წმინდათაწმინდა ვალმა — რაიმეში გამოადგომოდა თანამემამულეთ.

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დახასიათებისას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება კიდევ ერთ მხარეს. ეს არის მისი აზროვნების დიალექტიკური ხასიათი, რაც არაერთგვის სამართლიანად არის ხაზგასმული ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში (შ. ნუცუბიძე, თ. კუკავა). ს. დოდაშვილი შეგნებულად იღმა დიალექტიკურ პოზიციასზე. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტორები: 1. ს. დოდაშვილისათვის ტრადია არის საყოველთაო პრინციპი. 2. ს. დოდაშვილი არა-თუ ზოგადად ცნობს ტრიადულობის პრინციპს, არამედ კანტის დარად თამიმდევრულად ანბორციელებს მას კატეგორიების ცხრილში. 3. ს. დოდაშვილი დიალექტიკურად განიხილავს მიმართებას ანალიზურ და სინთეზურ მსჯელობებს შორის: „ანალიზური მსჯელობა მოითხოვს სინთეზურს, ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია სახარვეზლო იყოს პირველის გარეშე — და ორივე აუცილებელია შემეცნებისათვის“. 4. და ბოლოს, დიალექტიკურად იხილავს ს. დოდაშვილი არსებობას: არსება თავდაპირველად მუდამ განიყოფა ურთიერთდაპირისპირებულ ნიშანთა ორსახედ, დაპირისპირებულ ნიშანთა ეს ფუძემდებლური სახეები ქმნიან არს.

პირიგად, საქირთა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სწორი იყო იმ მკვლევართა ძიება, რომლებიც დოდაშვილის მსოფლმხედველობის სათავეებს გერმანულ კლასიკაში ეძებდნენ (შ. ნუცუბიძე, ზ. კვიციანიძე).

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტილისას ს. დოდაშვილი ობიექტური იდეალიზმის პოზიციას იკავებს. მისი იდეალიზმი დიალექტიკური ხასიათისაა, ფილოსოფიას იგი მიმართავს სუბიექტურ, როგორც კვლევის განმოსავალზე, ბოლო ფილოსოფიურ მიმდინარეობათაგან ყველაზე ახლოს დგას გერმანულ კლასიკურ იდეალიზმთან.



ივალისმომცავი ღასანუისი

გულო კობიაშვილის მწერლური სიძლიერის ერთ-ერთი ნიშანი ტიპის დახატვის უნარია. ტიპი რომ დახატოს, მწერალმა ცალკეულ აღმანიებში ან მოვლენებში ისეთი თვისება უნდა შეამჩნიოს, რომელიც განზოგადების საშუალებას იძლევა და თანაც მომწიფებულა, ანუ ავის ან კარგის მომასწავებელი ტენდენციის გამო აქტუალურია ამა თუ იმ ეპოქაში (მხოლოდ გენიალურ შემოქმედს შეუძლია ისეთი ტიპის დახატვა, რომელიც ყველა ეპოქას გადასწვდება). ე. ი. საზოგადოდ, მწერალს უნდა შეეძლოს, ჭერ ერთი, ზოგადის პოვნა ცალკეულებში და, მეორედ, რომელიმე აქტუალური ტენდენციის პოვნა. მხოლოდ მაშინ გადაიქცევა მისი გმირი ტიპად. ყოფიერების განონები სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა შედეგებს იძლევა. ამიტომ ცალკეულ მოვლენებში ზოგადის შემჩნევა ნიშნავს იმას, რომ მწერალს ყოფიერების კანონზომიერების წვდომის უნარი აქვს.

გ. კობიაშვილმა ჩვენი თანამედროვის კლასიკური სიძლიერის ტიპი დახატა შაქრიას სახით („ნაცარქექია“). შაქრია ღირსეული შთამომავალია ლუარსაბისა და თეიმურაზისა. მაგრამ თეიმურაზმა არ იცის, როგორ მოიქცეს, შაქრიამ ეს იცის. ეს შედეგ ეპიზოდში ჩანს: შაქრიას ცოლისდამ ელენემ ეუოში მჭადარი სიძის „ცხვირწინ“ უორის შენება დაიწყო. „შაქრომ ფეხების წყობა შეცვალა, ელენეს გადახედდა და დაამოქნარა. ელენე უზარმაზარ ქვას დაეჭიდა, კვნებით ასწია და ძლივს შედო ყორეზე.“

— ევრე არა, უნდა დაამტკრიო, მაშინ უფრო აღვილი იქნება, — დაარია შაქრომ.

— მართლა?! — გაულიმა ელენემ, — შენ როგორი ღობე ვაქვს, კარგი?

შაქრომ პასუხი არ დაუბრუნა. სწორედ იმწუთას დაინტერესდა კლდის მარჯვენა ქიშზე შერჩენილი თოვლით და გაელმებული თვალებით დაუწყო ცქერა“.

ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ შეხვდა ელენე თავისი უმცროსი დის „ორმოცდამეხუთე წლისთავზე აკუნდრუების“ შედეგად შეძინილ სიძეს შაქრიას. აქარად არ მისწონს ელენეს შაქრია, მაინც ცდილობს, რაიმე კაცური დვისება იპოვოს მასში და ამ მიზნით ხან ორმოხა თხრის, ხან ყორეს აშენებს. შაქრია კი ეუოში ზის და თვლემს. რა გაემტყუნება ელენეს, დას რომ ჰკობთა, ლოგინში რო-

გორილაო. „— რას შეეითხები, ელენე, რასა? არ გცხვენიან?

— კიდეც შე უნდა მცხვენოდეს, განა? კიდეც მე? — აკივლდა ელენე, ოთახიდან გაიქრა, ისევ ხაჩებუი შევარდა, ქორივით დაეტყა უზარმაზარ, ძვალეით გამკრივიებულ-გასლიპინებულ კუნძს. რის ვაი-ვაგლახით გამოათრია და გრუბუნით დაახეტყა შაქრიას გვერდზე. შაქრია ეტყობა სიზმარს ხედავდა, გაღიმებული სახე შიშით შეეცვალა, თვლები დააქუიბა, ცოლისდის დანახვზე დამშვიდდა და ისევ ჩაქინდრა თავი. ელენეს ზედაც არ შეუხედავს სიძისათვის, ისევ ისეთი სისწრაფით გაქინდა საჩეხისაკენ, ცულოც გამოარბენინა და ხაუჯახუტი აუყენა ქირას.

შაქრიამ თავი ასწია, თვლით ვაზომა ცულოთ შემოხაზული სივრცე, წამოიწია და სკამიანად გადაჩოჩდა მოშორებით.

ელენემ თვალი გააყოლა სკამს, ცულო დაადლო, ისევ ისეთი ვაი-ვაგლახით დაემშვილდა კუნძს, შაქრიას სკამის მახლობლად დაადლო, მორტილდა, ცულო აიღო და საქმე განაგრძო.

— გვერდიდან შემოურტყი, ელენე, გვერდიდანა, ხო ხედავ, ეგრე არაფერი გამოდის, — ორიოდ სიტყვა გაიშეტა შაქრიამ და ისევ გაიჩოჩა.

— მაშ გვერდიდან შემოურტყა, ნაცარქექია, არა? — წელში გაიშართა ელენე. — აღქ ეხლა, შაქრია, ვიღრე ეს ცულო ორივე გვერდიდან არ შამამირტყა შენთვის და დაადექ შენ გზასა... მადლობელი არა ხარ, როცოცხალს გიშობ?“

ცხადია, ტიპი შეიძლება იმდენად სატირულიც იყოს, რომ მას კონკრეტული პროტოტიპი ვერც გამოვუტებნოთ. იგი თავისი ზოგადობით არის საინტერესო, მაგრამ ამავე დროს სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ მწერალს ეს ზოგადი თვისება სქემის სახითა ჰქონდეს შერჩეული და კონკრეტული სიმბოლიკით დაამუშაოს იგი. მწერალი ცალკეულთა ემოციური აღქმის გზით იჭერს ზოგადს და ნაწარმოებში ახახავს, ხოლო თუკი ზოგადს წინასწარ გამოსძენის, მაშინ იგი სქემად გადაიქცევა და წარმოსახვის უნარს შეუბოჭავს. მხატვრული ტიპი სქემის მსხვირპლი არ უნდა იყოს და შით უფრო ძლიერია იგი, რაც უფრო მიწიერია. მწერალი საშუალებას უნდა გვაძლევდეს, ტიპის კონკრეტული სახის ემოციური აღქმის გზით დავინახოთ

ზოგადი, რომელსაც ის განასახიერებს. ამიტომ შენაძრებელია. მკითხველმა უფრო მეტი დანახოს ტიპის გააზრებისას, ვიდრე შწერაღმა იგულისხმა მასში (წინასწარ არჩეული სქემა მკითხველსაც ბოკავს). ამიტომ, რაც უფრო ღრმად სწვდება მწერალი უოფერების კანონ-ზომიერებებსა და სინამდვილის პრეზერვაციას, მით უფრო მრავლისმომცველი გამოდის მის მიერ დახატული ტიპი, მით უფრო მეტი ჩანს ტიპის სახეში. სწორედ ეს იგულისხმება ვეა-ფშველას სიტყვებში: „რამდენადაც ნი-ჰიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძობა, გონება, იმდენად სავსებით მხატვარს იგი ბუნებას არჩეული ტი-პის შეღებებით“. მწერლის სიძლიერე იმაშიც გამოჩნდება თუ რამდენად იძლევა მისი უბ-რალს გმირი ტიპად ქცევის საშუალებას. ამ თვალსაზრისით დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს გ. კობიაშვილისთვის შაქრიას ტიპი. მას სქემატურობის არავითარი კვალი არ ემჩნევა.

ცხოვრებისა და ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმად წვდომის გამო გ. კობიაშვილის მხატვ-რული წარმოსახვა შეუფერებლად გადადის ბენვის ხელზე. თითქოს საყოფარით ძალის შეგ-რძნება აძლევს მას დაშვებები მწერლისათვის უჩვეულო სიღრმის ნებას, მკითხველი ვერა გრძნობს მწერლის ზრუნვას, აღწერილი ამბე-ვი დამაჩერებელი გახადას. მწერალი არცა ცდლობს ზომიერების დაცვას (მაგალითად, „უკუღმართი“), მაგრამ მთავარში მუდამ უო-ფნის ზომიერება და უოველთვის ერევა სა-თქმელს. იგი ისე დალად ხტავს აშკარად გროტესკულ სიტუაციებსაც კი, რომ არ შე-იძლება მათს რეალურობაში ეჭვის შეტანა (მაგალითად, „სონა და თინა“, „ბოროტმოქ-მელი“). ამით, ამ რეალურობის ეფექტით არ-ის მიღწეული სათქმელის დამაჩერებლობა და ეს გ. კობიაშვილის ნიჰიერების ერთ-ერთი მა-ჩვენებელია.

ძალიან ცოცხლად არიან დახატული გ. კო-ბიაშვილის გმირები. არც ერთი სიტყვა არ აკლია მათს ფსიქოლოგიურ პორტრეტს და არც ერთი სიტყვა ზედმეტი არ არის. ამინ ნი-მუშად მთლიანად მოვიყვან მინიატურას „ფე-ფელა“:

„ფეფელა სამფეხაზე დამჯდარა, ფეხებშუა საჩიჩილი ჩაუდგამს და მატულს ჩეჩავს. გაახ-სენდება რაიმე გასაბრაზებელი — მოუმატებს ხედების ქნევას, გაახსენდება რაიმე დასაწყენა-რებელი — შეუნედებს.

ბუნხართან ფეფელას უმცროსი გოგო თათუ-შა ზის — მუხლებზე წიგნი გადაუშლია, დამა-რკველით კითხულობს საწყალი ბაჰიასა და ვე-რაგი მგლის ამბავს და დაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები.

ფეფელა ჩეჩავს აჩერებს. გაბრაზებული უუურებს თათუშას.

— თა-თუ-ში!
— შე ქა მათა, — ხმამაღლა ღრიალებს თათუშა.

ფეფელა გვერდზე დგამს საჩიჩილს და შო-სხანე სახით ეპარება კურდღლის კირისუ-ფალს.

— ნამდვილი გგონია რასაცა ქალადზე სწერენ, შე მასაცვლომო?! — უტყაუნებს და უტყაუნებს ისედაც აღრიალებულ თათუშას. წვიმს...

ორი ბოქლომით დაკეტილი სოფლის მალა-ზიის ვიტრინაში ბატიფეხურით დაწერილი გან-ცხადება გამოკრული:

„ჩემი მალაზიის მუსტრების საყურადღე-ბოდი!

რაიციენტრი ვარ წასული საქონლის მიხა-ტანად. თუ არ გქრათ, ჩამობრძანდით და მნა-ხეთ თქვენი დასაბრძვებელი თოღებით.

ფეფელა
ამ წლის 2 ოქტომბერი“.

ვისაც აქამდე არა სჯეროდა, რომ შესაძ-ლებელია ადამიანი ერთდროულად მშრომე-ლიც იყოს და უსამართლოც, ახლა დაიჭრებს და იმასაც ნათლად დაინახავს, რომ მოთავისე ადამიანი არაფერში სამართლიანი არ არის და, პირიქით, თუ ადამიანი უსამართლოა, იგი მოთავისეც უნდა იყოს, მხოლოდ აქეთ უნდა იყოს მიმართული მისი შრომა. საინტერესო საკითხია, მაგრამ რაკი მთლიანად მოვიყვანე ნაწარმოები, აღარ გავაგრძელებ მსჯელობას.

გ. კობიაშვილის ნაწარმოებებში გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტები იმდენად რეა-ლისტურია, რომ მკითხველი ამ გმირთა ქცევის მიზეზებსაც ხედავს და შედეგსაც. მაგალი-თად, „მოიარას“ გმირს ვინმე ტანია გაუცყენა, მთელი დანაშაუგი სჯაროდან გამოუტანია და მისთვის ჩაუბარებია, ცოლსა და სამ შვილს კი ოცდაათ მანეთს უტოვებს და ასეთ ახსნა-განმარტებას აძლევს ცოლს:

„— მოიარა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბედისწერას... — ვანუმარტა კაცმა, მუხლის-თავზე წამოცმული ქული აიღო, რატომღაც დაბერტვა, დაიხურა, მაღსტუხი ცოტათი მოუ-შვა და დაამატა — ბედისწერას ვერავინ გაექ-ცევა. ბედისწერა იყო ისიც, შენ რომ შეგიჩ-რეთ, — აქ მწარედ ჩაიქიქილა, ამოიოხრა, თა-ვი მრავალმნიშვნელოვნად გააქნია და განავრ-ძო, — ბედისწერაა ისიც, რომ ჩემი ცხოვრე-ბის შუადღეზე შეგვხვი მას, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი — წვრილი, მოუსვენარი თვალები სისხარულით აუციმციმდა, — მოვიდა იგი, ახალგაზრდა ლამაზი... მოვიდა ჩემი სუ-ლის მეორე ნახევარი და მომიტანა თან ბე-დნი-ერ-რება, რა გუბიერებს შენ, ჩემი ბედნი-ერება?! — იკითხა მკაცრად“.

მკითხველი უკვე გრძნობს, თუ რით უნდა



დამთავრდეს გვირის ასეთი რომანტიკა. და მწერალიც უოველი შემთხვევისათვის გვამცნობს შედეგს — მან იმავე დამეს გამოიტარა დაქარგული დანახოვა. სათქმელის დამაქრებლობა იმით არის მიღწეული, რომ გვირის სულიერი პორტრეტი უაღრესად რეალისტურაა, რეალობას კი თავისი სიმართლე გაჩინა და შეითხველი სწორედ ამ სიმართლეს იჭერს, ჭეშმარიტებას თვითონვე აგნებს.

სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობა მწერლობის მარადიული თემაა. გ. კობიაშვილის ნაწარმოებებში (მაგალითად, „გვირაბი“ თუ „ბოროტება გამომწვევი და თამაზია, სიკეთე შეუპოვარია, მშვიდი და მოიმედუ თავისი ძალისა („ერთი ერთზე გამოვლდეს სადმე უკაცრიელ ადგილას, შე ვიცო, მაგრამ...“). სიკეთეს მხოლოდ ის ადარდებს, „ვის მაძევს მაგის ბედსაო“ მაგრამ სიკეთე და ბოროტება არ შეიძლება ერთმანეთს არ შეხედნენ, შემთხვევით, მაგრამ აუცილებლად შეხვდებიან. აქი შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს „ერთი ერთზე“ იაგორა და აბესალომი. მათი სულიერი სახისა და დიალოგის უაღრესად რეალისტური დახატვის გზით ახალგაზრდა მწერალი გვარწმუნებს, რომ სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს. იაგორამ მითომ კი არ აჯობა აბესალომს, რომ მწერალს სურდა სიკეთის უპირატესობაში დავარწმუნებინეთ (პირიქით, გარეგნულად უპირატესობა აბესალომის მხარესა) და სიკეთისაყენ მიედრიკა ჩვენი სული, არამედ მან დაგვანახა, რომ სიკეთის ძალა მის სიმართლესა. ავტორი ამაში თვითონ არის დარწმუნებული და ამიტომ მხოლოდ მათი მხიარული დიალოგისა და მონოლოგების გადმოცემა სჭირდება, რათა დაგვანახოს, თუ რომელს ახლავს სიმართლას ძალა ე. ა. რომელია სიკეთე. ამის შემდეგ შეიხველებ ეგვიპ არ ებარება, რომ სიკეთე გაიმარჯვებს. თუმცა გ. კობიაშვილი ამ უოველივეს უფრო უბრალოდ გადმოსცემს, ვიდრე მე გადმოვეცი: „შევიფინებული აბესალომი გვირაბში შემთხვევით შეხვდა თავის მუზობელ იაგორას. დაინტერესდა, რა აზრისაა ჩემზეო. და „ანგლობის ხასიათზე დამდგარი“ ხმაშეკვლით გამოუღლაპარაკა. იაგორა ახლომხედველი იყო. ვერ იცნო აბესალომი და თავისი აზრი გულაბდილად ამცნო. ამის შემდეგ უველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. და უოველი შემთხვევისათვის შედეგსაც გვამცნობს მწერალი: ქერ იაგორა გამოვიდა გვირაბიდან და კმაყოფილი სახით გაუუვა გზას, შერე კი ცხვირ-პირდასისხლიანებული აბესალომი.

აღამიანის ფსიქოლოგიის ღრმად წვდომის აძლევს გ. კობიაშვილს რეალისტური მოვებების შექმნის შესაძლებლობას და სწორედ ამის გამო ახერხებს იგი წოგჯერ პრიმიტიული სიუჟეტიდან სრულყოფილი ნაწარმოების შექმნას. მას არ აწინებს ასეთი სიუჟეტები, ხალხით ირჩევს მათ და სწორედ ასეთ დროს აშკარად ჩნდება მწერლის სიძლიერე. ამის მაგალითია „ვანა“: სანდრო და ვანა „ძაუგს“ წასულან, სანდროს ერთი უწარმაზარი ახანა შეუთენია და სოფელში დარეკა, რამდენიმე კაცი დამხვდით, ვანა უნდა ამოვიტანოო. ამ დროს კავშირი გაწყდა და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რომელიც შეხვდა სანდროს ტელეფონთან, ვეღარ მოასწრო ვანას დაღუპვის მიზეზი ეცთხა. შერე დღეს თავმჯდომარე რამდენიმე კაცს წაუძღვა ვანას ჩამოსახვევებლად და როგორც ვოდევლიანში ხდება ხოლმე, უველაფერი გაიკვია, მაგრამ მთავარი ახლა იწყება: გამოირკვა, რომ არავინ იცოდა, რა ჰქვია ახანას ქართულად. სწორედ აქ გამოჩნდა მწერლის თავისებურება —

აღამიანის ფსიქოლოგიის წვდომის გზით მიადწროს სათქმელის რეალისტურ გადაწყვეტას: „სტოლს მაივია ჰქვია, სტაქანს — გიქა, ჩაშკას — ფინჯანი, კლიოკას — მუშაშაბი... ქალია შერთებ კლასჩია ახლა, წესით უნდა იცოდეს, რაიც ჰქვია ვანას. არ ეცოდინება და მოხვლავ ეცმითა, რაია მართლა და მართლა, აღარა ნამუსი? ფუბ.“ — მიდიოდა და ფიქრობდა ვაბრაზებული თავმჯდომარე.

რამ ათქმევინა თავმჯდომარეს, „ქალია შერთებ კლასჩია... და მოხვლავ ეცმითაო“? იგი „ქალაზე“ კი არ არის ვაბრაზებული (იქნებ იცოდა კიდევ „ქალამ“, რა ერქვა ახანას), არამედ იმაზე რომ „აღარაა ნამუსი“, ე. ა. მისი ვაბრაზება თავდაცვის სოციალური ინსტიქტით არის სტიმულირებული და წნეობის რაღაცა დონით გაცნობიერებული ანუ ეროვნული ინტერესების დაცვის გრძნობად ქცეული, რადგანაც, საზოგადოე აღამიანის ქცევა ინსტიქტებით არის სტიმულირებული, ხოლო წნეობა ინსტიქტების წარმართვის და გრძნობებად აქცევს მათ. შერეის მხრით, ხაკუთარი „უნაშუსობის“ შემჩნევისას თავდაცვის ინსტიქტი ისე ძლიერად გამოვლინდა, რომ თავის მართლების, სხვისი დადანაშაულების მოთხოვნებლად წარმოშვა და ამიტომ წამოროშა თავმჯდომარემ ასეთი სისულელე. ამრიგად საკუთარი ტუავის დაცვის ინსტიქტი უადგილოდ გამოხატა და ღამის შერეა ეროვნული თავდაცვის გრძნობას. მაგრამ თავდაცვის ინსტიქტი



ეროვნული გრძობის საბით ვლინდება უფრო მაღალ, ზნეობრივ დონეზე. ე. ი. ფაქტიურად მწერალმა ან გამირის ეროვნული გრძობის სავსეობა კი არ გვიჩვენა, არამედ ნაკლებობა. რადგანაც უოფიერების დაბალი დონის გამოვლინება შეებრძოლა უფრო მაღალი დონის გამოვლინებას. მაშ, თავმჯდომარის ეროვნული გრძობა კეშმარიტი არა უოფილა, მისი გაბრაზება დროებითი უოფილა. იქნებ არც კი ააღიღებდა მას ეს საკითხი, რომ არ შეეწუხებინათ და ეანას ჩამოსასვენებლად არ წაეყვანათ. გაბრაზებული თავმჯდომარის მსჯელობა მისი ზნეობის დონის შესაბამისად წარმართა და ჩვენს წინაშე გამოიკვეთა ადამიანის ხასიათი, ამ ხასიათის დამაჩერებლობის წყალობით კი მწერალმა კონკრეტული სოციალური საკითხი გადაწყვიტა მხატვრულად.

თუ გ. კობიაშვილის ზოგ სხვა ნაწარმოებსაც გავითვალისწინებთ. მაშინ ზემოაღწერილი თავისებურება შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს: თუ, ჩვეულებრივ, მწერლები ადამიანის ხასიათის რომელიმე შერჩეული კუთხის შესაძლებელი სრული გამოვლინებების გზით აღწევენ ამ ხასიათის სირთულისა და სავსეობის აღდგენას, გ. კობიაშვილი ხასიათის რომელიმე შერჩეული კუთხისაგან დამოუკიდებელი სხვა

კუთხების მოულოდნელი გამოკითხვის შედეგად აღწევს ხასიათის მთლიანობის აღდგენას. იგი ადამიანის სულში ხედავს იმასაც. რაც მოცემული საკითხისათვის მნიშვნელოვანი არ არის და სწორედ ამ არაარსებითი (მოცემულ სიტუაციაში) კუთხით გვიხატავს ადამიანის ხასიათს. ხასიათთა თავისებურების სწორედ ასეთი გამოვლენა მიმართა მწერლის სიძლიერედ. ეს არ არის თვითმზნური ძიება. ეს მწერლის მიერ უოფიერების აღქმის თავისებურებაა და ორგანულად არის შერწყმული რეალიზმთან.

მეტი სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ ეს მოულოდნელი გამოკითხვები გმირთა ხასიათების არამდგრადობისა და ჩამოუვლილებლობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ სწორედ ხასიათის მდგრადობისა და სირთულისა. ამიტომ ისინი პარადოქსული არ არის და რაციონალურია, გონებით მისაწვდომია მკითხველისათვის.

გ. კობიაშვილის უველა ნაწარმოებს არ შევხებივარ. შეიძლება სხვებმა მეტი ღიხსენა ან ნაკლი დაინახონ მის ნაწარმოებებში, მაგრამ ამჯერად მთავარი ის არის, რომ გ. კობიაშვილის სათქმელია აქედან იცის კიდევ. როგორ იქვას. ამ ნაწარმოებებს არავითარი ნაძალადეობის კვალი არ ატუვია. მათი ავტორის ნიჭიერება თვალსაჩინოა.





ალექსანდრე არჩილის ძის ბიოგრაფიისათვის

რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ ფელდციემებისტერის, ამერეთის მეფის, არჩილის შვილის ალექსანდრეს შესახებ საქმოდ ბევრი დიწერა, მაგრამ მისი ბიოგრაფიის მრავალი დეტალი დღესაც დასაზუსტებელია. უფრო მეტიც, ალექსანდრეს დაბადების თარიღიც დღემდე საკომანოა, ასევე დაუდგენელია ალექსანდრეს დის დარეჯანისა და ძმების სამუკასა და დავითის დაბადების თარიღები. პართველი მკვლევარები ბატონიშვილების დაბადების სხვადასხვა თარიღს გვთავაზობენ (ზოგჯერ ერთი და იგივე მკვლევარი გვთავაზობს მათი დაბადების წლის რამდენიმე ვარიანტს). წინამდებარე წერილის მიზანია გამოკვეთებული წყაროებისა და დღემდე უცნობი ზოგიერთი საარქივო დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შემოთხენებული ხარვეზის შეგება. ეს საკითხი მით უფრო საშურ და გააუღებელ საქმედ გვეჩვენება, რომ მიმდინარეობს მოსკოვის დონის მონასტრის ქართული ნეკროპოლის აღდგენისა და მისი მოწესრიგების სამუშაოები და დღის წესრიგშიც ღვაპ შესაბამისი შემოკითხვის შექმნა.

პართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიის საკითხებში დიდი ხანია მიიპურო მკვლევართა ყურადღება. ბ. ესაძე 1918 წელს გამოკვეთებულ ნაშრომში, რომელიც რუსეთის არტილერიის გენერალ ალექსანდრე არჩილის ძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება, ვაგმცნობს, რომ 1854 წელს, როდესაც პართველი ბატონიშვილები მოსკოვს ჩავიდნენ, პეტრე პირველი აყო 12 წლისა, ბატონიშვილი ალექსანდრე კი 10 წლისა (ე. ი. დაბადებულა 1874 წელს), თუმც მკვლევარი იქვე დასძენს, რომ 1711 წელს, აგი სრულიად ახალგაზრდა—მ წლის ასაკში გარდასცვალო (ე. ი. დაბადებულა 1878 წელს), არც ერთი ხსენებული თარიღი ჩვენ მისაღებად არ მიგვიჩნია. ამავე ნაშრომში ბ. ესაძე აღნიშნავს, რომ ალექსანდრეს პირველი ცოლი იყო ვინე გლიცერია, რომლის ვინაობაც გაურკვეველიაო. ესეც არ არის სწორი, რადგანაც გლიცერია ალექსანდრე ბატონიშვილის მეორე ცოლი იყო და მისი ვინაობა ჩვენთვის ცნობილია, არც ალექსანდრე არჩილის ძის ძმის, დავითის გარდაცვალების თარიღია (1709 წ.) ზუსტი, რადგანაც 1687 წლიდან (ეს არის დავითის გარდაცვალების ზუსტი თარიღი) არც ერთი საარქივო დოკუმენტში დავით ბატონიშვილი არ მოიხსენიება.

ბევრ უზუსტობას ვხვდებით ვლ. ტატოშ-

ვილის ნაშრომში „პართველები მოსკოვში“, რომელიც მეორედ 1959 წელს შეცვლებული და გადამუშავებული გამოქვეყნდა. ავტორი ეხება არჩილის შვილების წლოვანებას და წერს: 1. 1684 წლის დამდეგს ასტრახანში მიღებულ იქნა ნებაართვა ბატონიშვილების მოსკოვს გაგზავნის თაობაზე — „მცირეწლოვანების გამო უმცროსი ვაჟი დავითი მეფე არჩილმა თან დაიტოვოსო, ხოლო ორი ვაჟიშვილი ათი წლის ალექსანდრე და რვა წლის მათე (მამუკა) მდინარის გზით მოსკოვს გამოგზავნოსო“ (ე. ი. ალექსანდრე დაბადებულია 1674 წელს). არჩილმა გადაწყვიტა ვიდრე მოსკოვიდან გაემგზავრებოდა, დაეკორწინებინა უფროსი ვაჟიშვილი ალექსანდრე ივანე მხელილის ძე მილოსლავსკის ასულზე ფეოფანიაზე... კორწილი გადასადეს 1687 წლის შუა ნოემბერში. ალექსანდრე ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჩვიდმეტო წლისა აყო და ვერ ეგუებოდა ოკაბურ ურთიერთობასო, ე. ი. ალექსანდრე დაბადებულა 1670 წელს. ეხება რა დარეჯანის წლოვანებას, ტატოშვილი წერს: „დარეჯანი პეტრეზე ათი წლით ხნირი იყო (პეტრე I დაიბადა 1672 წელს, ე. ი. დარეჯანი 1682 წელს და ბოლოს. 1719 წლის 18 აპრილს გარდაიცვალა დედოფალი ქეთევანი (დარეჯანის დედა) და „ამ დროსათვის დარეჯანი დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იყო, ე. ი. დარეჯანი დაბადებულა დაახლოებით 1689 წელს.

როგორც ვხედავთ, ბ. ესაძე და ვლ. ტატოშვილი ბატონიშვილების დაბადების სხვადასხვა თარიღს გვთავაზობენ და იმანაც არ ითვალისწინებენ, რომ ეს თარიღები ერთმანეთს გამორიცხავენ.

ვერც მომდევნო ხანის მკვლევარებმა ვერ დააღწიეს თავი წინააღმდეგობებს, ასე, მაგალითად, 1971 წელს ეურნალ „ნიკიკარში“ (№ 2) გამოქვეყნდა ნათელა ნადიბაიძის სტატია „ალექსანდრე ბატონიშვილი“ სადაც ვკითხოლობთ: „უფლისწული ალექსანდრე, არჩილის უფროსი ვაჟი, დაიბადა 1664 წელს“, სამწუხაროდ, ავტორი თავის ასეთ კატეგორიულ განცხადებას რით ასაბუთებს, ჩვენთვის უცნობია. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „1682 წელს არჩილი თავის სახელოლობით გამგზავრდა „ჩრდილოეთში“. აქაც უზუსტობაა. აქვე ავტორს მოჰყავს ვოლტერის ცნობა უფლისწულ ალექსანდრეზე და „უხსრობებს“ მას დაშვებულ შეცდომას, ვერძოდ: „ამ ხელმოწერის 19 წლის შვილმა (ალექსანდრე მე



წლის იყო მაშინ — ნ. ნადიბაიძე მოისურვა ზღბოდა პეტრე დედს შეედების წინააღმდეგ მის ექსპედიციასიო“. თუ ვოლტერი ცდებოდა, რა საჭირო იყო სტატიაში მისი ცნობის მოტანა. თუ შეედეგებთან ომის დაწყებისათვის (1700 წ.) ალექსანდრე 26 წლის იყო, იგი 1674 წელს უნდა დაბადებულიყო და არა 10 წლით ადრე, როგორც ამას ავტორი დასაწყისში ამტკიცებს და ბოლოს ავტორი თავის სტატიას ამთავრებს ასევე კატეგორიული განცხადებით: „მხოლოდ გაკვირება შეიძლება გამოიწვიოს ამ შრომისმოყვარე და მრავალმხრივი ნების მქონე ქართველი ყმაწვილის მოღვაწეობამ, რომელმაც 10 წლის ასაკში დატოვა სამშობლო“. თუ არჩილი „ჩრდილოეთი“ (7) 1882 წ. წავიდა და ალექსანდრე 10 წლის იყო, იგი 1672 წ. უნდა დაბადებულიყო. ხანტერესოა, ერთ სტატიაში როგორ მოხერხდა ალექსანდრე ბატონიშვილის დაბადების სამი თარიღის „დადგენა“.

ნათელა ნადიბაიძის სტატიას გამოეხმაურა მიხეილ გონიკაშვილი, რომელმაც 1972 წელს ჟურნალ „ციციკარში“ (№ 3) გამოაქვეყნა წერილი „ქართველი უფლისწული რუსეთის სამეფო კარზე“, ავტორი სტატიის დასაწყისში წერს: „ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ წერილში დაშვებულია უზღვიერთი უზუსტობანი. რის გამოც მიზანშეწონილად ვცანით წინამდებარე სტატიის გამოქვეყნება. სამწუხაროდ, არც მიხეილ გონიკაშვილის წერილია დაზღვეული შეცდომებისაგან: 1. ავტორი ეხება რა ალექსანდრეს დაბადების თარიღს, წერს, რომ „ალექსანდრე დაიბადა არა 1664 წელს, არამედ 1674 წელს; 2. რომ რუსეთის ზელმწიფეთა გადაწყვეტილებით (1684 წელს) მეფე არჩილი შეუღლით, ქალიშვილით და 6 წლის ბატონიშვილი დავითით თერგში უნდა დასახლებულიყო; უფროსი ვაჟები კი — 10 წლის ალექსანდრე და 8 წლის მამუკა თავად ვოლნისკის მოსკოვში უნდა გადაეყვანა. 3. „სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში იმედგაცრუებული არჩილი კი 1699 წელს გადასახლდა მოსკოვში მთელი ოჯახით, მეუღლე ქეთევანითა და ორი შვილით — დავითით და დარეჩანით“. როდესაც ავტორი ალექსანდრეს ქორწინებას ეხება, იგი წერს „პირველად 18 წლის ალექსანდრე არჩილის ძე 1691 წელს დაქორწინდა ივანე მიხეილის ძე მილოსლავსკის ქალიშვილზე. სტატიის ავტორს გამოუყენებული აქვს ბ. ესაძის და ვლ. ტატიშვილის შრომები და მთლიანად იმეორებს მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს ზოგიერთი კორექტივით. ცხადია, 1684 წელს დავითი 6 წლის ვერ იქნებოდა, რადგანაც იგი 1681 წელს არის დაბადებული.

ცნობილია, რომ 1688 წელს არჩილი თხოვნ რუსეთის მთავრობას სამშობლოში დაბრუნების და, ამასთან ერთად, ვაჟიშვილების —

ალექსანდრესა და მამუკას გაშვებას, რაზედაც თანხმობას ღებულობს. „თქვენო სამეფო უდიდებულესობაც, უბრძანეთ თქვენი, დიდო ზელმწიფეთა, წყალობის კალთა გადაფაროთ ჩემ შეუღლესა და რძალს, ჩემი ძის ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლს ფეოდოსიას“... „რათა, დიდო ზელმწიფეც, თქვენმა სამეფო უდიდებულესობამ ინებოს თქვენს სამეფო კარზე შეფაროს ჩემი შეუღლიე ეპატრიზე (ქეთევანი), ასული და რძალი“ (პაიჭაძე გ. მასალური რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის 80-90-იანი წლები, ტ. 111).

როგორც ვხედავთ, არჩილის ცოლი, ქალიშვილი და რძალი მოსკოვში რჩებიან და 1699 წელს ვერ მოახერხებენდნენ მოსკოვში ჩასვლას, ვერც იმაში დავითანებებით მიხეილ გონიკაშვილის, 18 წლის ალექსანდრე 1691 წელს დაქორწინდა ივანე მილოსლავსკის ქალიშვილზე (პაიჭაძე შეცდომია, თუ ალექსანდრე 1674 წელს დაიბადა, 1691 წელს 17 წლის იქნებოდა), ცნობილია, რომ 1589 წლიდან მილოსლავსკეანე შერიბსულები იყვნენ პეტრეს მიერ, მათთან დამოკვრება არჩილს და მის ოჯახს ბევრს არაფერს შესძენდა და თუ ამას დავუშვებთ, რომ ალექსანდრეს ცოლი ფეოდოსია მილოსლავსკეაი 1689 წელს გარდაიცვალა, 2 წლის შემდეგ ვერ შესდგებოდა მათი ქორწინება. ასევე არ იქნებოდა მოხსენებული არჩილის ოჯახის წევრთა შორის დავითიც იმის გამო, რომ იგი 1687 წელს გარდაიცვალა. მ. გონიკაშვილის სტატიაში გვხვდება სხვა შეცდომებიც, რომლებზეც აქ არ ვჩივრებთ.

ასე რომ ლიტერატურაში გვხვდება ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი დამების ცხოვრება-მოღვაწეობის თაობაზე მცდარი და ერთმანეთის გამოპრიცხავი ცნობები, რომელთა გასწორება აუცილებელია.

ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამჟამად შეცნიერების განკარგულებაშია სანდო ცნობები. ეკრძოდ, 1974 წელს პროფ. გ. პაიჭაძემ გამოაქვეყნა მასალების კრებული პირველი ტომი, რომლებშიც აღნუსხულია მოსკოვის ძველი აქტების სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები, აგრეთვე ჩვენს მიერ ამავე არქივში მიკვლეული რამდენიმე დოკუმენტი, რომლებმაც მოგვცა საშუალება ზემოთ აღნიშნული ხარვეზები გაგვესწორებინა.

როგორც ცნობილია, არჩილმა 1678 წელს მეორედ დაიკავა იმერეთის სამეფო ტახტი, მაგრამ მალე იძულებული გახდა დეტოვეინა იგი და თურქებისაგან დევნილს ჭერ რაჭისათვის შეეფარებინა თავი, ბოლო შემდეგ ოსეთში გადასულიყო (ქართლში მისი ძმა ვიოროდ XI იქდა, რომელიც ირანის ემორჩილებოდა, კახეთში კი მისი ცოლისძმა ერყვეი ი-ნაზარალი ბანი). 1689 წლის 24 აგვისტოს მან დავითიდან მოსკოვს გააგზავნა არქიმანდრიტი



მაკარი, რომელსაც დავალებული ჰქონდა რუსეთის ხელმწიფის თვდორე ალექსის ძისათვის არჩილის წერილის ჩატანა. იმავე წლის 28 ნოემბერს არქიმანდრიტი მაკარი გამოცხადდა საელჩო-პრიაჟში. გადასცა ქართველი მეფის წერილი და განაცხადა, თუ ხელმწიფე ნებას დართავდა, არჩილი თავისი ოჯახით რუსეთს ჩავიდოდა, რადგანაც „თუშეცა სპარსეთის (ირანის) შამი თავისთან უხმობსო არჩილს, მას არ უნდა წახვლა იმიტომ, რომ არჩილს ორი ძე და ერთი ასული ჰყავს და სპარსეთის შამს უნდა ეს შეიღებო წართვის მას და შეიღებოიანად გაათათროსო“. დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1680 წლის ნოემბრისათვის არჩილს ჰყოლია ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

1681 წლის 23 სექტემბერს არჩილმა მოსკოვში გაგზავნა არქიმანდრიტი გაბრიელი, ხოლო იმავე წლის 26 ოქტომბერს კი თავადი დიმიტრი პავლეს ძე ქვარაიანი, რომლებიც 1682 წლის 10 თებერვალს გამოცხადდნენ საელჩო პრიაჟში, მათ განაცხადეს, რომ მას შემდეგ, რაც არჩილმა ხელმწიფის მიერ არქიმანდრიტ მაკარის ხელით გამოგზავნილი წყალობის სიგელი მიიღო, ოსეთს გადავიდა, საიდანაც გამოგზავნა ისინი. არჩილი თხოვდა თვდორე ალექსის ძეს გამოეგზავნა მისთვის შეთოფეთა რაზმი, რადგანაც ეშინოდა შამხალ ალი მურჯახს, რომელსაც შამხსაგან დავალებული ჰქონდა არჩილისა და მისი ოჯახის დატყვევება და ირანს გაგზავნა.

ეღბების მოხსენებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ცნობა. „ხოლო არჩილ მეფეთანთო აქამად ოსეთს არიან მისი მეუღლე და შვილები: სამი ბატონიშვილი — ალექსანდრე 13 წლისა, მამუკა 10 წლისა, დავითი 2 წლისა. მეფის ასული დარქვანი 14 წლისა“ (პაიჭაძე გ. გ. მახალეები, ტ. 1).

ამრიგად ირვევია: პირველი: არჩილმა საქართველო დატოვა 1681 წლის აგვისტოში; მეორე: ამ დროისათვის მას უკვე ჰყავს მესამე ვაჟი, არც ბატონიშვილების წლოვანება იწვევს ეჭვს, რადგანაც ამ ცნობის მომწოდებლები ოფიციალური პირები, არჩილ მეფის ელჩები არიან და ისიც, რომ აღნიშნული დოკუმენტები პირველწყაროს წარმოადგენენ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკულია მოსკოვი; ძველი აქტების სახელმწიფო არქივში, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბატონიშვილების წლოვანების ამ სინამდვილეს დასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ცნობაც; რომელიც ეხება არჩილის ქორწინებას, სადაც აღნიშნულია: „შემდგომად მოკუდა შაჰაბაჟ ქსა ჩქიჲ, ქ-რ: ტრე (1687 წ) მეფემან შა ნავაჯ (ვახტანგ არჩილის მამა ნ. ჯ.) ასული დათუნასი ქეთევან (თეიმურაზ I შვილიშვილი ნ. ჯ.) ახალციხის ფაშასაგან, მოიყვანა ტფილისს და უქმნა ქორწილი დიდ-

ებული“ (ქართლის ცხოვრება ტ. 1), უნდა შევნიშნოთ, რომ შამ აბაჲ II, რომელიც ახლანა დადგენილი, გარდაიცვალა არა 1687 წელს, არამედ 1686 წელს. ამრიგად, არჩილის ქორწინების თარიღი 1686 დასაშვებს ხდის დარქვანისა და ალექსანდრეს დაბადების თარიღებს — 1688 და 1689 წლებს. რაც ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია.

ზემოთ ჩვენ ვიხიბოდით ვლ. ტატიშვილის მიერ დარქვანის წლოვანების დადგენის დროს დაშვებულ შეცდომას. ეკრძალ იმას, რომ დარქვანის პეტრეზე 10 წლით უფროსი იყო, და დაბადებული 1682 წელს, გამოდის, რომ იგი მშობლების ქორწინებამდე 3 წლით ადრე დაბადებულია. ასეთივე შეცდომა აქვს დაშვებული ნ. ნადიბაძესაც. ოღონდ ამ შემთხვევაში ალექსანდრეა 1644 წელს, მშობლების ქორწინებამდე 2 წლით ადრე დაბადებული.

ვლ. ტატიშვილს არასწორად აქვს ნაჩვენები ბატონიშვილ დავითის გარდაცვალების თარიღიც 1688 წელი, სამწუხაროდ, ავტორის დავითის საფლავის ეპიტაფიაც არასწორად აქვს ამოკითხული ეკრძალ. (1796) წლის ოქტომბრის 24-ს... მიიცივალა მონა ღვთისა იმერეთის მეფის არჩილ ვახტანგის ძის ვაჟი ბატონიშვილი დავით არჩილის ძე დაბადებიდან წლისა თვისა დღისა. (დავითის საფლავის ეპიტაფიის ზუსტი ასლი მოგვარდა დონის მონასტრის არქივოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა გივი დამბაშიძემ).

როგორც ცნობილია XVII საუკუნის რუსეთში წელთაღრიცხვა ბიზანტიური სისტემის იყო, რადგანაც ახალი წელი 1 სექტემბერს იწყებოდა. წლების წელა იწყებოდა „იქვენის შექმნიდან“. ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადმოყვანისას საკიროა მოცემულ ციფრს გამოაკლდეს 5498 (იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მოკლეა სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით მოხდა) მთვლით 1687 წელს. რაც შეეხება დავითის წლოვანებას აქაც უზუსტობას ვხვდებით. რადგანაც 5-ასო ძველ რუსეთში 6 ტოლია და არა 7-ის, როგორც ტატიშვილი კითხულობს, ამრიგად დავითი გარდაიცვალა 1687 წლის 24 ოქტომბერს 6 წლის, 9 თვის და 9 დღის. (დაბადდა 1681 წლის იანვარში).

ჩვენს ვარაუდს ამტკიცებს ერთი დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1687 წლის ოქტომბრის თვით, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „... მოკითხვას ვითვლით თქვენი ყმა უცხოელი ექიმი ივანკო დრეშერა ხელმწიფეო, ვასულ, 195 (1687) წელს, 1-ლი ამარილიდან თქვენი უწინაისი ბრძანებით ვერ, თქვენი ყმა, ვმკურნალდები იმერეთის მეფეს არჩილ ვახტანგის ძეს და მის თანმხლებ პირთ, დიდებსა თუ პატარებს, ექვსი თვის განმავ-



ლობაში ჩემი წამლებით..." სწორედ ამ პერიოდში უნდა გარდაცვლილიყო ბატონიშვილი დავითი, თუ რა იყო ამის მიზეზი, სამწუხაროდ ჩვენთვის ცნობილი არ არის.

რაც შეეხება ბატონიშვილ მაშუას, როგორც წემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს 1682 წ. თებერვლისათვის 10 წლისა უფოლია, შესაბამისად 1772 წელს დაბადებული. მისი გარდაცვალების თარიღად კი ერთი საარქივო დოკუმენტის საფუძველზე უნდა მივიჩნიოთ 1698 წელს ეტომად: „გახულ CB წელს მეფე არჩილ ვახტანგის ძეს მოსკოვიდან ეახლა (მისი კაცი) შკარ ჩეშურაძე და აუწყა მას ბატონიშვილ მათე არჩილის ძის გარდაცვალების ამბავი“. CB = 202 = 1698 წ. ასევე უცნობია ჩვენთვის მისი გარდაცვალების მიზეზი.

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ 1674 წელს პროფ. გ. პაიჭაძის მიერ „მასალების“ I ტომში გამოქვეყნებულმა რამდენიმე დოკუმენტმა შესაძლებელი გახადა ბატონიშვილების ასაკის დადგენა, მაგრამ სამწუხაროდ შემდგომში თვით გ. პაიჭაძე აღარ იუყენებს თავისივე გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და ნაშრომებში, რომლებიც შემდეგში დაიბეჭდა, უფრო სტყდომებს. ასე მაგალითად მასალების II ტომის წინასიტყვაობაში, რომელიც 1970 წელს გამოიცა, ვკითხულობთ: „ორნი — მაშუა და დავითი აღდგ გარდაიცვალენ, ხოლო უფროსს ალექსანდრეს (1674-1711), რომელმაც მხოლოდ 36 წელი იცოცხლა, მძიმე ზედრიტ ერგო წილად“. როგორც ვხედავთ ალექსანდრე ქერ 1674 წ. დაბადებულა, მაგრამ თუ იგი 36 წლის ასაკშია გარდაცვლილი, გამოდის რომ დაბადებულა 1675 წელს. იკრევე ავტორი 1882 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში „მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XVII-XVIII საუკუნეებში“ წერს: „...თავდაპირველად არჩილს ასტრახანში მოუხდა შერიგება. 1683 წელს მან მოსკოვში გაგზავნა თავისი ორი ვაჟიშვილი: ათი წლის ალექსანდრე და რვა წლის მაშუა“. პათივკემული ავტორის მასალების I ტომში გამოქვეყნებულ ერთ დოკუმენტში, რომელიც 1684 წლის ივლისით არის დათარიღებული, ნათლად წერია, რომ ბატონიშვილები მოსკოვს 1684 წლის 24 აპრილს გამოგზავრებულან, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ისინი 1683 წელს წავიდნენ. მაშინ ალექსანდრე 1873 წელს დაბადებულა. აქაც უზუსტობაა. ჩვენთვის გაუგებარია, გ. პაიჭაძეს ეჭვი შეჰქვს მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების სისწორეში თუ უბრალოდ გამორჩა და არსებული ლიტერატურის (ზ. ესაძე, ვლ. ტატიშვილი) გავლენით გაიმეორა შეცდომები.

ჩვენ ქართველი ელჩების ცნობას სანდოდ ვთვლით და არჩილის შვილების დაბადების თარიღები ამიერიდან დადგენილად მიგვაჩნია, ასევე დადგენილად მიგვაჩნია მათი გარდაც-

ვადების თარიღებიც, დასარულს უნდა შევნიშნოთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის დაბადების თარიღს (1683 წელს) მხოლოდ მისი საფლავის ქვის ეპიტაფია ეწინააღმდეგება, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია უფრო მოგვიანო საფლავის ეპიტაფიაში გაპარული შეცდომა — ეტომად ბაქარის (ვახტანგ VI შვილი) შვილიშვილის, ლეონის შვილის ევგრაფის საფლავის ეპიტაფიაში ვკითხულობთ, რომ იგი დაიბადა 1788 წელს და გარდაიცვალა 1794 წელს, იცხოვრა რა ამ კვეთანზე 6 წელი 7 თვე და 19 დღე და ეს შეცდომა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ეს საფლავის ქვა მისმა მამამ დაუდგა 1800 წელს.

აქვე გვინდა შევიჩრდეთ ალექსანდრე არჩილის ძის ბიოგრაფიის ერთ დეტალზე, რომელიც ფართო მკითხველისათვის უცნობია.

როგორც ცნობილია 1695-98 წლებში აზოვის ლაშქრობებში, პეტრე პირველი შვილი რიგი პრობლემების წინაშე დააყენა. სახირო იყო ძლიერი საზღვაო ფლოტის შექმნა, საარტილერიო საქმის შესწავლა, თურქეთის წინააღმდეგო კოალიციის შექმნა და სხვა, რაც ესოდენ აუცილებელი იყო რუსეთის ჩამორჩენის დასაძლევად და შვეი ზღვის პრობლემის გადასაჭრელად, სწორედ ამ მიზანს ისახავდა დიდი ელჩობა, რომელიც 1697 წელს გაემგზავრა ევროპაში. ამ ელჩობის შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი, ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ალექსანდრეს მონაწილეობა მასში.

ლიტერატურაში გავრცელებული აზრით ალექსანდრე არჩილის ძე ამ ელჩობას დასაწყისივე გაჰყვა, როგორც ახლა ირკვევა ალექსანდრეს ევროპაში გამოგზავრება გვიან მომხდარა, საქმე ისაა, რომ დიდი ელჩობა, რომლის შემადგენლობაშიც დაახლოებით 250 კაცი ირიცხებოდა, მოსკოვიდან გაემგზავრა 1697 წლის 4 მარტს, თავიდან ნავარაუდები იყო ავსტრიაში ჩასვლა, მაგრამ რადგან ავსტრიასთან და ვენეციასთან უკვე დადებული იყო შეთანხმება (1697 წ). ვადაწყდა, რიგის გავლით პარუზიაში, პოლანდიაში და ინგლისში ჩასვლა. 18 მარტს ელჩობა ნიგეროდშია, 22 მარტს ფსკოვში, 31 მარტს რიგაში და იქვე 4 აპრილს ალგაშის დღესასწაულში. არც ერთ დოკუმენტში, რომელიც აპრილამდე ელჩების გადაადგილებას ეხება, ალექსანდრე არჩილის ძე მოხსენებული არ არის. ირკვევა, რომ დიდ ელჩობას რამდენიმე წარჩინებული პირი და მათ შორის ალექსანდრე არჩილის ძეც გვიან შეერთებია: „მეფის ნება-სურვილით მათვე შეუერთდნენ თავად ბორის ალექსის ძე გოლიციინის ვაჟი კაბუჯი ალექსი ბორისის ძე, ივანე მიხეილის ძე და ივანე ალექსის ძე გოლოვინები, სიმონ მიხეილის ძე ნარაშკინი და იმერეთის მეფის შვილია ალექსანდრე არჩილის ძე“.



„იმავე დღეს რიგას ჩავიდა იმერეთის მეფის შვილი ალექსანდრე არჩილის ძე და მას ებრძანა სასწავლებლად წახვლა გარემომდებარე სახელმწიფოებში დიდი და სრულყოფილი ბიანი ელჩების თანხლებით“. აქვე ირკვევა ბატონიშვილის მხლებლების ვინაობაც, რომელიც მას ახლდნენ ლიბავაშვიდი. „მე აპრილის ლიბავიდან პრეობრაჟენსკის პოლკის უფროსები და სალდათები და სხვა (ეს ის პოლკია, სადაც თვით პეტრე დიდი ირიცხებოდა. პეტრე მიხაილოვის სახელით) ჩინეთს მქონე პირნი გაემგზავრნენ ზღვით... იმავე დღეს დღემ და სრულყოფილი ბიანი ელჩებმა ლიბავიდან მოსკოვს გაისტუმრეს იმერეთის მეფის შვილის ალექსანდრე არჩილის ძის ჩინიანი პირები — სუფრაჟი თევდორე დავითაშვილი და სახლ-უბოცევი სიმონ ბარათაშვილი ოთხნი ამხანაგის თანხლებით. ალექსანდრესთან დარჩენილა სამი მხლებელი, რომელთა ვინაობა, სამწუხაროდ უცნობია, თუმცე არსებობს ერთი საარქივო დოკუმენტი, რომლის ავტორიც დარეკან არჩილის ასულის „შტალმეინტერი“ და ახლობელი აწნაური გაბრიელ იაგორის ძე ჭიქიძეა. 1754 წელს იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულისადმი გაგზავნილ თხოვნაში ვკითხულობთ შემდეგს: „ყარა ხნის წინათ თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის ფრიალ ჩინებულ რუსეთის იმპერატორს გამომგზავრა აწ-განსვენებული მეფე არჩილ ვახტანგის ძე და მისი ვაჟი ბატონიშვილი ალექსანდრე არჩილის ძე, რომელმაც თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის სამსახურში გენერალ-ფელდცაიხმისტრობას მიადწია და გარდაიცვალა. მათთან ერთად გამომგზავრა მამაჩემი და თან ახლდა ხსენებულ ბატონიშვილს დანიისა და ევროპის ბევრი სახელმწიფოს სასახლის კარზე და როდესაც შვეიციაში იგი ტყვედ იყო ჩავარდნილი, მასთან იმყოფებოდა“.

ამრიგად ერთ-ერთი მხლებელი ჯენი ვარაუდით სწორედ ზემოთ ხსენებულ იაგორს ჭიქიძე უნდა უოფილიყო. ასევე საინტერესოა „სტოლნიკ“ თევდორე დავითაშვილის ვინაობა.

როგორც ცნობილია, თავად დავითაშვილები ოჯახებით სამუდამოდ დარჩნენ მოსკოვში საცხოვრებლად. ერთ-ერთ მათგანს ეკავა „სტოლნიკის“ (სუფრაჟის) თანამდებობა. მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის იმავე 1754 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელშიც ნათლად ჩანს დავითაშვილების ამ შტოს ვინაობა და აგრეთვე ალექსანდრე არჩილის ძის მქონე ცოლის ვინაობაც. კერძოდ: „მოკითხვას ვითვლით აწ განსვენებული მეფის ქალიშვილის დარეკან არჩილის ასულის უოფილი მარშლის გარდაცვლილი თავადის მიხეილ

ილიას ძე დავითაშვილის კაცი თავადი დავითაშვილი (დავიდოვი).

წარსულში, 1866 წელს პაპაჩემი უმორჩილები თავადი ილია (რომანოვის ძე) დავითაშვილი საქართველოდან მაღალეროვნოვარულ (მაღალმონარქიულ) რუსეთს გაემგზავრა ი. ვ.-ს მფარველობაში (?) და სუფრაჟად მსახურობდა. ხოლო მამაჩემი (მიხეილი — ნ. ჯ.) დამოუკრებული იყო იმერეთის მეფის ვაჟის ალექსანდრე არჩილის ძის სახლთან — ალექსანდრე ბატონიშვილს ცოლად ჰყავდა მამაჩემის ღვიძლი და“. რაც შეეხება თევდორეს, რომელიც თან ახლდა ალექსანდრეს: „თავად ელიზბარ რომანოვის ძეს ჰყავს შვილები: თავადი ათანასე, რომელიც უშვილოდ მოკვდა, თავადი თევდორე, თავადი დიმიტრი, თავადი მიხეილი, თავადი ელიზბარ დავითაშვილი (დავიდოვი) თავის ვაჟთან, თავად თევდორესთან ერთად მსახურობს სუფრაჟად, ხოლო თავადი დიმიტრი და თავადი მიხეილი მცირეწლოვანი არიან“. ამრიგად, თევდორე დავითაშვილი ალექსანდრე არჩილის ძეს ცოლის ძმად ერგებოდა.

პეტრე პირველი ალექსანდრეს მიმართ განსაკუთრებულ უპრადღებას იჩენდა. ბზირად აღუდიეციებუ ერთად დადიოდნენ. 1847 წლის 27 ივნისს ელჩობა მიიღო ბრანდერბურგის კურფიურსტის ცოლმა, კოპერბრინგში „...სუფრას კი უსხდნენ პირველ ადგილზე (სუფრის თავში?) პრეობრაჟენსკის პოლკის ერთი უფროსთაგანი (პეტრე I), შიგან მარჯვნივ — კურფიურსტის ცოლი... და იმერეთის მეფის შვილი და სუფრაჟე საუფროსი შემდეგაც სვაძდნენ მისი სამეფო უდიდებულესობა ხელმწიფესა და კეთილმორწმუნე მეფისწულის სადღეგრძელოს“. იმავე წელს 7 აგვისტოს, როდესაც პეტრე გაემგზავრა საარდაშში (ნიდერლანდები) „...მან თან წაიყვანა იმერეთის გეფის შვილი, გებრიელ და ალექსანდრე მენსიკოვები, სხვა თანამგზავრები კი ამსტერდამში გადმოსხა“. 20 აგვისტოს აქვე ამსტერდამში პეტრე ანაწილებს ვოლონტიერებს სხვადასხვა სამუშაოზე. ალექსანდრეს კი აგზავნის პაავაში, სადაც მიორგოშვას ხელმძღვანელობით ეუფლებოდა არტილერიის საქმეს. ამის შესახებ თვით პეტრე იტყობინება 1847 წლის 31 აგვისტოს, რომოდან-ოვსესისადმი გაგზავნილ წერილში.

მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, 1700 წლის მაისში ალექსანდრე არჩილის ძე ინიშნება საარტილერიო საქმის მეთაურად და ხელდა რუსეთის არტილერიის პირველ გენერალ ფელცენშეისტერი. სამწუხაროდ, ალექსანდრემ ამ საქმის მოგვარება ვერ მოასწრო, მალე დაიწყო რუსეთ-შვეიცის ომი და 1700 წლის 19 ნოემბერს ნარვასთან ბრძოლაში სხვა პირს გენერალბეთთან ერთად ტყვედ ჩავარდა. პეტრე პირველს ცდა არ დაუკლია, რომ ალექსანდრე ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა, რომ-



ლის მიმართაც განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდნენ შვედები. 1708 წელს კარლოს XII ალექსანდრე არჩილის ძის განთავისუფლები-სათვის მოითხოვა საკმაოდ დიდი თანხა 10 კასრი ოქრო. რაზედაც პეტრე წერდა ბატონიშვილს: „თქვენ თვითონაც არ მოისურვებთ, რომ თქვენს განთავისუფლებას მთელი სახელმწიფოს ინტერესები შეეწიროს“. ალექსანდრე ძალიან აუღელვებია პეტრეს წერილს და მის მიერ გამოგზავნილ პასუხში კვითხულობთ: („...რათუ არ მითქვამს), აზრადაც კი არ მომსვლია, რომ სახელმწიფომ რაიმე ზარალი განიცადოს, ...ჩვენ იმიტომაც ვართ მოწოდებუ-ლი, რომ ვითმინოთ და მოვკვდეთ ხელმწი-ფისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის“.

1711 წელს შვედებმა შეხთავავეს იმპერატორს, რომ ალექსანდრე არჩილის ძე გაეცვა-

ლათ 20 კაპიტანზე, 20 პორუჩიკზე და 20 პრაპორუჩიკზე, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა. საბოლოოდ გადაწყდა ბატონიშვილი და გენერალი ტრუბეცკოი გაცვლილ-ყვნენ კარლოს XII კარის მინისტრზე გრაფ პიეტრზე. სამწუხაროდ ალექსანდრეს აღარ დასცალდა ჩამოსულიყო რუსეთში, გზად მომავალი გარდაიცვალა კუნძულ პიტეოზე 1711 წლის 21 თებერვალს. შვედებმა ალექსანდრეს ცხედარში დიდი თანხა მოითხოვეს. მეფე არჩილს შვილის ნეშტის გამოსყიდვაზე პეტრე დასთანხმდა, და, ალექსანდრე არჩილის ძე დიდის პატივით დონის მონასტრის შირქმის ეკლესიაში დაკრძალეს, ხადაც სულ შადე — 1718 წელს მისმა მამამ მეფე არჩილმა მისა საშუ-ღამო სასუფეველი.

სმობ რამ „სისკრის“ ახალგაზრდა პეტროვებზე

ბაბა ბაბიტაძე დაიბადა 1959 წელს, ქ. თბილისში.

1982 წელს დაამთავრა თსუ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად არის თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრის III კურსის ასპირანტი. გამოქვეყნებული აქვს შრომები „მაცნესა“ და თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კრებულში.

„ციხკარში“ იბეჭდება პირველად.

შარბაძინე ქალაქანი დაიბადა 1952 წელს მესტიის რაიონის სოფ. ადიშში. 1977 წელს დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა „პიონერში“ 1969 წელს. მიმდინარე წელს გამოქვეყნდება „შერანმა“ გამოსცა მისი ლექსების პირველი კრებული.

რუსუდანი პარშაური დაიბადა 1957 წელს. დაამთავრა თბილისის 82-ე საშუალო სკოლა. შემდეგ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა თურნალ „მნათობში“.

ბივი ლომჯანიძე დაიბადა 1948 წელს ონის რაიონის სოფ. ღებში.

1969 წელს დაამთავრა თსუ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1980 წელს თსუ იურიდიული ფაკულტეტი.

გამოქვეყნებული აქვს შრომები აღმანახ „განთიადხა“ და თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კრებულში.

„ციხკარში“ იბეჭდება პირველად.

ჩვენნი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
 ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 89-85-81, შთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-80, „ციხკარის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 9.07.85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.10.85 წ., ქალაქის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობითი ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საჯ. თაბაზი 15.85 შუკვ. 1760 უე 05382 ტრაკი 57.000

საქართველოს კვ. ცვ-ის გამოქვეყნების სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
 Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

გამოიცა ახალგაზრდა მწერალთა წიგნები

- არაბული ა. — „მეო. დოგილო...“ (ლექსები), „მეკანი“.
- კიტინაშვილი ც. — „კვი შვა ჩემი ქვაც არის“ (ლექსები), „ნაკადული“.
- ბონაშვილი მ. — „შაჰაროვის კოცონი“ (ლექსები), „მეკანი“.
- დანელია რ. — „ზღვის ვინდორი“ (ლექსები), „მეკანი“.
- ოდიშარია ბ. — „უნებელი ვეფრებანი“ (ლექსები), „მეკანი“.
- წურჭუმია თ. კიტია ნ. კარაკატიანი ა. — „ბილიკები“ (ლექსები), „მეკანი“.
- ჩხიმიძე ა. — „მოლოდინი“ (ლექსები), „ნაკადული“.
- მონღაშვილი ზ. — „მიწოდულობა“ (ლექსები), „ნაკადული“.
- მონღაშვილი ბ. — „ჩემი ვეფრები“ (მოთხრობა), „ნაკადული“.
- ჯორჯაძე მ. — „მეხვედრა“ (მოთხრობა), „ნაკადული“.
- ამონაშვილი რ. — „არბალი“ (ლექსები), „მეკანი“.
- ალექსიძე მ. — „მეფრების მეჯლისი“ (მოთხრობები), „მეკანი“.
- ბისელია ბ. — „მეტყველი ქვები“ (ლექსები), „ალაფრა“.
- სულაგაური ბ. — „ზოდიაქოს ბორბალი“ (ლექსები), „ნაკადული“.
- არაბული ბ. — „ნისენებ ჩავლილს“ (ლექსები), „მეკანი“.
- ხარტილაძე ვ. — „ზღუბელი“ (ლექსები), „ნაკადული“.



ფასი 60 ლა.

78 / 177 8

052060 76206

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ